საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი
სსია ახალციხის ინსტიტუტი

ნატო ყრუაშვილი

ივანე გვარამაძის როლი მესხურ განმანათლებლობაში

თბილისი 2008

უაკ (UDC) 37(479.22)(09)+37(479.22)(092)
ყ 831

ნაშრომში მდიდარი საარქივო მასალების საფუძველზე გაშუქებულია „ვინმე მესხის“ ფსევდონიმით ცნობილი მესხი განმანათლებლის – ივანე გვარამაძის კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა, პედაგოგიური შეხედულებანი. შესწავლილია XIX-XX საუკუნეთა მოკვნაზე სამცხე-ჯავახეთში კულტურისა და განათლების სფეროში შექმნილი მდგომარეობა.

ნაშრომი დახმარებას გაუწევს მესხური განმანათლებლობის საკითხით დაინტერესებულ მკითხველს.

რედაქტორი: თამაზ კარანაძე
პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი

რეცენზენტები: შოთა მალაზონია
პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მურმან პაპაშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ნ. ყრუაშვილი

ISBN **978-9941-0-0320-2**



ივანე გვარამაძე – „ვინმე მესხი"

1831-1912 წწ.

წ ი ნ ა თ ქ მ ა

XIX საუკუნეში სამცხე-ჯავახეთში განვითარებულმა მოვლენებმა მესხური განმანათლებლობის წარმოშობა განაპირობა. რომლის მისია იყო სარწმუნოებრივად გათიშული ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის ეროვნული გადაგვარებისაგან გადარჩენა, ქართული კულტურისა და განათლების გავრცელება, ეროვნული ცნობიერების დაცვა-შენარჩუნება. მესხური განმანთლებლობის სათავეში ივანე გვარამაძე მოიაზრება.

წინამდებარე ნაშრომში მონგრაფიულადაა შესწავლილი ივანე გვარამაძის კულტურულ-საგანამანთლებლო საქმიანობა, პედაგოგიური მემკვიდრეობა, კულტურისა და განათლების სფეროში შექმნილი ვითარება სამცხე-ჯავახეთში. მკითხველს საშუალება ექნება გაეცნოს მრავალ საინტერესო საკითხს და არამარტო ივანე გვარამაძის შესახებ. თემაზე მუშაობა არანაკლებ საინტერესო იყო ჩემთვის...

საკითხის დამუშავების იდეა პროფესორ თამაზ კარანაძეს ეკუთვნის. ამიტომ, მინდა მადლიერება გამოვთქვა მის მიმართ, მადლობა გადავუხადო არა მარტო ჩემი, არამედ იმ თაობებისა და ადამიანების სახელით, რომელთაც მიწვდათ ივანე გვარამაძის ღვაწლი. იმისთვისაც რომ წინამდებარე ნაშრომის დამუშავებამ შესაძლებლობა მოგვცა წარმოგვეჩინა კიდევ ერთი ღირსეული მესხის მოღვაწეობა და შეგვეცნო მესხეთის ისტორიის კიდევ ერთი ფურცელი.

ივანე გვარამაძის მრავალმხრივი მოღვაწეობის შესწავლამ ერთ დასკვნამდე მიგვიყვანა: რაც ილიამ გააკეთა საქართველოსთვის, იგივე მისია შეასრულა მან მესხეთისათვის, ის მესხეთის ილიაა!

ავტორი

Ա. Մովսիսյան.

Ամենայն սրտագութեամբ
Ձեր անձնուէր աշակերտ Տիգրան։

Ես ուրախ եմ, որ ձեզ կարող եմ հաղորդել իմ
ուրախութիւնը, որ ստացել եմ այսօր նամակ
Ձեր սիրելի աշակերտուհի Հռիփսիմէից։
Նա ուրախալի լուր է տալիս ինձ իր ընտանեաց
բարեկեցութեան։
Ինչ ուրախ կլինէր Հռիփսիմէն, եթէ գիտենար,
որ ես նամակ եմ գրում Ձեզ։ Ես գիտեմ, որ նա
Ձեզ շատ է սիրում, որ միտքը ամենայն ժամանակ
Ձեզ է դարձած, ինչպէս ասում է ինքը։
Ես ուրախ եմ, որ նա ինձ ևս սիրում է։ Ես
ուրախ եմ, որ նա ինձ ևս սիրում է։ Ես
ուրախ եմ, որ նա ինձ ևս սիրում է։ Ես
ուրախ եմ, որ նա ինձ ևս սիրում է։ Ես
ուրախ եմ, որ նա ինձ ևս սիրում է։ Ես
ուրախ եմ, որ նա ինձ ևս սիրում է։ Ես

Ես ուրախ եմ, որ նա ինձ ևս սիրում է։ Ես
ուրախ եմ, որ նա ինձ ևս սիրում է։ Ես
ուրախ եմ, որ նա ինձ ևս սիրում է։ Ես
ուրախ եմ, որ նա ինձ ևս սիրում է։ Ես
ուրախ եմ, որ նա ինձ ևս սիրում է։ Ես
ուրախ եմ, որ նա ինձ ևս սիրում է։ Ես

Ես ուրախ եմ, որ նա ինձ ևս սիրում է։ Ես
ուրախ եմ, որ նա ինձ ևս սիրում է։ Ես
ուրախ եմ, որ նա ինձ ևս սիրում է։ Ես
ուրախ եմ, որ նա ինձ ևս սիրում է։ Ես
ուրախ եմ, որ նա ինձ ևս սիրում է։ Ես
ուրախ եմ, որ նա ինձ ևս սիրում է։ Ես

შესავალი

XIX საუკუნის მეორე ნახევარში სამცხე-ჯავახეთის ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენას მესხ განმანათლებელთა მოღვაწეობა წარმოადგენდა. მათ თავიანთი მრავალმხრივი საქმიანობით ისტორიული მისია შეასრულეს ქართველი ერის წინაშე. კერძოდ, დიდი დამსახურება მიუძღვით საქართველოში კულტურისა და განათლების აღორძინება-განვითარების საქმეში. რამდენადაც მესხი განმანათლებლების მოღვაწეობის მიზანს სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობაში ეროვნული თვითშეგნების აღდგენა-დაცვა წარმოადგენდა, იმთავითვე მიიქციეს მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ყურადღება და მათი მოღვაწეობა კვლევის, შესწავლის ობიექტად იქცა. კერძოდ, ზაქარია ჭიჭინაძის მიერ შედგენილი იქნა მონოგრაფიები ივანე გვარამაძის, მიხეილ თამარაშვილის, პეტრე ხარისჭირაშვილის და სხვათა შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ მათ მიმართ დღემდე არ შენელებულა ქართველი საზოგადოების ყურადღება.

მესხ განმანათლებელთა მოღვაწეობის შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება XIX საუკუნის როგორც სამცხე-ჯავახეთის ისე, საერთოდ, საქართველოს კულტურული, სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების გაშუქების საქმეში. ამასთანავე ნათელი ეფინება სამცხე-ჯავახეთში წარმართულ ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ისტორიას.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს ივანე გვარამაძის – „ვინმე მესხის“ ფსევდონიმით ცნობილ მესხ განმანათლებელთა წინამძღოლის კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობისა და პედაგოგიური იდეების შესწავლას. მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით შევეცადეთ გაგვეშუქებინა მისი ბიოგრაფია და მრავალმხრივი მოღვაწეობა, ივანე გვარამაძის როლი XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე სამცხე-ჯავახეთში კულტურისა და განათლების სფეროში, მისი შეხედულებანი სწავლა-აღზრდის საკითხებზე, მისი დამსახურება ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის ასპარეზსა და მესხურ განმანათლებლობაში.

სამცხე-ჯავახეთში წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში რომ უდიდეს როლს აქ მოღვაწე კათოლიკე მღვდლები ასრულებდნენ — ეს ჭეშმარიტებაა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კათოლიკობისათვის წარმოებული ბრძოლა წარმოადგენდა ბრძოლას ქართველობისათვის, ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას, რაც უშუალოდ ივანე გვარამაძის ხელმძღვანელობით ხორციელდებოდა.

ივანე გვარამაძის მრავალმხრივ მოღვაწეობას რომ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, ეს იმთავითვე იყო ხმამაღლა ნათქვამი ქართველი ინტელიგენციის მიერ და თავის დროზე მიეცა მაღალი შეფასება.

ივანე გვარამაძის კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობისა და პედაგოგიური მემკვიდრეობის ფუნდამენტური შესწავლა საინტერესოა და აქტუალური სადღეისო მდგომარეობით, რამდენადაც საქართველოში მიმდინარეობს განათლების რეფორმის მზადება და იქმნება იმის საშიშროება, რომ განათლების ევროპული (უცხოური) მოდელები მთლიანად შეცვლიან ქართულს. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია და აუცილებლობას წარმოადგენს განმანათლებელთა და მათ შორის ივანე გვარამაძის პედაგოგიური მემკვიდრეობის შესწავლა-გააზრება.

ივანე გვარამაძის საგანმანათლებლო მოღვაწეობისა და პედაგოგიური მემკვიდრეობის შესწავლა აქტუალურია იმის გათვალისწინებითაც, რომ მის მიერ წამოყენებული პედაგოგიური პრობლემები ეროვნული პოზიციებიდან არის დანახული. ამასთანავე, აქტუალურია იმ თვალსაზრისითაც, რომ იგი ეკუთვნის განმანათლებელთა და სახალხო მასწავლებელთა იმ რიცხვს, რომელთა პედაგოგიური შეხედულებანი დღემდე შეუსწავლელია.

შეიძლება ითქვას, სამცხე-ჯავახეთში რომ არა განმანათლებელთა კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა შეუძლებელი გახდებოდა აქ მცხოვრები ქართველების ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძება-გადარჩენა, წინააღმდეგ შემთხვევაში განხორციელდებოდა ქართველი მოსახლეობის ეროვნული გადაგვარება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა განმანათლებელთა პრაქტიკულ-პედაგოგიურმა მოღვაწეობამ, რამაც

თავის მხრივ განაპირობა ეროვნულ პოზიციებზე მყარად მდგარი პედაგოგიური შეხედულებების ჩამოყალიბება.

მესხეთში მოღვაწე განმანათლებელთა და მათ შორის ივანე გვარამაძის პედაგოგიური მემკვიდრეობა ქართული პედაგოგიური აზროვნების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, ეპოქის მოთხოვნებმა განაპირობა მათი ჩამოყალიბება და არამარტო სადღეისო, არამედ სამომავლო ღირებულება გააჩნია.

ივანე გვარამაძის მიღვაწეობის მაგალითზე ნაშრომში შესწავლილია სამცხე-ჯავახეთში პოლიტიკური და კულტურული ცხოვრება XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე. კვლევისას შევეცადეთ შესაძლებლობის ფარგლებში სიღრმისეულად გაგვეშუქებინა ცალკეული საკითხი.

ივანე გვარამაძის მოღვაწეობისა და პედაგოგიური მემკვიდრეობის შესწავლის პროცესში ძირითადად ვეყრდნობით სპეციალურ და ზოგად ლიტერატურას, საარქივო და ველზე მოძიებულ მასალებს, არსებულ წერილობით წყაროებს. უნდა აღინიშნოს, რომ საკვლევი საკითხის შესასწავლად არსებული წყაროები წარმომავლობისა და დანიშნულების მიხედვით სხვადასხვა ხასიათისაა. კერძოდ, ნაშრომში წყაროს სახით გამოყენებულია საქართველოს სახელმწიფო და ქ.ახალციხის რეგიონალური ივ. ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა და აქვე არსებული ილია მაისურაძის ფონდში დაცული მასალები, შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში არსებული მასალა. გარდა ზემოთ თქმულისა, აღნიშნული საკითხის კვლევისას ვისარგებლეთ სტატისტიკურ აღწერათა მონაცემებით, სხვადასხვა უწყებათა მიერ გამოცემული სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურით.

ივანე გვარამაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის პირველი წარმომჩენი და მკვლევარი ზაქარია ჭიჭინაძეა. ან ჯერ კიდევ მესხი განმანათლებლის სიცოცხლეშივე – 1904 წელს დაწერა მონოგრაფია – ქართველ კათოლიკეთ მოღვაწე ივანე გვარამაძე (ვინმე მესხი)[54] დასახელებულ მონოგრაფიაში დაცული ცნობები მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს წინამდებარე ნაშრომისათვის.

ივანე გვარამაძესთან პირადმა ნაცნობობამ მკვლევარს საშუალება მისცა ახლოს გასცნობოდა მის პიროვნულ თვისებებსა და მოღვაწეობას, ამასთანავე არაჩვეულებრივი სიზუსტითა და საქმისადმი დიდი სიყვარულით გადმოგვცა იგი. ამიტომ მონოგრაფიაში ბევრი ისეთი ცნობაა დაცული, რომელსაც ვერ მივაკვლიეთ ჩვენი მუშაობის პროცესში. ამასთანავე, რამდენადაც მონოგრაფია დაიწერა ვკერ კიდევ ივ.გვარამაძის გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე შეუძლებელია ნაშრომს დასრულებული სახე ჰქონდეს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზ. ჭიჭინაძეს იმთავითვე არ ჰქონია მონოგრაფიის სრულფასოვნების პრეტენზია, მიუთითებდა, რომ ზოგადად შეეხო ივანე გვარამაძის მოღვაწეობას და მის შესახებ დაწვრილებითი წერილი რომ დაწეროს-ვრცელი წიგნი გამოვაო.[54]

ავტორი ივანე გვარამაძის მისწრაფებათა შორის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს „წიგნის, განათლების მოყვარეობას“: „ივანე გვარამაძეს ქართული წიგნების კითხვა პატარობიდანვე ჰყვარებია. მის დროს მესხეთში არ დარჩენილა რამე ქართული ძველი და ახალი წიგნი, რომ მას იგი არ შეეძინა და რამდენგზისამე არ გადაეკითხა.“[54] ამასთანავე ყურადღებას ამახვილებს იმაზეც, თუ როგორ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იგი სწავლა-განათლების საკითხს: „სულითა და გულით სწადია მათში (ხალხში – ნ.ყ). სწავლა-განათლების შეტანა... ქართველი ერის სახსნელად და წინ წასასვლელად, მხოლოდ ამას სთვლიდა და სთვლის კიდეც, რომ ქართველი ხალხი განათლების ასპარეზზედ გამოდის.“ ამრიგად, დასახელებული ნაშრომი წარმოადგენს მონოგრაფიას და აქედან გამომდინარე, ავტორი არ ეხება მის პედაგოგიურ მემკვიდრეობას.

ივანე გვარამაძის ცხოვრება-მოღვაწეობის შესასწავლად ასევე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს მისივე შედგენილი ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაშრომი – ვინმე მესხის ცხოვრება. რამდენადაც დასახელებული ნაშრომი 1891 წელს არის დაწერილი (ე.ი. როცა ავტორი 60 წლის იყო), ამდენად სრულ ინფორმაციას არ შეიცავს საკვლევ საკითხზე.

ივანე გვარამაძისა და საერთოდ მესხ განმანათლებელთა მოღვაწეობის შესწავლაში დიდი დამსახურება მიუძღვის დ.კოჟორიძეს, რომელიც ნაშრომში „განათლება და კულტურა სამცხე-ჯავახეთში“[16] ვრცლად იხილავს განათლებასა და კულტურის საკითხს უძველესი დროიდან 1978 წლამდე. ხოლო დასახელებული ნაშრომის შემდგომი მიმდევრობა ეხება XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში კულტურისა და განათლების სფეროში მოღვაწე თოთხმეტი მამულიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ივ.გვარამაძის საქმიანობაზე. მკვლევარი მესხი მოღვაწის უპირველეს დამსახურებად მიიჩნევს მესხეთის წარსულის შესწავლას. მიუხედავად იმისა, რომ ავტორი ვრცლად მიმოიხილავს ივ. გვარამაძის პრაქტიკულ-პედაგოგიურ საქმიანობას ყურადღებას ამახვილებს მის პედაგოგიურ მემკვიდრეობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომში დაშვებულია მცირე უზუსტობანი. (მაგ. გვ.10 ამბობს: ივ. გვარამაძეს ახალგაზრდობაში ზოზო ეწოდებოდა, თვით ივანე გვარამაძე ავტობიოგრაფიულ ნაშრომში წერს, რომ მას ბავშვობაში მოფერებით „კონას“ უწოდებდნენ).[160]

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე სამცხე-ჯავახეთში განათლების სფეროსა და მესხი განმანათლებლების – მათ შორის ივანე გვარამაძის – საქმიანობის შესწავლის თვალსაზრისით ფასეული მასალაა მოცემული გ. ივანიძის წიგნში – განათლების კერები მესხეთში.[15]

საკვლევ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა კრებული „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწენი და სახალხო მასწავლებლები“, სადაც ილია მაისურაძის მიერ არის წარმოდგენილი ივანე გვარამაძის პრაქტიკულ-პედაგოგიური მოღვაწეობა, ასევე დასახელებულია მისი ძირითადი პედაგოგიური შრომები.

აღნიშნულ პერიოდში საქართველოში სახალხო განათლების სისტემის შესწავლისა და ანალიზისათვის ყოველი მკვლევარის სამაგიდო წიგნად ითვლება პროფ. ვ. გაგუას ფუნდამენტური გამოკვლევა[3] – „სახალხო განათლება მე-19 საუკუნის რეფორმის შემდგომ პერიოდში.“ იგი დაწვრილებით მიმოიხილავს სახალხო

განათლების სისტემის ყველა რგოლს, ქართული საქველმოქმედო საზოგადოებების საქმიანობას, პედაგოგიური აზროვნების განვითარებას, მოცემული აქვს სათანადო თეორიული დასკვნები.

მართალია, ვ. გაგუას საგანგებოდ არ გამოუკვლევია სამცხე-ჯავახეთის განათლების სფერო და მესხ განმანათლებელთა საქმიანობა, მაგრამ თავის შრომებში ჯეროვანი ყურადღება აქვს გამახვილებული აღნიშნულ საკითხებზე.

ვ. გაგუა ჯერ კიდევ 70-იან წლებში გულისტკივილით შენიშნავდა, რომ შეუსწავლელი იყო გამოჩენილ მასწავლებელთა და განმანათლებელთა პედაგოგიური მემკვიდრეობა. მანვე დააყენა აღნიშნული საკითხის კვლევის აუცილებლობა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობდა ქართული პედაგოგიური აზროვნების განვითარებას. უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამინდელი მდგომარეობითაც საერთოდ შეუსწავლელია მესხ განმანათლებელთა ივანე და კონსტანტინე გვარამაძეების, პეტრე ხარისჭირაშვილის და სხვათა პედაგოგიური შეხედულებანი, რომელიც ვფიქრობთ მნიშვნელოვანი მონაპოვარი იქნებოდა ქართული პედაგოგიური აზროვნებისათვის.

ივანე გვარამაძის ისტორიული მემკვიდრეობა საინტერესოდ არის შესწავლილი მ. მიჩიტაშვილის მიერ ნაშრომში – ივანე გვარამაძის საისტორიო და საზოგადოებრივი შეხედულებანი"[22] ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ივანე გვარამაძემ საგანმანათლებლო საქმიანობა გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე XIX ს. ქართველმა განმანათლებლებმა. მკვლევარი მესხი განმანათლებლების მოღვაწეობას განიხილავს და შეფასებას აძლევს XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოში შექმნილი საერთო ვითარების ფონზე, ყურადღებას ამახვილებს როგორც საქართველოს, ისე მესხეთის ისტორიის კვლევაში ივანე გვარამაძის დამსახურებაზე. მართალია, დასახელებული ნაშრომი არ წარმოადგენს მონოგრაფიას მაგრამ ავტორი ეხება რა მის ბიოგრაფიასა და მოღვაწეობას, უშვებს გარკვეულ უზუსტობებს. მაგ. გვ 21 არასწორად მიუთითებს, რომ მათ ჰყავდათ ოთხი შვილი, სინამდვილეში კი ივანე გვარამაძეს ხუთი შვილი ჰყავდა: ოთხი ვაჟი და ერთი ქალიშვილი.

ასევე ვერ გავიზიარებთ მ. მიჩიტაშვილის აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ ივანე გვარამაძე გარდაცვალებიდან 1937 წლამდე არავის გახსენებია (იქვე, გვ. 8). უფრო მეტიც, აღნიშნულ პერიოდში ე.ი. 1912-1937 წლებში არ შენელებულა ქართველი საზოგადოების ყურადღება ივანე გვარამაძის პიროვნებისადმი. მაგალითისათვის: ჯერ კიდევ 1913 წელს მღვდელმა სერაბიმ მერაბიშვილმა წირვის დროს იოვანე ნათლისმცემლის ეკლესიაში მრევლს შეახსენა, რომ ივანე გვარამაძის უმთავრესი დამსახურება იყო ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ქართველობის აღიარება.[243] 1914 წელს დაარსებულ იქნა ფონდი ივ. გვარამაძის ძეგლის დასადგმელად[249] ექვთიმე თაყაიშვილმა ივანე გვარამაძის მიერ მოძიებული ფოლკლორული მასალები 1914 წელს შეიტანა კრებულ „ძველ საქართველოში.“[4] აღსანიშნავია ისიც, რომ 1913 წელს ქ. ახალციხეში აღინიშნა ივ. გვარამაძის დაბადების 100 წლისთავი,[152] ხოლო 1935 წელს მისი ლიტერატურული მოღვაწეობის 70 წლისთავი.[150]

ავტორი ივ. გვარამაძის საზოგადოებრივი შეხედულებების წარმოჩენისას იყენებს მის პედაგოგიურ ნაშრომებს „მშობლები და მათი შვილები“ და მას საყურადღებო შეფასებას აძლევს. მ.მიჩიტაშვილი დასახელებულ ნაშრომში ყურადღებას ამახვილებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ქრისტიანული ქორწინება, აღზრდაში სამღვდელოთა და მშობელთა როლი, მშობელთა და შვილთა ურთიერთობა და მიდის იმ დასკვნამდე, რომ ივანე გვარამაძის სოციალური იდეალია – ხალხის, ერის ამაღლებული სულიერებისა და ნორმალური გადაუჭარბებელი ხორციელების ურთიერთობების მიღწევა. ხოლო მისი რელიგიური და საზოგადოებრივი მსოფლმხედველობის მთავარ თავისებურებად მიაჩნია ადრინდელი ქრისტიანულ-ჰუმანისტური თვალსაზრისის შერწყმა ახალი ხანის საქართველოს საზოგადოებრივი სტრუქტურების სოციალურ-კულტურულ ინტერესთა განმანათლებლურ-ლიბერალურ გაგებასთან.[22]

პროფესორ შ. ლომსაძის – „მესხები“[18] წარმოადგენს ერთ-ერთ ბოლოდროინდელ ნაშრომს, რომელშიც გაშუქებულია მესხი მამულიშვილების - „ვინმე მესხის“ (ივანე გვარამაძის), ახალციხის

სალახორი სელიმ-აღა ყიფიანის, დეკანოზ იოსებ ორბელიანის, იონა ნებიერიძის, ანტონ გოდებაძის, აშულ შივლასა (ლუკა ბერიძის) და ზაქარია დიდიმამიშვილის მოღვაწეობა. განსაკუთრებით ვრცლად წარმოადგენს ივანე გვარამაძის – „მესხეთში ეროვნულ განმანთავისუფლებელ მოძრაობასა და მესხთა კონსოლიდაციისათვის მებრძოლის“ ცხოვრებასა და მრავალმხრივ საქმიანობას. ე.ი. აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს აქამდე არსებულ მონოგრაფიათა შორის ყველაზე სრულყოფილ, ფუნდამენტალურ მონოგრაფიას მესხი განმანათლებლის შესახებ.

ავტორს ივანე გვარამაძის ცხოვრების წარმოჩენის პარალელურად თვალი აქვს გადევნებული მის განათლებასა და თვით განვითარებაზე. მაგრამ მისი კვლევის მიზანს წარმოადგენს ივ. გვარამაძის პედაგოგიური მემკვიდრეობის შესწავლა, რომელიც ესეოდენ საყურადღებო იქნებოდა ჩვენთვის.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჩვენს მიერ მოძიებული მასალების შეჯერებისას ზოგიერთი საკითხი არ დაემთხვა პროფ. შ. ლომსაძის დასახელებულ წიგნში წარმოდგენილ ფაქტებს. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს შემდეგი: გვ. 142 ავტორი ივ.გვარამაძის მეუღლის გარდაცვალების თარიღად მიუთითებს 1895 წელს. სამცხე-ჯავახეთის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული ხელნაწერები №1890, 2646 და ზ.ჭიჭინაძის მონოგრაფია (გვ.14) იგვე ფაქტს 1890 წლის დეკემბრის თვით ათარიღებს. ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ ივანე გვარამაძისადმი იუბილის შეთავაზება ეკუთვნის იაკობ გოგებაშვილს (გვ. 143), ხოლო ჩვენს ხელთ არსებული მასალა, ხელნაწერი №1044 ასაბუთებს, რომ აღნიშნული წინადადების ავტორი იყო აკაკი წერეთელი, მასვე ეკუთვნის ბიოგრაფიის დაწერის წინადადებაც. ასევე აზრთა სხვადასხვაობაა ივ. გვარამაძის ავტობიოგრაფიული ნაშრომის დაწერის თარიღთან დაკავშირებით. შ. ლომსაძე ასახელებს – 1901 წელს (გვ. 143). ხოლო ხელნაწერი №209 ამ ფაქტს 1891 წლით ათარიღებს. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ფაქტების შეუთანხმებლობა შედეგია ქრონოლოგიის დარღვევისა და მასალების დამახინჯების, რაც სხვადასხვა მიზნით უნდა იყოს გაწეული.

უნდა აღინიშნოს, რომ ივანე გვარამაძის გარდაცვალებიდან დღემდე არ შენელებულა მისი პიროვნებისადმი ყურადღება. კერძოდ ჩატარებულ იქნა მისადმი მიძღვნილი რამდენიმე საიუბილეო-სამეცნიერო კონფერენცია. როგორც უკვე ზემოთ მივუთითეთ, 1931 წელს აღინიშნა ივ. გვარამაძის დაბადებიდან 100 წლისთავის იუბილე. სამეცნიერო კონფერენციაზე კ.გვარამაძის მიერ წარმოდგენილ იქნა მოხსენება - „ვინმე მესხის“ – ივანე გვარამაძის ლიტერატურულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით.[150] დასხელებულ მოხსენებაში ავტორი საუბრობს ივ.გვარამაძის ლიტერატურულ მოღვაწეობასთან ერთად პიროვნულ თვისებებზე, მის შეხედულებებსა და მისწრაფებებზე. მოგვითხრობს მამის ცხოვრების საინტერესო ეპიზოდებს და აქვე წარმოდგენილი აქვს მისი შრომების სია. ყოველივე ეს ძალზედ ფასეულია მესხი მოღვაწის ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლის თვალსაზრისით.

1971 წელს ჩატარებული იქნა ივ.გვარამაძის დაბადებიდან 140 წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომა საქართველოს სსრ. მეც. აკადემიაში და ქახალციხეში, ხოლო 1991 წელს ივ.გვარამაძის დაბადებიდან 160 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციებზე – სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმსა (ქ. ახალციხე) და სოფელ ხიზაბავრაში (ასპინძის რაიონი). დასახელებული მუზეუმის მეცნიერ თანამშრომლების მიერ წარმოდგენილ იქნა შემდეგი მოხსენებები: „ივანე გვარამაძის ცხოვრება და მოღვაწეობა“, „ივანე გვარამაძე ხელოსნობის შესახებ“, „ივანე გვარამაძე – ხალხური ზეპირსიტყვიერების შემკრები და მკვლევარი“.

აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით გამოქვეყნდა რამდენიმე საგაზეთო სტატია: კ. თორდიას – ივანე გვარამაძის შთამომავალთა გენეალოგია.[235] ნ. ყრუაშვილის – ივანე გვარამაძე (სოფელ ხიზაბავრაში მოღვაწეობის რამდენიმე ეპიზოდი).

ივანე გვარამაძის ცხოვრება-მოღვაწეობის თვალის გადავლების მიზნით უაღრესად მნიშვნელოვანია ზ. თორიას სტატია – მღვდელი ივანე გვარამაძე.[260] სამეცნიერო ლიტერატურაში საინტერესოდ არის გაშუქებული ივანე გვარამაძის ფოლკლორული საქმიანობა.

კერძოდ, გივი ახვლედიანი წერილში – ისტორიკოსი ივანე გვარამაძე და ხალხური ზეპირსიტყვიერება – ვრცლად მიმოიხილავს მესხი მოღვაწის ნახევარსაუკუნოვან ფოლკლორისტულ საქმიანობას და წარმოადგენს სათანადო თეორიულ დასკვნებს.[211] ასევე საყურადღებოა გ. შენგელაიას სტატია – ვინმე მესხი,[257] რომელშიც ავტორი ყურადღებას ამახვილებს ივ.გვარამაძის ისტორიულ მემკვიდრეობაზე, მიუთითებს სამცხე-ჯავახეთის ისტორიის შესწავლაში მის დამსახურებაზე და სამართლიანად უწოდებს „ძველი მესხეთის მემატიანეს“.

ივანე გვარამაძის მდიდარი მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლის მცდელობას წარმოადგენს გ. ჯალაბაძის მოხსენება – ივანე გვარამაძე (ვინმე მესხი). ავტორი ყურადღებას ამახვილებს სამცხე-ჯავახეთის ეთნოგრაფიის შესწავლის საქმეში ივ.გვარამაძის დამსახურებაზე, ხოლო მ. ბერიძე მოხსენებაში – ივანე გვარამაძის ცნობები ახალციხესა და სტამბულის შესახებ მიმოიხილავს ივანე გვარამაძის დამსახურებას ტოპონიმების შესწავლის საქმეში (აღნიშნული მოხსენებები წარმოდგენილი იყო სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე – 1987 წელს.

ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ზ. ქუქჩიშვილის სადისერტაციო ნაშრომი – სამცხე-ჯავახეთის სამეურნეო ყოფა და ტრადიციული კულტურა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევა სოფელ ხიზაბავრის მაგალითზე). დასახელებულ ნაშრომში ავტორი იხილავს ივანე გვარამაძის მოღვაწეობას სოფელ ხიზაბავრაში და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მის მიერ გაწეულ მუშაობას – სკოლის დაარსებისა და სოფლის ისტორიულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით შესწავლას.[264]

ივანე გვარამაძის ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლის თვალსაზრისით ფასეული მასალაა მოცემული XIX ს-ის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისის პერიოდულ ქართულ გამოცემებში.

უნდა აღინიშნოს, რომ ივ.გვარამაძის მდიდარი მემკვიდრეობის დიდი ნაწილი (შეიძლება ითქვას ძირითადი ნაწილი) მოთავსებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში, ხოლო გარკვეული

ნაწილი დაცულია აკად. კ. კეკელიძის სახელობის თბილისის ხელნაწერთა და შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტებში.

დასახელებულ ნაშრომებსა და მოხსენებებში გარკვეულწილად განხილულია ივანე გვარამაძის მოღვაწეობის ცალკეული მიმართულება, მაგრამ წარმოდგენილი ვერ იძლევა მისი მდიდარი მემკვიდრეობის სრულ სახეს.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ივანე გვარამაძის პედაგოგიური მემკვიდრეობის პრაქტიკულად შესწავლის პირველ ფართომასშტაბიან ცდას, რომელიც ძირითადად საფონდო მასალებს ეყრდნობა. ამასთანავე ნაშრომში მიმოვიხილავთ მესხი განმანათლებლის კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას. შევეცადეთ აღნიშნულ საკითხთან კავშირში წარმოგვეჩინა და ქართველი საზოგადოებისათვის გაგვეცნო მისი მოღვაწეობის ისეთი ფაქტები, რომლებიც არ არის დაფიქსირებული ზემოთ დასახელებულ ნაშრომებში. ამასთანავე შევეცადეთ, რომ უფრო ვრცლად წარმოგვედგინა ზოგიერთი საკითხი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ნაშრომი ივანე გვარამაძის ცხოვრებასა და მრავალმხრივი მოღვაწეობის სრულიად შესწავლის კიდევ ერთ მცდელობას წარმოადგენს.

ნაშრომს თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგან მასში ძირითად საკითხთან კავშირში გაშუქებულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: XIX საუკუნის II ნახევარში სამცხე-ჯავახეთში შექმნილი შიდა პოლიტიკური მდგომარეობა; ქართველ კათოლიკეთა ბრძოლა ქართული ტიპიკონისათვის, კულტურისა და განათლების მდგომარეობა და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობა ამ კუთხეში. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ივანე გვარამაძის მდიდარი მემკვიდრეობის შესწავლას აქვს არამარტო წარსულისათვის ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა, არამედ სადღეისო ღირებულებაც. რადგან მის მიერ მოძიებული მასალებისა და შრომების გაცნობის გარეშე შეუძლებელია სამხრეთ საქართველოს შესახებ რაიმე გამოკვლევის დაწერა, ხოლო მის პედაგოგიურ შეხედულებებს შეიძლება თვალსაჩინო ადგილი მივაკუთნოთ ახალგაზრდობის აღზრდის სამსახურში.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩვენს მიერ მოძიებული მასალების საფუძველზე შევეცადეთ ზემოთ დასახელებულ ნაშრომებში დაშვებული უზუსტობების გასწორებას, ივანე გვარამაძის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის სრულიად წარმოჩენას. რამდენადაც, დღემდე ადგილი არ ჰქონია მისი პედაგოგიური მემკვიდრეობის შესწავლის მცდელობას, წინამდებარე ნაშრომში წარმოჩნდა ივ. გვარამაძის არამარტო საგანმანათლებლო პრაქტიკულ-პედაგოგიური მოღვაწეობა, არამედ მისი პედაგოგიური შეხედულებანი. (კერძოდ, სწავლებისა და განათლების იდეები, აღზრდის თეორიის საკითხები). ამ თვალსაზრისით ნაშრომში განხილულია შემდეგი საკითხები: კულტურა და განათლება XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისის სამცხე-ჯავახეთში; ივანე გვარამაძის ცხოვრება და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა, ივანე გვარამაძის პედაგოგიური შეხედულებანი: სწავლებისა და განათლების იდეები, აღზრდის თეორიის საკითხები.

მესხური განმანათლებლობა და განათლების მდგომარეობა სამცხე-ჯავახეთში

მესხური განმანათლებლობა, კულტურა და განათლება XIX საუკუნის მეორე ნახევარში

მესხური განმანათლებლობა

ტერმინი მესხური განმანათლებლობა და შესაბამისად მესხი განმანათლებელი XIX საუკუნის პირმშოა. შეიძლება ითქვას, რომ იგი გაჩნდა ტერმინის — ქართველი განმანათლებლის — კვალდაკვალ. აღნიშნული ტერმინის აღმოცენება განაპირობა სამცხე-ჯავახეთში შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ. ამდენად, იგი დაეფუძნა აქ აღნიშნულ ისტორიულ-პოლიტიკურ სინამდვილეს. კერძოდ, იმას რომ ეს კუთხე, რომელიც თურქთა საუკუნოვანი ბატონობის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა საქართველოს და რომელსაც შენარჩუნებული ჰქონდა თავისი ქართული იერ-სახე, რუსიფიკატორული პოლიტიკის შედეგად შექმნა მისი რეალური დაკარგვის საფრთხე. კერძოდ, სარწმუნეობრივად სამ კატეგორიად გათიშული ქართველი მოსახლეობა ეროვნული გადაგვარების გზას გაუყენეს — ეს კი სამცხე-ჯავახეთის დაკარგვის ტოლფასი იყო. შიდა პოლიტიკური ვითარება ასე მწვავედ საქართველოს არცერთ კუთხეში არ ყოფილა. სწორედ ამან განაპირობა საგანმანათლებლო საქმიანობის დიდი ტერმინის — „მესხური განმანათლებლობის“ წარმოშობა. შეიძლება ითქვას, რომ ქართველმა ინტელიგენციამ სწორად გათვალა ის, რომ სამცხე-ჯავახეთის ქართველი მოსახლეობის ეროვნული გადარჩენა შეიძლებოდა მხოლოდ განმანათლებლობის საშუალებით. საჭიროდ მიიჩნიეს უდიდესი მხარდგომა ადგილობრივი ეროვნული ძალებისადმი, მათთვის ყოველგვარი დახმარების გაწევა მოსახლეობის განათლებისა და კულტურული დაწინაურებისათვის და არა მარტო ეს. ბევრმა საზოგადო მოღვაწემ სამცხე-ჯავახეთი შეგნებულად აირჩია თავის სამოღვაწეო ადგილად. მათ შორის აღსანიშნავია: ივანე როსტომაშვილი, ილია ალხაზიშვილი, ალექსანდრე ყიფშიძე და სხვანი.

ამრიგად, მესხური განმანათლებლობის მისიას ამ კუთხეში მცხოვრები სარწმუნოებრივად გათიშული ქართველი მოსახლეობის ეროვნული გადაგვარების თავიდან აცილება, მათი კულტურული დაწინაურება, განათლების გავრცელება და ეროვნული წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების შენარჩუნება-დაცვა წარმოადგენდა. ამდენად, მესხური განმანათლებლობა რაიმე სახით სეპარატიზმს არ შეიცავდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მესხ განამანათლებლებში ძირითადად მოიაზრებოდნენ სასულიერო პირები, მასწავლებლები და თვით სახელმწიფო მოხელეები. რამდენადაც მოსახლეობის ძირითად ნაწილს კათოლიკენი შეადგენდნენ, აქედან გამომდინარე დიდი იყო კათოლიკე მღვდლების როლიც მესხურ განმანათლებლობაში. მესხური განმანათლებლობის ორი კერა არსებობდა. რამდენადაც მესხ განმანათლებელთა სამოღვაწეო ასპარეზი იყო სამცხე-ჯავახეთი და კონსტანტინოპოლი. ამ უკანასკნელს სათავეში ედგა პეტრე ხარისჭირაშვილი, ხოლო სამცხე-ჯავახეთში მესხი განმანათლებლები უშუალოდ ივანე გვარამაძის გარშემო იყვნენ შემოკრებილნი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ორივე კერა ურთიერთშეთანხმებით წარმართავდა თავის საქმიანობას. აღნიშნულის წარმოჩენას დიდი ადგილი აქვს დათმობილი წინამდებარე ნაშრომში.

სამცხე-ჯავახეთში შექმნილი შიდა პოლიტიკური ვითარება

საქართველოს წარსულის საფუძვლიანმა შესწავლა-გაცნობამ დაგვანახა, რომ სამცხე-ჯავახეთი ისტორიულად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. აღნიშნულ ფაქტს, გარკვეულ წილად განაპირობებდა კუთხის ბუნებრივი რესურსების სიუხვე, საქარავნო-სავაჭრო გზების არსებობა და სტრატეგიული თვალსაზრისით ხელსაყრელი მდებარეობა.

უძველესი დროიდანვე სამცხე-ჯავახეთის კულტურულ დაწინაურებას ასაბუთებს მოძიებული მდიდარი არქეოლოგიური მასალა.[49] მოგვიანებით კი კულტურისა და განათლების შემდგომ განვითარებას ხელი შეუწყო ქრისტიანობის გავრცელებამ და

მის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ, რასაც მოჰყვა ფართო სამონასტრო მშენებლობა, რომლებიც იმთავითვე ჩამოყალიბდნენ საეკლესიო და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებად.[8]

საქართველოში და განსაკუთრებით მის სამხრეთ ნაწილში კულტურის განვითარება შეაფერხა ქვეყნის ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლამ და ბიზანტიის იმპერიის დაცემამ, რასაც მოჰყვა სამხრეთით მაჰმადიანური სახელმწიფოს – თურქეთის გამეზობლება. ამ მოვლენის ლოგიკურ შედეგს წარმოადგენდა თურქეთის მიერ მესხეთის დაპყრობა. მათი ბატონობის პერიოდში რთული ვითარება შეიქმნა ცხოვრების ყველა სფეროში. დაიხურა და გაძარცვა ეკლესია-მონასტრები, ჩაკვდა კულტურა და განათლება, დაიწყო მოსახლეობის მიგრაცია საქართველოს სხვა კუთხეებში. ეროვნულ-ფიზიკური გადარჩენის მიზნით მოსახლეობის ნაწილმა კათოლიკობა მიიღო, ხოლო ნაწილმა იძულებით აღიარა მაჰმადიანობა.

ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით კვლავ მძიმე მდგომარეობა იყო XIX საუკუნის დამდეგისათვის. მართალია, საუკუნის დასაწყისში 20-იან წლებში სამცხე-ჯავახეთმა მოიშორა ოსმალთა ბატონობის მძიმე უღელი, მაგრამ იმავე დროს აღმოჩნდა დიდი დამპყრობლის ხელში.

სამხრეთ საქართველოს ოსმალთაგან გათავისუფლება და საქართველოსთან მისი შეერთება თავისთავად პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა, რამდენადაც რუსეთის მფარველობის ქვეშ შესაძლებელი გახდა საქართველოს ტერიტორიული გამთლიანება, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მეფის რუსეთი, რომელიც „გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკით ხელმძღვანელობდა დაპყრობილი ხალხების მმართველობაში, აქაც, სამცხე-ჯავახეთში ხელს უწყობდა მოსახლეობის ეროვნულ-რელიგიურ გათიშვა-დაქსაქსულობას. „აქაურ მკვიდრს (გამაჰმადიანებულ ქართველს) მესხის მაგიერ თათარი დაარქვა მთავრობამ“, მის მშობლიურ ენად თურქული აღიარა. აქედან გამომდინარე, ალ. ყიფშიძე წერდა: „ეს უდიდესი შეცდომაა და წინააღმდეგი როგორც ბუნების, აგრეთვე მეცნიერებისა“.[33]

მეფის ხელისუფლება ახორციელებდა რა რუსიფიკატორულ პოლიტიკას, რომლის ერთ-ერთ მიმართულებას კოლონიზაცია წარმოადგენდა, ხელოვნურად ქმნიდა პირობებს და ხელს უწყობდა ქართველ მაჰმადიანთა ოსმალეთში გადასახლებას. ხოლო მათ ნამოსახლარებზე სხვა ეროვნების: სომხების, ბერძნების, რუსების ჩამოსახლებას. გარდა ამისა, აქ მცხოვრებ ხალხებს შორის ეროვნული შუღლის გაღრმავების მიზნით „ქართველი კათოლიკენი ქართულ ენაზე მოლაპარაკე სომხებად გამოაცხადა“.[16] ამასთანავე მეფის ხელისუფლების მიერ 1886 წლის 27 თებერვალს გამოცემული ბრძანების – „კავკასიაში სომეხ კათოლიკეთა სასულიეროთათვის საარხიმანდრიტოს დაარსების შესახებ“ – მეექვსე მუხლით კავკასიისა და ამიერკავკასიის ყველა კათოლიკეთ როგორც რომის (ლათინის), ისევე სომეხ კათოლიკეთა ეკლესიებში, კერძოდ, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრის ქართველებს, აეკრძალათ ქართული ენის ხმარება ლოცვებისა და ღვთისმსახურების დროს.[172] მეფის ხელისუფლება მკაცრად სჯიდა ქართველ კათოლიკეთა ქართველობის ყოველგვარ გამოვლინებას. ამის შესახებ უტყუარ ცნობას გვაწვდის ალ. ფრონელი: „ამ რამდენიმე წლის წინათ ხიზაბავრელებმა ქვის ეკლესია ააშენეს და ზედ წარწერა გაუკეთეს ლათინურად და ქართულად. ვიღაცამ შეატყობინა მინისტრს, ხიზაბავრელები ქართველობას ჩემულობენ და საყდარზე ქართული წარწერა გაუკეთესო. ფიცხელი ბრძანება მოვიდა პეტერბურგიდან. წაშალეთ ქართული წარწერაო. მეტი რა ჩარა იყო, ქვაზე ამოჭრილი წარწერა კირით გაგლისეს“.[33]

ხიზაბვრაში „იესოს გულის“ ეკლესიაზე წარმოდგენილი იყო შემდეგი შინაარსის წარწერა: „აღაშენა ეს რომის კათოლიკეთა ტაძარი „იესოს გულისა“ მოღვაწეობითა მღვდლის მიხეილ ვარძელაშვილისათა და შემწეობითა ხიზაბავრელ, რუსეთელ და კავკასიელ კათოლიკეთა წელსა უფლისასა 1898წ.“[55]

აქედან ნათლად ჩანს, რომ მეფის ხელისუფლება სამცხე-ჯავახეთში ქართველ კათოლიკეთა არსებობას იგნორირებას უკეთებდა, რაც ხელს უწყობდა სომეხ კათოლიკეთა სასულიერო წოდების თავისუფალ მოქმედებას ქართველ კათოლიკეთა გადაგვარება-გასომხების საქმეში. ეს კი თავის მხრივ იწვევდა

ეროვნული შულლის გაძლიერებას, რითაც დაინტერესებული იყო რუსეთის თვითმპყრობელობა.

მეფის ხელისუფლების მიერ განხორციელებული კოლონიზაციის პოლიტიკის შედეგად, სამცხე-ჯავახეთში XIX საუკუნის შუახანებისათვის შეიქმნა ეროვნული სიჭრელე. კერძოდ, აქ. ცხოვრობდნენ: ქართველები (რომლებიც რელიგიური ნიშნის მიხედვით სამ ნაწილად იყვნენ დაყოფილნი: – მართლმადიდებელნი, მაჰმადიანები, კათოლიკენი), სომხები, ბერძნები, ებრაელები, რუსები, თურქები.

აღსანიშნავია ისიც, რომ XIX საუკუნის დასასრულის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მეფის რუსეთის მიერ სამცხე-ჯავახეთში განხორციელებული კოლონიზაციის შედეგად ქართველი მოსახლეობა ეროვნულ უმცირესობაში აღმოჩნდა. კერძოდ, 1886 წლის აღწერის შედეგების მიხედვით სამცხე-ჯავახეთის მთლიანი მოსახლეობა 122590 სულს შეადგენდა. აქედან, მხოლოდ 33001 იყო ქართველი, ხოლო 84157 – სხვადასხვა ეროვნების ხალხი – სომეხი, თათარი, რუსი, ე.ი. ქართველები მთელი მოსახლეობის 1/3-ს შეადგენდნენ.[206] თითქმის ასეთივე მდგომარეობა იყო შექმნილი თვით სამაზრო ქალაქებში. კერძოდ, ორივე ქალაქის მოსახლეობა იყო 20419 კაცი, სადაც ქართველი იყო 5550, 14500 – სომეხი, 369 – რუსი, ებრაელი, პოლონელი.[206]

ვაჟა ლორთქიფანიძე სამართლიანად მიუთითებდა, რომ 1886 წლის აღწერისას ეროვნულობის განსაზღვრას საფუძვლად დაედო მშობლიური ენა, რაც არ იყო გამართლებული. აღნიშნულის საფუძველზე ქართველები, რომელთა მშობლიური ენა თურქეთის 250 წლიანი ბატონობის შედეგად თურქული გახდა, თურქებად აღიარეს.[21.39] კიდევ უფრო დიდი შეცდომა და ამასთანავე დანაშაული დაშვებულ იქნა მეფის რუსეთის მხრივ 1897 წლის აღწერისას. კერძოდ, მრავალი ქართველი რელიგიური კუთვნილების მიხედვით სხვა ეროვნებად ჩაწერეს.[21] მაგ.: სომხურ ტიპიკონზე მყოფი ქართველი კათოლიკენი სომხებად გამოაცხადეს და ა.შ. ამიტომ იყო, რომ 1897 წლის აღწერით 1886 წლის აღწერასთან შედარებით მოსახლეობის ზრდის მიუხედავად, ქართველი მოსახლეობა 33001 სულიდან 18666 სულამდე იქნა

შემცირებული ხელოვნურად, რის საფუძველზეც ქართველობამ სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის 1/7 შეადგინა (სულ იყო 142000, ქართველი 20000, 120000 – ყველა დანარჩენი).[207]

სამცხე-ჯავახეთის შემოერთების შემდეგ მეფის რუსიფიკატორული პოლიტიკის ერთ-ერთ მიზანს შეადგენდა ადგილობრივ მცხოვრებთა გადაგვარება-გარუსება. სხვა არარუსი ხალხის მსგავსად მათი ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული დაბეჩავება, რათა მუდმივ მორჩილებაში ჰყოლოდა ისინი. ამდენად, სახელმწიფოებრივი პოლიტიკიდან გამომდინარე, მეფის ხელისუფლება არ ზრუნავდა არარუსი ხალხის განათლებასა და მათ კულტურულ დაწინაურებაზე. „ცარიზმი ავიწროებდა, ზოგჯერ კი პირდაპირ აუქმებდა ადგილობრივ სკოლას, თეატრს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს იმისთვის, რომ მასები სიბნელეში ჰყოლოდა".[31] ზემოთქმულის შესახებ თავადაზნაურთა საკრებულოს წინამძღოლი ივანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი იმპერატორისადმი გაგზავნილ ახსნა-განმარტებით ბარათში წერდა (1886, 21/III): „რუსეთთან შეერთებამდე საქართველოში სწავლის საქმე უკეთეს ნიადაგზე იდგა... წერა-კითხვის უცოდინარობა ჩვენში სირცხვილად ითვლებოდა... შეერთებიდან 84 წლის შემდეგ მშობლიურ ენაზე სწავლების საშუალება მოგვესპო. საქართველო, რომელმაც რუსეთისათვის ყველაფერი გასწირა, ღირსია ჰქონდეს თავისი ენა, ეროვნება და რელიგია".[161]

აქვე უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მეფის რუსეთი თავისი კულტურული განვითარების დონით მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ევროპის სახელმწიფოებს. არ იყო დაინტერესებული საკუთარი ქვეყნის კულტურული დაწინაურებით. აქედან გამომდინარე, იგი არ იზრუნებდა და ხელს არ შეუწყობდა არარუსი ხალხის განათლებისა და კულტურის განვითარებას. პირიქით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაინტერესებული იყო და მიისწრაფოდა, რომ ადგილობრივი მოსახლეობისათვის დაეკვიწყებინა მშობლიური ენა, ეროვნული ზნე-ჩვეულებანი, ტრადიციები. ბერი ვოსტორგოვი დაუფარავად აცხადებდა: „ჩვენ ქართველების არც განათლება გვინდა, არც ზნეობრივი ამაღლება, არც

ქრისტიანობის აღდგენა, მათ შორის სკოლებს თუ ვაარსებთ, მხოლოდ ერთი მიზნით — ყველანი გავარუსოთ".[239] „გადაგვარების მსწრაფლმზარდი საფრთხე" შეიგნო განათლებულმა ახალგაზრდობამ და გააძლიერა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა. სამცხე-ჯავახეთში XIX საუკუნის II ნახევრიდან, ამ ბრძოლას ქართველი კათოლიკენი ეწეოდნენ ივანე გვარამაძის წინამძღოლობით. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა ქართული ეროვნული სულის აღდგენა, დაცვა-გაძლიერება. მათი აზრით, ეროვნული სულის დაცვა შესაძლებელი იქნებოდა ქართული ენის დამკვიდრებით ღვთისმსახურების დროს (ე.ი. ეკლესიებში), კულტურისა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში. აუცილებლად მიაჩნდათ ხალხის „გონებრივი სიბნელისაგან" განთავისუფლება, რაშიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქართული სკოლების გახსნა-გამრავლებას, სტამბების დაარსებას, ქართული სახელმძღვანელოებისა და წიგნების გავრცელებას, თეატრის დაფუძნებას, საერთოდ განათლების შეტანას ხალხში, რაც უზრუნველყოფდა საუკუნეობით დაბეჩავებული სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებასა და დაცვას.

აღნიშნულ პერიოდში ეროვნული თვითშეგნება ნამდვილად რომ მოიკოჭლებდა, შემდეგი მაგალითითაც დავრწმუნდებით: „მდაბიო ქართველ კათოლიკეს თუ ჰკითხავთ ვინა ხარო? გიპასუხებთ — სომეხი კათოლიკეო, თუ წყრომის, ან გაჯავრების კილოთი ჰკითხე, რას მიედ-მოედები, მამა-პაპით ქართველი იყავ და სომეხად როგორ გადაკეთდიო? მორცხვი პატარძალივით თავს ჩაღუნავს და მოკრძალებით გიპასუხებს: დიახ, ამბობენ, რომ წინათ ჩვენი მამა-პაპანი ქართველები ყოფილანო".[33] ეს მაგალითი ერთხელ კიდევ დაგვარწმუნებს იმაში, რომ ქართული ტიპიკონის უქონლობამ გამოიწვია სარწმუნოების აღმნიშვნელი ტერმინის გარდაქმნა ეროვნებისა და წარმომავლობის აღმნიშვნელად. მეფის რუსეთის მიერ გატარებულმა ეროვნულმა პოლიტიკამ მათთვის სასურველი შედეგი გამოიღო: ჯავახეთის რამოდენიმე ქართული სოფლის — ხულგუმოს, ბავრის, ტურცხის, კარტიკამის (დღევანდელი ახალქალაქის რაიონი) — ველიდან (თურქეთიდან) გადმოსახლებული კათოლიკე ქართველობამ ეროვნულობა დაკარგა — გასომხდა.

კულტურა და განათლება XIX საუკუნის მეორე ნახევარში

საქართველოში და კერძოდ, სამცხე-ჯავახეთში მეფის ხელისუფლებისათვის რუსიფიკატორული პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთ სფეროს წარმოადგენდა განათლება. როგორც ცნობილია, განათლებას 1846 წლიდან ხელმძღვანელობდა კავკასიის სასწავლო ოლქი, რომელსაც სათავეში ედგა ოლქის მზრუნველი. „კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველო საბჭოში, დირექციებში და განათლების ადგილობრივ ორგანოებში უმთავრესად რუსი ჩინოვნიკები იყვნენ მოკალათებულნი“[31] — მეფის ერთგული მოხელეები.

რუსიფიკატორული პოლიტიკა კიდევ უფრო მეტად გამძაფრდა XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან. ამან გამოხატულება ჰპოვა ერთი მხრივ 1881 წლის 13 იანვარს დამტკიცებულ სასწავლო გეგმაში, რომლის საფუძველზე სკოლებში ფაქტიურად იკრძალებოდა ქართული ენის სწავლება. და მეორე მხრივ, ზემოთ მოხსენიებულ, 1886 წლის 27 თებერვლის ბრძანებაში. აგრეთვე აღსანიშნავია ე.წ. „მუნჯური მეთოდის“ დამკვიდრება, რომელიც ზედმეტად მიიჩნევდა დედა ენის გამოყენებას სწავლების პროცესში.

დედა ენის დევნამ ქართველი ინტელიგენციის აღშფოთება გამოიწვია. ისინი წინ აღუდგნენ აღნიშნული გეგმის განხორციელებას. ამ ბრძოლაში დიდი იყო მესხეთში მოღვაწე განმანათლებელთა წვლილი. კერძოდ, ივ. გვარამაძემ პირველი ბრძანების გამოქვეყნებისთანავე თავის მოვალეობად მიიჩნია თანამემამულეთათვის შეეხსენებინა, რომ როგორ დიდად განათლებულნიც არ უნდა ყოფილიყვნენ და მრავალი ენის მცოდნენი, თუ მათ მშობლიური ენა საფუძვლიანად არ ექნებოდათ შესწავლილი, სამშობლოს რიგიან სარგებლობას ვერ მოუტანდნენ.[214] მას ყოველი ერის „თავმოყვარეობის დამცველად“ მშობლიური ენა მიაჩნდა.

ივანე გვარამაძე თანამემამულეებისადმი მშობლიური ენის დაცვის აუცილებლობის მოწოდებით არ კმაყოფილდებოდა. მას, როგორც გამოცდილ მასწავლებელს, მშობლიური ენის სწავლების საკითხთან დაკავშირებით თავისი კონკრეტული შეხედულებანი

ჰქონდა. საყურადღებოა საქართველოს რუსეთთან შეერთებით მიღებული შედეგების მისეული ანალიზიც: „საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ დაშთა ჩვენი სასულიერობა უმწყემსოდ სხვის ამარა (აქ იგულისხმება ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება. – ნ.ყ.), ნელ-ნელა დაიხურა ჩვენებური მდაბალი აკადემია, სემინარები და სასწავლონი, ხუცურის მაგიერ მოიდგა მაგრა ფეხი სლავიანურმა ლიტურღიამ და ჩვენი მწიგნობრობა დავითის ტკბილი ქნარი დამტვერიანდა, განიხრწნა და უკუიგდო ნაგავ ნეშიან ყურე კუთხეებში".[114] ამასთანავე სამართლიანად შენიშნავდა რომ „უფერულმა თავისუფლებამ" ქართველ კაცს დააკარგვინა მხნეობა, მამაცობა, დიდიან პატარიანად ყველა დააზარმაცა.

რუსიფიკატორული პოლიტიკით აღშფოთებული ივანე გვარამაძე, ყველასაგან მოურიდებლად, უშიშრად ხმამაღლა მოუწოდებდა თანამემამულეებს: „ნუ გაზრდით შვილებს უცხოთ წესზე მონური სულით. დროა ქართველებო, გაარჩიოთ მტერი მოყვრისაგან, სტუმრად მოსულთ მასპინძლობის უფლებას ნუ მისცემთ... დროა, აღადგინოთ, დაიცვათ თქვენი ძველთა-ძველი, მდიდარი და სამაყო დედა ენა. ტყუილად კი არ უთქვამთ ვაჟკაცობით სახელგანთქმულ ხიზაბავრელებს:

სამშობლო მისთვის შემრგეა
ვინც დედა-ენა იცისო,
ვინც-არა, აღარც კაცია
არა მწამს მისი ფიციო".[210]

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ივანე გვარამაძე მარტო კალმით როდი იბრძოდა ქართული ენის დასაცავად. მისი სიტყვა და საქმე განუყოფელი იყო. მისი ვაჟის ქრისტესიას მოგონებებში ვკითხულობთ, რომ იგი თავგამოდებით უწევდა წინააღმდეგობას 1886 წლის 27 თებერვლის ბრძანების ცხოვრებაში განხორციელებას. თვით ბრძანებიდან გამომდინარე სხვადასხვა საშუალებებს მიმართავდა, რომ სომხურ ენაზე ღვთისმსახურების პარალელურად ქართულ ენაზეც წარემართა წირვა და ქადაგება. ივ. გვარამაძე იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც დაარღვია აღნიშნული ბრძანება 1894 წლის 1 ნოემბერს – წმინდანების

დღესასწაულზე ქართული სახარება წაიკითხა. ხოლო შემდეგ მისი მოწოდებით და მიბაძვით სხვა მღვდლები მის გზას დაადგნენ.[172]

ამგვარად, ზემოთ წარმოდგენილი მასალა ასაბუთებს, რომ ივ. გვარამაძე იყო XIX საუკუნის II ნახევარში მესხეთში მოღვაწე მესხ განმანათლებელთა ღირსეული წინამძღოლი. იგი მხარში ედგა ქართველ ინტელიგენციას და აქტიურად იბრძოდა რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ. ამდენად, მისი მოღვაწეობა მისაბაძია და სამაგალითო დღევანდელი თვალთახედვითაც.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XIX საუკუნის 80-იან წლებში გაძლიერდა რუსიფიკატორული პოლიტიკა. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის კ.პ.იანოვსკის აღნიშნული პოლიტიკის განათლების სფეროში ერთგული გამტარებლის, უშუალო ამოცანას წარმოადგენდა ეროვნული კულტურის ყოველგვარი მონაპოვრის, ყოველივე პროგრესულის ჩანასახშივე მოსპობა. ასეთ ვითარებაში, „ქართული კულტურის რეაქციის შემოტევისაგან დასაცავად და მისი განვითარების უზრუნველსაყოფად ქართველმა მოწინავე ინტელიგენციამ საჭიროდ სცნო უფლებამოსილი საზოგადოებრივი ორგანიზაციის შექმნა. ეს იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“.[51]

მოხსენიებული საზოგადოების გამგეობის 1879 წლის 10 სექტემბრის დადგენილებით ი. ალექსი-მესხიშვილი რწმუნებულად გაიგზავნა ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში, რომელსაც დაევალა მაზრის უფროსთან შეთანხმებით სოფლის მოსახლეობის წახალისება სკოლის გახსნის საქმეში.

იმისათვის, რომ აღნიშნული საზოგადოების საქმიანობა მთელს საქართველოში გაშლილიყო იაკობ გოგებაშვილი 1880 წელს გაზ. „დროების“ საშუალებით ქართველ საზოგადოებრიობას მიმართავდა: „რადგანაც ასპარეზი საზოგადოების მოქმედებისა არის მთელი საქართველო, ამიტომ ექვსი ახალი წევრი იმ სახით უნდა იქმნას ამორჩეული, რომ ყოველ კუთხეს საქართველოსას ჰყავდეს თავისი წარმომადგენელი მმართველობაში. ეხლანდელი მისი წევრები სულ ქართლ-კახეთელები არიან. იმერეთი, სამეგრელო, გურია, რაჭა, ახალციხის მხარე და თუშ-

ფშავ-ხევსურეთი მოკლებულნი არიან წარმომადგენლებს". მიუთითებდა, რომ ასეთ წევრად შეერჩიათ სპეციალისტი განათლების სფეროდან, რადგან „საქმე მთლად პედაგოგი-ურიაო".[213] ალნიშნულ საზოგადოებას ჯერ კიდევ 1860 წელს აღმოცენებულ კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადო-ებასთან ერთად დიდი დამსახურება მიუძღვის სამცხე-ჯავახეთში კულტურისა და განათლების განვითარების საქმეში. მათი ინიციატივითა და ნივთიერი დახმარებით სამხრეთ საქართველოში მრავალი სკოლა გაიხსნა, დაფუძნდა ბიბლიოთეკები. სანამ უშუალოდ ფაქტობრივ მასალებს წარმოვადგენთ სამხრეთ საქართველოში აღნიშნული საზოგადოების საქმიანობის შესახებ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, პრაქტიკული მოსაზრებით მიზანშეწონილი იქნებოდა ყურადღების გამახვილება იმაზედ, თუ როგორი ვითარება იყო სახალხო განათლების სფეროში თვით ქ. ახალციხეში 70-80-იანი წლების მდგომარეობით. ალნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებო ცნობა დაცულია საქალაქო სასწავლებლის მასწავლებლის ვ. ივანოვის ინფორმა-ციაში. ამ მასალებით ქ. ახალციხეში ფიქსირდება 7 სასწავლე-ბლის არსებობა: 1. ქალაქის ოთხკლა-სიანი სასწავლებელი; 2.კარაპეტას სომხური სასწავლებელი; 3. სომხური ელიზავეტის სახელობის ქალთა სასწავლებელი; 4. ქალთა უფასო სკოლა; 5. პირველი სომხურ-კათოლიკური სკოლა; 6. მეორე სომხურ-კათოლიკური სკოლა; 7. ებრაელთა სასწავლებელი.[205]

1. საქალაქო ოთხკლასიანი სასწავლებელი. მეფის ხელი-სუფლება რუსიფიკატორული პოლიტიკის მიუხედავად ზოგჯერ იძულებული ხდებოდა წასულიყო დათმობაზე — გაეხსნა დაწყებითი სკოლები, რათა დაპყრობილ ხალხში აღეზარდა წვრილი მოხელეები და მათი სახით კოლონიებში ჰყოლოდა დასაყრდენი ძალა. სწორედ ამით აიხსნება 1829 წლის 2 აგვისტოს დებულება, რომლის საფუძველზეც სამაზრო (საერო) სასწავლებლები დაარსდა ამიერკავკასიის ქალაქებში: თბილისში, ბაქოში, ერევანში, ჭუთაისში, გორში, თელავში, სიღნაღში, ახალციხეში და ა.შ.[12] სამაზრო სასწავლებლები ორკლასიან სასწავლებლებს წარმოადგენდნენ, სადაც ისწავლებოდა: საღვთო სჯული, რუსული

ენა და რუსული ენის გრამატიკა, ქართული ენა, არითმეტიკა, გეოგრაფია, საკანცელარიო საქმე, სუფთა წერა.

ახალციხის სამაზრო სასწავლებელი გაიხსნა 1831 წლის 1 აგვისტოს. თავდაპირველად მოთავსებული იყო რაბათის ციხეში — აქ არსებული ყოფილი სასწავლებლის (მედრესე) შენობაში. მოსახლეობა „რუსის შკოლას“ უწოდებდა.[24] 1835 წელს სასწავლებელი გადატანილი იქნა ქალაქის ახალ ნაწილში. იმავე წელს გამოცემული დებულების საფუძველზე გადაკეთდა სამკლასიანად. ამასთანავე, რამდენადაც მოსწავლეთა კონტიგენტს წარმოადგენდნენ ქართველი და სომეხი ბავშვები (1828-1829) წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდგომ თურქეთიდან მოხდა სომეხი ხალხის გადმოსახლება და კომპაქტური ჩასახლება სამცხე-ჯავახეთში), რომლებსაც უჭირდათ რუსულ ენაზე სწავლა, ამიტომ ადგილობრივ ენებზე (ქართული, სომხური, თურქული) მოლაპარაკეთათვის სავალდებულო ენად შემოიღეს დედა ენა, როგორც „აზროვნების იარაღი“ რუსული განთლების მისაღებად. აქედან გამომდინარე, ზემოთ წარმოდგენილ სასწავლო გეგმას 1835 წელს დაემატა ადგილობრივი ენები და ხატვა-ხაზვა.

აღნიშნული სასწავლებელი 1875 წლის 1 ივლისს გადაკეთდა საქალაქო ოთხკლასიან სასწავლებლად: ქართული, სომხური და რუსული განყოფილებებით. I-II კლასები ორგანყოფილებიანი იყო, III-IV კლასები — თითოგანყოფილებიანი, ჰქონდა მოსამზადებელი განყოფილებაც. ე.ი. სწავლების სრული კურსი შვიდწლიანი იყო. სასწავლებელში ისწავლებოდა: ალვთო სჯული, რუსული ენა, არითმეტიკა, გეომეტრია, ისტორია, გეოგრაფია, ფიზიკა, ფრანგული, ქართული და სომხური ენები, ხაზვა-ხატვა, სიმღერა და ტანვარჯიში. სასწავლებელი მოსწავლეებს აძლევდა პროფესიულ განათლებასაც.[70]

კერძოდ, მას ჰქონდა „ხარაზისა და სლესარის“ განყოფილებები. საშუალოდ წელიწადში 211 მოსწავლეს ამზადებდა, საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ ახალციხის მაზრის უფროსს გრაფ ტიბენ ჰაუზენს ახალციხის საქალაქო სკოლასთან გაუხსნია სახელოსნო განყოფილება და სასწავლო ფერმა.[200]

მოგვიანებით, 1910 წლის 14 სექტემბერს, საქალაქო სასწავლებლის ბაზაზე ალმოცენდა პროგიმნაზია, რომელიც 1917 წელს გიმნაზიად გადაკეთდა. 1921 წლიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, გიმნაზიის ბაზაზე ალმოცენდა ცხრაწლიანი შრომითი სკოლა, რომელიც შემდგომ გადაკეთდა საშუალო სკოლად – ქ. ახალციხის №1 საშუალო სკოლად. ამდენად, 1831 წელს ქ. ახალციხეში დაფუძნებული სამაზრო სკოლის პირდაპირი და კანონმემკვიდრეა №1 საშუალო სკოლა.

2. კარაპეტას სომხური სასწავლებელი დაარსდა 1836 წელს (ე.ი. მეფის რუსეთის მიერ თურქეთიდან სამხრეთ საქართველოში სომხების კოლონიზაციის შემდეგ). ეპისკოპოს კარაპეტას სახელობის ეკლესიის ხარჯზე. ათი წლის მანძილზე უსწავლია 4197 მოსწავლეს. ე.ი. წელიწადში საშუალოდ 419 მოსწავლე სწავლობდა. აღნიშნული მდგომარეობით ე.ი. 1886 წელს მუშაობდა 16 მასწავლებელი.

3. სომხური ელიზავეტის სახელობის ქალთა სასწავლებელი დაარსდა 1869 წელს ფუნქციონირებდა სომხური ეკლესიის ხარჯზე. წელიწადში საშუალოდ 355 გოგონა სწავლობდა. 1886 წელს 11 მასწავლებელი მუშაობდა.

4. 1871 წელს ანნა ბესარიონის ასულმა მუსხელიშვილ-ღოღობერიძემ დაარსა ქალთა უფასო სკოლა ქალაქ ახალციხის ძველ ნაწილში – რაბათში. საშუალოდ წელიწადში 47 მოსწავლეს ამზადებდა. 1886წ. სწავლობდა 56 გოგონა, მუშაობდა ორი მასწავლებელი (ქალი). ქალაქის გამგეობა ყოველწლიურად სასწავლებელს ეხმარებოდა 300 მანეთით.

დასახელებული სასწავლებლის დამაარსებლის – ანა მუსხელიშვილ-ღოღობერიძის პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა მონოგრაფიულად იქნა შესწავლილი მესხი მამულიშვილის – ანტონ ნებიერიძის მიერ.[23]

აღნიშნული სასწავლებლის შესახებ სრულ ინფორმაციას გვაწვდის აგრეთვე XIX-XX საუკუნეების მესხი საზოგადო მოღვაწე კონსტანტინე გვარამაძე. მიუთითებს, რომ ქალთა სასწავლებელი ანნა მუსხელიშვილ-ღოღობერიძემ დაარსა რაბათში

(ახალციხის ძველ ნაწილში) — ნაქირავებ სახლში. თავდაპირველად თვითონ ასწავლიდა გოგონებს, ხოლო შემდეგ თბილისიდან და ქუთაისიდან მიიწვია ორი მასწავლებელი, როგორც რუსულ-ქართული ენების, აგრეთვე ქსოვისა და ქარგვის შესასწავლად. მათ თავის სახლში აცხოვრებდა და ხელფასსაც თვითონ აძლევდა. ანნა მუსხელიშვილს სამღვთო რჯულის მასწავლებლად მოწვეული ჰყავდა მღვდელიც. სასწავლებლის დაარსებიდან ოთხი წლის შემდეგ, თბილისში საცხოვრებლად გადასვლის გამო, სასწავლებელი ჩაუბარებია გამომძიებელ-სულხანოვისათვის, ხოლო შემდეგ სკოლის გამგებლობა გადასულა მაზრის უფროსის პავლოვის ხელში. მისი გამგებლობის დროს აუგიათ სასწავლებლის ქვითკირის შენობა. პავლოვის შემდეგ ცხრა წლის მანძილზე სასწავლებელს განაგებდა მარიამ გრიგოლის ასული გამრეკელი. 'მეტადრე გააუმჯობესა მან ბალიშის პირების ქარგვისა, სუფრების ქარგვისა და თეთრეულის კერვის სახეები. ასე, რომ მნახველნი დიდი კმაყოფილნი რჩებოდნენ „ხელოვნების სიმშვენიერით". ამრიგად, რაბათის ქალთა სასწავლებელი თავისი სპეციფიკით პროფესიულ სასწავლებელს წარმოადგენდა, რამდენადაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ხელსაქმის შესწავლას. ანტონ ნებიერიძე სამართლიანად მიუთითებდა, რომ ახალციხის ქალთა უფასო სკოლის მიზანი იყო მოსწავლეებისთვის ზოგად განათლებასთან ერთად, მიეცათ პროფესიული ცოდნა და მოემზადებინათ ისინი პრაქტიკული საქმიანობისათვის.[23]

კონსტანტინე გვარამაძის ცნობით, ხსენებულ სასწავლებელში სამღვთო რჯულს უფასოდ ასწავლიდნენ მღვდელი იოანე გვარამაძე და დეკანოზი მამა დიმიტრი ხახუტაშვილი.[201] ივანე გვარამაძის მიერ გაზეთ „დროებაში" წარმოდგენილი კორესპონდენციიდან ირკვევა, რომ სასწავლებელს დიდ ნაყოფიერ დახმარებას უწევდა მაზრის უფროსი ნიკოლოზ ალექსიევ-მესხიევი. ავტორი იქვე მიუთითებდა, რომ იგი ათი წლის განმავლობაში სკოლის სასარგებლოდ ხან სპექტაკლებს, ხან საღამოებს მართავდა და ამგვარად შეგროვილი ფულით ინახავდა სკოლას, მას სკოლის დამაარსებლად და სულის ჩამდგმელად ასახელებდა.[213]

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ XIX–XX საუკუნეთა მიჯნაზე ქართულ პერიოდიკაში მრავალი ცნობაა დაცული ახალციხის დედათა სკოლის შესახებ. კორესპონდენციების საფუძველზე ირკვევა, რომ სასწავლებელი დიდ ეკონომიურ გაჭირვებას განიცდის. იგი ძირითადად არსებობდა შემოწირულობის საფუძველზე. 1908 წელს კონსტანტინე გვარამაძის მიერ, აღნიშნული სასწავლებლის შესანახად, დაყენებულ იქნა საქველმოქმედო კომიტეტის დაარსების საკითხი ადგილობრივი საზოგადოებრიობის წინაშე.[227] კ.გვარამაძის წინადადება განხორციელდა, შეიქმნა საქველმოქმედო კომიტეტი, გარდა ამისა, კ. გვარამაძე მიუთითებდა, რომ აღნიშნულ სასწავლებელში გოგონებისთვის ესწავლებინათ ჭრა-კერვა, რაც მისი აზრით, აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა, მეტადრე ღარიბი გლეხებისთვის.[241] ხოლო, როდესაც ჩამოყალიბდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ადგილობრივი განყოფილება, კ. გვარამაძის მიერ წამოყენებულ იქნა წინადადება, რომ რაბათის დედათა სასწავლებელი დაქვემდებარებოდა ახალციხის განყოფილებას.[218]

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ახალციხის ქალთა უფასო სასწავლებლის დაფუძნებას იმთავითვე დიდი მოწონებით შეხვდა ქართველი ინტელიგენცია, შეძლებისდაგვარად უწევდა მატერიალურ დახმარებას. სკოლით აღფრთოვანებული იაკობ გოგებაშვილი წერდა: 'იმედი ვიქონიოთ, რომ ახალციხის ქალთა უფასო სკოლა ჰპოვებს მიმბაძველებს ჩვენი კუთხის სხვა სამაზრო ქალაქებში და იქნება ნიმუში ქალთა უფასო სკოლების დაარსებისა და ორგანიზაციისა, რომელთა საჭიროება ყველგან ასე ძლიერ იგრძნობა.“[9]

დასახელებული სკოლის ფუნქციონირებას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან დიდი როლი შეასრულა მესხეთში ქალთა განათლებისა და პროფესიული დახელოვნების საქმეში. აგრეთვე, ხელი შეუწყო ქსოვისა და ქარგვის ხალხური ტრადიციების დაცვას და შენარჩუნებას. აღსანიშნავია ისიც, რომ დასახელებული სასწავლებლის მოსწავლეთა ნამუშევარმა დღემდე მოაღწია და ამ კუთხის მცხოვრებთა საოჯახო რელიქვიად

იქცა, ხოლო ნაწილი დაცულია სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში. ამასთანავე, ალექსანდრე ფრონელის (ყიფშიძის) სამართლიანი შენიშვნით იგი წარმოადგენდა „ერთ-ერთ ზღუდეს აქაური გამქრალი ქართველებისა."

5. პირველი სომხურ-კათოლიკური სკოლა დაარსდა 1851-1852 წლებში რაბათში იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის ხარჯზე პავლე შაყულიანის მმართველობის დროს. ათი წლის მანძილზე აქ განათლება მიიღო 578 ვაჟმა. ე.ი. წელიწადში საშუალოდ 58 მოსწავლე სწავლობდა. 1886 წელს სასწავლებელში იყო 61 მოსწავლე და 1 მასწავლებელი.

6. სომხურ-კათოლიკური შერეული სკოლა დაარსდა 1832 წელს. აქ წელიწადში საშუალოდ 38 მოსწავლე სწავლობდა.

7. არსებობდა ებრაელთა სასწავლებელი. ებრაელი ბავშვები იკრიბებოდნენ რაბინთან, რომელიც ასწავლიდა: ლოცვას, რელიგიის წარმოშობას. სწავლება მიმდინარეობდა ებრაულ ენაზე, რაც ბავშვებისათვის გაუგებარი იყო. წელიწადში საშუალოდ ჰყავდათ 37 მოსწავლე, ხოლო 1884-1885 წლებში სწავლობდა 50 ვაჟი.

ამგვარად, XIX საუკუნის 80-იანი წლებისათვის ქახალციხეში არსებული 7 სასწავლებლიდან ოთხი იყო ვაჟების, ორი ქალების, ერთი – შერეული. 1886 წლის მდგომარეობით შვიდივე სასწავლებელში მუშაობდა 38 მასწავლებელი (30 მამაკაცი და 8 ქალი).

XIX საუკუნის მეორე ნახევარში დიდი ცვლილებები მოხდა პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით. 60-იან წლებში რუსეთში და შემდგომ შესაბამისად მის კოლონიებში გაუქმდა ბატონყმობა, რამაც ხელი შეუწყო კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებას. განვითარდა სავაჭრო-სამრეწველო კაპიტალიზმი. სასაქონლო ბრუნვაში ჩაება საქართველოც თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის საფუძველზე. ქვეყანაში მომხდარმა ცვლილებებმა განაპირობა განათლებისა და კულტურის განვითარების აუცილებლობა. ცხოვრების მოთხოვნების საპასუხოდ ეროვნულმა ძალებმა გააძლიერეს ბრძოლა ეროვნული კულტურისა და განათლების შემდგომი წინსვლისათვის. რუსიფიკატორული პოლიტიკის გაძლიერების მიუხედავად XIX-XX საუკუნეთა

მიჯნაზე სამხრეთ საქართველოში რამდენიმე დაწყებითი სკოლა იქნა გახსნილი საქველმოქმედო საზოგადოების ნივთიერი დახმარებითა და სოფლის მოსახლეობის ინიციატივით.

კერძოდ, გასული საუკუნის 70-იან წლებში „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ" ერთკლასიანი „სახალხო სკოლები" დაარსა სოფელ საროში 12 მოსწავლით, ტოლოშში – 11 მოსწავლით. ტოლოშის სკოლაში სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის უმრავლესობას მაჰმადიანები შეადგენდნენ. 1894 წელს სკოლა ოთხკლასიანად გადაკეთდა.[212]

1875 წელს დაფუძნდა ერთკლასიანი საეკლესიო-სამრევლო სკოლა სოფელ ძველში. აქ, 1914 წლის მდგომარეობით 38 მოსწავლე ირიცხებოდა 1 მასწავლებელით. იყო შერეული (30 ვაჟი, 8 გოგონა).[142]

ერთკლასიანი დაწყებითი სასწავლებელი დაარსდა სოფელ ქილდაში (ახალქალაქის რაიონი), სადაც ქილდელი ბავშვების გარდა განათლებას იღებდნენ მეზობლად მდებარე სოფლების ბავშვები, ამას იმდენად მასობრივი სისტემატური ხასიათი ჰქონდა, რომ 1880 წელს ამ სკოლის მზრუნველს ბ. მუსხელიშვილს თავისივე ხარჯით გაუმართავს „ბავშვების სადგომი, სადაც უცხო სოფლებიდგან იყვანდნენ ბავშვებს სასწავლებლადო".[213]

1881 წელს ერთკლასიანი დაწყებითი სასოფლო სასწავლებლები დაარსდა სოფელ ხერთვისში, ჭობარეთსა და ხიზაბავრაში. ხიზაბავრაში სკოლის დაარსების მცდელობას ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ 1875 წელს. გაზეთი „დროება" იტყობინებოდა: „აქ ხიზაბავრაში ექვსი წლის წინ ერთს პატივცემულ მღვდელს შკოლა დაუწყვია, კედლები აკოშკებით სრულ შეუსრულებია, ხე-ტყის გადაყრა კი არ დაუცადებიათ. სხვა ვილაც ჭკუის საწყალი მღვდელი შემოვარდნიათ და სამ წელიწადს დამდგარა, მაგრამ წარმატების მაგიერ უფრო მრავალი ვნება მოუტანია".[213] სოფელ ხიზაბავრაში სკოლის დაფუძნებას დიდი წინააღმდეგობა შეხვდა იმის გამო, რომ იმ პერიოდში ეს სოფელი ვარევნის (სოფელი ახალქალაქის მაზრაში) სამამასახლისოში შედიოდა. ივანე გვარამაძის გადმოცემით „სასწავლებლის

თაობაზედ ანღვრეულობა მოუხდენიათ სომხებს", ხიზაბავრის ნაცვლად ალასტანში მოუთხოვიათ სკოლის გახსნა.[213.ნ251] ასეთი წინააღმდეგობის მიუხედავად სოფ. ხიზაბავრის მღვდლის ივანე გვარამაძის თაოსნობითა და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზგადოების" ნივთიერი დახმარებით 1881 წლის 21 ნოემბერს გაიხსნა ერთკლასიანი სასწავლებელი. აღნიშნული სასწავლებელი 1904 წელს სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილების საფუძველზე ორკლასიანად გადააკეთეს ორივე სქესისათვის ხუთი განყოფილებით. მას დაემატა ქალთა საპროფესიონალო (სახელსაქმო) განყოფილებაც. მთავრობამ ხაზინიდან მასწავლებელთა ხელფასისათვის წლიურ ხარჯად გამოჰყო 640 მანეთი, ზედამხედველ მასწავლებლებისათვის წელიწადში 400 მანეთი. ამასთანავე, ხელ-საქმის მასწავლებელს თითოეული მოსწავლე წელიწადში აძლევდა ნახევარ ფუთ ხორბალს და თითო საპალნე შეშას. კ. გვარამაძის ცნობით, სკოლის ახალი ქვის შენობის (3 დიდი ოთახით) მშენებლობაზე 3000 მანეთი დახარჯულა. გარდა ამისა, საპროფესიონალო (ე.ი. ხელობის შემსწავლელი) განყოფილებისათვის აუშენებიათ ახალი შენობა (4 ოთახით). მშენებლობისათვის სტეფანე ზუბალაშვილს 1000 მანეთი შეუწირავს, ხოლო კათოლიკე მღვდელს დომინიკე მუღაშაშვილს-პაწაძეს – 200 მანეთი. აღნიშნული დროისათვის ხიზაბავრის სკოლაში 6 მასწავლებელი მსახურობდა.[226]

1881 წელს მაზრის უფროსის ბატონ ნ. ალექსეევ-მესხიევის მეცადინეობითა და თაოსნობით სასოფლო სკოლა გაიხსნა სოფელ ადიგენში.[255]

1882 წელს ერთკლასიანი სკოლა გაიხსნა სოფელ უდეშიც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თაოსნობით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სკოლას დიდი ამაგი დასდო ივანე ბარიკალაშვილმა, სადაც 20 წლის მანძილზე მუშაობდა მასწავლებლად, მისი ღვაწლი დააფასა საზოგადოებამ. კერძოდ, 1909 წლის 20 ოქტომბერს ზეიმით აღინიშნა მისი პედაგოგიური მოღვაწეობის 25 წლისთავი ჯერ ახალციხეში, შემდეგ სოფელ უდეში.[218]

1912 წელს ერთკლასიანი სამინისტრო სკოლა გაიხსნა სოფ. არალში. მასწავლებლად დაინიშნა ალექსანდრე ხითარიშვილი. აღნიშნული სკოლის დაარსების საკითხი დღის წესრიგში დაყენებულ იქნა ჯერ კიდევ 1909 წელს. სასოფლო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ინსპექტორს ეშუამდგომლა მთავრობასთან სახელმწიფოს ხარჯით ერთკლასიანი სამინისტრო სკოლის გახსნის თაობაზე. სოფელს სკოლის შენობის ასაგებად ერთი დესეტინა მიწა აღუთქვა ახალციხელმა მემამულემ, კერძო ვექილმა დ.ს. ფირალიშვილმა.[218]

XIX საუკუნის დასასრულს სამხრეთ საქართველოში დაწყებით სკოლებთან ერთად ყურადღება მიექცა პროფესიული სკოლების გახსნას. როგორც უკვე დავინახეთ, ზოგიერთ სკოლას (ხიზაბავრის, რაბათის ქალთა სკოლები) ჰქონდათ პროფესიული განყოფილება. აგრეთვე, დაიწყო მოძრაობა სახელოსნო სკოლების გახსნისათვის. გაზეთ „დროებაში“ ვკითხულობთ, რომ 1880 წელს თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორს მ. სტრელეცკის მოუვლია ახალციხის მაზრა და რამდენიმე სოფლის მოსახლეობას გამოუთქვამს პროფესიული სკოლების გახსნის სურვილი. აღნიშნული სკოლების დაფუძნებაში მოსახლეობას დიდ დახმარებას უწევდა მაზრის უფროსი ბ.ნ. ალექსეევ-მესხიევი.[213]

დაწყებითი სამინისტრო და სახალხო სკოლების გარდა, XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან საქართველოს ეგზარხოსის პავლეს მზრუნველობითა და შუამდგომლობით სოფლის მოსახლეობის ხარჯებით დაიწყეს სამრევლო სკოლების გახსნა. კერძოდ, 1885 წლიდან ეგზარხოსის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ აღნიშნული სკოლები გახსნილიყო საქართველოს ეპარქიაში, განსაკუთრებული ყურადღება იყო გამახვილებული ახალციხის მაზრაზე. ყველა ეკლესიასთან იყო გათვალისწინებული ასეთი სკოლების დაფუძნება.[233] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოხსენიებულ სკოლებში სწავლება ძირითადად ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. სკოლის მიზანს წარმოადგენდა ღვთისა და ტახტის ერთგული ახალგაზრდობის აღზრდა. ამიტომ, ხელისუფლება ყურადღებას აქცევდა მათ. 1902 წელს სამრევლო სკოლებს დაახარჯეს 10,338 მანეთი, ხოლო დაწყებით სკოლებს 5112 მანეთი.[29]

კულტურა და განათლება XX საუკუნის დამდეგს

XX საუკუნის დასაწყისში მნიშვნელოვნად გაძლიერდა ქართელ მაჰმადიანთა მოძრაობა სკოლების გახსნისათვის. ამ პერიოდში ახალციხის მაზრაში არსებული 8 სამინისტრო სკოლიდან 6 მაჰმადიანთა შორის იყო დაარსებული. ეს განპირობებული იყო მათი ეკონომიური დაწინაურებით.[256] ქართველი მაჰმადიანები ცდილობდნენ, რომ თავიანთი ბავშვები მშობლიურ ენაზე აღეზარდათ. ამ მიზნით მათ ახალციხეში, მეჩეთთან წამოიწყეს სასკოლო ქვის შენობის აგება, მათი წამოწყება მისასალმებელი და მისაღები იყო ადგილობრივი ქრისტიანი მოსახლეობისათვის. ამიტომ კ. გვარამაძემ პრესის საშუალებით მოუწოდა ქართველებს და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას", რომ დახმარება აღმოეჩინათ მათთვის.[217] პრესაში დაცულია საინტერესო ცნობა იმასთან დაკავშირებით, რომ შეძლებული ადგილობრივი მაჰმადიანები არ კმაყოფილდებოდნენ თავიანთი ბავშვებისათვის მხოლოდ დაწყებითი განათლების მიღებით და სურვილს გამოთქვამდნენ, რომ თბილისის ქართულ გიმნაზიაში აღზრდილიყვნენ ისინი.[218] ეს ფაქტი მეტყველებს, რომ ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკა სრულად ვერ განხორციელდა. მაშინ, როცა მეფის ხელისუფლებამ ქართველი მაჰმადიანები „თათრებად" გამოაცხადა და მათ თურქულენოვანი სკოლები გაუხსნა, ცდილობდა მათ გადაგვარებას. ამ ფაქტით ნათლად ჩანს, რომ ხელისუფლების მათდამი არასწორი დამოკიდებულების მიუხედავად, ქართველ მაჰმადიანებში თანდათანობით იღვიძებდა ეროვნული თვითშეგნება.

XX საუკუნის დასაწყისი სამცხე-ჯავახეთში, განათლების სფეროში დიდი წარმატებით აღინიშნა. რაც, გამოიხატა იმაში, რომ ახალციხეში აღმოცენდა საშუალო ტიპის სასწავლებელი-პროგიმნაზია, რომელიც შემდეგ გიმნაზიად გადაკეთდა.

გიმნაზიის გახსნის საკითხი ადგილობრივმა მოსახლეობამ ჯერ კიდევ 1908 წელს დააყენა მთავრობის წინაშე, ხალხის თხოვნა შეწყნარებული იქნა 1910 წელს. „30 მაისს ქ. ახალციხის

თავმა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველისაგან დეპეშა მიიღო: გადაწყდა, ახალციხეში 1 ივლისიდან გაიხსნას ოთხკლასიანი პროგიმნაზია.“[240] — წერდა კ. გვარამაძე. პროგიმნაზია აკურთხეს 1910 წლის 14 სექტემბერს, კურთხევას დაესწრო კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი ბ. რუდოლფი.[240]

ეს სასწავლებელი გამიზნული იყო მხოლოდ ვაჟთათვის. ამიტომ, 1911 წელს პროგიმნაზიის პედაგოგიურმა საბჭომ განიხილა ქალაქის თვითმართველობის ოქმი, რომ მომავალი სექტემბრიდან იგი გადაკეთებულიყო ორივე სქესის მოსწავლეთათვის. ქალაქის საბჭო პროგიმნაზიის ინსპექტორს ბ. ვერესოვს თხოვდა თანხმობას და შუადგომლობას კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე აღძრული საკითხის თაობაზე. პედაგოგიურმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომ იზრუნებდა მომავალი სექტემბრიდან პროგიმნაზიაში უზრუნველყოფილი იქნებოდა ორივე სქესის მოსწავლეთა სწავლება. ამასთანავე, მოსწავლე ქალთა წლოვანება 15 წლით განისაზღვრა.[241] ხოლო 1917 წელს პროგიმნაზია გიმნაზიად გადაკეთდა.

აღნიშნულ სასწავლებელს დიდი ამაგი დასდო კონსტანტინე გვარამაძემ. „ახალციხის რუსულ გიმნაზიაში მან რამდენიმე წლის განმავლობაში უფასოდ, უჯამაგიროდ, დამამცირებელ გარემოებაში თავს იდვა ქართული ენის პირველადი სწავლება“.[137] მისი დამსახურება ისიც იყო, რომ ყურადღება მიექცა ქართული ენის სწავლებას. 1915 წლის სექტემბრიდან ქართული ენის სწავლება სავალდებულო გახდა მოსწავლეთათვის, ამიერიდან მისაღები გამოცდებიც დედა ენაზე ტარდებოდა.[15]

ამგვარად, XIX–XX საუკუნეთა მიჯნაზე სამცხე-ჯავახეთში გაფართოვდა დაწყებითი სკოლების ქსელი სხვადასხვა საზოგადოებების ნივთიერი დახმარებისა და ხალხის დაჟინებული მოთხოვნის საფუძველზე. აქვე აღსანიშნავია, რომ განათლების სფეროში მოკალათებული რუსი მოხელეები ყოველნაირად ცდილობდნენ სკოლების გახსნის შეზღუდვას, ქმნიდნენ ხელოვნურ წინააღმდეგობას. აქედან გამომდინარე, სკოლების გახსნა მეტად დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. იაკობ გოგებაშვილი წერდა: „არც ერთი სკოლა, რაც უნდა პაწაწკინტელა იყვეს, არ

შეიძლება გაიხსნას, თუ ამას არ წაუმძღვანეთ წინ გრძელი ფორმალური მიწერმოწერა მთავრობასთან და არ მიიღეთ უკანასკნელის ნებართვა... თუ არადა სკოლას უსათუოდ ანდერძის აგება და დამარხვა მოელის".[10]

1914 წლის 1 იანვრის მონაცემებით ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში განათლების სფეროში შექმნილი მდგომარეობა არასახარბიელო იყო.

ახალციხის მაზრაში იყო ცამეტი სოფლის დაწყებითი და შვიდი საეკლესიო საშემოსავლო სკოლა (იხ. ცხრილი №1).[203] სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში აგრეთვე დაცულია სტატისტიკური მონაცემები ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების საეკლესიო-სამრევლო სკოლების შესახებ 1914 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (იხ. ცხრილი №2).

რაც შეეხება ახალქალაქის საქალაქო ოთხკლასიან სასწავლებელს გახსნილი იქნა 1889 წელს.[205] ხოლო 1891 წელს დაყენებულ იქნა საკითხი, რომ ჩამოსახლებულ სომხებზე არენდით გადაცემული მიწებიდან დასახელებული სასწავლებლისათვის გამოეყოთ მიწის ფართობი ფერმისა და საფუტკრის გასახსნელად.[200]

ზემოთ აღნიშნული სკოლების გარდა სამცხე-ჯავახეთში (ე.ი. ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში) აგრეთვე არსებობდა სხვადასხვა ტიპის (სახალხო, სასოფლო, კერძო, საკვირაო) დაწყებითი სასწავლებლები. კერძოდ, ასეთი სკოლები არსებობდა: ხერთვისში, ხიზაბავრაში, ჭობარეთში, დილისკაში, კოთელიაში, ალასტაში, განძაში, ოკამში, ვაჩიანში, ბარალეთში, ქილდაში და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე სამცხე-ჯავახეთში მნიშვნელოვნად გაფართოვდა დაწყებითი სკოლების ქსელი, იგი მაინც ვერ აკმაყოფილებდა ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნებს. საჭირო რაოდენობასთან შედარებით მათი რიცხვი უმნიშვნელო იყო. ამასთან დაკავშირებით კ. გვარამაძე წერდა: „სწავლის სურვილი ჩვენში დღითი დღე მატულობს, მაგრამ არავინ არის, რომ ხალხის მოთხოვნილება დააკმაყოფილოს". მაგალითისათვის ასახელებდა ახალციხის ერთ

კლასიან სასწავლებელში შექმნილ მდგომარეობას: „უადგილობის გამო სასწავლებელს გარედ 30 ბავშვი დარჩაო“. ამის გამო, მშობლებს სკოლის მმართველ სმირნოვთან ერთად სახალხო სკოლების დირექტორებისათვის უთხოვიათ დამატებითი განყოფილების გახსნა, მაგრამ სათხოვარი არ მიულია.[218]

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამცხე-ჯავახეთი სკოლების რაოდენობით მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა საქართველოს სხვა კუთხეებს. სკოლების სიმცირე მრავალ პრობლემას უქმნიდა მოსახლეობას განათლების სფეროში. ადგილობრივი კორეს-პონდენტი სინანულით აღნიშნავდა: „ადრე ევროპიდან შემოშუქებული ცივილიზაცია ახალციხის გზით ეფინებოდა მთელ საქართველოს, დღეს კი ერთ უკანასკნელ კუთხეთაგანს შეადგენს საქართველოში. სხვა კუთხეებში, როცა ერთ სამამასახლისოში 4-5 პირველ-დაწყებითი სკოლა მოდის, აქ ერთიც არ არისო“.[149]

გიორგი შატბერაშვილის მითითებით ახალქალაქის მაზრაში XX საუკუნის დასაწყისში 17 სკოლა არსებობდა (15 სამინისტრო, 2 სამრევლო). ერთ სკოლაზე საშუალოდ 1710 სული მცხოვრები მოდიოდა, რომელთა შორის სასკოლო ასაკის 300-400 სული იქნებოდა. სკოლას 40-50 მოსწავლეზე მეტი ჰყავდა. იგი ყურადღებას ამახვილებდა სწავლების მანკიერ მხარეებზე. კერძოდ, იმაზე, რომ სასწავლო წლის ხანგრძლივობა 3 თვე რჩებოდა. „აქაურ სკოლებში სწავლა მარტო გიორგობისთვის ნახევრიდან მარტამდის სწარმოებს. ე.ი. თოვლის მოსვლიდგან თოვლის აღებამდის“... იგი მიუთითებდა იმაზეც, რომ არასწორად დაყენებული სწავლება მოსწავლეს სწავლაზე და სკოლაზე გულს უცრუვებდა, მოსწავლე მიჰყავდა იმ დასკვნამდე, რომ „სწავლაზედ ძნელი ხელობა ქვეყანაზედ არა იქნება რაო“, აგრეთვე ამახვილებდა ყურადღებას მასწავლებელთა პროფესიული მომზადების დაბალ დონეზე, რაც თავის მხრივ მავნე გავლენას ახდენდა სწავლების ხარისხზე.[225]

გარდა აღნშნულისა, სამცხე-ჯავახეთის სკოლებში სწავლების პროცესში პრობლემებს ქმნიდა სასწავლო წიგნებისა და სახელმძღვანელოების ნაკლებობა. „დღე ერთია და აქაურ სკოლის მასწავლებელთა ტირილი და ჩივილი ათასი, რომ არავითარი

ქართული წიგნები და სახელმძღვანელოები არა გვაქვს სკოლებისათვის, რომ ბავშვებს ვასწავლოთ მშობლიური ენა... ბავშვები მოაცუნცულებენ თითო-ოროლა შაურს და ეხვეწებიან მასწავლებლებს ქართული წიგნების შოვნას",[215] — წერდა ი.ალხაზიშვილი. ამდენად, სკოლების სახელმძღვანელოებით მომარაგება უპირველეს საზრუნავს წარმოადგენდა. ქართველი ინტელიგენცია განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა ამ საკითხზე. ამ საქმეში დიდია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და გოგებაშვილის დამსახურება.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართველი ინტელიგენციის მითითებით ივანე გვარამაძემ ახალგაზრდობისათვის ისტორიის სახელმძღვანელოდ 1882 წელს დაწერა „ქართლის ცხოვრება".[188] დიდი დამსახურება მიუძღვის კ. გვარამაძესაც. კერძოდ, მან ახალციხის ძველ ნაწილში გახსნა წიგნის პირველი მაღაზია 1912 წელს, რომელიც სამკითხველო ბიბლიოთეკის და ქართულ ჟურნალ-გაზეთებზე ხელის მომწერთა სააგენტოს როლსაც ასრულებდა. „ზაქარია ჭიჭინაძის მსგავსად თვითონვე ბეჭდავს წიგნებს, დადის სოფელ-სოფელ ხალხში, ალვიძებს სწავლა-ცოდნის წყურვილს და ავრცელებს იაფფასიან პოპულარულ გამოცემებს, რომელთაც ხშირად უფასოდ ურიგებს გლეხის შვილებსო",[137] — წერდნენ მის შესახებ.

კონსტანტინე გვარამაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა წიგნის მასებში შეტანის საქმეს. რადგან იცოდა, რომ მხოლოდ განათლებით შეიძლებოდა თურქთა ბატონობით დაბეჩავებული ხალხის წინსვლა. თავის კორესპოდენციებსა და წერილებში გამოთქვამდა დიდ მწუხარებას სამცხე-ჯავახეთის ჩამორჩენის გამო და ამიტომ მიყვებოდა მამის — ივანე გვარამაძის კვალს. ყოველნაირად ცდილობდა თავისი ხალხის ამოძრავებასა და გამოცოცხლებას. ამის საპირისპიროდ უხდებოდა ხელისუფალთაგან მიყენებული მრავალი დამცირების ატანა.

აქვე საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ იმაზეც, რომ XIX–XX საუკუნეთა მიჯნაზე მძიმე პირობებში უხდებოდა ცხოვრება მასწავლებელს. სოფლის მასწავლებლის ხელფასი ცხოვრების ელემენტარული მოთხოვნილების მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებდა:

„საშუალო ჯამაგირი მასწავლებლისა ოცდახუთი თუმანია, სამიოდ აბაზი დღეში. ამაზედ მეტს ხომ "შავი მუშაც" იღებს. საწყალი დღიური სამი აბაზი გაუყავით ჩაცმა-დახურვას, სმა-ჭამას, სანთელს, თუთუნს, მისვლა-მოსვლას და სხვა ათასნაირ რამეებს, რომლებსაც უფრო საჭიროებს ადამიანი".[212] — წერდა გაზეთ „დროების" კორესპონდენტი. გარდა მატერიალური გაჭირვებისა, მასწავლებელი უუფლებოც იყო, იგი ხელქვეითი იყო სოფლის მამასახლისის, მღვდელის, გადამწერის. თუ მასწავლებელი მეფის ერთგული და მისი პოლიტიკის გამტარებელი არ იქნეობდა, მაშინ იდევნებოდა როგორც „არასაიმედო პირი". საერთოდ საქართველოს სასწავლებლებში და მათ შორის სამცხე-ჯავახეთის სკოლებში განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ ქართული ენის მასწავლებელები. მათ ხშირად უხელფასოდ უხდებოდათ მუშაობა, განიცდიდნენ დევნას, დაჩაგვრასა და დამცირებას.

ამგვარად, სკოლების მცირერიცხოვნება და სწავლის ქირის ზრდა სერიოზულ პრობლემებს ქმნიდა განათლების სფეროში. XX საუკუნის დასაწყისში სამცხე-ჯავახეთი სკოლების რაოდენობით ერთ-ერთ ბოლო ადგილზე იმყოფებოდა მთელს საქართველოში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ინტელიგენცია დიდ დაინტერესებას იჩენდა სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის კულტურისა და განათლების შემდგომი განვითარებისათვის. შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ ხელი შეეშალათ რუსიფიკატორული პოლიტიკის განხორციელებაში, ცდილობდნენ ადგილობრივი მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნების გაღვივებასა და შენარჩუნებას. რადგან ქართველობა საქართველოს არც ერთ კუთხეში ისე არ იყო დაქსაქსული, როგორც სამხრეთ საქართველოში. ამიტომ, ურთიერთობა ჰქონდათ მესხეთში საზოგადო მოღვაწეებთან, ხოლო იქ არსებულ სკოლებსა და ბიბლიოთეკებს უწევდნენ ნივთიერ დახმარებას, ამ მხარის გადარჩენისა და წინსვლის აუცილებელ პირობად მიაჩნდათ კულტურისა და განათლების განვითარება.

სამცხე-ჯავახეთისადმი განსაკუთრებით დიდ მზრუნველობას იჩენდა ქართველი საზოგადო მოღვაწე ზაქარია ჭიჭინაძე. მან

1881 წელს პირადად მოინახულა სოფელ ხიზაბავრაში ივანე გვარამაძე და სიცოცხლეშივე უძღვნა მონოგრაფია — ივანე გვარამაძე — „ვინმე მესხი“. თავისი მეგობრული რჩევით დიდი დახმარება გაუწია სოფელ ხიზაბავრაში სკოლის დაარსებასა და შემდგომ მის მოწყობაში.[87] იგი დასძენდა: „ეს საზოგადოება მოვალეა ყოველს საქართველოს სახალხო შკოლას მიეცეს შემწეობა, მხოლოდ იქ, სადაც ქართველები არიან ანუ ქართველი კათოლიკენი“.[89] უნდა აღინიშნოს, რომ ზაქარია ჭიჭინაძე საერთოდ ზრუნავდა სამხრეთ საქართველოს ქართულ სკოლებზე, ხელმძღვანელობდა კერძო პირებისაგან შემოწირული წიგნებით ამ სკოლების მომარაგებას. ილია ალხაზიშვილი 1882 წელს წერდა: „მე მივიღე ფოჩტით ბატონ ზაქარია ჭიჭინაძისაგან 138 ეგზემპლარი 24 სხვადასხვა სათაურიანი ქართული წიგნები შემოწირული ზოგიერთი პატივცემული კერძო პირისაგან ამ მხარეში მუქთად დასარიგებლადო“. იქვე მიუთითებდა, რომ წიგნები გადაცემულია ახალქალაქის, კოთელიის, ვარევნის, ბარალეთის, ხიზაბავრის, ქილდის სკოლებისათვის: „20 ეგზემპლარი ბატონ მიხეილ მუსხელიშვილს მიეცა დასარიგებლად გამაჰმადიანებულ ქართველობაში, რომელნიც არამც თუ კარგად ლაპარაკობენ ქართულ ენას, მამაპაპურ ანბანსაც კი ჯერაც ხალისიანად ასწავლიან ერთმანეთს, ამგვარ სოფლებს შორის შესანიშნავია ოშორა“.[215]

სამცხე-ჯავახეთის ქართულ სკოლებს საქველმოქმედო დახმარებას უწევდნენ ძმები პეტრე, იაკობ და სტეფანე ზუბალაშვილები. ზემოთ მოვიხსენიეთ, რომ სტეფანე ზუბალაშვილს ხიზაბავრის სკოლის მშენებლობისათვის 1000 მანეთი შეუწირავს.[226] ხოლო პეტრეს და იაკობს 300-300 მანეთი — წმინდა იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის ქართველ კათოლიკეთა საერო სასწავლებლისათვის.[73]

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე ქართულ პერიოდიკაში მესხ მოღვაწეთა მრავალი სამადლობელი წერილია გამოქვეყნებული ამ კუთხისადმი გაწეული დახმარებების გამო. ამ მხრივ საყურადღებოა ივანე გვარამაძის მიერ გაზეთ „ივერიაში“ მოთავსებული რამოდენიმე წერილი. კერძოდ, ერთ-

ერთ მათგანში ვკითხულობთ: „ნება გვიბოძეთ თქვენის გაზეთით მადლობა მოვახსენოთ, ვინც ჩემდა მონდობილს ახალციხის წმინდა იოანეს ნათლისმცემლის სასწავლებლის სასარგებლოდ შემოსწირეს საყმაწვილო და სხვადასხვა სახმარი წიგნები:

ა) „ჯეჯილის“ რედაქციამ 4 წლის სრული ნომრები „ჯეჯილისა“;

ბ) ბ. ლაზარაშვილმა 28 ცალი სხვადასხვა წიგნი;

გ) ბ. როსტომაშვილმა 6 ცალი წიგნი;[222]

დ) ბ. ივანოვმა 16 ცალი წიგნი.[222]

ივანე გვარამაძე გაზეთ „ივერიის“ საშუალებით მადლობას უცხადებდა აგრეთვე იაკობ ისარლოვს, რომელსაც 10 მანეთი შეუწირავს ახალციხის წმინდა იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის სამრევლო სასწავლებლისათვის და სებასტიან ნებიერიძეს, რომელსაც 1 წლის ვადით ჟურნალი „ჯეჯილი“ დაუკვეთია აღნიშნული სასწავლებლის მოსწავლეთათვის.

ქართველ საზოგადო მოღვაწეთა გამიზნულ ქველმოქმედებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მათ თავიანთი საქმიანობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის კულტურისა და განათლების დაწინაურებაში. ქველმოქმედთა ნივთიერი დახმარებით მრავალი სკოლის შენობა აიგო, სკოლები მომარაგდა ინვენტარითა და სახელმძღვანელოებით. ისინი მხარში უდგნენ ადგილობრივ საზოგადო მოღვაწეებს — მესხ განმანათლებლებს. კერძოდ, ემსახურებოდნენ თავიანთი შრომების გამოცემაში (მაგ. ივანე და კონსტანტინე გვარამაძეების მრავალი შრომა დაიბეჭდა), საჭიროების შემთხვევაში აძლევდნენ მიმართულებას მათ შრომა-საქმიანობას.

ამრიგად, განხილული მასალების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ აღნიშნული პერიოდისათვის სამცხე-ჯავახეთში გაფართოვდა სხვადასხვა ტიპის დაწყებითი სკოლების ქსელი. მათი დაფუძნება ხდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის დაჟინებული მოთხოვნებისა და ეროვნული ძალების გააქტიურების საფუძველზე. მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მათი რიცხვი საკმაოდ მიცრე იყო და ვერ აკმაყოფილებდა ცხოვრების მოთხოვნებს, ხოლო სწავლების შინაარსი გამომდინარეობდა

მთავრობის პოლიტიკიდან. ამასთანავე, ხელისუფალთა მიერ ხელოვნურად შექმნილი ბარიერების (გადასახადი, წოდებრიობა) გამო მოსახლეობის ძირითადი ნაწილისათვის ხელმიუწვდომელი იყო განათლების მიღება თვით დაწყებით სკოლებშიც კი. მცირერიცხოვნების მიუხედავად დიდი იყო სკოლების წვლილი სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნების გაღვიძება-შენარჩუნებაში, რაც უზრუნველყო კულტურისა და განათლების განვითარებამ.

სამცხე-ჯავახეთში მოსახლეობის კულტურისა და განათლების შემდგომი განვითარების საქმეში სკოლებთან ერთად დიდი როლი შეასრულეს აქ დაფუძნებულმა ბიბლიოთეკებმა. სამხრეთ საქართველოში ბიბლიოთეკების დაფუძნება მჭიდროდ უკავშირდება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სახელს. 1895 წლის 27 აგვისტოს, ქ. ახალციხეში, რაბათში – პავლე ერეკლიშვილის ალიზიან სახლში მოხსენიებულმა საზოგადოებამ დააფუძნა პირველი სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველო.[48] ამ ფაქტს იმთავითვე მოწონებით შეხვდა ქართველი ინტელიგენცია. ილია ალხაზიშვილმა მას „ევროპული სწავლა-განათლების სხივის პაწია ნაპერწკალი“ უწოდა, ხოლო ერთ-ერთ კორესპონდენციაში აღნიშნულ საზოგადოების მისამართით საყვედურს გამოსათქვამდა იმასთან დაკავშირებით, რომ ბიბლიოთეკის დაარსებაზე ათიოდე წლის დაგვიანებით იზრუნაო. როგორც მასალებიდან ირკვევა, მოხსენიებული საზოგადოების მისია ბიბლიოთეკისადმი მარტო მისი დაარსებით არ ამოწურულა, შემდეგშიც კურირებდა და ზრუნავდა მისი წიგნადი ფონდის გაზრდისათვის. მიუთითებდნენ: „თავისი ხარჯით უგზავნის ქართულ ყველა გამოცემებს და საზოგადოდ ქართული წიგნი ბევრიაო“. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ დაარსებიდან პირველ წლებში, ბიბლიოთეკა კარგად მარაგდებოდა წიგნებითა და ჟურნალ-გაზეთებით. 1896 წელს ფლობდა 719 წიგნს. მათ შორის 523 ქართულს და 196 რუსულს. ჰყავდა 106 ხელისმომწერი და 10-11 დღიური მკითხველი.[54]

რაბათის ბიბლიოთეკის ორი წლის მუშაობის შედეგების შესახებ ცნობა დაცულია ილია ალხაზიშვილის კორესპონდენციებში: „აი, რამდენჯერ მისულან სხვადასხვა წიგნების საკითხავად სამკითხველოს დაარსების დღიდან წლის დამლევამდე – 2253-ჯერ, 1896 წლის განმავლობაში 3510-ჯერ. მისივე მითითებით მკითხველს განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილება ჰქონია ილიას, აკაკის, ყაზბეგის თხზულებებზე. ამდენად, გარდა იმისა, რომ ბიბლიოთეკა დიდ როლს ასრულებდა ქართული ენის დაცვის საქმეში, ადგილობრივი ქართველობა აქედან იღებდა გონებრივ საზრდოს. ამიტომ, ახალციხის საზოგადოება დიდი მადლობელი იყო ჯერ წერა-კითხვის საზოგადოების, შემდეგ გრიგოლ ბურჭულაძის, რომელიც ერთგულად იღწვოდა წიგნთსაცავის წარმატებისათვის და აგრეთვე სეფე ქალის კონსტანცია სვიმონის ასულ მეფისაშვილის, რომელიც სამაგალითოდ განაგებდა სამკითხველოს საქმეს. იგი იყო დასახელებული ბიბლიოთეკის პირველი გამგე“.[200]

მოძიებული მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ XIX საუკუნის დასაწყისში ბიბლიოთეკა უსახსრობას განიცდიდა. ამიტომ, ახალციხის საზოგადოებამ ბიბლიოთეკისა და მასთან ერთად რაბათში არსებული ქალთა სკოლის შესანახად დაარსა საქველმოქმედო კომიტეტი. უნდა ითქვას ისიც, რომ ბიბლიოთეკას დიდ მატერიალურ დახმარებას უწევდნენ ქ. ახალციხეში მომქმედი თეატრალური (რაბათისა და ქალაქის ახალი ნაწილის) დასები და კერძო პირები, რომლებიც სისტემატურად სწირავდნენ წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს, ეხმარებოდნენ ფულითაც. ქველმოქმედთა შორის დავასახელებთ: ი. ასათიანს, ო. გვარამაძეს, მ. მღებროვს, თ.მაისურაძეს,[219] ვ. გამრეკელს. ვასილ გამრეკელი ბიბლიოთეკის გახსნის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო. მიუთითებდნენ, რომ იგი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან ერთად უზრუნველყოფდა ბიბლიოთეკის სტაბილურ მოქმედებას.[168] ხოლო სიკვდილის შემდეგ ბიბლიოთეკას ანდერძით დაუტოვა 500 მანეთი.[173] ბიბლიოთეკამ (ვარლამოვების სახლში იყო მოთავსებული) დიდი მატერიალური ზარალი განიცადა 1918 წელს ოსმალთა მიერ იქნა გადამწვარი. შემდგომ

წლებში 1928 წლიდან ბიბლიოთეკა გადატანილ იქნა ახალ ნაწილში.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ 1897 წლის 1 ივლისს მეორე ბიბლიოთეკა-სამკითხველო დაარსა სოფელ უდეში, რომელსაც „გაუძღვა“ მასწავლებელი ივანე ბარიკალაშვილი. ბიბლიოთეკას ჰქონდა 250 ც. ქართული და 51 ც. რუსული წიგნი. „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობამ მას 118 წიგნი გადასცა. ხელის მომწერთა რიცხვი 60 კაცს შეადგენდა, ყოველდღიური მკითხველი – 6.[51]

ალნიშნულ საზოგადოებამ XIX საუკუნის მიწურულში კიდევ 2 ბიბლიოთეკა-სამკითხველო დააარსა. კერძოდ, ახალქალაქსა და ბარალეთში. ამგვარად, დასახელებული საზოგადოების მიერ სამცხე-ჯავახეთში დაფუძნებულ იქნა 4 ბიბლიოთეკა გასული საუკუნის მიწურულის მდგომარეობით. ხოლო XX საუკუნის დასაწყისში ბიბლიოთეკები დაარსებული იქნა 1910 წელს – ბორჯომში 1919 წელს – აბასთუმანში.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართველ ქველმოქმედთა თაოსნობით სამცხე-ჯავახეთში დაფუძნდა კიდევ ერთი ბიბლიოთეკა-სამკითხველო სოფელ ხიზაბავრაში – 1904 წელს. ხიზაბავრის ბიბლიოთეკას დიდი ნივთიერი დახმარება გაუწია გიორგი გაჩეჩილაძემ, რომელმაც შესწირა თავისი გამოცემებიდან თითო ეგზემპლიარი. ადგილობრივმა კორესპონდენტმა კონსტანტინე გვარამაძემ ქართველ საზოგადოებას ამცნო ახალი ბიბლიოთეკის დაარსება, ხოლო გამომცემლებს თხოვნით მიმართა, რომ თავიანთი გამოცემები შეეწირათ ხიზაბავრელთათვის, რომელთაც „წიგნის სიყვარული დიდი აქვთ, და ხელმოკლეობა საშუალებას არ აძლევსო“. იქვე მიუთითებდა, რომ სამკითხველოს შესაწირავს თბილისში მიიღებდა პატრი დომინიკე მუღაშაშვილი და ახალციხეში – მღვდელი იოვანე გვარამაძე.[121]

სამცხე-ჯავახეთის კულტურისა და განათლების განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქ. ახალციხის ადგილობრივმა განყოფილებამ. ახალციხეში ალნიშნული განყოფილების დაარსების

აუცილებლობის შესახებ ფოსტის მოხელე პეტრე ხუნდაძე 1908 წლის სექტემბერში გამგეობას სწერდა: „Непременно следует открыть отделение для воскрещения грузинского дела в Ахалцихе“.[51.101-102] წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ახალციხის განყოფილება ჩამოყალიბდა 1912 წელს 18 ივლისს. საზოგადოების თავმჯდომარე იყო დეკანოზი დიმიტრი ხახუტაშვილი, ხოლო მდივნის მოადგილე – კონსტანტინე გვარამაძე.[51.102] საზოგადოებაში გაწევრიანდნენ ინტელიგენციის წარმომადგენლები. აღნიშნული საზოგადოება ეწეოდა საქველმოქმედო საქმიანობას. საზოგადოება მატერიალურად ეხმარებოდა სკოლებსა და ბიბლიოთეკებს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვეთა შეფასებით, საზოგადოება სათანადოდ ვერ ასრულებდა თავის მისიას. ამის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენდა მის წევრთა შორის ინტრიგა და გამგეობაში მოლას ყოფნა (რომელიც თურქეთის აგენტი აღმოჩნდა). დასახელებული მიზეზების გამო ადგილობრივი განყოფილება ვერ პასუხობდა ეპოქის მოთხოვნებს და თავისი კვალი ვერ დაამჩნია ამ კუთხეში კულტურისა და განათლების განვითარებას. ტ. ხუნდაძე სამართლიანად შენიშნავდა: „ახალციხის განყოფილება უმოქმედო და უუნარო აღმოჩნდა მაშინ, როდესაც იქ კულტურულ ასპარეზზე მრავალი სამუშაო იყო და მთავარი გამგეობა აქცევდა დიდ ყურადღებას.[90] ამ საზოგადოების მიერ 1916 წლის 15 ივლისს ქ. ახალციხის ძველ ნაწილში – რაბათში ზიობეგ მელვინეთ-უხუცესის შვილის (შარაბჩიოღლის) სახლში გაიხსნა ბავშვთა თავშესაფარი. გამგედ დაინიშნა ნინო ბაიბურთელი, ხოლო მასწავლებლად წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ადგილობრივი განყოფილების წევრი – მოლა ასლან ჩომახიძე. თავშესაფრის კურთხევას დასწრებია მაზრის უფროსი, ქალაქის თავი და მომრიგებელი თავადი ჭავჭავაძე. კურთხევისას დიმიტრი ხახუტაშვილს დამსწრე საზოგადოებისათვის განუმარტავს თავშესაფარის მიზანი და დანიშნულება.[251] 1916 წლის 1 სექტემბრიდან თავშესაფარი გადატანილი იქნა ქალაქის ახალ ნაწილში.[251] იმავე წლის 6 ივლისს აკურთხეს სოფელ უდის ბავშვთა მეორე თავშესაფარიც. თავდაპირველად აღნიშნულ

თავშესაფრებში ბავშვთა რაოდენობა მცირე იყო. შემდეგ კი მათი რიცხვი საგრძნობლად გაზრდილა. იმდენად რომ მათი მოვლა გასჭირვებიათ მარტო ქველმოქმედთა შემოწირულობით.

სამცხე-ჯავახეთის კულტურის შემდგომ განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თეატრმა. მესხ მოღვაწეებს კარგად ჰქონდათ გათვითცნობიერებული თეატრის დანიშნულება და მისი არსებობის აუცილებლობა. „წარმოდგენა გზა და ხიდია საუკეთესო ცხოვრებისაკენ მიმართული... სარკეა ცხოვრებისა, იგი ზედმიწევნით ახასიათებს წარსულს და აწმყო თანამედროვე ცხოვრებას, რასაც უნდა ადევნებდეს თვალყურს ყოველი შეგნებული ადამიანი“[197] – წერდა კ. გვარამაძე.

მესხეთის თეატრის ისტორია XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან იღებს სათავეს. აღნიშნული თეატრის დაფუძნების შესახებ პირველი ცნობები შემოგვინახა იმ პერიოდის ქართულმა პრესამ. მესხეთის თეატრზე ყურადღება გაამახვილა სამცხე-ჯავახეთის კულტურისა და განათლების მკვლევარმა დავით კოჟორიძემ. იგი აღნიშნავს, რომ: „1874 წელს ახალციხეში მანამდე არსებული მომღერალთა მცირე გუნდის ბაზაზე ადგილობრივი პატრიოტი ქართველების: დ. ყარსელიშვილის, მ. დურგლიშვილის, სმესხიშვილის, თ. ფაფაზოვის, ეკ. ბეთანიშვილის, ევგენია სვანელის, ანა ღოღობერიძის, დების ანა და დარიკო გამცემლიძეების და სხვების ინიციატივით და აქტიური მონაწილეობით ჩამოყალიბდა პირველი თეატრალური დრამატული დასი. მან ახალციხის ძველ ნაწილში – რაბათში დადგა პირველი წარმოდგენა – ზ. ანტონოვის „მე მინდა კნეინა გავხდე“.[16] ამრიგად პატივცემული მეცნიერის მიერ მოძიებული მასალის მიხედვით ქ. ახალციხეში თეატრის დაფუძნების ოფიციალურ თარიღად მიჩნეული უნდა იქნეს 1874 წელი, რამდენადაც ჩამოყალიბდა მუდმივი თეატრალური დასი.

აღნიშნულთან დაკავშირებით გათვალისწინებულ უნდა იქნეს ილია მისურაძის სამართლიანი შენიშვნა: „ეს თარიღი ახალციხის საქველმოქმედო საზოგადოებასთან მუდმივი დრამატული დასის ოფიციალურად ჩამოყალიბების დროდ უნდა ჩაითვალოს და არა თეატრალური მოღვაწეობის დასაწყისადო“.[64]

უნდა აღინიშნოს, რომ 1870 წელს ქ. ახალციხეში ანა მუსხელიშვილ-ღოღობერიძის მიერ დაფუძნებული იქნა საქველმოქმედო საზოგადოება, რომლის უპირველეს მიზანს წარმოადგენდა ანას მიერ დაარსებული ქალთა უფასო სკოლის – შენახვა. რამდენადაც სკოლას არანაირი სახსარი არ გააჩნდა, საქველმოქმედო საზოგადოება ცდილობდა სხვადასხვა საშუალებებით მოეპოვებინა სახსრები სკოლისათვის. ერთ-ერთ ღონისძიებას წარმოადგენდა სცენის მოყვარულთა მიერ წარმოდგენების გამართვა. აქედან გამომდინარე ილია მაისურაძე ფიქრობდა, რომ „ახალციხური წარმოდგენები, რაკი მათი შემოსავალი ქალთა სკოლისათვის იყო დანიშნული, ამ სკოლის დაარსების პირველ წლებშივე უნდა იღებდეს სათავეს 1870-1872წ.წ.“[64]

ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მესხეთში თეატრი მოღვაწეობას იწყებს 1870 წლიდან – სცენის მოყვარულთა მიერ გამართული წარმოდგენების სახით. ხოლო თეატრის დაფუძნების ოფიციალურ თარიღად უნდა ჩაითვალოს 1874 წელი, როცა ოფიციალურად გაფორმდა მუდმივი თეატრალური-დრამატული დასის ჩამოყალიბება.

საგაზეთო მასალების საფუძველზე გამოირკვა ისიც, რომ მესხეთის თეატრის სცენაზე წლების მანძილზე იდგმებოდა ქართული და რუსული წარმოდგენები. პირველ სპექტაკლებს შორის დავასახელებთ: „სცენები საპატიმროში“, „Бедовая бабушка~, „Жилец страмбоном“, „თილისმის ხანი“, „პეპო“ და ა.შ.

სცენის მოყვარენი – ე.ი. მსახიობები იყვნენ: ბარბალე ღოღობერიძისა, ნინო დაფქვიაშვილისა, დავით ოქროპირიძე, გიორგი ხმალაძე, ნიკო შიუკაშვილი, ლადო დაფქვიაშვილი, ვასო თამარაშვილი, ვასო მომფარია, ვასო ზედგინიძე. ხოლო ქახალციხის ძველ ნაწილში – რაბათში ქართული სცენა დაარსდა 1904 წელს კონსტანტინე გვარამაძის ხელმძღვანელობით.[242] წარმოდგენებს მართავდნენ რაბათის დედათა და ქართველ კათოლიკეთა სასწავლებლებში. რაბათის სცენის მოყვარულნი იყვნენ: კოსტანცია, ევგენია და გიგო მეფისაშვილები, ივანე ხმალაძე,

საშა (ალექსანდრე) ბაიბურთელი, ზაქარია დიდიმამიშვილი, ქსენია ჯუღელი. რაბათის დასმა თავისი არსებობის პირველი რვა წლის მანძილზე 31 წარმოდგენა დადგა:[251] „ავაზაკები“, „უშნო არშიყი“, „ორი მშიერი“, „სცენა საპატიმროში“, „რამდენიმე სურათი“, „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, „ხიზაბავრული ქორწილი“ (კ.გვარამაძის პიესის მიხედვით)[153] და ა.შ.

სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული მასალებიდან ირკვევა, რომ ქ. ახალციხეში მოქმედი ორივე დასი წარმოდგენებს ძირითადად საქველმოქმედოდ მართავდა. ქველმოქმედებას უწევდნენ ადგილობრივ სამკითხველოს, რაბათში არსებულ დედათა და კათოლიკეთა სასწავლებლებს.[227] მაგალითად: 1909 წელს როცა ახალციხის ახალ ნაწილში მოქმედმა დასმა წარმოდგენა გამართა მსახიობი ქალის ნ. გაბუნია-ცაგარელის 30 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად, შემოსავლის ნაწილი 150 მანეთი დედათა სასწავლებელს გადასცა.[218]

მართალია, ორივე დასი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობდა, მაგრამ „სცენის მოყვარულნი“ კარგად გრძნობდნენ გაერთიანების აუცილებლობას. „საჭიროა, რომ რაბათისა და ახალი ნაწილის მოთამაშენი გაერთიანდნენ. მაშინ საქმე ისე გაიჩარხება, რომ შეიძლება სულ მოკლე ხანში სამუდამო დასიც შედგესო“,[219] — წერდა კ. გვარამაძე. შეიძლებოდა კ. გვარამაძის სურვილი რეალობად ქცეულიყო, რომ არა პირველი მსოფლიო ომი. ომის პერიოდში თითქმის მთლიანად შეწყდა თეატრალური დასების მუშაობა. 1915 წელს კონსტანტინე გვარამაძე გულისტკივილით წერდა: „ჩვენში, თითქმის წელიწადზე მეტი იქნება, რაც რომ კულტურული მოქმედების მაჯისცემა შეწყვეტილია. აღარ იმართება ქართული წარმოდგენები და სალიტერატურო დილა-საღამოები“.[219] იგი დრამატული დასის აღდგენა-დაარსებას წერა-კითხვის საზოგადოების ადგილობრივი განყოფილების მოვალეობად მიიჩნევდა. მისი აზრით, ხალხის კულტურული განვითარებისათვის აუცილებელი იყო სახალხო წარმოდგენების სისტემატურად გამართვა.

1918 წელს კვლავ ჩამოყალიბდა ახალი დასი და განახლდა წარმოდგენების დადგმა. მიუხედავად იმისა, რომ დასების მუშაობა

სისტემატურ ხასიათს არ ატარებდა, მათ უდიდესი როლი შეასრულეს XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე სამცხე-ჯავახეთში კულტურის განვითარების საქმეში, ხელი შეუწყვეს ქართული სიტყვის გაძლიერებას. მათ უდიდეს დამსახურებას წარმოადგენდა საქველმოქმედო საქმიანობა. მოხსენიებული დასების მიერ დადგმული წარმოდგენებითა და ჩატარებული დილა-საღამოებით წლების მანძილზე საარსებო სახსარი არ მოკლებია ქ. ახალციხეში არსებულ განათლების კერებს. გარდა ამისა, მათ დიდი წვლილი შეიტანეს ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში.

ამგვარად, მოძიებული მასალის საუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სამცხე-ჯავახეთი უძველესი დროიდანვე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის კულტურისა და განათლების განვითარებაში, იგი წარმოადგენდა ქართული კულტურის ერთ-ერთ ძლიერ კერას. თურქთა ბატონობის პერიოდში ადგილობრივ მოსახლეობას ეროვნული თვითშეგნება დაუქვეითდა. მძიმე მდგომარეობა იყო XIX საუკუნეში. ამჯერად უკვე რუსეთის სახელმწიფო მფლობელობაში, ეპოქის მოთხოვნას წარმოადგენდა ამ კუთხის ეროვნული თვითშეგნების გაღვიძება, ამის მიღწევა შესაძლებელი იყო მხოლოდ განათლებისა და კულტურის განვითარებით. ეპოქის ამოცანა კარგად ჰქონდა გათვითცნობიერებული ქართველ ინტელიგენციას, მესხ განმანათლებლებს. ისინი თავიანთი საქმიანობით ეწინააღმდეგებოდნენ რუსიფიკატორული პოლიტიკის განხორციელებას. ცდილობდნენ ქართული ენის, ტრადიციების, ზნე-ჩვეულებების შენარჩუნება-დაცვას, ხალხში განათლების შეტანას. ამიტომ, ხსნიდნენ სკოლებს, ბეჭდავდნენ წიგნებს, აფუძნებდნენ ბიბლიოთეკებსა და თეატრალურ დასებს, ზრუნავდნენ ერის გამთლიანებისათვის. მესხეთში განმანათლებელთა მოღვაწეობამ შედეგი გამოიღო: მათ სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობაში გააღვიძეს ეროვნული თვითშეგნება, იხსნეს ეროვნული გადაგვარებისაგან.

ივანე გვარამაძის ცხოვრება და მოღვაწეობა

ბიოგრაფიული მონაცემები

XIX საუკუნის გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა შორის ღირსეული ადგილი უკავია „ვინმე მესხის“ ფსევდონიმით ცნობილ განმანათლებელს ივანე გვარამაძეს.

XIX საუკუნე მეტად მძიმე პერიოდი იყო სამცხე-ჯავახეთისათვის, ისტორიულად განვითარებულმა სარწმუნოებრივმა დაყოფამ განაპირობა მოსახლეობის ეროვნული დაქსაქსულობა, ქართველობა სამ ნაწილად დაიყო: მართლმადიდებლები, კათოლიკენი და მაჰმადიანები. მართალია, საუკუნის დასაწყისში (20-იან წლებში) სამცხე-ჯავახეთმა მოიშორა თურქთა ბატონობის მძიმე უღელი, მაგრამ აღმოჩნდა მეორე დიდი დამპყრობლის – რუსეთის იმპერიის ხელში (რა თქმა უნდა, სამცხე-ჯავახეთის საქართველოსთან შეერთება თავისთავად პროგრესული მოვლენა იყო). მეფის რუსეთმა, რომელიც „გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკით ხელმძღვანელობდა, „გამაჰმადიანებულ ქართველს თათარი დააარქვა, მის მშობლიურ ენად თურქული აღიარა“,[33] ხოლო ქართველი კათოლიკენი ქართულ ენაზე მოლაპარაკე სომხებად გამოაცხადა და 1886 წლის 27 თებერვლის ბრძანების საფუძველზე ახალციხისა და ახალქალაქის მაზრის ქართველ კათოლიკებს აეკრძალათ ქართული ენის ხმარება ლოცვებისა და ღვთისმსახურების დროს. ე.ი. ქართული ტიპიკონის უქონლობით გადაგვარება-გასომხების საშიშროება შეექმნათ. რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმედეგ ხმა აღიმაღლა მოწინავე ქართველმა ინტელიგენციამ. მათ მხარში ამოუდგნენ მესხეთში მოღვაწე განმანათლებლები ივანე გვარამაძის წინამძღოლობით.

ივანე გვარამაძის საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ მას კარგად ესმოდა XIX საუკუნის დასასრულს სამცხე-ჯავახეთში შექმნილი მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც დამღუპველად მოქმედებდა ხალხის ზნეობაზე: „ანგარებამ აიკლო,

აოხრა მთელი ქვეყანა დიდით წვრილობამდის, მღვდლით ერამდის გადვირიენით, გემოთმოყვარეობამ და თავისუფლების მაძიებლობამ სარწმუნოება დასცა... ერთი სიტყვით, სულითაც და ხორცითაც დავგლახაკდით".[186] ესმოდა თავისი ქვეყნის, ხალხის გასაჭირი. ამიტომ, მთელი სიცოცხლის მანძილზე ეწეოდა მრავალმხრივ მოღვაწეობას და, როგორც ჭეშმარიტი მღვდელი, პირველ რიგში ზრუნავდა მრევლისათვის რწმენის შესანარჩუნებლად, მის სულიერ გაჯანსაღებაზე. იგი ამ ბრძოლაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართული სიტყვის ძალას. მამულის, რწმენისა და ენის დაცვა მისი ცხოვრების აზრსა და მიზანს წარმოადგენდა. ამის უტყუარ დასაბუთებას იძლევა მესხი მოღვაწის ცხოვრება.

დღევანდელი გადასახედიდან დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს ივანე გვარამაძის ბიოგრაფიისა და ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლა, ამის საშუალებას იძლევა როგორც მის მიერ 1891 წელს დაწერილი ავტობიოგრაფიული ნაშრომი – „ვინმე მესხის ცხოვრება",[160] ისე საქართველოს სხვადასხვა ინსტიტუტებსა და სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული მდიდარი მასალა. ივანე გვარამაძის შესახებ მეტად საინტერესო ცნობებია დაცული მისი შვილების: კონსტანტინესა და ქრისტესიას მოგონებებში, წერილებში, მიმოწერებში.

ივანე გვარამაძის ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლაში განსაკუთრებული სამსახური გაგვიწია ზემოთ დასახელებულმა ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაშრომმა. კონსტანტინე გვარამაძის ხელნაწერებიდან ირკვევა, რომ გასული საუკუნის 80-იანი წლების დასასრულს აკაკი წერეთელს ივანე გვარამაძისათვის შემდეგი თხოვნით მიუმართავს: „მამა იოვანე, მე დიდი ხანია გადაწყვეტილი მაქვს თქვენი ხანგრძლივი სამწერლო მოღვაწეობისათვის მოგიწყოთ 30 წლის იუბილე. რის შესახებ, გთხოვთ თქვენს ნებართვას, რომ აღვძრათ ეს საკითხი გაზეთის საშუალებით, რათა ახლავე შევუდგეთ საქმეს".[69] ივანე გვარამაძეს ბატონ აკაკისათვის შეთავაზებულ იუბილეზე კატეგორიული უარი განუცხადებია შემდეგი ახსნა-განმარტებით: „ჩვენს დღევანდელს კულტურულად დაცემულს ხანაში, რასაც ქართველი ხალხი

განიცდის, ის საზეიმოდ დასახარჯავი თანხები უკეთესი იქნება მას სწავლა-განათლების საქმეში მომხმარდეს, ვიდრე ერთი პიროვნების მოწყობილს იუბილეზედ იხარჯებოდეს".[69] ასეთი საფუძვლიანი პასუხის შემდგომ, როგორც კონსტანტინე გვარამაძე იგონებს, აკაკის ივანე გვარამაძისათვის უთხოვია ვრცელი ბიოგრაფიის დაწერა. როგორც ჩანს, ბიოგრაფიის დაწერაზე მეგობრის თხოვნას დაუფიქრებია იგი: „მე ამისთანა ჯეროვანმა რჩევამ ცოტა რამ გამომაფხიზლა ჩვენი ცხოვრების გარშემო მყოფი მზრუნველობის რულთაგან... ჩემს გონებაში წარმოვიდგინე ცხოველის სურათებით ყოველივე ჩემ თავს გარდავლილი".[160] ამრიგად, ივანე გვარამაძემ 1891 წელს, 60 წლის ასაკში დაწერა „ვინმე მესხის ცხოვრება", რითაც დიდი ამაგი დასდო შთამომავლობას, რამდენადაც იგი არამარტო ბიოგრაფიული, არამედ ეპოქალური ხასიათის ნაშრომია.

ივანე პავლეს ძე გვარამაძე დაიბადა 1831 წლის 15 ოქტომბერს სოფელ ვალეში, აწყურიდან გადასახლებული გლეხის მესარქიშვილის ოჯახში. მამა-პაპეული ძველი გვარი ისტორიულ მონაცემთა საფუძველზე თვით ივანემ აღადგინა და დაასაბუთა, რომ მის წინაპრებს XVI საუკუნეში თავიანთი ერთ-ერთი გვარის კაცის — ზაზას მაჰმადიანთაგან შერქმეული სახელი ზოზო (ძლიერ-ძლიერი) გვარად გაუხდიათ და იწოდებოდნენ ზოზოშვილებად, ხოლო რუსების მოსვლისას მესარკოვი უწოდებიათ.[115] XVII საუკუნის დასასრულს გვარამაძეები სხვა ქართველობასთან ერთად აწყვერიდან აუყრიათ და ახალციხეს გადასულან, ზოგი ასპინძას ასულა, ზოგი ხიზაბავრას, გოკიას და ახალქალაქს.[156]

უნდა აღინიშნოს, რომ ივანე გვარამაძეს წინაპართა გვარის აღდგენისათვის რამოდენიმე წლის ბრძოლა დასჭირდა ვიდრე დაიმკვიდრებდა გვარამაძეობას. მას ჯერ კიდევ 1870 წელს მკაცრად აფრთხილებდნენ, ემუქრებოდნენ, რომ არ ეხმარა თავისი ძველი გვარი: „თანახმად პრაველნის ბრძანებისა უკანასკნელად გაცნობებ და გიბრძანებ, რომ ამიერიდან აღარ გაჰბედოთ და იკადნიეროთ ხელის მოწერა გვარამაძეობის. უკეთუ არ ისმენ და არ დაემორჩილები ბრძანებასა პრაველნისა და კიდევ გაბედავ

მაგ გვარით ხელის მოწერასა სადმე, მაშინ მოეწყვდევი მძიმე პასუხისგებასა შინა".[83] მაგრამ ივ. გვარამაძეს ვერავითარმა წინააღმდეგობამ ვერ ააღებინა ხელი წამოწყებულ საქმეზე. მისმა ბრძოლამ შედეგი გამოიღო. 1885 წელს მიიღო ძველი გვარის ხმარების ოფიციალური ნებართვა. ი. ანტონოვი — სარატოვის სასულიერო სემინარიის რექტორი, ატყობინებდა: „შესახებ თქვენი გვარისა ისევ შეუდექით და ისე იხმარეთ როგორც გიხმარიათ უწინარესსა... შეუდექით ხმარებასა შვილებისთვისაც, სულ ეგ გვარი დააწერინე ხოლმე".[132]

ივანე გვარამაძის მამა — პავლე ახალციხის ფაშების სარიდარი (მზარეული) ყოფილა, „სცოდნია ფეიქრობა, ქურქჩობა და მეწვრილობაცა".[132] ჰყოლია მეკარიანთ ქალი, რომელთანაც ქალვაჟი შესძენია. მისი დაღუპვის შემდეგ შეურთავს მზექალათ ქალი, რომელიც 1828 წელს ახალციხის აღებისას გარდაცვლილა, მესამედ დაქორწინებულა ვალელ გასპარ ბაღდოშვილის ქალზე — მარიამზე. მას „სოფელ ვალეში თავისი სასწავლებელი ჰქონია, სადაც სოფლის ახალგაზრდა ქალები დაიარებოდნენ, როგორც ქართველები, ისე მაჰმადიანები სასწავლებლად. როგორც წერა-კითხვის, ისე ჭრა-კერვისა და ქსოვა-ქარგვისა, რისთვისაც მასწავლებელ ქალს მარიამს დიდათ პატივს სცემდნენ ხოლმე საწუთრო სანოვაგების და ძღვენებითა".[150] ივანეს ხუთი და ჰყოლია: „მე ერთი ვიყავ და ხუთი და მყავდაო". უნდა აღინიშნოს, რომ არც ივანე გვარამაძის და არც სხვა ხელნაწერთა თუ ფოტო ფონდებში ვერ მივაკვლიეთ ვერანაირ მასალას მისი დედმამიშვილების შესახებ. ბოლო პერიოდში ჩვენთვის შესაძლებელი გახდა მხოლოდ მისი ორი დის ვინაობის დადგენა, რაზეც საინტერესო სიტყვიერი მასალა მოგვაწოდა ერთ-ერთი დის ბარბარეს შთამომავალმა ვახტანგ ივანეს ძე ზაქროშვილ-მანველიშვილმა, რომელმაც თავის მხრივ აღნიშნული ინფორმაცია მოიძია მარკოზ ხეთოს ძე გოზალიშვილისაგან. კერძოდ, მოძიებული მასალიდან ცნობილი გახდა, რომ ივანე გვარამაძის ორი და ბარბარე და ელისაბედი (იგივე „ხანო") ცხოვრობდნენ ვალეში.

ბარბარე გათხოვილი ყოფილა ხითარიშვილებში. მის შთამომავლებს „ბარბარათებს" უწოდებენ. ელისაბედის მეუღლე

ყოფილა პავლე ანტონის ძე გოზალიშვილი. მის შთამომავლებს „ხანოთებს“ უწოდებენ. ცნობილია ისიც, რომ ელისაბედს 1898 წელს მზითვის ფულით თავის ეზოში თიხის მილებით აუშენებია ე.წ. ზემო წყარო, რომელსაც ვალელები დღესაც „ხანოს წყაროს“ უწოდებენ. ელისაბედი ყოფილა მრავალშვილიანი დედა. კერძოდ, მას ჰყოლია რვა ვაჟი და ოთხი ქალიშვილი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვახტანგ ზაქროშვილ-მანველიშვილისა და მარკოზ გოზალიშვილისაგან შედგენილ და მოწოდებულ იქნა ბარბარე და ელისაბედ გვარამაძეების შთამომავალთა სრული გენიალოგია.

ივანე გვარამაძეს ბავშვობაში მოფერებით „კონას“ ეძახდნენ. ოთხი წლის ივანე ადგილობრივ (ვალის) მღვდელთან წერა-კითხვის სასწავლებლად საეკლესიო სასწავლებელში მიუბარებიათ. ხუთი წლისას სომხური სამოციქულო წაუკითხავს ზეპირად ნასწავლი წირვაზედ ეკლესიაში, შვიდი წლისას დაუწყია მხატვრობა და თორმეტი-ცამეტი წლისას მღვდლის ხელმძღვანელობით მოუხატავს ჯერ საბამის წმინდა გიორგის ეკლესიის კანკელი და შემდეგ მარელისის ეკლესია. აღსანიშნავია ისიც, რომ სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში ინახება ივანე გვარამაძის სახატავი ალბომი, რომელშიც შესრულებულია სხვადასხვა ჟანრის ნახატი.[139] 1849 წელს 18 წლის ივანე გვარამაძემ ქალაქ ახალციხეში იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიასთან არსებულ სამრევლო სკოლაში განაგრძო სწავლა არქიმანდრიტ პავლე შაჰყულიანის (ჭილიმუზაშვილის) ხელმძღვანელობით. რაბათის სამრევლო სკოლაში მას ასწავლიდა განათლებული მოძღვარი სტეფანე ნავროზაშვილი, რომელსაც შემდგომ დიდი სიყვარულით იგონებდა.[18.] 1854 წლიდან სწავლას აგრძელებს ქუთაისში პეტრე ხარისჭირაშვილთან. 1859 წელს გაემგზავრა კონსტანტინოპოლში, საიდანაც უსახსრობის გამო მალე მოუხდა სამშობლოში დაბრუნება. ერთხანს მუშაობდა თბილისში ივანე კერესელიძესთან სტამბაში. მაგრამ, კვლავ უსახსრობის მიზეზით დაბრუნდა ქალაქ ახალციხეში. ამ პერიოდში გარდაეცვალა მშობლები (1857 წელს – მამა, 1861 წელს კი დედა). 1862 წელს გაემგზავრა ალექსანდროპოლში

(დღევანდელ ლენინაკანში) სწავლის გასაგრძელებლად. სამი წლის შემდეგ, სასწავლებლის დამთავრებიდან, მუშაობა დაიწყო იოვანე ნათლისმცემლის სასწავლებელში საღმრთო ისტორიის მასწავლებლად. 1868 წლის 9 დეკემბერს ქალაქ სარატოვში ვიჩენცო ლიპსკმა აკურთხა მღვდლად.[178] 1869 წელს მიავლინეს სოფელ ხიზაბავრის კათოლიკურ ეკლესიაში ვიკარ-მღვდლად, სადაც სხვადასხვა დროს რამდენიმე წლის მანძილზე მოღვაწეობდა. კერძოდ, 1870 წელს დაინიშნა წმინდა იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის სასწავლებლის ქართული ენისა და კატეხიზმის მასწავლებლად. ხოლო 1873 წელს კვლავ გადაიყვანეს ხიზაბავრის ეკლესიაში ზედამხედველ მღვდლად. 1877 წელს მსახურობდა სოფელ ივლიტის ეკლესიაში, საიდანაც 1890 წელს კვლავ ხიზაბავრაში გადაიყვანეს.

ხიზაბავრასა და ახალციხეში სკოლათა ფუძემდებელი

ივანე გვარამაძე წლების მანძილზე ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა ჯავახეთის ერთ-ერთ უძველეს სოფელ ხიზაბავრაში. მის წერილში ვკითხულობთ: „ოცდასამ წელწადში მომიწყვია შენობა ეკლესიისა სასწავლებლით, გალავნით, ბალკონით, აგრეთვე შემომკვია და გამიბრწყინებია ეკლესია ყოველნაირად ნივთეულობითა, თუ ლოცვა-გალობითა. არქიმანდრიტ ბასილიანასაგან დახურული და გაუქმებული ეკლესია დამიცვია მოვალეების მტაცველ-მგლეჯელებისაგან“.[160] ეს ივანე გვარამაძის ხიზაბავრაში მოღვაწეობის ერთგვარ ანგარიშადაც კი შეიძლება ჩაითვალოს. გარდა ამისა, მას ხიზაბავრაში, თავისი მღვდლობის პერიოდში, კარგად შეუსწავლია როგორც სოფლის ისტორია-გეოგრაფია, ისე მოსახლეობის ხასიათი, ზნე-ჩვეულებანი. ყოველივე ამას კი შესანიშნავად ასახავდა ქართული პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილებში, მიმოწერებსა და პირად არქივში დაცულ მასალებში. სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული მასალა ნათელს ჰფენს ხიზაბავრის

სკოლის დაარსებისათვის ივანე გვარამაძის მიერ გაწეულ შრომას. აქ დაცული მასალებით მტკიცდება, რომ სწორედ ივანე გვარამაძე იყო ხიზაბავრაში სკოლის გახსნის მოთავე. როგორც ირკვევა, მას თავისი მოსაზრება – სკოლის გახსნის შესახებ – პირველად ზაქარია ჭიჭინაძისათვის გაუზიარებია, რომელსაც თავის მხრივ მოუწონებია მისი აზრი და საჭირო რჩევა-დარიგებაც მიუცია. კერძოდ, მისი რჩევით ივანე გვარამაძეს დახმარებისათვის მიუმართავს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის". ივ. გვარამაძის მიმართვაზე მაშინვე მოუხდენიათ რეაგირება – 1881 წლის 9 ოქტომბერს ილია ჭავჭავაძეს (ალნიშნული საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგის სახელით) პასუხი დაუბრუნებია მისთვის, რომელშიც აცნობს საზოგადოების განაჩენს (წესდებას – ნ.ყ.): „წერა-კითხვის საზოგადოების მმართველობამ ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვიტა შემდეგის შესახებ ახალ სკოლების შემოწმებისა: ყოველ სოფლის საზოგადოებას. რომელშიც სკოლის გახსნას ისურვებს და მის არსებობისათვის 35 თუმნიდან 40 თუმნამდინ დაიდებს სამუდამო წლიურ ხარჯად, წერა-კითხვის საზოგადოება დაეხმარება ამგვარად: გაუკეთებს საშკოლო სახლის აშენებისათვის შესაწირავს 15 თუმანს, მოუპოვებს სათმედო მასწავლებლებს, ყოველწლივ შეაწევს 30 მანეთის წიგნებს და იკისრებს სკოლის მართვას და სამუდამო გამგეობას".[145] ამის შემდგომ აცნობებს საზოგადოების გადაწყვეტილებას: „ამ გადაწყვეტილების მიხედვით, გამგეობას შეუძლიან ალმოუჩინოს შემწეობა ხიზაბავრის სკოლას უკეთუ ხიზაბავრის საზოგადოება წარმოგზავნის თავის განაჩენს გამგეობის სამწერლოში და იგი განაჩენი ზემოთ მოყვანილ სასურველ პირობათა წინააღმდეგი არ იქნება".[145] ბოლოს აღუთქვამს ნივთიერ დახმარებას: „ყოველ შემთხვევაში საჭირო წიგნებისა და სასწავლო ნივთებს გამოგვიგზავნით, უკეთუ სწავლის დაწყებას აპირებთ. მხოლოდ შეგვატყობინეთ, რაც შეიძლება დაუყოვნებლივ, რამდენი შეგირდი სწავლობს და რამდენი წიგნი თუ სასწავლო იარაღი იქნება საჭირო და სხვადასხვანი დაწვრილებით".[145] ივანე გვარამაძის გადმოცემით მძიმე პოლიტიკური სიტუაცია შექმნილა ჯავახეთში მოხსენიებული სკოლის დაარსების გამო. კერძოდ,

ე.ა.ე.

ეღ. 3977

ფეილისის საზოგადოება

წიგნის ცოდნის გამაგრცელებელი

მართველთა შორის

ქაქაასიის სანამესტნიკოში

გამგეობა საზოგადოებისა.

№ 30

" / " [illegible] 18[illegible] წელსა.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წერილი ივ. გვარამაძისადმი

აქ მცხოვრებ სომეხ მოსახლეობას სასწავლებლის დაფუძნება მოუთხოვია ხიზაბავრის ნაცვლად სოფელ ალასტანში (ახალქალაქის რაიონი. ორივე სოფელი აღნიშნული დროისათვის ვარევანის სამამასახლისოში შედიოდა).[213] მიუხედავად ასეთი დიდი წინააღმდეგობისა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნივთიერმა დახმარებამ, ივანე გვარამაძის დაუზოგავმა შრომამ ნაყოფი გამოიღო: 1881 წლის 21 ნოემბერს სოფელ ხიზაბავრაში გაიხსნა სკოლა. ამ ფაქტის შესახებ გაზეთი „დროება“ წერდა: „ჩვენ გვატყობინებენ, რომ ახალციხის კარგა მოშორებით სოფელ ხიზაბავრაში ივანე გვარამაძეს გაუმართავს სკოლა, რომელშიდაც სწავლას დაიწყებენ ამ შემოდგომაზედ... სკოლის მასწავლებლად ამოურჩევიათ გორის სამასწავლებლო სემინარიაში სწავლა შესრულებული ყმაწვილი.“[214] დასახელებულ სკოლაში 1882 წლიდან მასწავლებლად მუშაობდა თვით ივანე გვარამაძე. ამას ასაბუთებს მის არქივში დაცული სასოფლო სკოლის მმართველის წითლანაძის განკარგულება ივ. გვარამაძის თხოვნის საფუძველზე ხიზაბავრის სკოლაში მასწავლებლად დანიშვნის შესახებ.[103] სხვადასხვა დროს ხიზაბავრის სკოლაში მასწავლებლად მუშაობდნენ: ცნობილი სახალხო მასწავლებლები კონსტანტინე გვარამაძე (რომელიც იყო დასახელებული სკოლის აღზრდილი, 1907 წელს პირადი თხოვნის საფუძველზე დაინიშნა მეორე მასწავლებლის თანამდებობაზე),[82] მიხეილ ვარძელაშვილი, თომა პაპაშვილი, ტერეზა და კოსტა შეშაბერიძეები, ივანე ბარიკალაშვილი და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი საზოგადოებრიობა და „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ შემდგომ პერიოდშიც არ აკლებდა ყურადღებას და დახმარებას ხიზაბავრის სკოლას. ივანე გვარამაძისადმი ზაქარია ჭიჭინაძის მიერ გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ: შესახებ თქვენი შკოლისა უმორჩილესად გთხოვ, რაც შეიძლება მალე მოიწეროთ შკოლის საჭიროების გამო... თხოვნაში ყველა გამოაცხადეთ, რასაც კი საჭიროებს თქვენი შკოლა.[87] მიუთითებდა, რომ თხოვნა გაეგზავნა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელზე. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართველი საზოგადოებრიობა

განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ქართველ კათოლიკეთა განათლების საკითხს ითვალისწინებდა რა მათ მდგომარეობას. ე.ი. ქართული ტიპიკონის უქონლობის გამო მათი გასომხების საშიშროებას, რის საფრთხეც რეალურად არსებობდა. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ივანე გვარამაძეს განზრახული ჰქონდა ქალებისათვის ცალკე სკოლის გახსნა სოფელ ხიზაბავრაში. აღნიშნულის შესახებ ცნობას გვაწვდის ზაქარია ჭიჭინაძე: „1883 წელს დიდ სიხარულს მწერს, რომ იქნება ხიზაბავრაში ქალების სკოლაც გაგვეხსნას, რადგანაც ჩვენი სოფლის მასწავლებელი ცოლს ირთავს და გვპირდება, რომ ჩემი მეულლე ქალებს მიიღებს სკოლაში და ასწავლისო".[54] მაგრამ მრავალი ხელისშემშლელი მიზეზის გამო ივანე გვარამაძის ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა.

ილია ალხაზიშვილის ცნობით, 1897 წლისათვის ხიზაბავრის სკოლაში 60 მოსწავლე სწავლობდა.[224] რაც იმაზე მეტყველებს, რომ აღნიშნული დროისათვის ხიზაბავრის სკოლა საკმაოდ დიდი უნდა ყოფილიყო. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რუსიფიკატორული პოლიტიკის პირობებში, ქართული სკოლის გახსნა მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა და ამასთანავე დაკავშირებული იყო უამრავ სიძნელესთან. „არც ერთი ქართული სკოლა, რაც არ უნდა პაწაწკინტელა იყვეს, არ შეიძლება გაიხსნას, თუ მას არ წავუმძღვარეთ წინ გრძელი ფორმალური მიწერ-მოწერა მთავრობასთან და არ მიიღო უკანასკნელის ნებართვა, რომელსაც იშვიათად ელირსებით. არც ერთ სკოლაში სწავლა არ შეიძლება მოიმართოს თუ არა ადმინისტრაციისაგან დამტკიცებული პროგრამით. რუსული ენა სავალდებულო საგნად ითვლება და უსათუოდ პირველი წლიდგანვე უნდა დაიწყონ მისი შესწავლა, თუ არა და სკოლას უსათუოდ ანდერძის აგება და დამარხვა მოელის",[10] — წერდა იაკობ გოგებაშვილი.

იაკობ გოგებაშვილის ეს სიტყვები კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, თუ რაოდენ დიდი შრომა გასწია ივანე გვარამაძემ ხიზაბავრის სკოლის დაარსებისათვის. უნდა აღინიშნოს, ისიც რომ სკოლის დაარსებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმაშიც, რომ ხიზაბავრამ არ გაიზიარა სამცხე-ჯავახეთის ქართული

კათოლიკური სოფლების: ტურცხის, ბავრის, კარტიკამის, ხულგუმოს და სხვათა ბედი. ე.ი გადაგვარება-გასომხება, რისი საშიშროებაც რეალურად არსებობდა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ზურაბ ქუქჩიშვილი სამართლიანად მიუთითებს, რომ სოფელ ხიზაბავრაში – ერთ-ერთ ქართულ კათოლიკურ სოფელში – 1881 წელს სკოლის გახსნით ივანე გვარამაძემ დიდი როლი შეასრულა მშობლიური ენის დაცვისა და ქართველ კათოლიკეთა გასომხების თავიდან აცილების საქმეში.[37.23-25]

ამრიგად, ხიზაბავრის სკოლა დღეისათვის საუკუნეზე მეტს ითვლის. დროთა განმავლობაში ცვლილება განიცადა. კერძოდ, დაარსებიდან რამდენიმე წლის შემდეგ გადაკეთდა ორკლასიანად, შემდეგ ოთხკლასიანად, 1925 წლიდან შვიდწლიანად და 1935 წლიდან საშუალო სკოლად.

უნდა აღინიშნოს, ისიც რომ 1991 წლის 21 ნოემბერს სოფელ ხიზაბავრაში აღინიშნა ივანე გვარამაძის დაბადებიდან 160 და სკოლის დაარსებიდან 110 წლისთავი. საიუბილეო საღამოზე მიღებულ იქნა წინადადება, რომ ხიზაბავრის სკოლას მინიჭებოდა მისი დამაარსებლის – ივანე გვარამაძის სახელი.[39] აღნიშნული წინადადება ცხოვრებაში რეალურად არ განხორციელებულა. ამდენად, სასურველია, რომ სამომავლოდ მოგვარდეს ეს საკითხი.

ივანე გვარამაძე იყო ერთ-ერთი აქტიური მონაწილე 1895 წელს რაბათში ბიბლიოთეკის დაარსებისა. გარდა ამისა, გასული საუკუნის 80-იან წლებში ქალაქ ახალციხეში იოანე ნათლისმცემლის კათოლიკურ ეკლესიასთან ივანე გვარამაძემ დაარსა სამრევლო დაწყებითი სკოლა, სადაც ბავშვები მშობლიურ ენაზე ილებდნენ და ეწაფებოდნენ პატრიოტულ და მაღალზნეობრივ იდეებს.[217] კ. გვარამაძის ცნობით, ივანე გვარამაძეს წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიასთან აგრეთვე დაუარსებია ე.წ. „წმინდა სავარდის ძმობა“, რომლის დაფუძნების უშუალო მიზანი მოხსენიებული სკოლის შენახვა ყოფილა.[249]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, XIX საუკუნეში გამაჰმადიანებას გადარჩენილი სამცხე-ჯავახეთის ქართველობა მძიმე მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი. მაჰმადიანთა ძლიერი გავლენა და ქართული ტიპიკონის უქონლობა გადაგვარებას უქადდა მათ. ქართველი კათოლიკენი სომხურ ტიპიკონზე ლოცულობდნენ და თავსაც სომხებად აღიარებდნენ. ამასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობას გვაწვდის ალექსანდრე ყიფშიძე XX საუკუნის დასაწყისის მდგომარეობით: „წირვა-ლოცვა და დანარჩენი ღვთისმსახურება სომხურადაა, ოფიციალურად და სხვა საბუთების ქაღალდში იწერებიან ასე: სომეხი კათოლიკე. ეს ოფიციალური ტერმინი აღმნიშვნელია ქართველ კათოლიკეთა სარწმუნოებისა ანუ აღსარებისა. მაგრამ, სამწუხაროდ, სარწმუნოების აღმნიშვნელი ტერმინი ეროვნებისა და წარმომავლობის აღმნიშვნელად გარდაიქმნა“.[33]

ივანე გვარამაძე, ქართველი ხალხის თავისუფლების მოყვარულ ტრადიციებზე აღზრდილი ვერ ეგუებოდა რუსიფიკატორულ პოლიტიკას და თავდადებით ეწეოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას. კერძოდ, მისი ბრძოლა მიმართული იყო სომეხ კათოლიკეთა წინააღმდეგ. ეს უკანასკნელნი, ფლობდნენ რა ტიპიკონს, ყოველი გზით ცდილობდნენ ქართველ კათოლიკეთა გასომხებას. სომეხი ნაციონალისტები თავიანთი მიზნების მისაღწევად გაზეთ „მშაკს“ იყენებდნენ. მათ ცილისმწამებლურ მტკიცებას ის წარმოადგენდა, რომ „თითქოს საქართველოში ქართველი კათოლიკენი არ არსებობენ, ისინი სომეხი კათოლიკენი არიანო“.[92]

ივანე გვარამაძის საარქივო მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე იბრძოდა ამ უსამართლო ცილისწამების წინააღმდეგ. კერძოდ, მოძიებული მასალებიდან ირკვევა, რომ სომეხი ნაციონალისტების ცილისწამების გასაქარწყლებლად მრავალჯერ მიუმართავს თვით რომის პაპისათვის და თავისი მტკიცება ვატიკანის არქივში დაცული ცნობებით შეუჯერებია. აღსანიშნავია ისიც, რომ ივანე გვარამაძე

ხშირად აქვეყნებდა გაზეთ „მშაკის“ საპასუხო წერილებსაც: „პასუხი სომეხ ნაციონალურ გაზეთ „მშაკის ავტორებს“,[92] ‘განა არიან ქართველი კათოლიკენი?“,[181] „ქართველ კათოლიკეთა კითხვაზედ“,[202] „დიაღ ყოფილან და არიან ქართველი კათოლიკენი“,[189] „გაგონება ბატონო დარბაისელნო“[84] და ა.შ. დასახელებულ წერილებში ავტორი დოკუმენტური მასალების მოშველიებით ამტკიცებდა ქართველ კათოლიკეთა საქართველოში ძველთაგანვე არსებობას. მისი აზრით, ქართველი კათოლიკენი საქართველოში თამარის დროიდან არსებობენ.

ივანე გვარამაძე კარგად ხედავდა თანამემამულეთა გასაჭირს და ცდილობდა თავიდან აეცილებინა მათთვის გადაგვარების საფრთხე, იგი ცდილობდა გონების თვალი აეხილა თანამემამულეთათვის. აღექვათ რეალური სინამდვილე. მოსალოდნელი საფრთხის მიუხედავად, დაუფარავად მოუწოდებდა: „დროა გამოეფხიზლდეთ ქართველებო, შევიცნოთ თავი ჩვენი... ნუ მიეცემით განცხრომის ცდუნებას, იოლ ცხოვრებასა და ჩინ-მენდლებზე ნუ გავცვლით მამულს, ნუ გავზრდით შვილებს უცხო წესზე, მონური სულით... დროა ქართველებო გაარჩიოთ მტერი მოყვრისაგან, სტუმრად მოსულთ მასპინძლობის უფლებას ნუ მისცემთ“.[210] ამიტომაც იყო, პირველსავე ქადაგებაში ეკლესიის ტრაპეზიდან მრევლს შეახსენა თავისი წარმომავლობა და ვინაობა. ივანე გვარამაძის არქივში დაცული დოკუმენტებიდან კარგად ჩანს, რომ იგი თავისი ცხოვრების მანძილზე ერთგულად იცავდა ქართველ კათოლიკეთ, რის გამოც სასულიერო მმართველობა მტრად გადაუდგა და მათგან მრავალი ტანჯვისა და შევიწროების ატანა უხდებოდა. აღნიშნულის შესახებ ილია მაისურაძე წერდა: „ივანე გვარამაძე და მისი თანამედრვე პეტრე ხარისჭირაშვილი... პირველნი იყვნენ, რომლებმაც გამაჰმადიანებას გადარჩენილი მესხეთის მოსახლეობას უქადაქეს გაერჩიათ ერთმანეთისგან სარწმუნოება და ეროვნება, შეენარჩუნებინათ მშობლიური ენა და მამაპაპური ტრადიციები“.[169] ასეთივე ცნობას გვაწვდის ივანე გვარამაძის ვაჟი კონსტანტინეც. იგი აღნიშნავს, რომ „ივანე გვარამაძე თავის სიცოცხლეში დევნილი იყო თავის სასულიერო მმართველობისგან, რადგანაც მან პირველმა წარმოსთქვა 1862

წლიდანვე რო კათოლიკე ქართველები, რომლებიც სომხებად აღიარებენ თავს – ქართველები არიან და არა სომხები. რის გამოც მტრობდნენ და ავიწროებდნენ ყველაფერში და ისე შეავიწროებულადვე გარდაიცვალა".[150]

სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ ივანე გვარამაძის ბრძოლას ქართველი კათოლიკებისა და ქართული ენის დაცვისათვის განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიეღია XIX საუკუნის 80-90-იან წლებში. რაც გამოწვეული ყოფილა 1882 წელს ქალაქ ახალციხეში გრაფ ეგნატიევის ჩასვლით კათოლიკეთა საკითხის გასარკვევად სომეხი მღვდლის არარატიანის დაბეზღების საფუძველზე. გრაფ ეგნატიევთან ქართველი კათოლიკე მღვდლების შეხვედრაზე ივანე გვარამაძე სპეციალურად იყო მიწვეული სოფელ ხიზაბავრიდან. როგორც ივანეს ვაჟის – ქრისტესიას მოგონებაში ვკითხულობთ, მას გრაფისათვის აღნიშნულ საკითხზე დაწერილებითი ცნობები მიუწოდებია. კერძოდ, მისთვის განუმარტავს, რომ საქართველოში ქართველი კათოლიკენი ორ ტიპიკონზე იმყოფებოდნენ: თბილისის, გორის და ქუთაისის მკვიდრნი – ლათინურ ტიპიკონზე, ხოლო ახალციხისა და ახალქალაქის კათოლიკენი – სომხურ ტიპიკონზე. ივანე გვარამაძეს გრაფისათვის აუხსნია: „ჩვენი სომეხ კათოლიკეთა ტიპიკონზე ყოფნა სრულებით არ ნიშნავს, რომ ეროვნებითაც სომეხნი ვიყოთ. სომეხ ტიპიკონზე ვართ, ეროვნებით კი ქართველნი – ენით, ზნე-ჩვეულებებით, სასაფლაოს ქვების წარწერით". ამასთანავე, მას გრაფ იგნატიევისათვის უჩვენებია ჯავახეთში ველიდან (თურქეთიდან) გადმოსახლებულ ქართველ კათოლიკეთა სოფლები: ბავრა, ხულგუმო, კარტიკამი, ტურცხი. აღნიშნული ფაქტის შესახებ თვით ივანე გვარამაძე აკაკი წერეთელს ატყობინებდა, რომ გამომძიებელი ეგნატიევი მოუტარებია მთელს ჯავახეთში და დაურწმუნებია, რომ უძველესი დროიდანვე აქ უცხოვრიათ ქართველ კათოლიკებს.[165] მაგრამ მისი ყოველგვარი ცდა საბოლოოდ უშედეგო აღმოჩნდა. 1886 წელს გამოიცა მეფის უმაღლესი ბრძანება: „კავკასიაში სომეხ კათოლიკეთა სასულიეროთათვის საარხიმანდრიტოს დაარსება

და სხვა მრავალი მის შესახებ წესდებანი". აღნიშნული ბრძანების მეექვსე მუხლით კავკასიისა და ამიერკავკასიის ყველა კათოლიკეთ როგორც რომის (ლათინის), ისევე სომეხ-კათოლიკეთა ეკლესიებში იკრძალებოდა ქართულ ენაზე ლოცვა ღვთისმსახურების დროს. აღნიშნული ბრძანების ცხოვრებაში გატარება 1893 წლის მაისიდან დაიწყო (1886-1893 წლების შუალედში ეს ბრძანება დროებით იქნა შეჩერებული მაზრის უფროსთა მიერ). შექმნილი რთული სიტუაციის მიუხედავად ივანე გვარამაძეს მაინც გამოუნახავს გამოსავალი. კერძოდ, ყურადღება გაუმახვილებია იმაზედ, რომ ქართული ენის ხმარება ეკლესიებში იკრძალებოდა ღვთის მსახურების დროს. ე.ი. წირვის დროს. ქრისტესიას გადმოცემით, ივანე გვარამაძე ჯერ სომხურ ენაზე ატარებდა წირვას, შემდეგ ქართულად ქადაგებდა და კითხულობდა სახარებას. ასეთი საქციელის გამო მაზრის უფროსთან დასმენილ მღვდელს მოხერხებულად გაუმართლებია თავი: „მაშ რა ენაზე უნდა ჩავაგონოთ მრევლს ხელმწიფის ერთგულება და მთავრობის მორჩილება, რადგან ქართული ენის მეტი სხვა არ ესმითო".[172] ხოლო ქართულ ენაზე წირვა-ლოცვის ხელახალი აკრძალვის შემთხვევაში სხვა საშუალება გამოუნახავს. კერძოდ, მისი მითითებით მრევლი სამრევლო სკოლაში იკრიბებოდა და ქართულად ლოცულობდა, ხოლო 1894 წლის 1 ნოემბერს ივანე გვარამაძემ თვითნებურად დაარღვია აღნიშნული ბრძანება – ქართული სახარება-სამოციქულო წაიკითხა და აღადგინა ძველი ეროვნული ჩვეულება ეკლესიაში. მისი რჩევითა და წაქეზებით სხვა კათოლიკე მღვდლებმაც აღადგინეს ეკლესიებში ქართულად წირვა-ლოცვა.

მოძიებული მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ ივანე გვრამაძეს სადაც კი მიუწვდებოდა ხმა ყველგან წერდა პირად წერილებს, საგაზეთო სტატიებს და ისტორიული წყაროების მეშვეობით ცდილობდა დაემტკიცებინა ქართველ კათოლიკეთა ქართული წარმომავლობა. საყურადღებოა 1896 წელს მის მიერ რომის პაპისადმი გაგზავნილი წერილი, სადაც დაწვრილებით აქვს აღწერილი ქართველ კათოლიკეთა ყოფა კათოლიკობის გავრცელებიდან XIX საუკუნის დასასრულამდე. აცნობებდა

ქართველ კათოლიკეთა დამოკიდებულებას სომხურ ეროვნულ ტიპიკონისადმი: „დროთ გარემოებათა მხოლოდ მოუხდენიათ რომ ვიპოებით დროებითად ქვეშ სომხის ტიპონის მღვდლების, რომელთა ენა სრულიად ჩვენ არ გვესმის და არც გვენატრება მათი ენა რომ შევისწავლოთ".[91] ივანე გვარამაძე რომის პაპს სთხოვდა, რომ რეალური დახმარება გაეწია „მწუხარე მდგომარეობაში" მყოფი ქართველებისათვის და ეკლესიებში მისი ნებართვით ქართულ ენაზე წარმართულიყო წირვა-ლოცვა.

ივანე გვარამაძის არქივში ასევეა დაცული ტირასპოლის ეპისკოპოსებისადმი სხვადასხვა დროს გაგზავნილი წერილების დედნები. 1897 წელს გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში იგი წერდა: „ხელს არ მოგვცემს სომხური წეს-წყობილებით დაკმაყოფილება ჩვენი და ჩვენი ერისა, ჩვენც ჩვენი ენა გვაქვს, ჩვენი მწერლობა ხელსამძღვანად.[98] იგი მიუთითებდა, რომ როგორც სომეხ კათოლიკებს, ისე ქართველებს სჭირდებოდათ საკუთარი ეროვნების მღვდლები და დიაკვანი, რომლებიც დაექვემდებარებოდნენ სარატოვის რომის კათოლიკეთ უმაღლეს საეპისკოპოსოს. ივანე გვარამაძე ტირასპოლის რომის კათოლიკეთ ეპარქიის ეპისკოპოსისაგან კატეგორიულად მოითხოვდა, რომ ერთმანეთისაგან გაერჩიათ სომეხი და ქართველი კათოლიკენი და თითოეული მათგანისათვის საკუთარი მართვის უფლება მიენიჭებინათ.

უნდა აღინიშნოს, რომ ივანე გვარამაძემ შექმნილ სიტუაციაში ბევრი რამ გააკეთა. გარდა იმისა, რომ მრავალი ახსნა-განმარტებითი ბარათი იქნა მის მიერ გაგზავნილი ტირასპოლის ეპისკოპოსთან და ხელისუფლებაში, მან კათოლიკობის საკითხზე ფართო პოლემიკა გააჩაღა პრესის საშუალებით. სწორედ აღნიშნული პოლემიკით აუხილა თვალი ქართველ საზოგადოებას, მიაწოდა მათთვის უცნობი ინფორმაცია კათოლიკობის შესახებ. ამასთანავე დაანახა ქართველ კათოლიკეთა გასაჭირი — გადაგვარების რეალური საფრთხე და მოსთხოვა დახმარება გაეწიათ მათთვის.

მესხი განმანათლებელი მადლიერებას გამოთქვამდა ზაქარია ჭიჭინაძის მისამართით — აჭარაში ქართული წერა-კითხვის გავრცელების გამო. ამასთანავე, გულისტკივილით მიუთითებდა, რომ საქართველოს მეორე კუთხეში — ახალციხეში, სადაც

ოსმალობის დროს დაიცვეს მშობლიური ენა ახლა ქრისტიან ქართველებში ცდილობენ დედა ენის მისპობას,[130] მთავრობის ბრძანებით ეკლესიებში აიკრძალა მშობლიური ენა, რომელიც ოსმალობის დროს გადაარჩინეს და ახლა უნდა გამოსალმებოდნენ სამუდამოდ. იგი აღშფოთებული მიუთითებდა ქართველ საზოგადოებას, რომ ეს იყო არა მარტო ქართველ კათოლიკეთა დაჩაგვრა, არამედ მთელი საქართველოსი, რომ არაბთა და თურქთა ბატონობამ ვერ დააცილა ეს კუთხე საქართველოს და XIX საუკუნის მიწურულში უნდა მომხდარიყო. ე.ი. ივანე გვარამაძე ქართველ საზოგადოებას ვერ პატიობდა მოსეირის როლში ყოფნას. ამიტომ იყო აღშფოთებით რომ წერდა: „კმარა ამთონი (ამდენი — ნ.ყ.) უყურადღებობა, ვთხოვ ჩვენს მოწინავე პირებს გვიშველონ რამე, მთავრობას მიჰმართონ და რიგიან ჭეშმარიტება ამცნონ“.[130] აქედან ნათლად ჩანს, რომ ივანე გვარამაძის აზრით, ქართველ ინტელიგენციას გულხელდაკრეფილს, მშვიდად არ უნდა ეყურებინა ქართველ კათოლიკეთა გასომხებისათვის. მას XIX საუკუნის ქართველების უმთავრეს დანაშაულად მშობლიური ენის დაუცველობაც მიაჩნდა.

ივანე გვარამაძის საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ მას უპასუხოდ არ დაუტოვებია სომეხ კათოლიკე მღვდელთა მიერ გამოქვეყნებული ცილისმწამებლური საგაზეთო წერილი. აკეთებდა კომენტარს და პოლემიკას უმართავდა წერილების ავტორებს. მან, წყარო-მასალებზე დაყრდნობით სამართლიანი არგუმენტებით დაასაბუთა ქართველ კათოლიკეთა არსებობა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მესხი განმანათლებელი შეძრწუნებული იყო სომეხი კათოლიკე მღვდლების უმადურობით, მათი საქციელით შეურაცხყოფილი წერდა: „რა გინდა შე კაი კაცო მოსულხარ, შემოხიზნულხარ ჩემსა და ჩემს მამა-პაპის სისხლით დაცულს, შენახულ, მზამზარეულს ქვეყანას, დაგვითმია თქვენთვის საუკეთესო სახნავ-სათესი, ტყე-ველი, მიწა-წყალი. ზურგი გაგიმაგრებია-გამდიდრებულხართ ჩვენის კაცთმოყვარეობის ჩვენებითა. ჩვენის წყალობითა, დაცვა-მფარველობის მეტი არა გვიკეთებია თქვენთვის, ჩვენს უბე-კალთაში ჩაგვივჯდენიხართ და რა არის თქვენი ეგრეთი სიბრაზე, რომ მადლიერების მაგიერ ცხვირ-პირსა და წვერს გვაგლეჯთ?“[183]

ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ ივანე გვარამაძეს ქართველ კათოლიკეთა დაცვისათვის სამართლიანად მიაჩნდა მათი მომარაგება მშობლიურ ენაზე დაბეჭდილი ლოცვის წიგნებით. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მან აფთიაქარ ანტონ მაისურაძისაგან მიიღო ოფიციალური ნებართვა, რათა გადაებეჭდათ ბიძამისის იოანე მაისურაძის 1864 წელს დაბეჭდილი ლოცვის წიგნი.

გარდა ზემოთთქმულისა, უნდა აღინიშნოს, რომ ივ. გვარამაძე ყველა გზას მიმართავდა, რათა ქართველი კათოლიკებისათვის მოეპოვებინა ქართულენოვანი ტიპიკონი ოფიციალურად და ქართული კათოლიკური ეკლესია გამოთავისუფლებულიყო სომხურ-კათოლიკური ეკლესიისაგან. ამიტომ იყო, რომ 1896 წელს დახმარება სთხოვა რომის კათოლიკურ ეკლესიას. მოგვიანებით გულისტკივილით შენიშნავდა: „იმედი გვქონდა მოგვაშორებდნენ სომეხთ კათოლიკე მმართველობისაგანო". მესხი განმანათლებლის იმედი არ გამართლდა, რადგან რომმა აღნიშნული თხოვნა განსახილველად გაუგზავნა ტირასპოლის ეპისკოპოსს — ანტონ ტერს. ამ უკანასკნელმა კი არ ისურვა თანხმობის მიცემა და უპასუხა რომ დარჩენილიყვნენ სომხურ-კათოლიკური სამღვდელოების ქვეშ".[126]

ყოველივე ზემოთთქმულიდან ნათლად ჩანს, რომ რომი გულგრილი არ იყო ქართველ კათოლიკეთა მიმართ, ხოლო ტირასპოლის ეპისკოპოსმა აღნიშნული საკითხის მიმართ პიროვნული დამოკიდებულება გამოხატა. ამიტომაც იყო, რომ ივანე გვარამაძეს არ შეუწყვეტია ბრძოლა. მან 1903 წელს ეპისკოპოსის თანამდებობიდან ანტონ ტერის გადაყენებისა და ბარონ დე როპპის დანიშვნის შემდეგ კვლავ განაახლა ბრძოლა და ახალი ეპისკოპოსის სახელზე გაგზავნა თხოვნა. „მივმართეთ წერილით ეპისკოპოს როპპს და ვთხოვეთ მაშველობა რომთან, რომ მოვეშორებინეთ სომეხ კათოლიკე მმართველობისაგან,"[192] შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულმა თხოვნამ დიდად განაპირობა ეპისკოპოს როპპის მოგზაურობა თავის ეპარქიაში და თვით სამცხე-ჯავახეთში. ეს მოგზაურობა დეტალურად აღწერა ივ. გვარამაძის ვაჟმა — კონსტანტინემ თავის წიგნში: „ყოვლად

სამღვდელო რომის კათოლიკეთა ტირასპოლის ეპარქიის ეპისკოპოსი ედუარდ ბარონ დე როპპი და მისი მოგზაურობა საქართველოში".

ავტორის მითითებით ეპისკოპოსის ჩამობრძანების მიზეზს სტეფანე ზუბალაშვილის მიერ ბათუმში აგებული კათოლიკური ეკლესიის კურთხევა წარმოადგენდა, ხოლო მიზანი იყო, ეპისკოპოსის მიერ სამწყსოს გაცნობა და ამასთანავე ქართველ და სომეხ კათოლიკეთა დაზავება. როგორც ირკვევა ეპისკოპოსის დამხვედრ დელეგაციას ხელმძღვანელობდა ივანე გვარამაძე. მან სოფელ ხიზაბავრაში მის საპატივსაცემლოდ გამართულ სადილზე სთხოვა რომ ბოლო მოღებოდა ქართველ და სომეხ კათოლიკეთა შორის გამართულ კამათს. მესხი განმანათლებლის მიერ მიწოდებულმა დაწვრილებითმა ცნობებმა და ახსნა-განმარტებებმა, სიტყვით გაგონილმა და საკუთარი თვალით ნანახმა ეპისკოპოსი დაარწმუნა ქართველი კათოლიკების მიერ ქართული ტიპიკონის მოპოვებისათვის წარმოებული ბრძოლის სამართლიანობაში.[199] სწორედ ამიტომ იყო, რომ აღუთქვა ქართველ კათოლიკებს რომის კათოლიკურ ეკლესიასთან შუამდგომლობა. ეპისკოპოსმა კეთილგანწყობის მიუხედავად ქართველ კათოლიკებს თხოვნა ვერ შეუსრულა.

მოძიებული მასალებიდან ირკვევა, რომ ივანე გვარამაძეს ამის შემდგომაც არ შეუწყვეტია ბრძოლა ქართული ტიპიკონის აღდგენისათვის. კერძოდ, მრევლის სახელით ქართულ ეკლესიებში ქართული ტიპიკონის აღდგენის მოთხოვნა ორგზის წაუყენა ახლად დანიშნულ ეპისკოპოსს – იოსებ კესლერს. იგი ეპისკოპოსისაგან კატეგორიულად მოითხოვდა: „გამოგვიყვანეთ სომეხთ კათოლიკე სასულიერო მმართველობისაგან და შეგვიყვანეთ პირდაპირ თქვენს მმართველობის ქვეშ, რომ რიგიან (კარგ – ნ.ყ.) წეს წყობაში შევიდეს ჩვენი ეკლესიები და საეკლესიო-საერო სასწავლებლები და წმ. სავარდის ძმობა".[192] აღნიშნულ შემთხვევაშიც შედეგი იგივე იყო. მიუხედავად იმისა, რომ თვით ივანე გვარამაძის მიერ ტირასპოლის რომის კათოლიკეთა ეპარქიის ეპისკოპოსების სახელზე მრავალჯერ იქნა გაგზავნილი თხოვნა ქართული ტიპიკონის აღდგენის შესახებ,მათი მხრიდან

დიდი დაინტერესება არ ჩანდა და მხოლოდ იმით კმაყოფილდებოდნენ, რომ სიტყვიერ დაპირებას აღუთქვამდნენ რომის პაპთან შუამდგომლობის აღძვრის შესახებ. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ ქართველმა კათოლიკებმა იმ ეტაპზე ვერ მიაღწიეს მიზანს, შეიძლება ითქვას, რომ მათ ბრძოლას უშედეგოდ მაინც არ ჩაუვლია. კერძოდ, ივ. გვარამაძის თაოსნობით წარმოებულმა ბრძოლამ ქართველ კათოლიკებს გაუღვიძა ეროვნული თვითშეგნება მაშინ, როცა მათ თავი სომეხ კათოლიკეებად მიაჩნდათ. ქრისტესია გვარამაძე სამართლიანად დაასკვნიდა ივანე გვარამაძის მისამართით: „მისი წყალობით იწოდნენ ქართველ კათოლიკეთო“.[172]

ეს უდაოდ დიდი ჭეშმარიტება იყო, რამდენადაც არქიმანდრიდ პავლე შაჰყულიანის მიერ შემოღებული და დამკვიდრებული ტერმინი „სომეხ კათოლიკე“, რომელიც ქართველ კათოლიკეებზეც ვრცელდებოდა, სწორედ ივანე გვარამაძემ თავისი დაუღალავი ბრძოლით შეცვალა და კვლავ აღადგინა ტერმინი – „ქართველი კათოლიკე“. როგორც ერთ-ერთი საგაზეთო სტატიაში ვკითხულობთ: „მხოლოდ ეს მამა ივანე იყო, რომ ქართველ კათოლიკეებს მეტრიკულ მოწმობაში „ქართველ კათოლიკეს“ უწერდა.“[262]

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ივანე გვარამაძის შეუპოვარი ბრძოლა ქართული ტიპიკონის დამკვიდრებისათვის მისი სამსახურიდან დათხოვნის მთავარი მიზეზი გახდა. აღნიშნულს ასაბუთებს ერთ-ერთი საგაზეთო კორესპოდენციაც: ‘მესხეთში, ქ. ახალციხეში ქართველ კათოლიკეთა მღვდელს მამა ივანე გვარამაძეს 1910 წელს ქართველ კათოლიკეთა ეკლესიაში შუა წირვის დროს ქართულად სახარება უნდა წაეკითხა... არხიმანდრიტ ტერ აბრამიანცმა აუკრძალა ქართულ ენაზე სახარების წაკითხვა. მამა ივანე არ დასთანხმდა, რის შედეგადაც იგი დაითხოვეს. იმ დროს მესხეთში მხოლოდ ეს მამა ივანე იყო, რომ ქართველ კათოლიკებს მეტრიკულ მოწმობებში „ქართველ-კათოლიკეს“ უწერდა.[262] სამსახურიდან დათხოვნამ და თავის მრევლთან დაშორებამ კათოლიკე მოძღვარს მალე მოუსწრაფა სიცოცხლე.

წარმოდგენილი მასალების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ივანე გვარამაძე შორს იდგა სამღვდელოების იმ ნაწილისაგან, რომელიც პირადი მატერიალური უზრუნველყოფისათვის მეფის რუსეთს ერთგულ სამსახურს უწევდა. პირიქით, იგი ყოველთვის მშრომელი ხალხის გვერდით იდგა და მის ინტერესებს იცავდა. უფრო მეტიც, ივანე გვარამაძის, როგორც მღვდლის საქმიანობა მისაბაძი იყო სასულიერო პირთათვის. მაგრამ მარტო თავისი სამაგალითო ქცევით არ კმაყოფილდებოდა და მოუწოდებდა: „სასულიერო პირნო, მღვდელ-მთავარნო, მოძღვარნო, ბერნო და მღვდელნო ქრისტეს ნამეტნის სიყვარულითა, ერთობითა უწინამძღვრეთ თქვენსა სამწყსოსა, თქვენს ერსა, ყოველგვარს სათნოების კაცთმოყვარეობის გზაკვალზედ მსვლელობის მაგალითნი საქმით აჩვენეთ".[180] მისი შეხედულებით, სასულიერო პირთ შესისხლხორცებული, გათავისებული უნდა ჰქონოდათ მაცხოვრის დარიგება: „თქვენ ხართ მარილნი ქვეყნისანი".

ივანე გვარამაძე წინამძღოლობდა სამცხე-ჯავახეთში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, იგი დაუღალავად იბრძოდა თავისი ხალხის მიძინებული ეროვნული თვითშეგნების აღდგენისათვის. ამიტომ იყო, რომ თავის ხალხს უქადაგებდა: „გამოიღვიძეთ მესხ ქართველნო, გამოფხიზლდით, მოიშორეთ თავითგან უმეცრების-უზრუნველყოფის მაკვდინებელნი ღრმაძილნი".[80] მოძიებული მასალებიდან ირკვევა, რომ ივანე გვარამაძეს ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების მეორე აუცილებელ პირობად ერის გამთლიანება მიაჩნდა: „თუ როდისმე წარმატებულა კაცობრიობა ქვეყანაზედ მხოლოდ ერთობით წარმატებულა"[158] — წერდა იგი. ე.ი. აქედან ნათლად ჩანს, რომ ივანე გვარამაძე ილია ჭავჭავაძისა და თერგდალეულთა მიმდევარი იყო. სწორედ მის მიერ წარმოებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა იყო დევნულობის ძირითადი მიზეზი. ივანე გვარამაძის არქივში დაცული საქმიანი ქაღალდებიდან ნათლად ჩანს, თუ რეაქციული სამღვდელოება როგორ ავიწროებდა და სდევნიდა, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჰყავდათ, მეორედან-მესამეზე და თანაც ყოველგვარი დაფარვის გარეშე მიუთითებდნენ მის მიერ დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლების მიზეზს:

„როდესაც თქვენ გაისწორებთ ხასიათს და დაწყნარდებით მაშფოთრობისაგან სრულიად, მაშინ პრეველნიმ უნდა მოგანიჭოს თქვენ ახალი თანამდებობა“.[118]

ოჯახურ წრე, ივანე გვარამაძე — მამა და აღმზრდელი

მიუხედავად იმისა, რომ ივანე გვარამაძეს მთელი სიცოცხლის მანძილზე ჰქონდა გაწამებული ცხოვრება, ოჯახთან ერთად უხდებოდა დაუსრულებელი მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთის ერთი სოფლიდან მეორეში და მრავალ შეურაცხყოფას იტანდა, მაინც არ წყნარდებოდა „მაშფოთრობისაგან“, თავის მამულიშვილურ ვალს მშობელი ხალხისა და კუთხის წინაშე ერთგულად იხდიდა. თუ რამდენად გაჭირვებულ ყოფაში უხდებოდა ცხოვრება, ნათლად ჩანს ზაქარია ჭიჭინაძის გადმოცემიდან: „ივანე გვარამაძეს თავის ოჯახსა და ცხოვრების საქმეებში მუდმივი გაჭირვება აწვა კისერზედ. იგი ცხოვრობდა მეტად ღარიბად. 1881 წელს, როცა მე მისი სახლ-კარი და შინაური მოწყობილობა ვნახე სოფელ ხიზაბავრას, უნდა მოგახსენოთ, რომ ძრიელ გამიკვირდა, დიდს სიღატაკეს, დიდს გაჭირვებას იტანდა. თავის სახლობით ცხოვრობდა სრულიად უბრალოდ, თითქმის ღატაკთ უარეს მდგომარეობაში და ამ დროსაც კი მას არ უღალატებია თავის პირად ღირსებისათვის და გლეხკაცობა არ შეუწუხებია“.[54] ცხოვრების მძიმე პირობების მიუხედავად ივანე გვარამაძე ეწეოდა მრავალმხრივ მოღვაწეობას და ამავე დროს დატოვა მდიდარი მემკვიდრეობა, რომლის გაცნობა ბადებს ბუნებრივ კითხვას — თუ როგორ მოასწრო ყველაფერი ეს ერთი სიცოცხლის მანძილზე ნახევრად მშიერმა და დევნილმა პიროვნებამ. ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისით ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ გავეცნობით მისი ცხოვრების ჩვეულებებს, რაშიც ისევ მისი ვაჟის — კონსტანტინეს ჩანაწერები დაგვეხმარება: „ივანე გვარამაძე მთელ დღეს, დილის რვა საათიდან ნაჩაიევს თავის სამწერლო მაგიდაზე ნახავდით თავწაღებულს. ბატისფრთის კალმით სულ ერთთავად სწერდა, რომელსაც გარშემო ბევრნაირი წიგნები ეწყო

სახელმძღვანელოთ, შესათანხმებლად ცნობებისა... შუადღეს ისადილებდა. ნასადილევს ნახევარ საათს ბოლთას სცემდა გარედ კარმიდამოზედ, თუ ავდარი იყო სახლში. შემდეგ თვალს წაატყუებდა... 20-25 წუთს იძინებდა, ადგებოდა და მიუჯდებოდა თავის საწერს. საღამოს მზის ჩასვლამდე არ ადგებოდა. ერთი საათით ქალაქს გარედ გაისეირნებდა დაბნელებამდე. როცა აასინათლებდნენ საღამოს, წიგნს გაშლიდა საკითხავად, წერას კი თავს ანებებდა. ხოლო ვახშმის შემდეგ ბოლთას სცემდა ოთახში და თან საუბრობდა რასმეზე ცოლ-შვილთან და დაიძინებდა... ადგებოდა ახალ გათენებულზე. არასდროს ბაზარში არ გაიარდა უბრალოთ, არც სავაჭროდ. ქორწილსა და ქელეხში ის არასდროს დაიარებოდა, თავის ღვთისმსახურებას რა შეასრულებდა სახლს უბრუნდებოდა თავის საწერათ."[150]

სწორედ დაუღალავი შრომის შედეგად შეიქმნა ის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომელიც დაცულია სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში, ლიტერატურისა და ხელნაწერთა ინსტიტუტებში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ივანე გვარამაძეს ნაყოფიერ მოღვაწეობაში ხელს უწყობდა თავისი ღირსეული მეუღლე – ანნა ფალიაშვილი.

კონსტანტინე გვარამაძე დედის შესახებ წერდა: „დედა ჩვენი, ზნე-კეთილობით წარმატებული ყოველთ შემწყალე, საქმე-ყოფაში დაუღალავი, გლახაკთა მწყალობელი და სტუმართ მიმღები, ჭირნაველში მეტად მომთმენი, ღვთის მოშიში და ღვთის მსახური იყო." ამ ვრცელი ამონაწერიდან კარგად ჩანს, თუ ანნა ფალიაშვილის სახით, როგორი პიროვნება იყო დიდი მესხი მოღვაწის ცხოვრების მეგობარი და როგორი დიდი ტკივილი იქნებოდა მისთვის ასეთი მეულლის დაკარგვა, რაც შთამბეჭდავად გამოხატა ლექსში – „ივანე მღვდლის გვარამაძის გლოვა".

„ჩემს ჭირში ნუგეშის მცემი, წყლულზე სალბუნის მდებია,
ჩემს სიმწუხრეში გულ-მშლელი, ჩემის ლხინის მზადებია,
ჩემი შვება, სიხარული, სიკეთების მწადებია
ჩემთვის მას ვერ ედრებოდა თვის ტომი, ძმა და დებია".[78]

კონსტანტინე გვარამაძის გადმოცემით: „თანაუგრძნობდა მამაჩვენის მწერლობითს და ნაირ-ნაირ ღონე საშვალების მოღვაწეობითა სოფლით ქალაქამდის და ითმენდა სულგრძელობით

მისგან წარმომდგარ დევნულობითა და მრავალნაირ გაჭირვებითა გვარის გასანათებლად და წარსამატებლად ღვთის მსახურებაში. რის გამოც შემდგომ ნელ-ნელა დასნეულდა და ემსხვერპლა კეთილ მიმართულებასა".[77] გარდა ამისა, მან აღზარდა ხუთი შვილი, ოთხი ვაჟი და ერთი ქალი: ქრისტესია, კონსტანტინე, თამარი, ოქროპირი და ჭაბუა. ქრისტესია პროვიზორი იყო, ოქროპირი — ისტორიკოსი, ჭაბუა (გაბრიელი) — მღვდელი, კონსტანტინე მამის კვალს გაჰყვა, იყო პედაგოგი, ხალხური ზეპირსტყვიერების შემკრები და სიძველეთა დამცველი, მოგზაური, ფოლკლორისტი, მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადოებრივ და საქველმოქმედო საქმეთა თაოსანი, მრავალი ქართული ჟურნალ-გაზეთის კორესპონდენტი, სადაც კორესპონდენციებს ბეჭდავდა შემდეგი ფსევდონიმებით: „მოკეთე", „აპრაჭიჭა," „ქართველი კათოლიკე", „კუნაპეტი", „შხამიანი ისარი", „ქარცეცხლი", „აგურულებული მესხი", „მესხი კოტე გვარამაძე", „მ. გ. კ.". აქვეყნებდა კორესპონდენციებსა და წერილებს სამცხე-ჯავახეთის შესახებ.[151] მის სახელს უკავშირდება „მოკეთის" სახელწოდებით ორი კოოპერატივის დაფუძნება სოფელ ხიზაბავრასა და ქახალციხეში, იყო ქ. ახალციხეში არქივის დამფუძნებელი და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაარსების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე. მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობის გამო 1929 წელს დაენიშნა პერსონალური პენსია.[43]

ივანე გვარამაძე ცდილობდა, რომ თავისი შვილების სახით საქართველოსათვის აღეზარდა ღირსეული მამულიშვილები ეროვნული სულისკვეთებით. რასაც მიაღწია კიდევაც. ამ მხრივ საინტერესოა ოქროპირის წერილი ძმის ქრისტესიასადმი (საუბარია პასპორტზე): „კარგი იქნებოდა, რომ შიგ არ ჩაგეწერინებინა საზიზღარი სომეხი. მე უნდა ვყოფილიყავი, რომ კბილები ჩამენტვრია დამწერისთვის, სომეხ კათოლიკეს მე მაინც წავხაზამ ან ამოვხოცამ, თვალებს დაუბრმავებ".[117]

არანაკლებ საყურადღებოა ივანე გვარამაძის ვაჟის — ქრისტესიას პიროვნება და მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა. იგი იყო სამცხე-ჯავახეთის ქართველ კათოლიკეთა სათემო

კომიტეტის თავმჯდომარე, პროგრესულად მოაზროვნე პიროვნება და პატრიოტი. სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში ინახება მის მიერ 1917 წლის 1 ოქტომბერს კათალიკოს კირიონ II-დმი გაგზავნილი მილოცვა ქართული ეკლესიის განთავისუფლებისა და შელახული უფლებების აღდგენის შესახებ.[117]

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მის მიერ სსრკ-სა და საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ვ.ეგნატაშვილისადმი გაგზავნილი განცხადება, სადაც ისტორიულად არის ახსნილი „ველელების“ წარმომავლობა: კერძოდ, ის რომ ველელები არიან ქართველი კათოლიკენი, რომელთაც თურქთა ბატონობის პერიოდში შეინარჩუნეს სარწმუნოება და დაკარგეს დედა ენა, ხოლო ჯავახეთში (ბავრა, ხულგუმო, კარტიკამი, ტურცხი) ჩამოსახლების შემდეგ მათ გაუხსნეს სომხური სკოლები. იგი ითხოვდა, რომ თვითგამორკვევის საფუძველზე გამოსწორებულიყო ეს შეცდომა და თავიდან აეცილებინათ მათი გადაგვარება-გასომხება“.[71]

ქრისტესია მამასთან ერთად დაუღალავად იბრძოდა ქართველ კათოლიკეთა დასაცავად. იგი ხმამაღლა აცხადებდა: ‘სარწმუნოებით კათოლიკენი ვართ, სომხის კათოლიკეთ ტიპიკონი გვაქვს და ტომით კი ისევ ქართველნი გახლავართ“. იგი წინააღმდეგი იყო, რომ ქართულ კათოლიკურ ეკლესიებში სომხური ენა გამეფებულიყო: ამ რიგობით (სომხური ტიპიკონი – ნ.ყ.) სომხური ენა გაამეფონ ჩვენ ეკლესიებში, შემდეგ ჩვენ სამრევლო შკოლებსაც ჩაიგდებენ ხელში და საუკუნოთ მშვიდობით ოსმალოსაგან ვაივაგლახით დაფარულო დედა ენავ, სომხებისაგან წამებულო დედა ენავ“.[179] ქრისტესია სთხოვდა მოწინავე პირებს, რომ მთავრობისათვის მიემართათ თხოვნით და გამოეყვანათ ქართველი კათოლიკენი „შეჭირვებულის მდგომარეობიდან“.

ივანე გვარამაძემ, როგორც მამამ, მართლაც, პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა – სამშობლოს აღუზარდა ერთგული, განათლებული, ეროვნულის სულისკვეთების მქონე შვილები. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ივანე გვარამაძეს ჰყავდა ღირსეული წინაპრები და შთამომავლობა (იხ. ტაბულა №1).

ივანე გვარამაძე იყო არა მარტო კარგი მამა, არამედ ალზმრდელი მრავალი ღირსეული მამულიშვილის, რომლებიც ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ თავიანთი სიცოცხლის მანძილზე: ალიოზ ბათმანაშვილი — საქართველოს ისტორიისა და სასულიერო მუსიკის მკვლევარი, კონსტანტინეპოლის ქართული სასულიერო სემინარიის პროფესორი, იოსებ ლაზარაშვილი — ცნობილი დრამატურგი, მიხეილ თამარაშვილი — ისტორიკოსი, პროფესორი, რომელმაც დიდი ამაგი დასდო ქართველ კათოლიკებს. ევროპის სახელმწიფოთა არქივებში მოძიებული მასალებით დაასაბუთა, რომ ქართველი-კათოლიკე მრევლი საქართველოში გაჩნდა XIII საუკუნეში. მას ეკუთვნის შესანიშნავი ნაშრომები: „კათოლიკობის ისტორია ქართველთა შორის და ქართველი კათოლიკები", „ქართული ეკლესიის ისტორია", „პასუხად სომეხ მწერლებს". მიხეილ თამარაშვილი სწორედ ივანე გვარამაძის ხელშეწყობით გაემგზავრა იტალიაში 1891 წელს. მას სიკვდილამდე არ შეუწყვეტია ურთიერთობა თავის მოძღვართან. მიხეილი ივანე გვარამაძეს წერილების საშუალებით აცნობდა თავისი მუშაობის შედეგებს და უზიარებდა მოსაზრებებს სხვადასხვა საკითხებზე. დღეისათვის გვარამაძის არქივში დაცულია მ. თამარაშვილის მიერ გამოგზავნილი 60-მდე წერილი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საყვარელი მოსწავლის დაღუპვის ცნობამ დააჩქარა მოხუცი მასწავლებლის — ივანე გვარამაძის გარდაცვალება. ივანე გვარამაძე ერთ-ერთ წერილში დაწვრილებით აღწერს მიხეილის სიკვდილით გამოწვეულ განცდებს: „მაშინვე კალამი ხელითგან გამივარდა, თავზარი მეცა, თავბრუ დამეხვა, გამიშრა სისხლი, პირში ნერწყვი გამიწყდა. გულღვიძლზედ შხამგესლით აქფებული კაეშანი გარდამესხა და მეტად გამიმწარა უმისოდაც დანაღვლიანებული დაშხამული სიცოცხლე მრავალნაირის ნაღველითა, ამ სნეულს მოხუცებულობის და უსამართლო სასულიერო დევნულობის და მიწასთან გასწორების დროს".[187] მ. თამარაშვილი ივანე გვარამაძისათვის იყო არა მარტო საყვარელი მოსწავლე, არამედ ერის მოამაგე, მეცნიერი, ქართველ კათოლიკეთა დიდი ქომაგი. იგი სწუხდა იმის გამოც, რომ არ ეგულებოდა მიხეილის საქმის გამგრძელებელი: „მუხლებს ვიტყებ

და თავში ვიცემ, რომ აღარავინ მეგულება მისი მომაგიერე, მისებრ ნამდვილი განათლებული... რომ ცოტა კიდევ ეცოცხლა ვინ იცის, რომის და ევროპის საწიგნეებში ყოფილ რამდენს დიდ სასარგებლო ისტორიული ცნობით როგორ განგვიმდიდრებდა და გაგვიმაგრებდა წელ-ზურგსა".[187]

ივანე გვარამაძე თვით იყო თავისი აღზრდილებისათვის კარგი მაგალითის მიმცემი, ისინი ცდილობდნენ მისი მაგალითით ეცხოვრათ და ემოღვაწათ. 1907 წლის 2 იანვარს ალიოზ ბათმანაშვილი თავის მასწავლებელს წერდა: „თქვენი ბიოგრაფია წავიკითხე ზაქარია ჭიჭინაძისაგან შედგენილი, ძალიან მომეწონა აღწერილი ცხოვრება, იგი მიმიღია გეგმად ჩემის მოქმედებისა. ღვთის სიყვარულთან ერთად მამულის სიყვარულსაც ვუქადაგებ ჩემს მრევლს... აგრეთვე ძალიან მომწონს თქვენი მოღვაწეობა მწიგნობრობაში და მაქვს ამაშიც გარდაწყვეტილი თქვენ მოგბაძოთ".[122]

ფოლკლორისტული მოღვაწეობა

ივანე გვარამაძის მრავალმხრივი საქმიანობიდან აღსანიშნავია მისი ფოლკლორისტული მოღვაწეობაც, რასაც იგი გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული სიკვდილამდე ეწეოდა. იგი, თურქთა მრავალწლიანი ბატონობის მიუხედავად მოსახლეობაში შემორჩენილ ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს კრეფდა და აქვეყნებდა ქართული პრესის ფურცლებზე. კერძოდ „ივერიასა" და „დროებაში", „კვალსა" და „კრებულში", „მოამბესა" და „მოგზაურში". ამასთანავე, მის მიერ მოძიებული მასალები ექვთიმე თაყაიშვილმა ჯერ კიდევ 1914 წელს შეიტანა თავისი რედაქტორობით გამოცემულ კრებულ „ძველ საქართველოში"; იაკობ გოგებაშვილმა კი დედა-ენაში (მაგ: „საბრალო დედაბრისა," „თხა და ვენახი", „კურდღელი"), აკაკიმ ჟურნალ „აკაკის კრებულში". კერძოდ, ივანე გვარამაძის მიერ არის ჩაწერილი ლექს-სიმღერები, ე.წ. „სუფრულები", საბავშვო,

ლირიკული და ისტორიული ხასიათის ლექსები, ანდაზები და გამოცანები, სიტყვა-გამოთქმები და ა.შ. მის ჩანაწერებში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს „სუფრულებს“, რომელთა უმრავლესობა ჩაწერილია სოფელ ხიზაბავრაში და დამოწმებულია მესხეთის სხვა სოფლებსა და „საქართველოს საიმერეთოში“ (ე.ი. დასავლეთ საქართველოში. მან იცოდა, რომ თურქთა ბატონობის პერიოდში დიდმა ნაწილმა მოსახლეობისამ დასავლეთ საქართველოს შეაფარა თავი). იგი მესხური სუფრულების შესახებ წერდა: „ამისთანა მტკიცე ხასიათისა და გვარის მოყვარულს ხალხში დარჩენილა მესხური სუფრულები შემკულ გამშვენებულნი საუცხოო კილოებით, რომელთ ბადალი არსად მგონია რომ იყოს კიდევ დარჩენილი.“[185] ივანე გვარამაძე იხვეწებოდა, რომ ვინც შეძლებდა ნოტებზე გადაეღო ეს სუფრულები, რადგან დღითიდღე დავიწყებას ეძლეოდა სუფრულების კილოები, ხოლო მათი მცოდნე მოხუცები ტოვებდნენ ამ წუთისოფელს. მათგან ნასწავლს კი ზოგი ივიწყებდა და ზოგიც ამახინჯებდა. მან შემოგვინახა სუფრულების მცოდნე ხიზაბავრელთა ვინაობაც; „მრავალნი მოხუცებულნი იყვნენ ხიხაბავრას მცოდნე კარგის სუფრულებისა, როგორც ლეკოთ პავლე, მამუკათ პეტრე, ველიჯანათ პავლე, დათათ იაკობი, მაზმიანთ იაკობი, მაზათ ბერნადე, ხუციანთ სიმონი და სხვა“.[185]

უნდა აღინიშნოს ისიც, ივანე გვარამაძე თვითონ იყო მესხური სუფრულების შესანიშნავი მცოდნე. ამასთან დაკავშირებით ზაქარია ჭიჭინაძე წერდა: „მესხეთში და ჯავახეთში არ ყოფილა არც ერთი სასიმღერო კილო, რომ ივანე გვარამაძემ კარგად არ იცოდეს“.[54] თვითონ ივანე გვარამაძე მიუთითებდა, რომ მან შეკრიბა და ამავე დროს, შეძლებისამებრ აღადგინა-შეავსო მესხეთის ძველებური გალობები და სუფრულები, რაც უხმარიათ წვეულებას, ნადიმსა და ლხინში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მან მოძიებულ სუფრებს ერთად მოუყარა თავი „სამესხეთოს ძველი სიტყვიერება“ უწოდა და იუბილარ მგოსანს — აკაკი წერეთელს უძღვნა.


ივანე გვარამაძის მიერ არის ჩაწერილი აგრეთვე ისტორიული ხასიათის ლექსები („ასპინძის ომი“, „მეფე ერეკლე ასპინძის

ციხეში", „რუსთავის ციხე", „საუკუნო გმირი", „სარწმუნოების მსხვერპლი"); მესხეთში ხმარებული ანდაზები და გამოცანები, რომლებშიც ნათლად ჩანს მესხი ხალხის გონიერება. მან შესანიშნავად იცოდა, რომ თავისი კუთხის ისტორია, ხალხის ხასიათი და ინტელექტი ახასიათებდა ზეპირსიტყვიერებაში, რომელიც წარმოადგენდა ეროვნულ საუნჯეს. ამიტომ, ენერგიას არ იშურებდა, რომ არ დაკარგულიყო მესხი კაცის ნააზრევი.

ივანე გვარამაძის საოჯახო მუზეუმი

მოძიებული მასალებიდან ირკვევა, რომ ივანე გვარამაძე ჯერ კიდევ ახალგაზრდობისას ხშირად მოგზაურობდა სამცხე-ჯავახეთის სოფლებში, აჭარაში და თურქეთის ტერიტორიაზე, სადაც კი ქართველები ცხოვრობდნენ. ასეთი მოგზაურობის დროს ზეპირსიტყვიერების ნიმუშებთან ერთად იგი აგროვებდა არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ, ისტორიულ მასალებს. კერძოდ, ნუმიზმატიკურ მასალებს, ხელნაწერ წიგნებს, ცხოველთა ნაშთებს, ძველ სამკაულებს, საბეჭავებსა და სხვადასხვა ნივთებს. სწორედ მოძიებული მასალით მოაწყო საოჯახო მუზეუმი.

ივანე გვარამაძის მოღვაწეობის ამ სფეროსთან დაკავშირებით დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის მისი ვაჟი — კონსტანტინე. მისი გადმოცემით, ივანეს ჰქონია შეგროვილი როგორც ქართული, ისე უცხოური ნუმიზმატიკა, ხელნაწერი ლიტერატურა, ბრინჯაოს, რკინისა და ქვის ხანის ცულები, შუბები და სხვა იარაღები, ჭურჭელი, ჩაჩქნები, ადამიანის თავის ქალა, ჰერბარიუმები, აგრეთვე გეოლოგიური კოლექციები და სხვადასხვა იშვიათი ნივთეულობანი, რომელიც თავის სამუშაო კაბინეტში ჰქონია მოთავსებული. კონსტანტინე წერდა: „მისი კაბინეტი სწორედ ერთგვარ იმ დროის საუცხოო მუზეუმს შეადგენდა, რომლის სანახავად და გასაცნობად ბევრი მეცნიერი, ისტორიკოსი და უცხოეთის ტურისტებიც კი ესტუმრებოდნენ ხოლმე".[150] სტუმართა შორის ასახელებს მოსკოვის ისტორია-ეთნოგრაფიის საზოგადოების თავმჯდომარეს — გენერალ კომაროვს, რომელიც 1882 წელს



ივანე გვარამაძის სამუშაო კაბინეტი

სწევია ივანე გვარამაძეს სოფელ ხიზაბავრაში, იქ რამდენიმე დღეს დარჩენილა და გასცნობია მის ნუმიზმატიკურ მასალას. უფრო ადრე მისი სტუმარი ყოფილა ქალბატონი უვაროვისა. ხოლო 1910 წელს ლონდონის ისტორია-ეთნოგრაფიის საზოგადოების წევრი, მსოფლიო მოგზაური — პრაისი. იგი ხუთ დღეს დარჩენილა ახალციხეში, ივანე გვარამაძისაგან თავის მსოფლიოს გარშემო მოგზაურობის წიგნ-რვეულში ჩაუწერია სამცხე-ჯავახეთის ისტორიული და არქეოლოგიური ცნობები. პრაისი განსაკუთრებით განუცვიფრებია ვერცხლით მოჭედილ ყდაში ჩასმულ ბატის ფრთის კალმით ნაწერ პატარა წიგნს, რომლის შესახებ აღუნიშნავს, რომ თავისი ზომითა და მშვენიერი ხელოვნებით მთელ მსოფლიოში მეორე კატეგორიათ ჩაითვლებაო (პირველი ინახება ლონდონის ბიბლიოთეკაში). ამასთანავე, გამოუთქვამს მისი შესყიდვის სურვილი 100000 ფრანკის საფასურად. ივანე გვარამაძემ უცხოელის სურვილი ვერ შეასრულა.[57]

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ივანე გვარამაძის მიერ შედგენილი მსოფლიო მნიშვნელობის წიგნის არსებობა დღემდე არ არის ცნობილი ქართველი საზოგადოებისათვის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ივანე გვარამაძის მიერ მოძიებული მასალა თავმოყრილი იყო მის ოჯახში (რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობით გადავიდა მისი ვაჟის — კონსტანტინეს კუთვნილებაში), ხოლო 1923 წელს მისი საოჯახო მუზეუმისა და გაუქმებულ ეკლესიებში შეკრებილი მასალების საფუძველზე ქალაქ ახალციხეში დაარსდა სამაზრო მუზეუმი (რომელსაც უბინაობის გამო დიდხანს არ უარსებია). დასახელებული მუზეუმის პირველ გამგედ დანიშნული იყო ღვინიაშვილი, ხოლო 1924 წლიდან მუზეუმს მართავდა კონსტანტინე გვარამაძე. საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ თავდაპირველად მუზეუმის მოწყობა გათვალისწინებული ყოფილა ებრაელთა სინაგოგაში.[56] 1937 წელს კონსტანტინე გვარამაძის მეცადინეობით კვლავ გაიხსნა მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო ძველი არქივ-მუზეუმის მასალა.[53]

აღნიშნულთან დაკავშირებით საყურადღებოა ისიც, რომ სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში ინახება 1937 წლის 10 ივნისს შედგენილი ოქმი კონსტანტინე გვარამაძისაგან სამუზეუმო კოლექციების შესყიდვის შესახებ, რომელსაც ერთვის შესაძენი ნივთებისა და ხელნაწერების სია. ამასთანავე, ოქმიდან ჩანს, რომ აღნიშნული მასალა შეფასებული იქნა 15000 მანეთად.[53.1] დასახელებულ მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში ასევე დაცულია 1938 წლის 14 მაისით დათარიღებული დასკვნა შედგენილი ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის დავით ლობჟანიძის მიერ მოწვეული კომისიისა (წევრები: სერგი მაკალათია და სოლომონ ცაიშვილი). როგორც ორკვევა კომისიას გადაუსინჯავს კონსტანტინე გვარამაძის ოჯახში დაცული სამუზეუმო მასალა და მიზანშეწონილად უცვნია აღნიშნული ქონების მთლიანად შეძენა და მუზეუმში გადატანა.[146] განხილული მასალის საფუძველზე, ვფიქრობთ, სამართლიანი იქნებოდა თუ სამცხე-ჯავახეთის მუზეუმს დაერქმეოდა ივანე გვარამაძის სახელი, რადგან სწორედ მისი საოჯახო მუზეუმის მასალების საფუძველზე აღმოცენდა იგი და ხელნაწერთა ფონდის 70%-ს მისი პირადი არქივი შეადგენს.

„მესხეთ-ჯავახეთის მემატიანე“

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ივანე გვარამაძე გრძნობდა XIX საუკუნის დასასრულს სამცხე-ჯავახეთში გამაჰმადიანებას გადარჩენილი ქართველობის გადაგვარების რეალური საფრთხის არსებობას. ამ საფრთხის მოსპობაში იგი მნიშვნელოვან როლს ანიჭებდა ქართული ენის დაცვასა და საქართველოს ისტორიის შესწავლას. პროფ. გიორგი ჯალაბაძე სამართლიანად აღნიშნავს, რომ „მას ისტორია როგორც მეცნიერება ყველა ქართველი კაცისათვის აუცილებელ საგნად მიაჩნდა. როცა იგი „ქართლის ცხოვრების მეორე ნაწილზე მუშაობდა მთელ თავის შემოქმედებას იქითკენ მიმართავდა, რომ ყველაფერი რაც ისტორიის

კუთვნილებას შეადგენდა ხალხმა იცოდეს, რომ ყველა ქართველისათვის იყოს იგი ცნობილი".[52] ივანე გვარამაძის აზრით, სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობას გადაგვარება რომ აეცილებინა თავიდან, საჭირო იყო ამ ხალხში ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძება. „ქართლის ცხოვრების" წინასიტყვაობაში წერდა: 'ყოველი კაცისათვის დიდად სასურველი არის, რომ იცოდეს ნამდვილი ისტორიით თავისი გვარტომობის შთამომავლობა, თუ ვინ იყო მისი წინაპარი მამა-მთავარი? სად ცხოვრობდა, რა ენაზე ლაპარაკობდა? ვინ ჰყავდათ გმირნი თუ მეფეები? ვისთან და როგორ ცხოვრობდნენ ქვეყანაზედა"?[159]

ივანე გვარამაძე, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მესხეთის ისტორიის შესწავლას. ამიტომაც იყო, რომ იგი ხშირად მოგზაურობდა და არ დაუტოვებია ამ მხარის „კუთხე კუნჭული". აგროვებდა ეთნოგრაფიულ, არქეოლოგიურ, ნუმიზმატიკურ, ისტორიულ მასალებს. ეწეოდა აქტიურ შემგროვებლობით საქმიანობას, მაგრამ საკმარისად არ მიაჩნდა თავისი შრომა. ამიტომ 1881 წ. მოუწოდა ადგილობრივ ადმინისტრაციას, რომ ეზრუნა „ისტორიული სამასალო საგნების შეკრებაზე": „ურიგო არ იქნება ადგილობრივი ადმინისტრაცია, მღვდლები, მამასახლისები და ნაცვალნი მიაქცევდნენ რიგიან ყურადღებას სასარგებლო ისტორიულ სამასალო საგნებს, შეკრებდნენ და წარმოადგენდნენ არქეოლოგიურ-ისტორიულ წრეებში".[214]

ივანე გვარამაძემ დიდი ამაგი დასდო თავის მშობლიურ მხარეს. შეისწავლა ისტორიული ძეგლები, ამოიკითხა მრავალი ძველი წარწერა. დავით კოჟორიძე სამართლიანად შენიშნავს, რომ გვარამაძემ აღწერა სამხრეთ საქართველოს მნიშვნელოვანი პუნქტები: აწყური, ახალქალაქი, ახალციხე ბარალეთი, გოკია ზადენი, ზარზმა, თმოგვი, კუმურდო, ოძრხე, საფარა, ჭულე, ხერთვისი.[16] უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ივანე გვარამაძე მოძიებულ და შესწავლილ მასალებს შემოწმება-შეფასების მიზნით უგზავნიდა ცნობილ მოღვაწეებს: დიმიტრი ბაქრაძეს, მარი-ბროსეს, ზაქარია ჭიჭინაძეს, ექვთიმე თაყაიშვილს, ივანე როსტომაშვილს. გარდა ამისა ფართო საზოგადოებრიობას პრესის საშუალებით აწვდიდა

საინტერესო მასალებს. ივანე გვარამაძის ასეთმა მოღვაწეობამ განაპირობა მისი არჩევა 1882 წლის 10 აპრილს კავკასიისა და არქეოლოგიის საზოგადოების მიერ თავის წევრ-კორესპონდენტად. იმ იმედით, რომ მონაწილეობას მიიღებდა საგანმანათლებლო საქმიანობაში. ამის შესახებ სპეციალური შეტყობინება ინახება მის არქივში.[102] აქვე არის დაცული 1884 წლის 22 აგვისტოთი დათარიღებული საბუთი ივანე გვარამაძისადმი, სადაც, მითითებულია, რომ ახალციხის მაზრაში სიძველეთა აღსაწერად სოფლის მამასახლისებმა გამოუყონ ერთი შეკაზმული ცხენი და მეგზური, აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება, რაც კანონითაა გათვალისწინებული.[102] აქვე დაცულია აგრეთვე ოფიციალური დოკუმენტი იმის შესახებ, რომ ივანე გვარამაძე იგზავნება ახალციხის მაზრაში სიძველეთა აღსაწერად კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საზოგადოების მიერ. ეს დოკუმენტი თარიღდება 1884 წლის ივნისით. ამრიგად, გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ივანე გვარამაძეს ოფიციალურად დაევალა სამცხე-ჯავახეთის „სიძველეთა აღწერა-მოძიება“. 1908 წლის 18 ნოემბერს კი საქართველოს საისტორიო საზოგადოების კრებამ ივანე გვარამაძე აირჩია საზოგადოების ნამდვილ წევრად. კრება თხოვნით მიმართავდა წერილობით, მასალების მიწოდებით თუ ნივთიერი შემწეობით დახმარება გაეწია აღნიშნული საზოგადოებისათვის.[97]

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართველი საზოგადოება დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს ივანე გვარამაძის საქმიანობას და ამიტომაც იყო, რომ პრესის ფურცლებზე ხშირად იბეჭდებოდა ცნობები მის მიერ აღწერილი და მოძიებული მასალების შესახებ. მაგალითისათვის დავასახელებთ ცნობას ჟურნალ „აკაკის კრებულიდან“: „ვინმე მესხმა სოფელ ხიზაბავრაში აღმოაჩინა „დათათ სერის დარანი“, წაიკითხა „ჭაიტის“ ეკლესიის ხუცური წარწერა... გადმოიღო „კოჭიათ ნაფუზარში“ მიწის თხრის დროს ნაპოვნი ჩუქურთმიანი ფიგურული გამოსახულებანი, ღიტოს კაკლებთან მდებარე ლურსმნულად მიჩნეული წარწერა და სხვა“.[210]

გვარამაძის მიერ მოძიებული მასალები საფუძვლად დაედო მის ისტორიული ხასიათის წერილებს, შრომებს, რომლებიც დღეისათვის ისევ ხელნაწერის სახით გვაქვს. მათ შორის

საქართველოს

საისტორიო და საეთნოგრაფიო

საზოგადოება

მოწყალეთ ხელმწიფეო!

№508

.24. დეკემბერს 1908წ.

ქ. ტფილისი.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების 1908 წლის 18 დეკემბრის კრებამ თქვენ აგირჩიათ საზოგადოების

წევრად.

მისს

მამა იოანე გვარა-

მაძეს.

ქ. ტფილისში

მაუწუყებთ რა ამას, გაახლებთ საზოგადოების წესდებას და გთხოვთ: წერით, მასალის მოწოდებით, თუ ნიეთიერის შემწეობით აღნიშნულ საზოგადოებას დახმარება გაუწიოთ.

საზოგადოების თავმჯდომარე

მდივანი

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების
მიმართვა ივანე გვარამაძისადმი

ალსანიშნავია: პირველყოფილ ადამიანთა ცხოვრება, საისტორიო მისიონალური დღიური-წერილები, ისტორიული მასალები, არქეოლოგიური მოგზაურობანი, ახალციხური ფელეტონები, საეკლესიო, ისტორიული მასალები, მესხეთის კათოლიკების ისტორია, სამესხეთოს აღწერა და სხვა. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ივანე გვარამაძის მიერ არის გადაწერილი მრავალი საისტორიო ქრონიკა, ხელნაწერი წიგნი. ასეთი საქმიანობა თავისთავად საჭიროებდა დიდ ენერგიასა და დროს. ამიტომაც იყო, რომ ილია ალბაზიშვილი წერდა: „ამდენი ათასგვერდობით დროის მოთხოვნების შესაფერი წიგნები რომ დაეწერა უფრო დიდ საუნჯეს შესძენდა ჩვენს ლიტერატურასო“, იქვე გამოთქვამდა აზრს: „დიდად დაგვავალებს მამა იოანე, რომ ამის შესახებ დანარჩენი თავისი ძალა მოახმაროს თავის სამშობლოს – მესხეთის წარსული ისტორიის აღწერას, ხალხში დარჩენილ გადმონაცემ წყაროებიდან და არა წიგნებიდან. ამით დაუვიწყარ სამარადისო ძეგლს დაუდგამს მამა იოანე თავის სახელს ქართულ ლიტერატურაში“.[220] ილია ალბაზიშვილის აზრით, სწორედ ივანე გვარამაძეს უნდა გამოეკვლია მესხეთის ცხოვრება და ათაბაგები. მართებული არ იქნება, სრულად თუ გავიზიარებთ ბატონ ილია ალბაზიშვილის მოსაზრებას, რადგან ივანე გვარამაძემ გადაწერის გზით გადაარჩინა და შემოგვინახა მრავალი ძველი წარწერა და ხელნაწერი.[40]

ივანე გვარამაძემ წარმოაჩინა მანამდე უცნობი მასალა საქართველოს ისტორიიდან. ამას თვითონვე აღნიშნავდა ალექსანდრე ფრონელისადმი გაგზავნილ წერილში, სადაც თანხმობას უცხადებდა გაზეთ „პეტერბურგსკი ვედომოსტში“ თანამშრომლობაზე და აცნობებდა, რომ შეუძლია ძველი ისტორიულის თუ არქეოლოგიურის საგნებზე წერა, რაც დღემდის ცნობაში არ არის მოსულიო.[85]

მიუხედავად იმისა, რომ თვით ივანე გვარამაძემ მდიდარი მასალა მოიძია საქართველოს წარსულზე და მრავალი ისტორიული ნაშრომი დაწერა, იგი მაინც მთავარ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს ისტორიის ისეთი სახელმძღვანელოს შექმნას, რომელიც ყველასათვის გასაგები იქნებოდა. მის ერთ-

ერთ წერილში ვკითხულობთ: „ყველაფერი გამოგვდის ხელიდან, მაგრამ ხელსამძღვანი წიგნები (სახელმძღვანელოები — ნ.ყ.) კი ვერ შეგვიდგენია ჩვენდა სამწუხაროდ, რომ ახალმოზარდ თავობის მოთხოვნილება დავაკმაყოფილოთ“.[188] საინტერესოა მის მიერ მოწოდებული ცნობაც იმასთან დაკავშირებით, რომ ‘ზოგიერთ პატივცემულთ მისთვის მიუმართავთ საზოგადოდ სახმარი „ქართლის ცხოვრების“ შედგენის მოთხოვნით. ამასთან დაკავშირებით შენიშნავდა: „ამგვარს ჯეროვან თხოვნაზედ უარი ვერ ვუთხარით, როგორც მამულის მოყვარე დავსთანხმდი და ხელი ვახლე შრომას, რომელიც გავლილ წელს დაიბეჭდა.[188] აქ მოხსენიებულ შრომაში იგულისხმება ზაქარია ჭიჭინაძის მიერ დაბეჭდილი ივანე გვარამაძის საისტორიო თხზულება: „ქართლის ცხოვრება“, მოკლედ შედგენილი მესხის ივანე გვარამაძისაგან, ძველი მოთხრობა, შეიცავს ჩვენი ცხოვრების კერპთმსახურებას 393 წლამდის“.

ივანე გვარამაძე გულისტკივილს გამოთქვამდა იმის გამოც, რომ საქართველს ისტორიის სწავლებას ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა სასწავლებლებშიც, რომ ქართველი ახალგაზრდობა მხოლოდ ევროპულ განათლებას იღებდა. ერთ-ერთ წერილში წერდა: „კარგად იციან ევროპელების ისტორიული ცხოვრების გავლილიც და აწმყოც, სადაც რომ მივიდეს თავს იჩენენ, ისახელებენ ევროპულს სწავლით კრებაში და თავიანთ სამშობლოს ისტორია კი რიგიან არა აქვს შესწავლილი, რომ იმ კრებაში თავიანთ სწავლულობის ბრწყინვალე ნაყოფი აჩვენონ თავიანთი სამშობლოს ისტორიის საფუძვლიან შესწავლით“.[182] ეს ისე არ უნდა იყოს გაგებული, თითქოს იგი წინააღმდეგი იყო ევროპული განათლების მიღებისა, მიაჩნდა, რომ ყოველი ეროვნების ადამიანს ჯერ თავისი თავი უნდა შეესწავლა და მერე სხვისა. რათა იცოდეს, თუ როგორ უცხოვრია მის ხალხს, თვითონ საითკენ უნდა მიისწრაფოდეს და რა უნდა გააკეთოს სამომავლოდ. ამისათვის, მისი აზრით, საჭირო იყო სამშობლოს წარსულის ცოდნა. სწორედ ამიტომაც, კრებდა და იკვლევდა ისტორიულ მასალებს, რომელთაც მის სიცოცხლეშივე მაღალ შეფასებას აძლევდნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწენი. მათ შორის ისტორიული შრომებით

აღფრთოვანებული ზაქარია ჭიჭინაძე ივანე გვარამაძეს წერდა: „თქვენგან დაწერილი ისტორიული მასალები დაუფასებელ ადგილს დაიჭერს საქართველოს ისტორიაში... ჩვენ თუ არა, უეჭველია ოდესმე მაინც, საქართველოს მომავალი, ახალი თაობა თავიანთი წარსულის ისტორიულის წერილების გამო დიდს მადლობას გიძღვნიან... მე ისეთი შეყვარებული მაქვს თქვენი ისტორიული წერილები, რომ კალამსა და თითებსაც კი დაგიკოცნით, რომ განახოთ სადმე".[177] ივანე გვარამაძეს ატყობინებდა, რომ თვით დიმიტრი ბაქრაძეც კი დიდად აფასებდა მის ისტორიულ მასალებს.[88]

ივანე გვარამაძის ისტორიის სფეროში მოღვაწეობას მაღალი შეფასება მისცეს თანამედროვე მეცნიერებმა. კერძოდ, ლ. ფრუიძემ „მესხეთ-ჯავახეთის ყოფა-ცხოვრების მატიანე უწოდა,[252] ხოლო გურამ შენგელიას ივანე გვარამაძის დაშსახურებად მიაჩნია სამხრეთ საქართველოში კულტურის ძეგლების სრულყოფილი სახით შენარჩუნება.[257] იგი სამართლიანად დაასკვნის, რომ მისი შრომების გაცნობა-შესწავლის გარეშე შეუძლებელია სამხრეთ საქართველოს შესახებ რაიმე გამოკვლევის დაწერაო.[257] გურამ ახვლედიანი ყურადღებას ამახვილებს ისტორიული კვლევის მიმართულებაზე. კერძოდ, ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების დასადგენად ფოლკლორული მასალის გამოყენებაზე. „ერის ისტორიის შესასწავლად მნიშვნელოვანი მუშაობა აქვს გაწეული ამ მასალების შესაკრებად" — წერდა იგი.[202]

მთარგმნელობითი საქმიანობა

მესხი განმანათლებლის მდიდარი საარქივო მასალების შესწავლამ დაგვანახა, რომ მის მრავალმხრივ მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა მთარგმნელობით საქმიანობას, რადგან უცხო ენების — სომხურის, თურქულის, ფრანგულის კარგ მცოდნეს ხშირად უწევდა აღნიშნული საქმიანობა. როგორც ირკვევა, მას ასეთი სამუშაოს შესრულება ძირითადად სხვადასხვა

პირთა „დავალებით“ უხდებოდა. კერძოდ, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ როდესაც მიხეილ თამარაშვილი მუშაობდა ზემოთ მოხსენიებულ შრომებზე ივანე გვარამაძე მისივე თხოვნით ხშირად აწვდიდა სომხურიდან თარგმნილ მისთვის საჭირო მასალებს. ამასთანავე, როგორც ჩანს, სახელმძღვანელოთა სათარგმნელად მას ხშირად მიმართავდა კონსტანტინოპოლის ქართული სკოლის ხელმძღვანელობა. ივანე გვარამაძის ხელნაწერთა ფონდში ინახება პეტრე ხარისჭირაშვილის (დასახელებული სკოლის დამაარსებლის) მისადმი გამოგზავნილი წერილები, რომლებშიც მოცემულია პეტრე ხარისჭირაშვილის შეფასება ივანე გვარამაძის მიერ სომხურიდან თარგმნილი სასულიერო ხასიათის წიგნისა — „ჰოენლოის:“ „ძლიერ მოგვეწონა ეს თარგმანი, რადგან იმაში ვერ ვჰპოვეთ წინააღმდეგი ვერც სუფთა მდაბიური ქართულისა, ვერც აზრების ბნელად და ყრუდ გამოყვანა და ვერც განსხვავება აზრებისა სომხური დედნის აზრებისაგან... მე ვხედავ ამ ჰოენლოის თარგმნით რომ შენ შეგძლებია კარგად დათარგმნა“.[121] წერილის ავტორი თხოვნით მიმართავდა, რომ მისი შეგირდებისათვის გაეკეთებინა სამი წიგნის თარგმანი. აცნობებდა, რომ მის შეგირდებს არ ესმოდათ „მათგან ფრანგულად ბრუდი და ყრუ ნათარგმნი“, ამიტომ, მისი თარგმნილით შეგირდებმა უნდა „შეისწავლონ კარგად სუფთა დაბიური ქართული და თხზვა კანონიერად, თვარემ უამისოდ რას არგებს მათ და ანუ მამულს მარტო ევროპული ენებით ლაპარაკი ოდეს მათ ჯერ ასარგებლებენ ვერაფერს მამულსა და თავიანთ მოძმეებს.[174] ე.ი. ივანე გვარამაძის მიერ თარგმნილი წიგნები კონსტანტინოპოლის ქართულ სკოლაში გამოიყენებოდა არა მარტო საგნის ხარისხიანად შესწავლისათვის, არამედ უნდა უზრუნველყო შეგირდებში ეროვნული, პატრიოტული სულისკვეთების აღზრდა.

ივანე გვარამაძე რომ მაღალი დონის მთარგმნელი იყო და ამ მხრივ საჭირო საქმეს აკეთებდა, კარგად ჩანს მისადმი გამოგზავნილ პეტრე ხარისჭირაშვილის ერთ-ერთ წერილში: „ძმაო, უფრო კარგი შრომა ის იქმნება, რომ ამ ჩემ დასტამბულს ოციოდე წიგნს გადასწერთ და გაასწორებთ სუფთა და ცოცხალ ქართულზედ და დამიმზადებთ“. მასწავლებელი მსუბუქად

საყვედურობდა ივანე გვარამაძეს, რომ აღნიშნული წიგნების დაბეჭდვამდე ვერ მოიცალა და ვერ გააწყო მისთვის ჩვეულ „სუფთა ქართულზედ და დროება გაზეთის ენაზე", რის გამოც ე.წ. მამულას (მღვდელი იოსებ მამულაშვილი) ნათარგმნი წიგნები ცუდი ქართულის მიზეზით არ გაიყიდა. იქვე მიუთითებდა, რომ თვითონ ის, მღვდელი იოსები და ვინმე გიმნაზია დასრულებული გურული შეეცადნენ თარგმანის გასწორებას, მაგრამ ვერ შეძლეს, ამიტომ „თქვენ რჩევას გეკითხებით თუ რა საშუალებით, როგორ უნდა ვქნათ, რომ ესენი ცოცხალ ენაზედ გასწორდნენ".[100]

როგორც პეტრე ხარისჭირაშვილის ერთ-ერთი წერილიდან ირკვევა, ივანე გვარამაძეს შეუსრულებია მასწავლებლის თხოვნა-დავალება: „მივიღე თქვენი გამოგზავნილი წიგნები, რომელთ თარგმანი კარგად მეჩვენა მე, იმედი მაქვს, რომ საზოგადოებასაც კარგად ეჩვენოს და გახდეს მისდა სასარგებლო და არა საკრიტიკო"[120] — წერდა კონსტანტინეპოლიდან პ. ხარისჭირაშვილი და იმავე წერილში აცნობებდა რომ უგზავნიდა 5 სომხურ წიგნს სათარგნელად.

ეს ყოველივე იმაზედ მეტყველებს, რომ ივანე გვარამაძე თანაშრომლობდა და მჭიდრო კავშირში იყო კონსტანტინოპოლის ქართველ კათოლიკეთა სავანესთან, რომელიც საზღვარგარეთ ჩამოყალიბდა ერთ-ერთ ძლიერ ეროვნულ კერად, რომლის მიზანს წარმოადგენდა ქართველი ხალხის გამოღვიძება-აღორძინება სარწმუნოებრივად, პოლიტიკურად და კულტურულად.[25.320]

მოძიებული მასალებიდან ირკვევა, რომ ივანე გვარამაძეს სისტემატიურად უხდებოდა ფრანგული და სომხური ლიტერატურის თარგმნა. ჩვენთვის ცნობილი გახდა ისიც, რომ მან თურქულ ენაზე თარგმნა ლოცვა „თაყვანსაგცემ". აღსანიშნავია ისიც, რომ ქართულ კათოლიკურ ეკლესიებში ქართული ენის აკრძალვის შემდეგ ივანე გვარამაძე პროტესტის ნიშნად წირვა-ლოცვას თურქულ ენაზე წარმართავდა გარკვეული დროის განმავლობაში.[131]

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ივანე გვარამაძე ნაყოფიერი მთარგმნელობითი საქმიანობით მეტად საჭირო საქმეს აკეთებდა და უდიდესი წვლილი შეიტანა თავისი

ხალხის განათლებასა და მის კულტურულ დაწინაურებაში. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მესხურ განმანათლებლობაში მისი როლის განსაზღვრისას უდიდესი მნიშვნელობა სწორედ მთარგმნელობით საქმიანობას უნდა მიენიჭოს.

ლიტერატურული მემკვიდრეობა

ივანე გვარამაძის მემკვიდრეობის უკეთ გაცნობიერე-ბისათვის აუცილებლად მიგვაჩნია მისი შრომების დასახელება, რის საშუალებასაც იძლევა როგორც თავის, ისე კონსტანტინე გვარამაძის პირად არქივში დაცული შრომების სია:

1. „ქართლის ცხოვრება“, I წიგნი, 1882წ. თბილისი;
2. „ლექსიკონი ფრანგულიდან ქართულად“, გამოცემული პარიზს;
3. „წყალრღვნა“-16 მარცვლიანი პოემა;
4. „ძველი ღმერთი“;
5. რიტორიკა, თარგმნილი 1877 წ;
6. „მიქაელ გობრონის წამება“. 1896წ., დაიბეჭდა ქ. თბილისში;
7. „წმინდა ნინო“;
8. „ყვავილების კონა“, ლექსები, დაიბეჭდა 1878 წ., ქ. კონსტანტი-ნოპოლს;
9. „არქეოლოგიური მოგზაურობა“;
10. ისტორიული წერილები სამესხეთოს სოფლების შესახებ;
11. სამეურნეო მუშაობა, 1879წ. (დაბეჭდილია კრებულში);
12. საბრძნე კაცობრივი, თარგმნილი, დაბეჭდილია, 1879წ;
13. წვრილი ლექსები – გაზეთ დროებაში დაიბეჭდა 1880-82 წლებში;
14. „საზოგადო გეოგრაფია“, დაბეჭდილია ქ. კონსტანტინოპოლს 1877წ;
15. სხვადასხვა ისტ. წერილები. დაბეჭდილია გაზ. დროებაში, ივერიაში;
16. საპოლემიკო წერილები;

17. მეურნეობა ძველ საქართველოში, დაბეჭდილია ჟ. ცისკარში;
18. „მშაკის მზა პასუხი. 1880 წ. დაბეჭდილია კონსტანტინოპოლში;“
19. სომეხთა პასუხი. დაბეჭდილია გაზ. დროება, ივერია;
20. ახალციხური ფელეტონები, დაბეჭდილია 1874-88 წწ;

სასულიერო:

21. „ადამის ცხოვრება“- პოემა, (დაუბეჭდავი);
22. „სადღესასწაულონი“ (დაუბეჭდავი);
23. ლუთერის და კალვინიზმის დარღვევა (დაუბეჭდავი);
24. „ახალი ღმერთი“, (დაუბეჭდავი);
25. „ეკლესიის ცხოვრება“, (დაუბეჭდავი);
26. წმიდა ევსტატეს ცხივრება, 1878წ. დაბეჭდილია კონსტანტინოპოლს;
27. „ვრცელი დაბადება“, ორტომად, 800 გვერდამდე;
28. „საქრისტიანო მოძღვრება“;
29. „ჯვარი გზა“, (დაუბეჭდავი);
30. გრ. პაპის მოძღვრებანი, (დაუბეჭდავი);
31. „ფილოსოფია საღმრთო”, დაბეჭდილი 1877 წ.
32. „ლურდის ღვთისმშობელი“, (დაუბეჭდავი).
33. „წინამძღვარი ზეცისა“, დაბეჭდილი 1888 წ.
34. „გზა ცხოვრებისა“, 1875 წ. დაბეჭდილი ქ. კონსტანტინოპოლში;
35. ცხოვრება წმინდა ალიოზ ქონზაქის;
36. „წმიდა ლუდოვიკო როდორიკის ორი წიგნი, (დაუბეჭდავი);
37. მშობლების დარიგება, 1896წ. დაბეჭდილი ტფილისში;
38. „მისიონალური წყარო“, (დაუბეჭდავი);
39. „მშობლები და მათი შვილები“, დაბეჭდილი 1898 წ.
40. ქართული ლექსიკონი – 13 000 სიტყვა;

გარდა ამისა უნდა აღინიშნოს, რომ კოტე გვარამაძის მითითებით, ივანეს 1885 წლამდე დაუწერია „ზერელე აღნიშნული

წიგნები", ხოლო შემდეგ შეუქმნია ბოტანიკა, ზოოლოგია, მინერალოგია, ქართული ლექსიკონი, ლინგვისტიკა, თავისი ბიოგრაფია. ბოლოს დასძენს, რომ ყველა ეს ხელნაწერები შეადგენს რამდენიმე ათასს გვერდსო.[150]

ივანე გვარამაძე — ლექსიკოგრაფი

ივანე გვარამაძის მდიდარი მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ნაწილს მის მიერ შედგენილი ლექსიკონები წარმოადგენს. კერძოდ, მის არქივში დაცულია „ლექსიკონი ბუნებითი მეცნიერებისა",[181] რომელიც 1882 წელს შეუდგენია და რაფიელ ერისთავისათვის მიუძღვნია. წინასიტყვაობაში საუბრობს ლექსიკონის აუცილებლობის და მნიშვნელობის შესახებ. ლექსიკონი დალაგებულია ანბანის მიხედვით.

ივანე გვარამაძის არქივში აგრეთვე მივაკვლიეთ ე.წ. „ქართული ლექსიკონის დამატებით ლექსებს".[157] დასახელებული ლექსიკონი, როგორც ირკვევა, ავტორს შეუდგენია „სახელმძღვანელოდ მცხოვრებთა მესხთა, ქართველთა, იმერთა და კახელთა". მოიცავს 13000 სიტყვას, რომელიც არ იყო შეტანილი არც სულხან-საბა ორბელიანის და არც ჩუბინაშვილის ლექსიკონებში. კონსტანტინე გვარამაძის გადმოცემით, ავტორს მოხსენიებული ლექსიკონი შესამოწმებლად და გამოსაცემად გაუგზავნია ნიკო მარისათვის. რამდენადაც არც მაშინ და არც შემდგომ, კერძოდ, 1938 წლისათვის ლექსიკონი არ ყოფილა დაბეჭდილი, კონსტანტინე გვარამაძე მიუთითებდა, რომ მისი მონახვა შესაძლებელი იქნებოდა ნიკო მარის სახელობის ინსტიტუტში.[157] (აღნიშნული ლექსიკონი მოგვიანებით 90-იან წლებში მოძიებულ და გამოქვეყნებულ იქნა ფილოლოგიურ მეც. კანდიდატის მ. ბერიძის მიერ). აგრეთვე საყურადღებოა ივანე გვარამაძის ფონდში დაცული პ. ანდრია წინამძღვარის (სიმონათის) წერილი, რომელიც ამ მხრივ მეტად საინტერესო ცნობას შეიცავს: „ფიქრში მაქვს ის თქვენი ლექსიკონი,

რომელიც ჩვენმა პატივცემულმა პ. ხარისჩაროვმა დაგვათარგმნინა ის უნდა დავაბეჭდინო პარიჟში ფრანცის მთავრობის სახელით... რუსულიც დავუმატე. ერთი სიტყვით სამ ენიანი ლექსიკონი უნდა იყოს".[124] ანდრია წინამძღვრის სიტყვებში იგულისხმება ივანე გვარამაძის მიერ შედგენილი „ლექსიკონი ფრანგულიდან ქართულად", რომელსაც მისი ვაჟი – კონსტანტინე მამის შრომათა შორის ასახელებს.[150]

ივანე გვარამაძის არქივში დაცულია აგრეთვე მის მიერ შედგენილი ე.წ. „თათრული სიტყვების განმარტებითი ბარათი".[101] თუ გავითვალისწინებთ სამცხე-ჯავახეთში შექმნილ მდგომარეობას დავრწმუნდებით თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ამ უკანასკნელს. ამგვარად, მოძიებული მასალა ასაბუთებს, რომ ივანე გვარამაძე იყო ლექსიკოგრაფი და ამ მხრივაც დიდი სამსახური გაუწია თავის ხალხს.

ივანე გვარამაძის ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლამ დაგვანახა, რომ იგი თავის მრავალმხრივ საქმიანობას სამწერლო მოღვაწეობასაც უთავსებდა. ამიტომაც არის, რომ მის ვრცელ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი სამწერლო შემოქმედებას უკავია. ივანე გვარამაძის კალამს მრავალი ლექსი და მოთხრობა ეკუთვნის, მისი პოეზიის თემატიკა მრავალფეროვანია. კერძოდ, მას დაწერილი აქვს როგორც დიდაქტიკური და ისტორიულ-პატრიოტული, ისე საბავშვო და სატრფიალო ლექსები. იგი წარმოსდგება როგორც ლირიკოსი პოეტი. ავტორის სიცოცხლეშივე ქართული პრესის ფურცლებზე მრავალი ლექსი დაიბეჭდა, ხოლო 1878 წელს ქალაქ კონსტანტინოპოლში გამოიცა ლექსთა კრებული „ყვავილების კონა". აღსანიშნავია, რომ შემდგომ პერიოდში აღარასოდეს დაბეჭდილა მისი ლექსები. ამიტომაც არის, რომ ქართველი საზოგადოებისათვის ივანე გვარამაძე, როგორც პოეტი დღემდე უცნობი რჩება.

ივანე გვარამაძის ცხოვრება-მოღვაწეობის კვლევამ დაგვანახა, რომ მისმა კულტურულ-საგანმანათლებლო და პრაქტიკულ-პედაგოგიურმა მოღვაწეობამ და საერთოდ განათლების დონემ განაპირობა პედაგოგიური შეხედულებების ჩამოყალიბება, რომლებიც განივთდა მის შრომებში, ლექსებსა და წერილებში

(„მშობლები და მათი შვილები“, „შვილის აღზრდა“, „მოწაფე და კალამი“ და ა.შ.) და განსაკუთრებული ადგილი დაიკავა მის ვრცელ მემკვიდრეობაში. აღნიშნულ საკითხზე ვისაუბრებთ მომდევნო თავში.

აღსანიშნავია, რომ ივანე გვარამაძის უკანასკნელი ნაშრომი იყო – „შურიანობის სიბოროტე“, რომლის დასრულება ავტორმა ვერ მოასწრო. უნდა ითქვას ისიც, რომ მისი მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დღეისათვის ისევ ხელნაწერის სახით არის შემონახული. მისი ზოგიერთი ნაშრომი ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასასრულს დაიბეჭდა თბილისსა და კონსტანტინოპოლში. დღემდე ადგილი არ ჰქონია არც მათ ხელახალ გამოცემას და არც სხვა შრომების დაბეჭდვას.

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია, ყურადღება შევაჩეროთ ივანე გვარამაძის ხელწერაზე. მას განსაკუთრებული, ყველასაგან გამორჩეული კალიგრაფია ჰქონდა. წერდა ლამაზად გამოყვანილი და ამავე დროს მეტისმეტად მცირე ზომის ასოებით. სწორედ ასეთი კალიგრაფიის წყალობით შექმნა მან მსოფლიოში მეორე წიგნად აღიარებული ლოცვის წიგნი, რომლითაც აღტაცებაში მოსულა მსოფლიო მოგზაური – პრაისი.[150] უნდა აღინიშნოს ისიც, მისი ასეთი ხელწერის გამო სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებიდან თავისი წერილები ზოგჯერ უკან უბრუნდებოდა შემდეგი წარწერით; „...წვრილად არის დაწერილი, გთხოვთ გადასწეროთ, რადგან ამ სახით ვერ წაგვიკითხავს.“[163]

ურთიერთობა ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან

ივანე გვარამაძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა თავისი ეპოქის დროინდელ მესხეთსა თუ საერთოდ საქართველოში წამოწყებულ ღონისძიებებში... რის გამოც საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა გამორჩენილ ქართველ მოღვაწეებთან: ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან, ზაქარია ჭიჭინაძესთან, რ.ერისთავთან, დ. ბაქრაძესთან, ალ. ყაზბეგთან, ი. როსტომაშვილთან.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართველი საზოგადო მოღვაწენი დიდად აფასებდნენ მის მრავალმხრივ მოღვაწეობასაც. აღნიშნულის დასაბუთებას წარმოადგენს ზაქარია ჭიჭინაძის მიერ 1904 წელს გამოცემული ივანე გვარამაძის მონოგრაფია – „ვინმე მესხი“, რომელიც დაიწერა აკაკი წერეთელის თხოვნით.[25] 1914 წელს ექვთიმე თაყაიშვილის მიერ კრებულ „ძველ საქართველოს“ მესამე ტომში გვარამაძის ფოლკლორული მასალის გამოქვეყნება, ივ.როსტომაშვილის მიერ ლექსიკონში ასო გან-ზე გვარამაძის გვარისა და ბიოგრაფიის შეტანა.[186] იაკობ გოგებაშვილმა კი დედა ენაში მოათავსა მის მიერ მოძიებული რამდენიმე ლექსი. ივანე გვარამაძის პიროვნებისა და მოღვაწეობის ერთგვარ აღიარებად უნდა ჩაითვალოს მის სიცოცხლეშივე ნაშრომების გამოცემა. იგი თანამშრომლობდა თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთში. მისი მრავალფეროვანი სტატიები შეუფერხებლად იბეჭდებოდა პრესის ფურცლებზე. ამ მხრივ საინტერესოა ილია ალხაზიშვილის წერილი ივანე გვარამაძისადმი: „რაც შეეხება თქვენს წერილებს ყოვლად უნაკლოდ გადავეცი გიორგი წერეთელს და მითხრა, ყველა იმის ნაწერებს უეჭველად დავბეჭდავთო თავის დროზედაო. ასე აცნობე, რომ დაუბეჭდავი არც ერთი წერილი არ დარჩება გვარამაძისაო და იმედია არც შემდეგში მოგვაკლებს თავის ერთობ საყურადღებო წერილებსო“.[86]

ივანე გვარამაძის საარქივო მასალებიდან ჩანს ისიც, რომ მისი პიროვნებითა და მრავალმხრივი მოღვაწეობით იყვნენ დაინტერესებულნი ჟურნალ-გაზეთის გამომცემელნი და რედაქტორები. ამავე დროს დიდ პატივისცემად მიაჩნდათ მესხ განმანათლებლებთან თანამშრომლობა. ასეთი დასკვნის საშუალებას გვაძლევს ივანე გვარამაძის არქივში დაცული მრავალი წერილი. კერძოდ, ივანე კერესელიძე წერდა: „შემოგიტყვია თქვენი ქართული ენის სიყვარული და გთხოვთ დაეხმაროთ მწერლობით და განამშვენებდეთ თქვენის კალმით ჩვენს გაზეთს“.[152] ასეთივე თხოვნით მიმართავდნენ მას 1906 წელს გაზეთ „ავტონომიური საქართველოს“ გამომცემელი კნეინა ელისაბედ ირაკლის ასული ჯამბაკურ-ორბელიანი და რედაქტორი გიორგი გვაზავა.[193]

„ავტონომიური საქართველო"

„Автономная Грузія"

„La Géorgie autonome"

1906 წ.

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘᲗ ᲜᲝᲛᲔᲠᲘᲖᲔ.

„ავტონომიურ საქართველოს" მიზნად აქვს დაიცვას ქართველი ერის ინტერესები, მისი ეროვნული, სოციალურ-ეკონომიური და კულტურული მოთხოვნილებანი. ადამიანის წარმსვლელობა და განვითარება შეუძლებელია, თუ ის თავისუფალი არ არის; ეროვნული უფლებანი კი შეადგენენ ორგანიულ ნაწილს პოლიტიკურ თავისუფლებისას. ხალხი წინ იწევს მხოლოდ მაშინ, თუ აქვს ნება თავისუფალ შემოქმედითი შრომისა. სხვა და სხვა ერები ძმურად ცხოვრობენ ერთ და იმავე სახელმწიფოში, თუ მათი ეროვნული უფლებანი უზრუნველ-ყოფილნი არიან. აქედან—აუცილებლობა ეროვნულ-ტერიტორიალურ თვითმართველობისა. ამისთანა თვითმართველობა, აშენებული დემოკრატიულ პრინციპებზე, უფრო მალე მოეშველება მუშების გაჭირვებულ ცხოვრებას, უფრო ადრე დააკმაყოფილებს ეკლესების მოთხოვნილებას და ბოლოს-ვიგებს საზოგადოდ შინაურს ცხოვრებას საკულტურო განვითარებისათვის. შინაური თავისუფლება და რუსეთთან ერთობა—აი პრინციპი, რომელსაც ემსახურება „ავტონომიური საქართველო". თუ ამ მიმართულებას ანუგრძნობთ და ინებებთ დახმარების აღმოჩენას, გთხოვთ ნება მოგვცეთ გამოვუცხადოთ სახელი თქვენი, როგორც თანამშრომლისა.

რედაქცია თავის მოვალეობად სთვლის შეძლებისა-დაგვარად შეისყიდოს თქვენი შრომა.
დაეშვებით ღრმად თქვენი პატივისცემელი, თქვენი თავადიანი პასუხის მოლოდინში,

გამომცემელი: კნ. ელისაბედ ირაკლის ასული
ჯამბაკურ-ორბელიანი.

რედაქტორი: გ. ბ. გვაზავა, ნაფიცი ექილი.

ადრესი:—Тифлисъ, Баронская, № 8. Г. Б. Гвазава.

ახლო მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა ივანე გვარამაძეს აკაკი წერეთელთან. გარდა იმისა, რომ იგი აქტიურად თანამშრომლობდა მის ჟურნალ „აკაკის კრებულში“, მათი მიმოწერიდან ირკვევა, რომ აკაკი იყო აგრეთვე ივანე გვარამაძის მრავალი შრომის პირველი კრიტიკოსიც. აკაკის დამსახურება ისიც იყო, რომ გვარამაძემ შთამომავლობას დაუტოვა თავისი ბიოგრაფია, რადგან აკაკის თხოვნით დაწერა იგი. ამასთანავე, ივანე გვარამაძემ თავი მოუყარა მოძიებულ ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, რომელთაც „სამესხეთოს ძველი სიტყვიერება“ უწოდა და დიდი პატივისცემის ნიშნად უძღვნა იუბილარ მგოსანს — აკაკი წერეთელს. აღსანიშნავია ისიც, რომ კრებულს წინ წაუმძღვარა ლექსი — „აკაკი“, რომელშიც გამოხატა მისადმი გულთბილი დამოკიდებულება:

მაგით ხარ ქართველთ დიდება,
რაც თქვით უკვდავად იდება,
იცოცხლეთ, რაც რომ გინდება,
ხმა შენი არ მოგვწყინდება“.[186]

ივანე გვარამაძე ასევე დიდად აფასებდა რაფიელ ერისთავის პოეტურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას: „აკურთხოს ღმერთმან მისი მარჯვენა... ჩვენს ნუგეშად და სასიხარულოდ, ვიდრე საქართველო სცხოვრობს, არასოდეს დაივიწყება, მუდამ ქება-დიდებით მოიხსენიება ცხოველ ძეგლად მისი ნაწერნი.[76] მისი გარდაცვალებით დამწუხრებული კი გამოსათხოვარ სიტყვაში წერდა: „ბედნიერია ის დედა, რომელმანაც გშობა... აყვავდეს უჭკნობლად ის აკვანი, რომელმანაც შენ გარწია, აშენებით აშენდეს ის სასწავლებელი, სადაც შენ გამოგზარდეს სულთმაღალი, გულით მდაბალი, გონებით ბრწყინვალე და ყოფაქცევით ქვეყნის სასარგებლო ქრისტიანი კაცი“.[74]

ივანე გვარამაძე თავის ერთ-ერთ სიტყვაში „XIX საუკუნის საზოგადო მოღვაწეთა შესახებ“ მიუთითებდა, რომ XIX საუკუნემ საქართველოს მოუვლინა მრავალი ნიჭიერი მოღვაწე. ბარათაშვილი (დიდი ნიჭის პატრონი კაცი), გიორგი ერისთავი, დიმიტრი ყიფიანი, გაბრიელ ეპისკოპოსი, გრიგოლ ორბელიანი, რაფიელ ერისთავი, დიმიტრი ბაქრაძე, აკაკი წერეთელი, ილია

ჭავჭავაძე. მათ შორის უპირატესობას ილიას ანიჭებდა: „ყველამ თავიანთ კერძათ, თავიანთ მოღვაწეობით შეძლებისამებრ მოუტანეს სიკეთე ჩვენს ქვეყანას, მაგრამ ილია ჭავჭავაძისაებრ თავიანთ სულისა და გულის ნადები ვერ მოიყვანეს სისრულეში ვერც ერთმან".[135] მოუწოდებდა, რომ გაყოლოდნენ ილიას გზას. ამავე დროს, თვითონ იყო ილიას ერთ-ერთი მიმდევარი.

აღსანიშნავია, ისიც რომ დიდი სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად ივანე გვარამაძემ თავისი ერთ-ერთი ისტორიული ნაშრომი „ძველისძველი ისტორიული ცნობები მესხ ქართველთა ლინგვისტურად" უძღვნა უმორჩილესად პატივცემულს ქართველთ ისტორიკოსს ბატონ დიმიტრი ბაქრაძეს",[61] ხოლო ლექსად თქმული „წამება მიხეილ გობრონისა ასოცდაათ სამმეტ მოყვასთა მისთა მეციხოვან მესხ აზნაურთა" — დროების რედაქტორს სერგეი მესხს.[60]

ივანე გვარამაძე ხშირად მასპინძლობდა სამცხე-ჯავეხთში ჩასულ უცხოელთ, თუ ქართველ მოღვაწეთ. სხვადასხვა დროს მისი სტუმრები იყვნენ ზაქარია ჭიჭინაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი, ივანე როსტომაშვილი, ალექსანდრე ფრონელი (ყიფშიძე), ილია ალხაზიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი და ა.შ.[258] 1880 წელს 5 ღვინობისთვეს სოფელ ხიზაბავრის კათოლიკურ ეკლესიაში ივანე გვარამაძის მიერ გადახდილ იქნა მარი ბროსეს სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი, რასაც დასწრებია მეზობელი სოფლების — ვარგავისა და ბნელის მოსახლეობა.[216]

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში ინახება მისი მრავალი სიტყვა წარმოთქმული იოსებ მღვდელ ხუციანოვის დასაფლავებაზედ,[79] პეტრე ხარისჩაროვის გარდაცვალებაზედ,[107] ხიზაბავრის ეკლესიის კურთხევაზედ,[81] გოდებაძე სიმონ მღვდლის შესახებ.[194] დასახელებულ სიტყვებში ქება-დიდებით მოიხსენიებს მათ, ამასთანავე საუბრობს მათ მოღვაწეობაზე და ამით კიდევ ერთხელ დიდი სამსახური გაუწია შთამომავლობას.

მესხი მოღვაწის დამოკიდებულება მამულიშვილებთან ცალმხრივი არ ყოფილა. ქართველმა ინტელიგენციამ იმთავითვე

დაინახა და მაღალი შეფასება მისცა მის მრავალმხრივ მოღვაწეობას. ქართული კულტურის მეცნიერი ვასილ გამრეკელი მის შრომას „ციკლოპურს“ უწოდებდა,[109] ხოლო თვითონ ივანე გვარამაძეს გულწრფელად წერდა: ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ კიდევ არიან თითო-ოროლა თქვენისთანა პირნი, რომელნიც ხმამაღლა ღაღადებენ სიმართლეს ან ღვთის მოყვარეობას... ამ დროს მარტო თქვენ გვყავხართ თითით საჩვენებელნი როგორც სამაგალითო სამღვდელო პირი“.[72]

ივანე გვარამაძის პიროვნებისადმი ქართველი ინტელიგენციის დამოკიდებულებაზე, გარდა პირადი წერილებისა, ასევე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მისთვის ნაჩუქარ წიგნებზე მინაწერებიც. მაგალითად: კალმასობა, თბ. 1895 წელს გამოცემული, ზაქარია ჭიჭინაძე: „ყველა ქართველთაგან პატივცემულს მოძღვარს ივანე გვარამაძე უღრმესი პატივისცემით გამომცემელისაგან“, სამოთხის ყვავილი, ტფ. 1895 წ. „პატივცემულ მოღვაწეს და მშრომელ მამა ივანე გვარამაძეს უმორჩილესად გამომცემლის მიერ“, ან კიდევ, იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი ი.ლ.ნებოძირელისა. თბ. 1902 წ. „დიდად პატივცემულ მოღვაწე მოძღვარს ვინმე მესხს პატივისცემით გამომცემლისაგან“ და ა.შ.

ივანე გვარამაძის გარდაცვალება

ივანე გვარამაძეს თავის მრავალმხრივ მოღვაწეობაში ხელს უშლიდნენ თვით სულიერი მოძღვარნი, ხშირად უცვლიდნენ სამოღვაწეო ასპარეზს, ტოვებდნენ სამსახურის გარეშე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე პატიოსნად შრომობდა, ერთგულად ემსახურებოდა თავის ხალხს, ბევრი კეთილი საქმე გააკეთა და მაინც, როგორც ჩანს, თვითონ არ იყო კმაყოფილი თავისი მოღვაწეობით: „ვერა გავარიგერა სასარგებლო ჩვენი ქვეყნისათვის, ყოველი სურვილი და წადილი გამიუქმდა და დავრჩი ასე გულხელ დაკრეფილი“,[164] — წერდა იგი ექვთიმე თაყაიშვილს გარდაცვალებამდე სულ ცოტა ხნით ადრე.

ივანე გვარამაძე 82 წლის ასაკში გარდაიცვალა – 1912 წლის 24 მაისს. მისი ვაჟის კონსტანტინეს გადმოცემით მას არც კბილი ჰკლებია და მხედველობაც კარგი ჰქონია, ,,სწერდა-კითხულობდა უსათვალოდო". მოხუცს სიცოცხლე მოუსწრაფა ჯერ სამსახურიდან დათხოვნამ ისე, რომ მას მთავრობამ პენსიაც კი არ დაუნიშნა,[68] შემდეგ კი თავისი საყვარელი მოსწავლის მიხეილ თამარაშვილის ტრაგიკულმა სიკვდილმა.[169]

ივანე გვარამაძე თავდაპირველად დაკრძალული იყო იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის ეზოში, ხოლო 1945 წელს მისი ნეშტი გადასვენებულ იქნა წმინდა ჯვრის ეკლესიის ეზოში.

ივანე გვარამაძის დალუპვა იმთავითვე დიდ დანაკლისად მიიჩნია ქართველმა საზოგადოებამ. მისი ხსოვნის აღსანიშნავად კონსტანტინოპოლის ქართულ მონასტერში გადახდილ იქნა პანაშვიდი. მისმა შვილებმა კი სამძიმრის მრავალი წერილი მიიღეს. ალიოზ ბათმანაშვილი, კონსტანტინოპოლში მოღვაწე მისი მოსწავლე, წერდა: ,,მამი თქვენის მღ. ივანე გვარამაძის სიკვდილმა დიდათ დაგვალონა. ფასდაუდებელ მამათქვენს მარტო თქვენ როდი მისტირით, არამედ ბევრი სხვანიც მოიპოვებიან და მეც აქაურ ბერ-მონაზვნებითურთ მონაწილეობას ვიღებთ თქვენს სამართლიან მწუხარებაში".[123]

1913 წლს 26 მაისს წმინდა იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში მღვდელმა სერაბიმ მერაბიშვილმა წირვაზე მრევლს ერთხელ კიდევ შეახსენა ივანე გვარამაძის მთავარი დამსახურება: ,,სწორედ მამა იოვანეს პროპაგანდაა, რომ დღეს ჩვენ ქართველად ვიცანით ჩვენი თავი", სამართლიანად იქადაგა – ,,ამის გამო მღ., ივანე გვარამაძე დაუვიწყარი უნდა იყოს".[243] მართლაც, მისი გარდაცვალებიდან დღემდე არ შენელებულა ივანე გვარამაძის პიროვნებისადმი ყურადღება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართველ საზოგადოებრიობას იმთავითვე გადაუწყვეტია ,,ვინმე მესხის" ძეგლის დადგმა მის მშობლიურ ქალაქ ახალციხეში, რისთვისაც შეუქმნიათ სპეციალური ფონდი. ამ საკითხთან დაკავშირებით ცნობილი საზოგადო მოღვაწე ზაქარია დიდიმამიშვილი წერდა: ,,ვგზავნი 28 მანეთს მღ. იოანე გვარამაძის – ,,ვინმე მესხის"

ილია ჭავჭავაძე მწერალ-მეგობრებთან

ილიას ძეგლის ავტორი ზურაბ წერეთელი
ლენინის ძეგლთან

ძეგლის ფონდის დასაარსებლად. აქვეა, შემომწირველთა სიაც".[244] თანხა ეგზავნებოდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. ჩვენთვის გაურკვეველ მიზეზების გამო, იმხანად ივანე გვარამაძის ძეგლი არ დაუდგამთ. აღნიშნული საკითხი საკმაოდ მოგვიანებით იქნა მოგვარებული. კერძოდ, 1979 წელს ადგილობრივი მკვიდრის სიმონ ზაზაშვილის მიერ იქნა დამზადებული ივანე გვარამაძის ბიუსტი, რომელიც დაიდგა სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ეზოში. ივანე გვარამაძის საზოგადოებრივი მოღვაწეობის აღსანიშნავად თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საკრებულომ მის შვილიშვილს — სიმონ მაისურაძეს 1914 წელს დაუნიშნა პაპის სახელობის სტიპენდია თვიურად 12 მანეთისა და 50 კაპიკის ოდენობით.[166]

ზემოთ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ივანე გვარამაძე იყო თავისი დროისათვის კარგად განსწავლული პიროვნება და მრავალმხრივი მოღვაწე: არქეოლოგი, ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, მწერალ-პუბლიცისტი, მასწავლებელი, ხალხური სიტყვიერების შემკრები და მკვლევარი, პოეტი და მხატვარი, ფლობდა თურქულ, ფრანგულ, ლათინურ, სომხურ ენებს, იცნობდა ქართულ და სომხურ მწიგნობრობას, იყო კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საზოგადოების წევრ-კორესპონდენტი (1882 წლიდან); საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი. ეწეოდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას; იგი იყო სოფელ ხიზაბავრასა და ახალციხეში სკოლების დამფუძნებელი, უნიკალური საოჯახო მუზეუმის შემქმნელი, რაბათსა (ახალციხე) და ხიზაბავრაში ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსების ერთ-ერთი ხელშემწყობი, პრაქტიკოსი მასწავლებელი, სახელმძღვანელოთა („ქართული ენის გრამატიკა", „ქართლის ცხოვრება") შემდგენელი, ღირსეულ მამულიშვილთა აღმზრდელი, მრავალი კათოლიკური ეკლესიის აღმდგენელი, სამცხე-ჯავახეთის ქართველ კათოლიკეთა სულიერი მოძღვარი, ქართულ ენოვანი ტიპიკონისათვის მებრძოლი, თვით ტერმინის — „ქართველი კათოლიკე" — აღმდგენელი, ამ კუთხეში ეროვნულ-

განმათავისუფლებელი მოძრაობის მოთავე და საერთოდ მესხ განმანათლებელთა წინამძღოლი.

ივანე გვარამაძის მოღვაწეობის ჩამოთვლილი ნუსხა ნათელ წარმოდგენას იძლევა იმის შესახებ, თუ რა როლი შეიძლებოდა შეესრულებინა მესხურ განმანათლებლობაში. მისი ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლამ დაგვანახა, რომ იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა სამცხე-ჯავახეთსა, თუ საქართველოში განხორციელებულ ღონისძიებებში. თავის მოღვაწეობას მრავალმხრივ წარმართავდა ეპოქის მოთხოვნების შესაბამისად. დიდი ამაგი დასდო თურქთა ბატონობისაგან გათავისუფლებულ სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის განათლების განვითარების, კულტურული დაწინაურებისა და ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძების საქმეს.

ივანე გვარამაძის საგანმანათლებლო საქმიანობის უმთავრესი შედეგი სამცხე-ჯავახეთის ქართველი მოსახლეობის ეროვნული გადაგვარების თავიდან აცილება იყო.

ივანე გვარამაძის პედაგოგიური მემკვიდრეობა

ივანე გვარამაძის პედაგოგიური შეხედულებანი მჭიდროდ არის დაკავშირებული მის მსოფლმხედველობასთან, საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების იმდროინდელ ამოცანებთან. ამასთანავე იგი ეფუძნება ქართველი ხალხის ცხოვრების ძველ ჯანსაღ ტრადიციებს. პროგრესულად მოაზროვნე პიროვნებასა და საზოგადო მოღვაწეს — ივანე გვარამაძეს, რომელიც ხანგრძლივ პრაქტიკულ მოღვაწეობას ეწეოდა, სწავლა-აღზრდის საკითხებზე საკუთარი შეხედულებანი გააჩნდა. მისი პედაგოგიური მოსაზრებანი განივთებულია როგორც უშუალოდ პედაგოგიური ხასიათის ნაშრომებში, ასევე სხვადასხვა შინაარსის წერილებში, საგანგებოდ მომზადებულ სიტყვებში, ლექსებში, ბრძნულ გამონათქვამებში. პროფესორი ვლადიმერ გაგუა, ჯერ კიდევ, გასული საუკუნის 70-იან წლებში მიუთითებდა, რომ „ბევრი განმანათლებლის, სახალხო განათლების დარგის ცნობილი მოღვაწის პედაგოგიური იდეები დღემდე შესწავლილი არ არის“.[3] მათ შორის უნდა ვიგულისხმოთ მესხეთში მოღვაწე განმანათლებლები და კერძოდ, ივანე გვარამაძე. როგორც შესავალ ნაწილში აღვნიშნეთ, მესხ განმანათლებელთა პედაგოგიური იდეები ბოლო პერიოდში იქნა შესწავლილი. კერძოდ ლ. კურტანიძის მიერ დამუშავებული იქნა სადისერტაციო ნაშრომი.

ივანე გვარამაძის მოღვაწეობით დაინტერესებული პირნი ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას მის საზოგადოებრივ საქმიანობაზე ამახვილებდნენ. მესხი მოღვაწის გარდაცვალებიდან დღემდე ადგილი არ ჰქონია მისი პედაგოგიური მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლის მცდელობას. ამდენად, ქართველი საზოგადოებისათვის უცნობია მისი ზოგადპედაგოგიკური და დიდაქტიკური შეხედულებები. ამასთანავე გაურკვეველია, თუ რა წვლილი მიუძღვის მას ქართული პედაგოგიური აზროვნების განვითარებაში. შეიძლება ითქვას, რომ ივანე გვარამაძეს თითქმის არ დაუტოვებია პედაგოგიკის არცერთი პრობლემა, რომლის შესახებაც მას არ ჰქონოდა ეროვნული პოზიციებიდან დასახული

შეხედულებანი. უნდა ითქვას ისიც, რომ თავისი შეხედულებებით ზოგიერთ პედაგოგიკურ საკითხზე მნიშვნელოვნად უსწრებდა ეპოქას.

საერთოდ, მისი პედაგოგიური მოსაზრებანი ხასიათდება პროგრესულ დემოკრატიულობით, აქვთ სადღეისო და სამომავლო ღირებულება. აღნიშნული ღირებულებების კონკრეტულ წარმოჩენას დიდი ადგილი აქვს დათმობილი წინა თავში.

საკითხის გაცნობამ დაგვარწმუნა მისი შესწავლისა და წარმოჩენის აუცილებლობაში. ვფიქრობთ, იგი მნიშვნელოვნად გაამდიდრებს ქართული პედაგოგიკის ისტორიას. რამდენადაც, ივანე გვარამაძის პედაგოგიურ შეხედულებებს დღესაც არ დაუკარგავთ ღირებულება, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მათი ფართო პროპაგანდა და პრაქტიკაში დანერგვა.

დიდაქტიკის საკითხები ივანე გვარამაძის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში

ივანე გვარამაძის შეხედულებანი განათლებაზე

ივანე გვარამაძემ, თავის ეპოქისათვის უაღრესად განათლებულმა პიროვნებამ, კარგად იცოდა განათლების ფასი და ამიტომ დიდ როლს ანიჭებდა ერის დაწინაურების საქმეში. მისი წარმოდგენით, განათლებას უნდა უზრუნველყო სამხრეთ საქართველოს მოსახლეობაში თურქთა ბატონობით ჩამკვდარი კულტურისა და ეროვნული თვითშეგნების აღდგენა-გამოცოცხლება. მას მიაჩნდა, რომ მხოლოდ განათლებას შეეძლო ამ მხარის ფეხზე დაყენება: „თუ რამე ბედნიერებას მოველოდებით ჩვენ, მხოლოდ სწავლა-განათლებისაგან, მხოლოდ ამას შეუძლია ცოტა ოდნად ფეხზე წამოაყენოს ჩვენი მხარე“.[215] იგი სწავლა-განათლებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ეროვნულ-

განმათავისუფლებელ ბრძოლაში. მისი აზრით, რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში ფართოდ უნდა გამოეყენებინათ ეროვნული განათლება. ე.ი. განათლებას ეროვნული ხასიათი უნდა ჰქონოდა, მას უნდა უზრუნველყო ერის სულიერი გაძლიერება. გადაგვარებისაგან თავის დაცვა მხოლოდ განათლებულ, სწავლულ ხალხს შეეძლო. ამიტომაც, უქადაგებდა თანამემამულეებს: „ნუ გაზრდით შვილებს უცხოთ წესზე, მონური სულით“,[252] ივანე გვარამაძის ასეთი დამოძღვრა ძალზედ აქტუალურია დღესაც — განათლების ახალი სისტემის შექმნის პროცესში. თავის ხალხს მოუწოდებდა განათლებისაკენ, რადგან სწამდა, რომ მისი მიღების სურვილი დიდი ხანია ჰქონდა ქართველ კაცს: „განათლების სიყვარული, ჩვენდა სანუგეშოდ, დიდი ხანია გამჯდარია ჩვენი ხალხის ძვალსა და რბილში... სწავლის წყურვილი, რასაკვირველია, უფრო გადიდდა“.[215] ივანე გვარამაძე მოითხოვდა, რომ განათლების მიღება შესაძლებელი ყოფილიყო ყველასათვის და დაწყებითი სკოლები არ ყოფილიყო წოდებრივი, მდიდარსა და ღარიბს განათლების მიღების ერთნაირი უფლება ჰქონოდა, ხოლო მასწავლებელთა მხრივ არ ჰქონოდა ადგილი მათ გარჩევას სწავლების პროცესში. იგი აყენებდა საყოველთაო-სავალდებულო დაწყებითი სწავლების საკითხს.

XIX საუკუნეში 80-იან წლებში სწავლების ქირის გადიდება, მისი აზრით, „იმის ნიშანი იქნება, რომ მხოლოდ მდიდრებს მიეცემა გზა განათლებისა და ღარიბები კი ისევ უმეცრების ნისლით უნდა იყვნენ დაბურილი“.[215] გარდა ამისა, პრაქტიკული პედაგოგიური მოღვაწეობის დროს ცდილობდა ხელი შეეწყო ღარიბთათვის განათლების მიღებაში. ამავე მიზეზით, იგი იოანე ნათლისმცემლის სასწავლებელში უხელფასოდ მსახურობდა. ე.ი. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, როგორც პროგრესულად მოაზროვნე პედაგოგი, აღიარებდა საყოველთაო დაწყებითი განათლების მიღების აუცილებლობას და წოდებრივი უპირატესობის უარყოფას განათლების სფეროში.

ივანე გვარამაძე, როდესაც მოითხოვდა მოზარდთათვის განათლების მიცემას, იგი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა განათლების შინაარსზე. მისი მოსაზრებით, პირველ

რიგში საჭირო იყო მოზარდისათვის მიეცათ ეროვნული განათლება. ეი. მშობლიური ენის, ისტორიის, გეოგრაფიის. ბუნების ღრმა ცოდნა. რადგან მხოლოდ „ევროპულად განათლებულთ სწავლა-მეცნიერება მარტო თავიანთვის რჩებათ, თავიანთ კერძო სარგებლობისათვის და თავიანთ ცარიცა სახელისათვის. არც თავის მოკეთეთ და არც რა თავის სამშობლოს სასიკეთოთ არ აღგებათ“.[182] მიაჩნდა, რომ ადამიანს ეროვნული განათლება თუ არ ექნებოდა მიღებული, მაშინ იგი ვერ შეძლებდა ქვეყნის სასიკეთოდ ევროპული განათლების გამოყენებას. ამასთანავე მოითხოვდა, რომ განათლებულ ადამიანს თავისი თეორიული ცოდნა პრაქტიკულად გამოეყენებინა. გარდა ამისა, ივანე გვარამაძის შეხედულებით, ადამიანს თავისი ცოდნა მარტო თავის სასარგებლოდ კი არ უნდა გამოეყენებინა, არამედ პირველ რიგში, იგი ქვეყნის, ხალხის სამსახურში უნდა ჩაეყენებინა. აქედან გამომდინარე მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ მისი შეხედულებით, ადამიანი თეორიული ცოდნის ცხოვრებაში გამოყენებას მაშინ შეძლებდა, თუ თვით სწავლება დაეფუძნებოდა შეგნებულობასა და ინტერესს.

აღსანიშნავია ისიც, რომ მესხ განმანათლებელს მხედველობიდან არ გამორჩენია ქართველი ახალგაზრდობის განსაკუთრებული სწრაფვა უმაღლესი სასწავლებლისკენ: „უმრავლესნი მიდიან მაღალ სასწავლებელში (უმაღლეს სასწავლებელში — ნ.ყ.) სწავლობენ ბერძნულსა, ფრანგულს, გერმანულს... გამოდიან სწავლულნი, მეცნიერნი, განათლებულნი ევროპულად“.[182]

მისთვის გასაგები იყო ქართველი ახლგაზრდობის მისწრაფება უმაღლესი განათლების მიღებისა რუსეთსა და ევროპაში, რამდენადაც XIX საუკუნის II ნახევრის მდგომარეობით საქართველოში არ არსებობდა უმაღლესი სასწავლებელი. მესხი განმანათლებლის დამოკიდებულება ევროპული განათლების მიმართ ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ იგი თითქოს უარყოფდა მას. პირიქით, მოსწონდა ქართველი ახალგაზრდობის სწრაფვა უმაღლესი განათლების მისაღებად. ამავე დროს, მიუთითებდა, რომ მოზარდს ჯერ უნდა შეეთვისებინა „საკუთარი სწავლა-მეცნიერება“, ხოლო იმის შემდგომ, ეროვნულ განათლებაზე

დაყრდნობით, მოზარდს უნდა მიეღო ევროპული განათლება, რათა ჰქონოდა მოღვაწეობის ფართო ასპარეზი. რადგან ასეთ პირობებში „ერთი ათასად წინ წავსდგამდით ნაბიჯს ევროპულს სასარგებლო განათლების სფეროში“.[182] ე.ი. ასეთი გზით შეძლებდნენ საერთო განათლების წინსვლაში თავიანთი წვლილის შეტანას. ივანე გვარამაძე არ იყო ფრაგმენტული განათლების მომხრე. მისი აზრით, თუ მოზარდს საფუძვლიანად ჰქონდა მიღებული „საკუთარი სწავლა-მეცნიერება“, ყოველივე ეროვნულის დაცვის მეტი უნარი ექნებოდა, საკუთარის ცოდნა გააძლიერებდა მასში სიყვარულსა და თავდადებას. ამრიგად, მისი აზრით, ეროვნული და ევროპული განათლება უნდა ყოფილიყო გაუმიჯნავი. ეროვნულს უნდა დაფუძნებოდა ევროპული განათლება. მას მიაჩნდა, რომ მხოლოდ ასეთი, საერთო ცოდნით შეიარაღებული ერი შესძლებდა ქვეყნის დაცვას, წინსვლასა და თავისი წვლილის შეტანას მსოფლიო კულტურის განვითარებაში.

ამდენად, ივანე გვარამაძის შეხედულებით, ქვეყნის ბედი დამოკიდებული იყო ხალხის განათლებაზე. რადგან განათლებას გარკვეულ წილად ქვეყნისათვის ეკონომიკური სიძლიერის მოტანა შეეძლო. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მისი აზრით, განათლებულ ადამიანს უფრო მეტი სარგებლობა და სიკეთე შეიძლება მოეტანა ხალხისათვის, ვიდრე უსწავლელს.

ივანე გვარამაძის თანამედროვენი კარგად ხედავდნენ მის დამოკიდებულებას განათლებისადმი. მისი პირველი ბიოგრაფი ზაქარია ჭიჭინაძე წერდა: „ივანე გვარამაძე დიდი მოტრფიალეა ქართველი ხალხის სწავლა-განათლებისო“.[54] მისი მოღვაწეობის თვითმხილველი დაწვრილებით აღწერდა, თუ როგორ ზრუნავდა იგი სოფელ ხიზაბავრაში არამარტო ბავშვების, არამედ მათი მშობლების განათლებაზეც. „მოკლედ უნდა ვსთქვათ, რომ ქართველი ერის სახსნელად და წინ წასასვლელად მხოლოდ ამას (განათლებასა) თვლიდა და სთვლის კიდეც“,[54] — წერდა ზ. ჭიჭინაძე. სწორედ ამიტომ იყო, რომ ივანე გვარამაძე მოზარდთა განათლებას ქადაგებდა და მის პედაგოგიურ მემკვიდრეობაშიც მნიშვნელოვანი ადგილი დიდაქტიკური ხასიათის ლექსებს უკავია. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ლექსი: „ყრმათ

სანავარდო სამნახველო ცხოველთა“. ავტორს, მისივე თქმით, ლექსი ახალგაზრდების დასარიგებლად და ჭკუის სასწავლებლად დაუწერია, ლაკონურად ახასიათებდა „სწავლულს“ და „უსწავლელს“. კერძოდ, ლექსში ქადაგებს სწავლის, ცოდნის საჭიროებასა და სარგებლიანობას. იგი სწავლულ კაცს ბრწყინვალე მზეს ადარებს. სწავლულს ესმის ცხოვრების ავკარგი, იცის სარგოც და სავნოც. და რაც მთავარია: „სადაც წარდგეს გზა-კვალსა ხსნის სამუდამოდ თავის საფერს“. ე.ი. ცოდნას პრაქტიკული გამოყენების მნიშვნელობა აქვს, მცოდნე ადამიანისათვის გაცილებით ადვილი შესაძლებელია ცხოვრებისეული წინააღმდეგობების დაძლევა. და კიდევ ერთი, მას თავისი ცოდნით ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია ხალხისათვის, რის გამოც იგი უკვდავი ხდება:

„კიდეც მოკვდეს, უკვდავი არს,
მისი საქმე სძენს კაცთ ბევრა“.[106]

ე.ი. ივანე გვარამაძემ ცოდნა-განათლება ადამიანისათვის უკვდავების მოპოვების ტოლფასად გამოაცხადა. ამით იგი შეეხმიანა თავის დიდ წინამორბედს — დავით გურამიშვილს, რომელმაც სწავლა-მეცნიერება თავისუფლებას გაუტოლა: „ბრძენსა აქვს თავის უფლება, სოფელში ყოფნა ნებისა“.[36]

ივანე გვარამაძეს დასახელებულ ლექსში ასევე მოცემული აქვს უსწავლელის დახასიათებაც. მისი შეხედულებით: „უსწავლელი ბრმა არის, ეხეტება ღამე ბნელსა“. ადამიანს თავისი უსწავლელობით დიდი ზიანი მოაქვს თავისი თავისათვის და უქმად გაჰყავს წუთისოფელი. ივანე გვარამაძეს ლექსში მოცემული აქვს სწავლულისა და უსწავლელის შედარებითი დახასიათება და ამასთანავე ახალგაზრდას აყენებს არჩევანის წინაშე, თუ რომელი მათგანი აირჩიოს. შედარების ხერხით მოზარდს უადვილებს სწორი არჩევანის გაკეთებას. აღსანიშნავია ისიც, რომ ივანე გვარამაძეს მხედველობიდან არ გამორჩენია ცოდნის გამოყენების პრაქტიკული მხარე. იგი წერდა: „როგორც მდიდარი მაშინ რჩება მდიდრად როცა სწავლა-გონებით რიგიანად, ფრთხილად დაიჭერს თავის საქმეებს, რომ არ გაფლანგოს და გაანიავოს თავისი სიმდიდრე, ისე გლახაკი მდიდრის მიბაძვით

ჭკუით მოიქცეს, გაისარჯოს, ეცადოს, რომ იმ თავის სიგლახაკითგან გამოვიდეს და რიგიან ცხოვრების გზას დაადგეს, უგუნურმაც სწავლით უნდა შეიძინოს გონიერება".[58] ე. ი. მისი აზრით, ადამიანის მიერ ცოდნა, განათლება გონივრულად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეასრულებდა თავის მისიას. ამრიგად, ივანე გვარამაძის შეხედულებით, განათლება და სწავლება ახალგაზრდობის აღზრდის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა.

განათლების საკითხისადმი ივანე გვარამაძის დამოკიდულების შესწავლით ნათლად იკვეთება ის, რომ იგი ახლოს დგას დიდი წინამორბედის, დავით გურამიშვილის დიდაქტიკურ შეხედულებებთან. ამასთანავე, მის დამცველად და გამგრძელებლად გვევლინება.

ივანე გვარამაძე ცოდნის დაუფლებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სახელმძღვანელოს, რაც ცოდნის მიღების ერთ-ერთ საშუალებად მიაჩნდა. XIX საუკუნის მეორე ნახევრის მდგომარეობით, პროფ. ვ. გაგუას მითითებით: „ქართული სახელმძღვანელო თითო-ოროლა თუ იყო".[4] თანამედროვე სკოლის სწორედ ამ სისუსტეზე მიუთითებდა მესხი განმანათლებელიც: „გამოიღვიძა ქართველობამ, აჩვენებენ ყოველნი სწავლის დიდ სურვილსა ყოველგან. მაგრამ ხელსამძღვანი წიგნები (ე.ი. სახელმძღვანელო – ნ.ყ.) კი ვერ შეგვიდგენია ჩვენდა სამწუხაროდ, რომ ახალ მოზარდ თაობის მოთხოვნილება დავაკმაყოფილოთ".[188] ამ ამონაწერიდან ნათლად ჩანს, რომ ივანე გვარამაძე გრძნობდა ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების შედგენის აუცილებლობას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ საქმეში გარკვეული წილი თვითონაც შეიტანა. კერძოდ, მის მიერ 1881 წელს იქნა შედგენილი ისტორიის სახელმძღვანელო „ქართლის ცხოვრება" (იხ. ვრცლად ქვემოთ). მას ესმოდა სახელმძღვანელოს დანიშნულება. ამიტომ, მიუთითებდა, რომ სახელმძღვანელო უნდა ყოფილიყო კარგად დამუშავებული, ენობრივად გამართული და გასაგები. მის გამოყენებამდე უნდა განხილულიყო სწავლულთა მიერ. ამრიგად, თავისი დანიშნულებიდან გამომდინარე იგი სახელმძღვანელოს წინაშე სამართლიანად აყენებდა გარკვეულ მოთხოვნებს, რადგან კარგად

ჰქონდა გააზრებული, თუ რაოდენ საპასუხისმგებლო საქმე იყო სახელმძღვანელოს შედგენა და როგორი სიფრთხილე და ყველაფრის გათვალისწინება სჭირდებოდა მის შემდგენელს. აქ ნათლად ჩანს, რომ აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში მისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო და იზიარებდა იაკობ გოგებაშვილის დამოკიდებულებას: „სახელმძღვანელო ორპირი ბასრი ხანჯალია, რომელსაც შეუძლიან დიდი სიკეთე დათესოს და დიდი სიბოროტეც ჩანერგოს სკოლის და ხალხის ცხოვრებაში“... [10]

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ივანე გვარამაძეს ადამიანის განათლების ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებად წიგნი მიაჩნდა. კარგად იცოდა წიგნის მისია და როლი კაცობრიობის ისტორიაში. ამიტომაც იყო, რომ ყურადღების მიღმა არ დაუტოვებია და თავის ერთ-ერთ ლექსში სახელწოდებით „წიგნი“ ქება-დიდებით მოიხსენიებდა:

„ვით გაქო წიგნო ბამბისა
მფრინველო ქვეყნის კვლავ ცისა,
ხარ მოციქული ამბისა,
საღმრთო ცათა და კაცისა.
ყურთ და თვალთ სიტყვას შეასმენ,
მოაბირებ შენსკენ თემთა
რიგ სმენ მეფედ, რიგ გარდასმენ
ამიტომ ანგელოზთ დადევთა“.[113]

ამრიგად, ავტორს ლექსში მოცემული აქვს ვრცელი დახასიათება, ამასთანავე კარგად ჩანს ივანე გვარამაძის როგორც განმანათლებლის მისადმი დამოკიდებულება.

ივანე გვარამაძე განათლების ცნებას ფართოდ განიხილავდა. მასში გულისმობდა არამარტო გარკვეულ თეორიულ ცოდნას, არამედ მის პრაქტიკულ დანიშნულებასაც. კონკრეტულ შემთხვევაში, მას სამცხე-ჯავახეთის ქართველობაში ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებაში მთავარ საშუალებად განათლება მიაჩნდა. ამიტომაც იყო თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობით პრაქტიკულად ზრუნავდა სამცხე-ჯავახეთში განათლების დაწინაურებისათვის, ამის დასაბუთებას წარმოადგენს მის მიერ სახელმძღვანელოს შედგენა, სკოლების დაარსება, ქართული ენის

დაფუძნებისათვის ბრძოლა, თავისი კუთხის ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლა და ა.შ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ივანე გვარამაძე რეალურად აღიქვამდა ქართველი ერის წინსვლას განათლების სფეროში. მიუთითებდა, რომ რუსიფიკატორული პოლიტიკის მიუხედავად, რუსეთს თავისი წვლილი მაინც შეჰქონდა განათლების გავრცელებაში. კერძოდ, ერთ-ერთ წერილში „პასუხი ისტორიულ და არქეოლოგიურ შენიშვნაზედა კრიტიკოსს მ.გრ.ყ-ძეს“ მიუთითებდა, რომ: 'მწერლობა რკინისგზასავით კალაპოტში დგება... განათლების მზემ თავის ბრწყინვალე შარავანდედის სხივები დიდს და მცირე კავკასიის მთათ წვეროებს შემოაყენა მხიარულად... გაგველო ალაგ-ალაგ სასწავლებლები ვაჟ-ქალთა, გავიჩნდა ტიპოგრაფები... გამოიღვიძა ქართველობამ, აჩვენებენ ყოველნი სწავლის დიდ სურვილსა ყოველგან“.[188] ვფიქრობთ, ივანე გვარამაძეს მხედველობაში ჰქონდა ის, რომ ქართველი ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილი მაინც ახერხებდა უმაღლესი განათლების მიღებას რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში. 1900 წლის მდგომარეობით რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში 216 ქართველი სტუდენტი სწავლობდა,[29] სადაც განათლებასთან ერთად დემოკრატიული იდეებიც შეითვისეს. ამასთანავე, რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში აღიზარდა მრავალი ნიჭიერი ქართველი მეცნიერი: ივანე თარხნიშვილი, ალექსანდრე ცაგარელი, დავით ჩუბინიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, ვასილ პეტრიაშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი, დიმიტრი ბაქრაძე და ა.შ., რომლებმაც თავიანთი მოღვაწეობით დიდი წვლილი შეიტანეს მეცნიერების სხვადასხვა დარგისა და კულტურის განვითარებაში.

ივანე გვარამაძე ქართული ენის, როგორც აღზრდა-განათლების საფუძვლის შესახებ

წინამდებარე ნაშრომის პირველ თავში საუბარი გვქონდა მასზედ, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსიფიკატორული პოლიტიკის პირობებში გაძლიერდა ქართული ენის დევნა. ენისა, რომელიც იაკობ გოგებაშვილის სამართლიანი თქმით ქართველი ერის ერთ-ერთ ეროვნულ ბურჯს წარმოადგენდა. ამიტომ, როცა საფრთხე შეექმნა მას, ყველა პროგრესულად მოაზროვნე და პატრიოტმა მამულიშვილმა გააჩაღა ბრძოლა მის დასაცავად. დედა ენისათვის ბრძოლა აღნიშნულ პერიოდში იქცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთ-ერთ ძირითად საგნად. ამ მოძრაობაში, როგორც უკვე დავინახეთ, თავისი დიდი წვლილი შეიტანა ივანე გვარამაძემ – ერთ-ერთმა პატრიოტმა მამულიშვილმა. რამდენადაც დედა ენის მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმე იყო სამცხე-ჯავახეთში აქ შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე – ივანე გვარამაძე სამართლიანად და ამავე დროს მოურიდებლად აცხადებდა: „ოსმალოს ხელში მღელვარებისა და ვაების დროს ქრისტიანებმა დავიცვით დედა ენა და ახლა მშვიდობიანობის დროს კი გვტაცებდნენ“.[179] მას კარგად ესმოდა, თუ რა იყო გამიზნული 1886 წლის 27 თებერვლის ბრძანებით, საბოლოოდ რას მოუტანდა იგი ქართველ ერს: „ამ რიგობით (გზით – ნ.ყ.) სომხური ენა უნდა გაამეფონ ჩვენს ეკლესიებში, შემდეგ ჩვენ სამრევლო სკოლებსაც ჩაიგდებდნენ ხელში და საუკუნოთ მშვიდობით ოსმალოსაგან ვაი-ვაგლახით დაფარულო დედა ენავ, სომხებისაგან წამებულო დედა ენავ“.[179] მან შესანიშნავად იცოდა, რომ „გაუქმება ენისა არის ნიშანი ეროვნების მოსპობისა.“[259] ამიტომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყოველგვარი მორიდების გარეშე თანამემამულეებს ხმამაღლა მოუწოდებდა: „ნუ გაზრდით შვილებს უცხოთ წესზე-მონური სულითა, დროა ქართველებო, გაარჩიოთ მტერი მოყვრისაგან, სტუმრად მოსულთ მასპინძლობის უფლებას ნუ მისცემთ დროა აღადგინოთ, დაიცვათ თქვენი ძველთაძველი, მდიდარი და საამაყო დედა ენა.“[252]

გარდა პატრიოტული (პირადული) დამოკიდებულებისა მას, როგორც პრაქტიკოს მასწავლებელს, ჩამოყალიბებული ჰქონდა წმინდა პედაგოგიური შეხედულებანი დედა ენის შესახებ. მას უმაღლესი შეფასება მისცა. მაშინ როცა იაკობ გოგებაშვილმა დედა ენას „ეროვნების ბურჯი“ უწოდა, ივანე გვარამაძემ იგი „ერის თავმოყვარეობის დამცველად“ გამოაცხადა. მისი აზრით, ყველა ეროვნების ადამიანს მშობლიური ენის შესწავლით უნდა გაეცნო: „თავისი ქვეყანა, თავისი არსობის ავკარგი, თავისი მოდგმა (ხალხი — ნ.ყ.), თავისი ნათესაობა, ღვთის მსახურება, საქმეყოფა“.[190] ამასთანავე, მას გარდაუვალ აუცილებლობად მიაჩნდა ის, რომ ბავშვს პირველი დაწყებითი სწავლა მშობლიურ ენაზე უნდა მიეღო. იმიტომ, რომ „თუ არ იცოდეს რიგიან თავის ენა, გრამატიკა, თვლა-ანგარიში, გვაროვნული ისტორია (ერის ისტორია — ნ.ყ.). იმისთანა პირს როგორიღა სიყვარული მოეთხოვება თავისათვის, ან მიჩნევა, ან პატივი?“ იგი დასძენს: „თუ კაცმა თავის ღირსება არ იცის, თავის თავდავიწყებული კაცი მოყვასს ვერ შეიყვარებს“.[190] რაც მიუღებელია და დაუშვებელია. მაშინ, როცა იესო ქადაგებს: „შეიყვარე მტერი შენი და პატივი ეცი მას“, ბუნებრივია, ადამიანს უნდა შეუყვარდეს მოყვასი თავისიც. ამიტომ, ერის ინტერესებიდან გამომდინარე მოითხოვდა: „საზოგადოდ ყოვლის ღონით უნდა ვეცადოთ საცა ჯერ არს გარდაწყდეს, რომ პიველ დაწყებით სწავლას ჩვენს ქართვულ ენაზედ პირველი ადგილი ეჭიროს 5 წლამდის, ვიდრე კარგად შეისწავლებოდეს ყოვლად საჭირო საგნები“.[190] აქედან კარგად ჩანს, რომ ივანე გვარამაძეს წერა-კითხვის სწავლების საკითხთან დაკავშირებით თითქმის ისეთივე შეხედულება გააჩნდა, როგორც იაკობ გოგებაშვილს და სხვა განმანათლებლებს. კერძოდ, იაკობ გოგებაშვილი აკრიტიკებდა კავკასიაში არსებულ დაწყებითი სკოლის კურსს: სამწლიანი კურსი არასაკმარისად მიაჩნდა იმ შემთხვევაშიც კი, თუ რუსული სკოლის მსგავსად განისაზღვრებოდა მშობლიურ ენაზე წერა-კითხვის შესწავლა, იგი იზიარებდა ავტორიტეტულ პირთა აზრს — „გონივრული წერა-კითხვის შესწავლა შესაძლებელია მხოლოდ ოთხი წლის განმავლობაში“.[11] ივანე გვარამაძის აზრით, უნდა მომხდარიყო

ჯერ ქართული ენის საფუძვლიანი ათვისება, ხოლო შემდეგ მასზე დაყრდნობით სხვა საგნებისა და ენების შესწავლა. მოუთითებდა, რომ ქართული ენის საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ „ყველა ენა და საგანი მეტად სიადვილით და რიგიან შეისწავლება“.[190] ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც იგი იცავდა თანმიმდევრობისა და შეგნებულობის პრინციპებს. მისი აზრით, მშობლიურ ენაზე სწავლება შეგნებულობის დიდაქტიკური პრინციპის განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენდა. ამასთანავე, იგი ბავშვების გონებრივი, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდის საქმეში მნიშვნელოვან როლს ანიჭებდა მშობლიურ ენას.

გარდა ამისა, მას ქართველ პედაგოგთა მსგავსად აუცილებლად მიაჩნდა რუსული ენის შესწავლა, რაც მშობლიურ ენის საფუძვლიანი შესწავლის საშუალებითა და მის შემდგომ უნდა განხორციელებულიყო.

მესხი განმანათლებელი მშობლიური ენის სწავლების საკითხთან დაკავშირებით ეხმიანებოდა იაკობ გოგებაშვილის და ძირითადად მისი პოზიცია ეკავა. იგი მშობლიურ ენას სწავლების საფუძვლად აღიარებდა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ივანე გვარამაძის შეხედულებით, ქართველ განათლებულ ადამიანში უპირველესად უნდა იგულისხმებოდეს ქართული ენის საფუძვლიანი მცოდნე. მისი აზრით, რაც უნდა განათლებული პიროვნება იყოს, თუ მას ქართული ენა საფუძვლიანად შესწავილი არ აქვს: „სამშობლოს საამისო სარგებლობას ვერ მოუტანს, როგორც მოუტანდა თავის სამშობლო ენის რიგიან შესწავლითა“.[190] ამასთანავე, იგი მოითხოვდა, რომ ჯეროვანი ყურადღება დაეთმოთ მშობლიური ენის სწავლების გაუმჯობესების საკითხისადმი. კერძოდ, არ დაეშვათ ენის დამახინჯება, რადგან მისი აზრით, „ენის სიძლიერე ერის სიძლიერის ტოლფასია“. იგი სომეხი ხალხის მაგალითზე მიუთითებდა: „ენის ძლიერებამ შეაკავშირა ურთიერთგან დაშორებული ერი“.[190] ამრიგად, ივანე გვარამაძემ ყოველი ქართველის წინაშე იმთავითვე დააყენა ენის დაცვის აუცილებლობის საკითხი მაშინ, როცა გრიგოლ ორბელიანი ბრძანებდა:

„რა ენა წაბდეს, ერიც დაეცესო", მესხი განმანათლებელი წერდა: „ენის სიძლიერე – ერის სიძლიერეა" რამდენადაც ენისა და ერის სიძლიერისათვის ბრძოლა არ შეიძლება რაიმე ქრონოლოგიურ ჩარჩოში ჩაიცვას, მას მარადიული ხასიათი აქვს, აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ დღესაც ოჯახისა და სკოლის, აღზრდისა და სწავლების მისია უნდა იყოს მშობლიური ენის კარგი მცოდნის და მისი სიწმინდის დამცველი თაობის აღზრდა. დღეს, როგორც არასდროს, საჭიროა ქართული ენის სიწმინდის დაცვა. რამდენადაც ჩვენ თვითნებურად უამრავი ბარბარიზმი დავამკვიდრეთ ქართულ ენაში იმდენად რომ ტელევიზით, პრესით, გაფორმებებში, კერძო საუბრებში გვხდება იმდენი უცხო სიტყვა, რომელთა უცოდინარობის გამო უხერხულებობას განვიცდით. ამდენად ქართული ენის სიწმინდის დაცვა დღევანდელობის ერთ-ერთი აუცილებელი და უმთავრესი პრობლემაა. აღსანიშნავია, რომ მესხი პედაგოგი და განმანათლებელი თანამემამულეებს საკუთარი მოღვაწეობით უჩვენებდა მშობლიური ენის დაცვის მაგალითს. ის არ ერიდებოდა არავის და ამავე დროს ყველა საშუალებას მიმართავდა ქართული ენის შენარჩუნებისათვის. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს მისი დამოკიდებულება 1886 წლის 27 თებერვლის ბრძანებისადმი (აღნიშნულის შესახებ ვრცლად ვისაუბრეთ წინამდებარე ნაშრომის I თავში).

მოძიებული მასალებიდან ირკვევა, რომ ივანე გვარამაძეს მშობლიური ენის შესწავლისა და დაცვის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოთა შედგენა მიაჩნდა. ამ საქმეშიც მან თავისი წვლილი შეიტანა. კერძოდ, მის ხელნაწერთა ფონდში დაცული მასალებიდან ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ პეტრე ხარისჭირაშვილმა, რომელიც სისტემატურად ათარგმნებდა სხვადასხვა ენიდან ქართულად სხვადასხვა ხასიათის ნაშრომებს, მათ შორის სახელმძღვანელოებს და კმაყოფილი იყო მის მიერ „სუფთა ქართულ ენაზე" შესრულებული თარგმანით, სთხოვა ივანე გვარამაძეს, რომ „შეედგინა მოკლე ღრამატიკა, რომლის ქართულებ ქონვა საჭიროა და ძრიელ სასარგებლო".[120] ივანე გვარამაძემ ყურად იღო თავისი

მასწავლებლის თხოვნა და შეადგინა ქართული გრამატიკის სახელმძღვანელო, რომელსაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში პრაქტიკულად იყენებდნენ, როგორც სამცხე-ჯავახეთში, ასევე კონსტანტინოპოლის ქართულ სკოლაში, მიუხედავად ამისა, რომ თვით პეტრე ხარისჭირაშვილს შედგენილი ქონდა ქართული გრამატიკის სახელმძღვანელო.[263]

ამგვარად, ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ შემდეგი: „ივანე გვარამაძემ დაასაბუთა, რომ ყოველი ხალხი თავის მშობლიურ ენაზე უნდა ადიდებდეს მაყვასს, ეუფლებოდეს ცოდნის საგანძურს, შეეძლოს მშობლიურ ენაზე წერა, საქმის წარმოება და, რაც მთავარია, საკუთარ მამულში არ იგრძნოს უხერხულობა დამპყრობთა ენის უცოდინარობის გამო".[252] იგი მშობლიურ ენაში ხედავდა უდიდეს აღმზრდელობით ძალას. ამასთანავე, ეროვნული უფლებების, კულტურის დაცვისა და ხალხის ყოველმხრივი განვითარების მთავარ საშუალებად დედა ენა მიაჩნდა. ჭეშმარიტი მამულიშვილის ერთ-ერთ ძირითად თვისებად თვლიდა მშობლიური ენის სიყვარულსა და ცოდნას. ამიტომ იყო, რომ ყოველთვის, როცა კი მიეცემოდა შემთხვევა ქადაგების დროს თუ სამგლოვიარო სიტყვის წარმოთქმისას, წერილსა თუ ნაშრომში იგი მუდამ მოძღვრავდა თავის ხალხს: შეივიძინოთ სწავლა-მეცნიერება, შევიყვაროთ ნამდვილად ჩვენი სამშობლო, ჩვენი კურთხეული ენა, შევერთდეთ, ხელიხელს მივცეთ ყოველს ჩვენს წარმატებულს კეთილ საქმეში.[166]

ივანე გვარამიძის შეხედულებანი საქართველოს ისტორიის სწავლების შესახებ

XIX ს-ის II ნახევარში საქართველოში ისტორიულ-მეთოდური აზროვნების განვითარების თვალსაზრისით დიდი გარდატეხა მოხდა. ილია ჭავჭავაძის თაოსნობით ქართველმა ინტელიგენციამ დღის წესრიგში დააყენა საქართველოს ისტორიის სწავლების აუცილებლობისა და ისტორიული მოვლენების მეცნიერული ახსნის საკითხები.

ივანე გვარამაძის საარქივო მასალების საფუძვლიანმა გაცნობამ დაგვანახა, რომ მას თავისი შეხედულებანი გააჩნდა საქართველოს ისტორიის სწავლების საკითხთან დაკავშირებით და ისტორიულ-მეთოდური აზროვნების განვითარებაში გარკვეული წვლილი შეიტანა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მის ვრცელ მემკვიდრეობაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ისტორიული ხასიათის წერილებს, ნარკვევებსა და ნაშრომებს, სადაც ნათლად იკვეთება ის თუ მესხი განმანათლებელი როგორ მნიშვნელობას ანიჭებდა ისტორიის სწავლების საკითხს და აღნიშნული პრობლემების გადაჭრაში თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით რა დამსახურება მიუძღვის მას.

როგორც მოძიებული მასალებიდან ირკვევა ივანე გვარამაძე ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებაში (რაც დიდ აუცილებლობას წარმოადგენდა XIX საუკუნის მეორე ნახევრის მდგომარეობით) განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ისტორიის – წარსულის ცოდნას, ყველა ქართველისათვის აუცილებელ სასწავლო დისციპლინად მიაჩნდა. მისი აზრით, ხალხს უნდა სცოდნოდა ყველაფერი, რაც ისტორიის კუთვნილებას შეადგენდა: „ყოველი კაცისათვის დიდად სასურველი არის, რომ იცოდეს ნამდვილ ისტორიით თავის გვარტომობის ჩამომავლობა, თუ ვინ იყო მისი წინაპართ მამა-მთავარი, სად ცხოვრობდა, რა ენაზე ლაპარაკობდა, ვინ ჰყავთ გმირნი თუ მეფენი, ვისთან და როგორ ცხოვრობდნენ ქვეყანაზედა?“[159] ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ივანე გვარამაძეს წარსულის ცოდნა აუცილებლობად მიაჩნდა თვით მიმდინარე მოვლენების სწორად გააზრების თვალსაზრისითაც. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ მას ისტორია ესახებოდა არამარტო წარსულის გაცნობის და აწმყოს გააზრების საშუალებად, არამედ ადამიანის სრულქმნილების შეცნობის, მისი სრულყოფის, სამშობლოს სიყვარულის გრძნობის განვითარების საშუალებადაც. ე.ი. მესხმა განმანათლებელმა ისტორია მოზარდი თაობის პატრიოტული ანუ ზნეობრივი აღზრდის სამსახურში ჩააყენა და როგორც საგანმანათლებლო, ასევე აღმზრდელობითი მისია დააკისრა.

მოძიებული მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ ივანე გვარამაძე უკმაყოფილებას და იმავდროულად გულისტკივილსაც გამოსთქვამდა იმის გამო, რომ სასწავლებლებში არ ისწავლებოდა საქართველოს ისტორია. მაშინ როცა ქართველი ახალგაზრდობა ეწაფებოდა ევროპულ განათლებას. „კარგად იციან ევროპელების ისტორიული ცხოვრების გაელილიც და აწმყოც თავიანთი ისტორია კი რიგიან არ აქვთ შესწავლილი".[63] იგი არ იყო წინააღმდეგი 'ევროპული განათლების" მიღებისა, სამართლიანად მიაჩნდა, რომ ყოველი ეროვნების ადამიანს კარგად უნდა შეესწავლა თავისი სამშობლოს წარსული და შემდეგ გასცნობოდა სხვა ხალხის ისტორიას, რათა სხვათა გამოცდილება თავიანთი ქვეყნის სასიკეთოდ გამოეყენებინათ. ამდენად, მესხი განმანათლებელი ისტორიის სწავლების საკითხთან დაკავშირებით ეხმიანებოდა ილია ჭავჭავაძეს და მისი პოზიცია ეკავა, მოითხოვდა მშობლიური ქვეყნის წარსულის საფუძვლიანად გამოკვლევა-შესწავლას და მისი სწავლების აუცილებლობას.

უნდა აღინიშნოს, რომ ივანე გვარამაძე მხოლოდ თეორიული მოსაზრებების მოწოდებით როდი კმაყოფილდებოდა. თავის შეხედულებებს პრაქტიკით ასაბუთებდა. კერძოდ, მას ისტორიის შესწავლის საშუალებად მიაჩნდა კარგად შედგენილი ისტორიის სახელმძღვანელოები და მუზეუმები, როგორც ზემოთ იყო მონიშნული ამ მხრივ უშუალო წვლილი შეიტანა. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს მის მიერ 1882წ. გამოცემული სახელმძღვანელო – „ქართლის ცხოვრება" და მისი საოჯახო მუზეუმი, რომლის ბაზაზეც დაფუძნდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი და თსუ მესხეთის ფილიალის ისტორიის ფაკულტეტისთვის საბაზო მუზეუმს წარმოადგენს. ამდენად, იგი დღესაც ასრულებს იმთავითვე მასზე დაკისრებულ მისიას.

ამგვარად, ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მესხი განმანათლებელი ისტორიის სწავლებაში ხედავდა უდიდეს აღმზრდელობით ძალას, ამიტომ ერის ინტერესებიდან გამომდინარე მოითხოვდა მის ჩაყენებას ერის სამსახურში. მან დაასაბუთა, რომ ყველა ხალხს უნდა სცოდნოდა თავისი წარსული,

რათა შესძლებოდა აწმყოში გარკვევა და მომავლის განსაზღვრა. მისი აზრით, წარსულის ცოდნა ყველა ხალხს დიდ სამსახურს გაუწევდა ეროვნული უფლებებისა და კულტურის დაცვაში. ჭეშმარიტი მამულიშვილის ერთ-ერთ აუცილებელ თვისებად მშობლიურ ენასთან ერთად მშობლიური ქვეყნის ისტორიის საფუძვლიან ცოდნას მიიჩნევდა.

ივანე გვარამაძე სკოლისა და მასწავლებლის შესახებ

ივანე გვარამაძის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სკოლის დანიშნულებისა და მასწავლებლის უფლება-მოვალეობათა საკითხების განხილვას. აღსანიშნავია, რომ მის მემკვიდრეობაში არ მოიპოვება დასახელებული საკითხებისადმი მიძღვნილი საგანგებო გამოკვლევა, პედაგოგიურ წერილებში სხვა სასწავლო-სააღმზრდელო საკითხებთან კავშირში ფართოდ არის წარმოდგენილი მისი შეხედულებანი აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან ირკვევა, რომ ივანე გვარამაძეს, როგორც განმანათლებელსა და პრაქტიკოს პედაგოგს მართებული შეხედულებანი გააჩნდა სკოლის შესახებ. კერძოდ, სკოლა აღზრდის მეორე კერად მიაჩნდა და სამართლიანად მოითხოვდა საოჯახო და სასკოლო აღზრდის ურთიერთ კავშირს. მისი მოსაზრებით, მოზარდს ცოდნა-განათლება ძირითადად სკოლაში უნდა შეეძინა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ იგი წინააღმდეგი იყო ბავშვის ინდივიდუალური სწავლებისა ეი. შინაური აღზრდისა. რამდენადაც, მისი შეხედულებით, სკოლის უმთავრეს მიზანს ცხოვრებისათვის ყოველმხრივ მომზადებული ადამიანის აღზრდა წარმოადგენდა, აქედან გამომდინარე სამართლიანად ფიქრობდა, რომ ასეთი ადამიანი საზოგადოებაშივე უნდა აღზრდილიყო. მაშინ, როცა ჯონ ლოკი მუშათა შვილებისათვის გვთავაზობდა სკოლას, ხოლო შეძლებულთათვის — ინდივიდუალურ სწავლებას ოჯახში, ივანე გვარამაძეს ყველა

წოდების ბავშვებისათვის სწავლების ძირითად კერად მყარ ნიადაგზე მდგარი სასწავლებელი მიაჩნდა. იგი წინააღმდეგი იყო განათლების სისტემაში დამკვიდრებული წოდებრივი პრინციპისა.

თავისი პროგრესული, ჰუმანური შეხედულებიდან გამომდინარე, არ მოსწონდა მეფის დროინდელ საქართველოში არსებული განათლების სფერო: სკოლები, სწავლების შინაარსი, სახელმძღვანელოები, მასწავლებელთა განათლებისა და მათი უფლებრივი მდგომარეობა. არსებულის საპირისპიროდ, მას თავისი შეხედულებანი გააჩნდა. კერძოდ, მისი წარმოდგენით, სკოლა უნდა ყოფილიყო კეთილმოწყობილი: მას უნდა ჰქონოდა საწიგნე (ბიბლიოთეკა – ნ.ყ.): ,,სასწავლებელთა საწიგნე უნდა გექონდეს ყველგან მზათა",[154] სახელოსნო: ,,უნდა ჰქონდეთ ვაჟი თუ ქალთა სახელოსნო სკოლებია, რომ გამოადგნენ ქვეყანას ორთავ სქესთა ტოლებია".[154] ივანე გვარამაძე, სკოლის, როგორც ოფიციალურ პროფესიულ სააღმზრდელო დაწესებულების და მასწავლებლის, როგორც განსწავლული აღმზრდელის წინაშე დიდ მოთხოვნებს აყენებდა. მისი შეხედულებით, სკოლა ვალდებული იყო, გაესწორებინა საოჯახო აღზრდის დროს დაშვებული შეცდომები, კატეგორულად მოითხოვდა, რომ როდესაც ბავშვი სკოლაში მივიდოდა ,,წერა-კითხვის კარგად გარჩევის წინად, უფრო დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ მასწავლებელთ ახალმოსული მოწაფის ზნე-ჩვეულებების ცუდ მიმართულებასა. ყოველი თავიანთი ღონე საშვალებით ჯერ უნდა მოამზნობინონ ცუდი ჩვეულება ხასიათები და მერმე უნდა სწავლა დააწყებინონ გულდამშვიდებით".[144] ე.ი. ივანე გვარამაძე სკოლას და მასწავლებელს ავალებდა ბავშვის ხელახალ აღზრდას საჭიროების შემთხვევაში. ასევე სამართლიანად ანვითარებდა იმ აზრს, რომ ,,თავის მშობლებისაგან ხორციელად ნაშობ შვილს სულიერი და ზნეობრივი ზრდა და წარმატება უნდა მიეცეს სასწავლებელში მასწავლებელთაგან".[144] ე.ი. აქედან ნათლად ჩანს, რომ ივანე გვარამაძე იზიარებდა კომენსკის, უშინსკის, გოგებაშვილის შეხედულებას მასწავლებელთან დამოკიდებულებაში. იგი სწავლებისა და აღზრდის პროცესში ცენტრალურ ფიგურად მასწავლებელს ასახელებდა. მიუთითებდა: ,,ყრმა მუდამ სწავლა-ჩაგონებას საჭიროებს სხვათაგან. რითაც ნელ-ნელა გონება ეხსნება

და წინაურდება სწავლა-მეცნიერებაში“.[144] ხოლო ერთ-ერთ ლექსში „ჭკუის სასწავლო“ ჩამოყალიბებული აქვს ყველა ის კონკრეტული მოთხოვნა, რომელიც წაეყენება მასწავლებელს: „მასწავლებელს უნდა ჰქონდეს ხალისი ყრმათა სწავლისა“, ის უნდა ყოფილიყო მომთმენი და სულგრძელი, არ უნდა გაერჩია მოსწავლე ქონებრივი ცენზის მიხედვით: „ყველას ტკბილად ასწავლიდეს მდიდრის შვილთ თუ საწყალისა“,[154] ე.ი. მასწავლებელი მისი აზრით უპირველესად უნდა ყოფილიყო დადებითი თვისებების მქონე ადამიანი. უნდა გამოძებნოს სწავლაში ხერხი. მისი შეხედულებით, რამდენადაც მასწავლებელი მარტო კი არ ასწავლის, არამედ არის აღმზრდელიც. აქედან გამომდინარე, მისი ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობა ის არის, რომ სკოლაში მოსულ მოსწავლეს სანამ წერა-კითხვას შეასწავლიდა იქამდე უნდა დაუკვირდეს მის ზნე-ჩვეულებას და თუ მას აღმოაჩნდებოდა ცუდი თვისებანი, უნდა ეზრუნა მათ აღმოფხვრაზე. ე.ი. ნორმალური სწავლებისათვის საჭირო იყო საფუძველი, რათა მასწავლებელსაც და მოსწავლესაც არ დაკარგოდა გაწეული შრომა. ყოველივე ზემოთქმულიდან ნათლად იკვეთება, რომ ივანე გვარამაძე ამით გვთავაზობდა ხელახალი აღზრდის აუცილებლობას საჭიროების შემთხვევაში, რაც თანამედროვე სკოლაში ფართოდ არის დანერგილი.

გარდა აღნიშნულისა, ივანე გვარამაძის შეხედულებით მასწავლებელი უნდა ეწეოდეს განუწყვეტელ თვითგანვითარებას. უნდა უყვარდეს თავისი პროფესია, ბავშვები, იყოს პატრიოსანი, ღვთისმოსავი მისთვის უცხო უნდა იყოს შური, ამპარტავნობა, განუსჯელობა, მიუტევებლობა, თვით უნდა იყოს მაგალითი თავისი აღსაზრდელებისათვის, რადგან „შვილის გონებრივი, შინაგანი, სულიერი და ზნეობრივი ზრდა მოეთხოვება მოძღვარსა და მასწავლებელთ... მასწავლებლის რიგიანი (სწორი — ნ.ყ.) სწავლა, ჩაგონება ისე ყოვლად საჭიროა და გამოსადეგარი როგორც სული და ხორცი კაცისათვის“.[129]

ივანე გვარამაძის შეხედულებანი მოძღვრისა და სასულიერო აღზრდის შესახებ

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ივანე გვარამაძე რამდენადაც სასულიერო პირი იყო, მისი დიდაქტიკური შეხედულებანი დამყარებული იყო რელიგიურ-ქრისტიანულ მოძღვრებაზე. აქედან გამომდინარე მოითხოვდა სკოლაში სასულიერო დისციპლინათა შესწავლას, რადგან მისი მოსაზრებით: „მოსწავლის მომავალი დამყარებულია სარწმუნოების ნაწილების კარგ საფუძვლიანად სწავლასა და ჩაგონებაზედ".[129] მისი აზრით სასულიერო დისციპლინათა სწავლება უზრუნველყოფდა ღვთისმოსავი და ჰუმანური პიროვნების აღზრდას. იქვე მიუთითებდა, რომ მოსწავლე თუ მოძღვრისაგან კარგად არ შეისწავლიდა სარწმუნოების ნაწილებს „სრულად გამოთაყვანდება სარწმუნოებას ზღაპრად ჩათვლის". ე.ი. ივანე გვარამაძე ამ შემთხვევაშიც მოითხოვდა, რომ მოზარდს ლოცვები კი არ დაეზეპირებინა, არამედ შეგნებულად გააზრებულად ესწავლებინა და რწმენით აღჭურვილს ცხოვრებაში პრაქტიკულად განეხორციელებინა. ივანე გვარამაძეს სარწმუნოების ნაწილების ცოდნა ყოველი ქართველისათვის აუცილებლობად მიაჩნდა, რამდენადაც სარწმუნოებამ ისტორიული მისია შეასრულა ქართველი ერის ცხოვრებაში. აქედან გამომდინარე, მიაჩნდა რომ: „ყმაწვილი ენას ამოიდგამს თუ არა დედამ ღმერთი უნდა გააცნოს და მისი შიში-კრძალვაც უნდა აღუბეჭდოს გულში... წვრილ-წვრილი ლოცვები ასწავლოს უნდა და პირჯვრის წერა დილა-საღამოს".[129] ე.ი. მისი აზრით ბავშვის სულიერ წვრთნას საფუძველი უნდა დადებოდა ოჯახში და იგი დედის – ქალის უფლება-მოვალეობას უნდა წარმოადგენდეს, ხოლო შემდეგ საქმე უნდა განეგრძო მღვდელს ეკლესიაში და მოძღვარს სასწავლებელში (ივანე გვარამაძე ტერმინს „მოძღვარს" ხმარობს სასულიერო დისციპლინათა მასწავლებლის მნიშვნელობით).

ამდენად, ივანე გვარამაძე ბავშვის აღზრდის საკითხის განხილვისას იჩენს ერთგვარ თანმიმდევრობასა და ზომიერებას. მაშინ, როცა აკაკი წერეთელი აღზრდის პროცესში მთავარ პასუხისმგებლობას მასწავლებელს ავალებდა, ხოლო ილია

ჭავჭავაძე მას აცხადებდა დედის უპირველეს დანიშნულებად, მესხ განმანათლებელს მიაჩნდა, რომ აღზრდაში ოჯახსა (დედას) და სკოლას (მასწავლებელს) თავისი როლი უნდა დაკისრებოდათ.

რამდენადაც XIX საუკუნის II ნახევრის მდგომარეობით საქართველოში ძირითადად სასულიერო ტიპის დაწყებითი სასწავლებლები ფუნქციონირებდა და სხვა ტიპის სასწავლებლებშიც დიდი ყურადღება ექცეოდა კატეხიზმოსა და საღვთო რჯულის სწავლებას, ივანე გვარამაძეს თავის პედაგოგიურ ნაშრომში „მშობლები და მათი შვილები“ განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი სასულიერო წოდების უფლება-მოვალეობათა განხილვა-დახასიათებისათვის. კერძოდ, არხიმანდრიტის უპირველეს მოვალეობად თვლიდა მონასტრებთან სასწავლებლის დაფუძნებას. მიაჩნდა, რომ ასეთ სასწავლებლებს უნდა ჰქონოდათ სახელოსნოები, რადგან მორჩილთ სასულიერო სწავლა-განათლების გარდა უნდა სცოდნოდათ სასარგებლო ხელოსნობა: „დურგლობა, ხარატობა, მჭედლობა, ოქრომჭედლობა, მხატვრობა, წიგნების შეკერვა, მებაღეობა და მისთანანი“.[136] ე.ი. ივანე გვარამაძეს როგორც სასულიერო, ისე საერო სკოლებში სწავლებისას აუცილებლობად მიაჩნდა მოსწავლეთათვის რაიმე ხელობის დაუფლება. ამიტომაც იყო, რომ რომელ სკოლაშიც მოუხდა მოღვაწეობა შეეცადა ე.წ. „საპროფესიონალო“ განყოფილების გახსნას.

ივანე გვარამაძე ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა მღვდლის პიროვნებაზე. მისი აზრით, მღვდელს სამი რამ მოეთხოვებოდა: კარგი სწავლა (განათლება); გონიერება და თავგანწირვა ღვთისმსახურებისა და ეკლესიისათვის. რატომ? — იმიტომ, რომ „მღვდელი თავისი ერისა არამარტო სულიერი მამა არის, არამედ სულიერი მკურნალი და სულიერი მსაჯულიც“.[136] იგი მღვდლის პიროვნულ თვისებათა შორის პირველ რიგში აყენებდა პატიოსნებას, მოკრძალებას, შემწყნარებლობას. მღვდელი უნდა ყოფილიყო მშვიდი, გულკეთილი, კაცთმოყვარე, ღვთისმოსავი, მომთმენი, შრომისმოყვარე და რაც მთავარია, „ხორცის სიწმიდე მუდამ ხელსამძღვანად უნდა ჰქონდეს თავის ცხოვრებაში“.[136] ე.ი. მღვდელი თავისი პიროვნული თვისებებით და ცხოვრების წესით კარგ მაგალითს უნდა აძლევდეს თავის აღსაზრდელთ და მრევლს.

ამრიგად, ივანე გვარამაძეს — მღვდელსა და მასწავლებელს თავისი კონკრეტული შეხედულებანი გააჩნდა მასწავლებლისა და მოძღვარის პიროვნებასა და პროფესიულ საქმიანობაზე, რომელიც საყურადღებოა და მისაღები. რამდენადაც თანამედროვე სკოლის პრობლემას პროფესიონალი მასწავლებლის დეფიციტი წარმოადგენს.

ივანე გვარამაძეს თავის პედაგოგიური ხასიათის წერილებში ასევე ჯეროვანი ყურადღება აქვს დათმობილი მოსწავლის მოვალეობაზე. „მოსწავლეს უნდა უყვარდეს ბეჯითად სწავლა-გაგება, კითხვა, წერა, ვარჯიშობა, სჰულდეს სხვის ზრახვა-ძაგება“.[154] მოსწავლე მისი შეხედულებით, თვითონ უნდა იყოს საკუთარი თავის პატრონი. ე.ი. უნდა შეძლოს გაარკვიოს, თუ რის შესწავლა სურს, საით უნდა წავიდეს, როგორი შესაძლებლობანი გააჩნია, იცოდეს სასარგებლო და საზიანო. რაც მთავარია, არ უნდა დაივიწყოს თავისი ღმერთი და სამშობლო... ორივეს სიყვარული მას მრავალი გაჭირვებისაგან იხსნის. აქვე ანვითარებს იმ აზრს, რომ სწავლით ყველა სურვილის შესრულება შეიძლება:

„თუ კაცს უყვარს სწავლა და ცდა
საწადელს მსწრაფლ მიეწევა“.[113]

მისი დაკვირვებით ბავშვი როგორი შვილიც არის, ისეთივე მოწაფეა. მას მხედველობაში ჰქონდა მოსწავლის გარემო და მისი მემკვიდრულ-ინდივიდუალური თვისებები. პედაგოგიური ხასიათის ნაწერებიდან ყურადღებას იპყრობს ლექსი „მოწაფე და კალამი“. ეს წარმოადგენს მოწაფისა და კალამის გასაუბრება-პაექრობას. კერძოდ, მოსწავლე თავის ცუდ კალიგრაფიას, უსუფთაო ნამუშევარს კალამს აბრალებს, ხოლო ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, მოსწავლეს საყვედურობს, რომ ხელს ვერ იმორჩილებს და ჯღაბნის ქაღალდს, თავი დიდად მოაქვს. ამ ლექსში გადმოცემულია და გათვალისწინებულია ის მდგომარეობა, რაც იქმნება წერის სწავლების პირველ პერიოდში. მიუთითებს, რომ მოსწავლეს გაუჭირდება წერის სწავლა, თუ მოუმზადებელი შეხვდება მას. წერის სწავლების საკითხთან დაკავშირებით მის მოსაზრებაში შეინიშნება ი. პესტალოცის, ი. გოგებაშვილის შეხედულებათა ანარეკლი. ამიტომ, აქედან გამომდინარე, ივანე

გვარამაძე უარყოფდა წერა-კითხვის ნაჩქარევად და ზერელედ შესწავლის პრაქტიკას და მოითხოვდა, რომ „წერა-კითხვაში კარგად გარჩევას უფრო დიდი ყურადღება მიაქციონ“.[136] რადგან მას სხვადასხვა მეცნიერების შესწავლის საფუძვლად მიიჩნევდა. ბუნებრივია, თუ მოსწავლე საფუძვლიანად არ შეისწავლიდა წერა-კითხვას, მას გაუჭირდებოდა მასზე დაყრდნობით სხვა დისციპლინათა შესწავლა. ივანე გვარამაძეს სამართლიანად მიაჩნდა წერა-კითხვის კარგი ცოდნა განათლების მიღების საფუძვლად. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იგი სწავლაში იცავდა თანმიმდევრობისა და ცოდნის მტკიცედ შეთვისების პრინციპს, რითაც ემსახურებოდა კომენსკის: „დღევანდელი განამტკიცებდეს გუშინდელს და გზას უხსნიდეს ხვალინდელს“. ე.ი. მესხი განმანათლებელი იცავდა დიდაქტიკის ურყევ პრინციპებს, დებულებას: ‘მასწავლებელი წინ არ უნდა წავიდეს მანამ, სანამ არ დარწმუნდება, რომ გავლილი მასალა მოსწავლეებმა მტკიცედ შეითვისეს“.[26]

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ივანე გვარამაძე ყურადღებას ამახვილებდა სწავლების მეთოდოლოგიაზე. კერძოდ, მიუთითებდა: „დღემდის არ ყოფილა რიგიანი მჭევრმეტყველების სწავლება ჩვენს დედაენაზედ და არც არავის მიუქცევია ყურადღება ამაზედა, რომ საზოგადოებას მისცემოდა რამე სწავლის გაადვილებისათვის“.[96] ე.ი. აყენებდა სწავლებაში მეთოდების დაფუძნების სამართლიან მოთხოვნას. აღსანიშნავია ისიც, რომ მის პედაგოგიურ სტატიებში ძალზედ უმნიშვნელოდ არის განხილული სწავლების მეთოდიკის საკითხები.

ამგვარად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ივანე გვარამაძის პედაგოგიური შეხედულებანი ჩამოყალიბდა უშუალოდ მისი პრაქტიკულ-პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში. მისი პედაგოგიური შეხედულებანი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იმის გამო, რომ იგი იცავდა თავის თანამედროვეთა შეხედულებებს და მოითხოვდა საყოველთაო დაწყებით სწავლებას მშობლიური ენის საფუძველზე, მოგვცა არგუმენტირებული ასაკობრივი პერიოდიზაცია. მისი შეხედულებები პროგრესულია და მისაღებია თანამედროვე პედაგოგიური მეცნიერების

თვალსაზრისითაც. ამდენად, ივანე გვარამაძე თავისი დროისათვის პროგრესულად მოაზროვნე პედაგოგი იყო. ქართველ განმანათლებლებთან ერთად დიდია მისი დამსახურება ეროვნული პედაგოგიკის განვითარების ისტორიაში.

მოზარდის ასაკობრივი პერიოდიზაცია და თვისებურებანი

ივანე გვარამაძის პედაგოგიურ მოძღვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმას, რომ მან ყურადღება მიაქცია ადამიანის განვითარების ასაკობრივ დაყოფას. კერძოდ, შექმნა თავისეული ასაკობრივი პერიოდიზაცია, რითაც, ვფიქრობთ, მნიშვნელოვან წილად გაამდიდრა ქართული პედაგოგიური აზროვნების ისტორია.

ასაკობრივი პერიოდიზაციის ისტორია სათავეს იღებს ანტიკურ ხანაში და არისტოტელეს სახელს უკავშირდება. მან 7 წლიან ასაკობრივ პერიოდიზაციას, საფუძვლად ბუნებრივი განვითარების პრინციპი დაუდო. იან ამოს კომენსკიმ – 6 წლიანი პერიოდიზაციის საფუძვლად ბუნების შესაბამისობის პრინციპი გამოიყენა, ასევე საყურადღებოა ჟან-ჟაკ რუსოს, ადოლფ დისტერვეგის, რობერტ ოუენის მიერ ჩამოყალიბებული ასაკობრივი პერიოდიზაციები.

ქართული პედაგოგიური აზროვნების განვითარების ისტორიაში ასაკობრივი პერიოდიზაციის უძველესი ნიმუში უკავშირდება სულხან საბა ორბელიანის სახელს. აქ 5 წლიან პერიოდულ დაყოფას, ნ. ვასაძის ვარაუდით საფუძვლად უნდა დადებოდა იმ დროისათვის არსებულ სასწავლებელთა სახეობები.[28]

აღსანიშნავია, რომ ივანე გვარამაძის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში მოვიძიეთ ორი სახის ასაკობრივი დაყოფა. პირველს პირობითად, შეიძლება ეწოდოს ზოგადი, ხოლო მეორეს – დეტალური. კერძოდ, მესხ განმანათლებელს ერთ-ერთ წერილში,

რომელიც 1890 წლით თარიღდება (რომელიც მეუღლის გარდაცვალებით გამოწვეული ღრმა მწუხარების გამო არის დაწერილი), მოცემული აქვს ფილოსოფიური მსჯელობა ცხოვრებაზე. იგი ადამიანის სიცოცხლეს სამ ნაბიჯად – პერიოდად ყოფს. მისი შეხედულებით, ადამიანის ცხოვრებაში პირველ ნაბიჯს წარმოადგენს: „შობა, აღზრდა და სრულწლოვანებაში მოსვლა“. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, იგი დაბადებიდან დაქორწინებამდე პერიოდს მოიცავს. მეორე პერიოდი იწყება დაქორწინებით, ხოლო მესამე პერიოდად მიაჩნდა მოხუცებულობა და გარდაცვალება. ივანე გვარამაძეს აგრეთვე მოცემული აქვს თითოეული პერიოდის დახასიათება. კერძოდ, მისი აზრით, პირველ პერიოდში: „კაცი ბევრ სიკეთეს, ბევრ ბედნიერებას და ბევრნაირ წუთი ცხოვრების წარმატებას ოცნებობს და მოელის ღვთისაგან“.[75] ე.ი. აღნიშნულ პერიოდში ადამიანი მომავლის იმედით ცხოვრობს. მეორე პერიოდში, მისი შეხედულებით, ადამიანმა არსებულით, აწმყოთი უნდა იცხოვროს: „კაცს ამ წუთის ქვეყნითგან სხვა არა წაჰყვება რა ღვთის შიშისა, ღვთის მსახურებისა და კეთილმოქმედების მეტი. ეს უნდა იყოს მუდამ ჩვენი ხელსამძღვანი (მიზანი – ნ.ყ.) სიკვდილამდის“.[75]

ზემოთ წარმოდგენილი ასაკობრივი პერიოდიზაცია, რომელსაც პირობითად ზოგადი ვუწოდეთ, შეიძლება ითქვას, რომ იგი წინ უსწრებდა და მასთანავე სრულად ემთხვევა თანამედროვე პედაგოგიურ მეცნიერებაში დამკვიდრებულ ასაკობრივ პერიოდიზაციას. დღეისათვის პედაგოგიური მეცნიერება ადამიანის ცხოვრების მთელ გზას სამ პერიოდად ყოფს: მოზარდობა, რომელიც მოიცავს დაბადებიდან 21 წლამდე პერიოდს, მოწიფულობა – 21 წლიდან 50 წლამდე ხანასა და მოხუცებულობა – 50 წლიდან სიკვდილამდე.[27] ამრიგად, მათ შორის არის დიდი მსგავსება და განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ივანე გვარამაძეს არ ჰქონდა მოცემული თითოეული პერიოდის სახელწოდება.

მესხი განმანათლებლის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში დაცული მეორე სახის ასაკობრივი პერიოდიზაცია შემდეგნაირად გამოიყურება: სიჩჩო (ბავშვობა), ყრმობა, ჭაბუკობა და ბერობა-მოხუცებულობა. მისი შეხედულებით, ბავშვობა დაბადებიდან შვიდ

წლამდე პერიოდს მოიცავს: „სიჩობას იწყებს პირველ წლით შვიდ წლამდის ხამს პირფერობა“, „ყრმობა იწყება რა პირველად ხელს ჰყოფს კბილების დაძრობას“, „ჭაბუკობა ტანის ზრდის გათავებითგან იწყება, ოცდაათ წელზედ მეტს გასწევს, დაბრძენდება, უკლებს ფიცხობას“.[106] ე.ი. მისი აზრით, ახალგაზრდობის ანუ მოზარდობის პერიოდი მოიცავს დაბადებიდან 30 წლამდე ასაკს და იყოფა შემდეგ საფეხურებად: ბავშვობა, ყრმობა, ჭაბუკობა. ამასთნავე, საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ივანე გვარამაძემ ასაკობრივ პერიოდიზაციას საფუძვლად დაუდო ბიოლოგიური ფაქტორი, რომელიც თავის მხრივ დიდ ზემოქმედებას ახდენდა ადამიანის ინდივიდუალურ თავისებურებებზე. ასაკობრივ პერიოდიზაციასთან ერთად ივანე გვარამაძეს მოცემული აქვს თითოეული საფეხურის ვრცელი და უტყუარი დახასიათება. იგი მოითხოვდა, რომ სწავლა-აღზრდის პროცესში მშობელთ და მასწავლებელთ გაეთვალისწინებინათ მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებანი. მიუთითებდა: „ჩვილნი სანთელივით რბილნი არიან, მაშინ საჭირო არის რიგიანი ფრთხილი მზრუნველობა, რბილ სანთელზედ რანაირ ბეჭედსაც დასვამ იმნაირივე დაეტყობა. ქრისტეს სახეს დასვამ ის დააჩნდება, ეშმაკის სახეს დასვამ, ეშმაკი დაეტყობა. კეთილ სწავლა-დარიგებას მისცემ კეთილს შეუდგება. ქვეყნიერს სწვლას-ყარგისა ქვეყნიერებას მიჰყვება, ბოროტ სწავლას და მაგალითს მისცემ, ბოროტსავე ისწავლის“.[136] ამ ასაკობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე სამართლიან დასკვნას აკეთებდა: „მშობლებს დიდი სიფრთხილე და მზრუნველობა დასჭირდებათ დიდ ხანს, სანამ ყმაწვილი სწორ გზაზედ დააყენონ“.[136]

ივანე გვარამაძე სამართლიანად მიუთითებდა, რომ ჭაბუკობის ასაკში ადამიანმა უკვე იცის ავ-კარგის გარჩევა, ამ ასაკობრივ საფეხურზე უკვე დასრულებულია მისი სულიერი და ფიზიკური განვითარება (სულიერი განვითარება – პიროვნების ჩამოყალიბება ნ.ყ.): „სულისა და ხორცის სისრულით გული საამოდ იძღობა“.[138]

ივანე გვარამაძე ასევე სამართლიანად მიუთითებდა, რომ მოხუცებულობის დროს, მართალია, ადამიანი ფიზიკურად ძაბუნდება, მაგრამ მას, ამავე დროს, დიდი ცხოვრებისეული გამოცდილებაც აქვსო.

ივანე გვარამაძე შემთხვევით არ იძლეოდა მოზარდის ასაკობრივი თავისებურებების დახასიათებას. იგი სამართლიანად და საქმის ღრმა ცოდნით მოითხოვდა როგორც სწავლების, ასევე აღზრდის პროცესში მათი გათვალისწინების აუცილებლობას. ამრიგად, იგი იცავდა ასაკობრივი განვითარების გათვალისწინების პრინციპს სწავლებაში, რომელიც თანამედროვე პედაგოგიურ მეცნიერებაში ერთ-ერთ ძირითად ზოგადპედაგოგიურ პრინციპს წარმოადგენს. აღნიშნული პრინციპი „მოითხოვს,რომ სწავლება აგებული იყოს მოსწავლის რეალურ ასაკობრივ შესაძლებლობებზე, რათა იგი არ გადაიტვირთოს ინტელექტუალურად, ფიზიკურად და მორალურად, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე... ამ პრინციპის გარეშე შეუძლებელია განხორციელდეს მისაწვდომობა სწავლებაში, რაც სწავლების ერთ-ერთ ზოგადპედაგოგიკურ საფუძველს წარმოადგენს".[27]

ამგვარად, ივანე გვარამაძისეული ასაკობრივი პერიოდიზაცია თავისი ინდივიდუალობით ხასიათდება და წინამორბედთა პერიოდიზაციის გამეორებას არ წარმოადგენს, ასაკობრივ პერიოდიზაციას საფუძვლად დაუდო ბიოლოგიური ფაქტორი, რითაც ახლოს დგას საკითხის თანამედროვე მეცნიერულ გაგებასთან. ამასთანავე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მან თავისი წვლილი შეიტანა სწავლა-აღზრდის პროცესში ასაკობრივი განვითარების გათვალისწინების პრინციპის აუცილებლობის დასაბუთებაში და ქართული პედაგოგიური აზროვნების განვითარებაში.

ივანე გვარამაძის ზოგადი შეხედულებანი აღზრდაზე და მის შემადგენელ ნაწილებზე

ივანე გვარამაძის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში დიდაქტიკის საკითხებთან ერთად ყურადღებას იპყრობს მისი შეხედულებანი აღზრდის შესახებ. განსაზღვრული აქვს აღზრდის მიზანი, ამოცანები და შემადგენელი ნაწილები: გონებრივი, ზნეობრივი, ფიზიკური, შრომითი და ესთეტიკური.

როდესაც მის პედაგოგიურ შეხედულებებს ვიხილავთ, კერძოდ, აღზრდის თეორიის საკითხებს, არ შეიძლება ყურადღება არ გამახვილდეს მის მსოფლმხედველობაზე. ქრისტიანული მოძღვრებით აღზრდილს მიაჩნდა, რომ აღზრდას საფუძვლად უნდა დადებოდა ქრისტიანული მოძღვრება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თავისი შეხედულებით, უპირისპირდებოდა და უარყოფდა დარვინის თეორიას. ივანე გვარამაძე თავის ერთ-ერთ საგაზეთო წერილში ამტკიცებდა, რომ ადამიანი გაჩენილია ადამ და ევასგან და არა ადამიანის მსგავსი მაიმუნისაგან. იგი წერდა: „მაიმუნები სწავლობენ კაცის სამსახურს ოჯახში და ბევრ რამეს მიბაძვით, მაგრამ ენა-ლაპარაკი ვერა ღონისძიებით ვერ შეასწავლეს... აქედან ჩანს, რომ სხვა არის კაცი და სხვა პირუტყვი-მაიმუნი“[95] თავის მოსაზრებებს ასაბუთებდა იმ არგუმენტის მოშველიებით, რომ კაცობრიობას არ ახსოვს მაიმუნის გაადამიანების თუნდაც ერთი შემთხვევა მაშინ, როცა ადამიანთა საზოგადოებამ თავისი არსებობის მანძილზე განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწია.

ივანე გვარამაძე არა მარტო უარყოფდა დარვინის თეორიას, არამედ მიუთითებდა იმაზეც თუ როგორი მავნე შედეგი მოუტანა ამ მოძღვრებამ პედაგოგიურ მეცნიერებას: „გაცვეთილმა ფილოსოფიამ დარვინისმან და ათეისტობამ ახალგაზრდობა ჭკუიდგან გამოიყვანა“.[167] ე.ი. იმ შეხედულებას იცავდა, რომ დარვინის თეორიამ ხელი შეუწყო ადამიანთა ზნეობის დაცემას. რამდენადაც იგი დაუპირისპირდა რელიგიურ მოძღვრებას და გააძლიერა ათეიზმი.

ივანე გვარამაძის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში ყურადღებას იქცევს მისი დამოკიდებულება აღზრდის წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით. იგი ბავშვის აღზრდას განასხვავებს ცხოველური წვრთვნისა და თანდაყოლილი ცხოველური ინსტიქტებისაგან. ერთ-ერთ წერილში „შვილების სისაწყლესა და აღზრდაზედა“ მოცემული აქვს ახალშობილი ბავშვისა და პირუტყვის შედარებითი დახასიათება: „პირუტყვნი ჩაცმულნი იბადებიან და ყრმანი კი შიშველნი, პირუტყვნი ფეხჩაცმულნი, ყრმანი კი ფეხშიშველი, პირუტყვნი კბილებიანი და ყრმანი უკბილო, პირუტყვნი შეჭურვილნი ყოველნაირად ავსა და კარგის მცოდნე გამგებნი და ყრმანი უგნურნი. პირუტყვნი სულ ცოტა ხანში სისრულეს მიიღებენ და კაცნი კი უსრულნი არიან, სიკვდილამდის სწავლა-ჩაგონება სჭირიათ თავიანთი დღენი ათასნაირის გამოცდილებისა. მაშასადამე, მშობელთ ჰმართებთ მათი ჩაგონება კარგის ხელშეწყობითა“.[116] მისი აზრით, ადამიანი საჭიროებს ხანგრძლივ სწავლას, აღზრდას, პირუტყვი კი წვრთნას. ამასთანავე იგი აღზრდას არ აიგივებდა წვრთნასთან და დაასკვნიდა, რომ: „პირუტყვმა ბუნებითად ყველაფერი იციან, დედებიც რომ გაუწყდეთ, მაინც არავისგან სწავლა არ სჭირიათ... ყრმა კი მუდამ სწავლა ჩაგონებას საჭიროებს სხვათაგან, რითაც ნელ-ნელა გონება ეხსნება და დაწინაურდება სწავლა-მეცნიერებაში“.[136] აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ივანე გვარამაძე არ იზიარებდა აღზრდის წარმოშობის ევოლუციურ-ბიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ კონცეფციებს, რომელთა ფუძემდებელნი და მიმდევარნი (ა. ესპინასი, ჯ. სიმპსონი, შ. ლიტურნო, პ. მონრო) აღზრდას წვრთნასთან და მიმბაძველობასთან აიგივებდნენ.[30] დასახელებულ კონცეფციებში ხედავდა საკითხის ცალმხრივ განხილვას და მათ საპირისპიროდ მიაჩნდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის აღზრდა იყო შესაძლებელი. ამიტომ, მიუთითებდა: „მშობლები და აღმზრდელნი რომ არ გვწვრთნიდნენ (აქ აღზრდაა ნაგულისხმევი – ნ.ყ.) და არ გვასწავლიდნენ პირუტყვზე უფრო უმეცრად და საწყლად დავრჩებოდით“.[136] უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აღზრდის პროცესშიც, სრულიად სამართლიანად, მთავარ როლს მასწავლებელსა და მშობელს

აკუთვნებდა: „შვილის ზრდა პირველად მოეთხოვება მშობელთ და შემდეგ მასწავლებელთა“.[129]

ამრიგად, ივანე გვარამაძეს აღზრდის წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით იმთავითვე გააჩნდა მართებული შეხედულება, რომელიც მტკიცედ არის დამკვიდრებული თანამედროვე პედაგოგიურ მეცნიერებაში.

ივანე გვარამაძის პედაგოგიურ შეხედულებებში ასევე ნათლად არის ჩამოყალიბებული მისი დამოკიდებულება ადამიანის განვითარების საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, ნაშრომში „მშობლები და მათი შვილები“ განსაკუთრებული ყურადღება აქვს გამახვილებული ახალნაშობის ასაკობრივ თავისებურებებზე და მიუთითებს, რომ ამ ასაკში: „ჩვილნი არიან სანთელივით რბილნი. მაშინ საჭირო არის რიგიანი ფრთხილი მზრუნველობა. რბილ სანთელზედ რანაირ ბეჭედსაც დასვამ იმნაირივე დაეტყობა, ქრისტეს სახეს დაასვამ, ის დააჩნდება, ეშმაკის სახეს დაასვამ, ეშმაკი დაეტყობა, კეთილ სწავლა-დარიგებას მისცემ, კეთილს შეუდგება. ქვეყნიერს სწავლას-ვარჯიშსა ქვეყნიერებას მიჰყვება. ბოროტ სწავლას და მაგალითს მისცემ ბოროტებასავე ისწავლის“,[136] როდესაც იგი ასეთ ასაკობრივ დახასიათებას იძლევა, ეს ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ იგი ჯონ ლოკის განვითარების თეორიას იცავდა ან მისი მიმდევარი იყო. მას ამ თავისებურებათა ცოდნა აუცილებლობად მიაჩნდა მშობლებისა და მასწავლებლებისათვის. ამავე დროს, მოითხოვდა მათ გათვალისწინებას აღზრდის პროცესში. ე. ი. გარემოს ფაქტორს იგი განმსაზღვრელ მნიშვნელობას ანიჭებდა, ხოლო ბავშვი სუფთა დაფად არ ესახებოდა. ამასთანავე, არ უარყოფდა გარემოს როლს ბავშვის განვითარების პროცესში..

ამასთანავე, ივანე გვარამაძე განვითარების პროცესში მნიშვნელოვან ყურადღებას ამახვილებდა მემკვიდრეობის ფაქტორზე. სამართლიანად მიაჩნდა, რომ შვილს მშობელთაგან გადაეცემოდა ყველა მემკვიდრული თვისება:

„ეკალი დაიხეთქს ეკალს,
ეკალის თუ ვარდის იყოს,
არ მოისხამს ფშატი ნებალს
თუ ნამყენით არ გაიყოს.“[113]

მისი აზრით, მსგავსი მსგავს შობს: კარგ მშობელს კარგი შვილი ჰყავს, ცუდს – ცუდი. ე.ი. ის არ უგულებელყოფდა მემკვიდრულ თვისებებს. თუმცა განვითარების პროცესში განმსაზღვრელ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მას შესაძლებლად მიაჩნდა ზოგიერთი მემკვიდრული თვისების გარდაქმნა აღზრდის პროცესში: „თუ კაცს უყვარს სწავლა და ცდა საწადელს სწრაფლ მიეწევა“.[113] გარდაქმნაში კი გადამწყვეტ როლს სკოლას და მასწავლებელს ანიჭებდა. იგი ხაზგასმით მიუთითებდა, რომ როდესაც ბავშვი მივიდოდა სკოლაში „წერა-კითხვაში კარგად გაჩვევის წინად, უფრო დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ მასწავლებელთ ახალ მოსულ მოწაფის ცუდ მიმართულებასა ყოველი თავიანთ ღონე საშუალებით ჯერ უნდა მოამზნობინონ ცუდი ჩვეულება ხასიათიები და მერე უნდა სწავლა დააწყებინონ გულ დამშვიდებით“.[136] აქედან ნათლად ჩანს, რომ აღზრდა განვითარებაში ერთადერთ ფაქტორს არ წარმოადგენდა და მას ყველაფრის მიცემა არ შეეძლო. ე.ი. ივანე გვარამაძე კლოდ ადრიან ჰელვეციუსის მსგავსად აღზრდის ყოვლისშემძლეობას არ აღიარებდა. ამიტომ, სამართლიანად იბრძოდა, როგორც მემკვიდრული თვისებების, ასევე გარემოს ფაქტორების სრული უგულებელყოფის წინააღმდეგ. ე.ი. ზემოთქმულიდან გამომდინარე მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ იგი არ იზიარებდა არც ემპირიზმის და არც ნატივიზმის თეორიას. იგი კარგად ხედავდა ამ თეორიების ცალმხრივობას. ამავე დროს, კატეგორიულად მოითხოვდა მათი გათვალისწინების აუცილებლობას აღზრდის პროცესში.

ივანე გვარამაძის შეხედულებით, აღზრდისა და განათლების მიზანი ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის ჩამოყალიბება უნდა ყოფილიყო. აღზრდის შინაარსში იგი გონებრივ, ფიზიკურ, ზნეობრივ, ესთეტიკურ და შრომით აღზრდას გულისხმობდა.

პედაგოგიური აზროვნების განვითარების ისტორიაში ალბათ ვერ დავასახელებთ რომელიმე კლასიკოსს, განმანათლებელსა თუ სახალხო მასწავლებელს, რომელთაც განსაკუთრებული ყურადღება არ გაემახვილებინოთ ბავშვის გონებრივ აღზრდაზე. გამონაკლისს არც მესხი განმანათლებელი – ივანე გვარამაძე წარმოადგენს. მართალია აღნიშნული საკითხისადმი საგანგებო ნაშრომი არ ჰქონდა დაწერილი, მაგრამ მის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში დაცულია საინტერესო შეხედულებანი.

ივანე გვარამაძე ხაზგასმით მიუთითებდა: „ღმერთმა დაბადა კაცი თავისუფლებით და გონიერებით შემკობილი.“[140] მას სამართლიანად მიაჩნდა, რომ სხვა ცოცხალი ორგანიზმებისაგან განსხვავებით მხოლოდ ადამიანს გააჩნია გარკვეული გონებრივი შესაძლებლობანი და გონებრივი განვითარება ადამიანის ტვინის უმთავრესი ფუნქციაა. აქედან გამომდინარე ლოგიკურად დაასკვნიდა, რომ აღზრდის ერთ-ერთი უპირველესი მიზანი უნდა ყოფილიყო ბავშვის გონებრივი აღზრდა, რასაც უნდა დაფუძნებოდა ზნეობრივი, ესთეტიკური, შრომითი და ფიზიკური აღზრდა-განვითარება.

მოძიებული მასალებიდან ირკვევა, რომ ივანე გვარამაძეს გონებრივი აღზრდის უპირველეს მიზნად მიაჩნდა მოზარდისათვის ცოდნის – კაცობრიობის მიერ დაგროვილი გამოცდილების შეთვისება. შეიძლება ითქვას, რომ მისი მრავალმხრივი მოღვაწეობის, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის, სახელმძღვანელოების შედგენის ერთ-ერთი მოტივი სწორედ ეს გახლდათ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მის შეხედულებებს გონებრივი აღზრდის შესახებ საფუძვლად ედო ეროვნულობა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი აზრით, ყოველი ეროვნების ადამიანს ჯერ უნდა შეეძინა ცოდნა – თავისი ქვეყნის შესახებ მიეღო ეროვნული განათლება „საკუთარი სწავლა-მეცნიერება“ და შემდგომ თავისი ცოდნა გაეფართოებინა კაცობრიობის მონაპოვარით. მიაჩნდა, რომ თუ ადამიანი ჯერ ეროვნულ განათლებას მიიღებდა და შემდგომ ევროპულს, მაშინ „ერთი ათასად წინ წავსდგამდით ნაბიჯს

ევროპულს სასარგებლო განათლების სფეროში".[182] რამდენადაც ცოდნის შეძენა სწავლის, სწავლების, საკუთარი გამოცდილების საფუძველზე ხდება, აქედან გამომდინარე ივანე გვარამაძე მოითხოვდა, რომ სწავლება მოზარდის მშობლიურ ენაზე წარმართულიყო. სამართლიანად მიაჩნდა და ამასთანავე იაკობ გოგებაშვილის მიმდევარი იყო იმასთან დაკავშირებით, რომ სწავლება უნდა წარმართულიყო მშობლიურ ენაზე, რათა ადგილი ჰქონოდა ბავშვის გონებრივ განვითარებას და მისი გონებრივი შესაძლებლობების სრულ გამოვლინებას.

როგორც ჩანს, ივანე გვარამაძეს კარგად ჰქონდა გააზრებული გონებრივი აღზრდის არსი. შეიძლება ითქვას, რომ იგი შემდეგი თანამიმდევრობით აღიქვამდა მას: გონებრივი განვითარებისათვის აუცილებელია ცოდნის შეძენა, ცოდნის შეძენისათვის – შესაბამისი უნარი, სურვილი და წიგნის სიყვარული. მისი აზრით, მასწავლებელს უნდა აღეძრა მოსწავლეში ცოდნის შეძენის სურვილიც და წიგნის სიყვარულიც.[44] შემთხვევითი არ იყო ისიც, რომ მან წიგნს ერთგვარი ჰიმნი უძღვნა[113] და ამასთანავე რამდენიმე სახელმძღვანელო შეადგინა.

როგორც მოძიებული მასალებიდან ჩანს, ივანე გვარამაძეს მიაჩნდა, რომ ბავშვის გონებრივი აღზრდის პირველი კერა ოჯახი იყო და აქედან გამომდინარე მშობელთა ერთ-ერთი საზრუნავი შვილების გონებრივი აღზრდა უნდა ყოფილიყო. იგი მიუთითებდა, რომ მას შემდეგ რაც ბავშვი ენას ამოიდგამდა (ე.ი. საუბარს ისწავლიდა) დედას შვილისათვის უნდა გაეცნო ღმერთი, სარწმუნოება და მამული:

„ღმერთს აცნობს, სარწმუნოებას,
თავსა კვლავ მამულს აღუთქვამს,
კარგს ეტყვის, კარგსა ასწავლის...."[108]

გარდა აღნიშნულისა, მშობლის მოვალეობად მიაჩნდა შვილისათვის განათლების მიცემაზე ზრუნვა და რაიმე ხელობის დაუფლება.[110] ამრიგად, ამ შემთხვევაშიც ივანე გვარამაძე ერთმანეთისაგან არ გამიჯნავდა ოჯახსა და სკოლას. სამართლიანად დაასკვნიდა, რომ მშობელსაც და მასწავლებელსაც ერთნაირად უნდა ეზრუნათ ბავშვის გონებრივ აღზრდაზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ ივანე გვარამაძემ გონებრივად განვითარებულ ადამიანს „ჭკვიანი“ უწოდა. თავის ერთ-ერთ ლექსში „მარადის მჭონდეს ჭკვიანება, ნდობა-სურვილი“ მოცემული აქვს „ჭკვიანის“ ვრცელი დახასიათება:

— „ვაქებ ჭკვიანსა, ყოველსა საქმეს სიბრძნით განაგებს“
— „მართლაც ჭკვიანი, იშვიათად საშოვნელია“
— „ჭკვიანი ფიქრობს, სიტყვას ასწონის წარმოთქმის ჟამსა“
— „ვინც ჭკვიანია, მაღალს ხარისხს თუმც მიაღწიოს“
— „მიუშვებ ჭკვიანს, თწვას და მასმინოს სიტყუანი წყნარნი“
— „აჰ, ჭკუავ გეტყვი: ძვირფასი არს შენი ღირსება“[143]

ამრიგად, ივანე გვარამაძის პედაგოგიური მემკვიდრეობის შესწავლამ დაგვანახა, რომ მას სწორი ეროვნული პოზიციებიდან დანახული შეხედულებანი გააჩნდა ბავშვის გონებრივი აღზრდის შესახებ. კერძოდ ის, რომ აღნიშნულ საკითხზე, უნდა ეზრუნა ოჯახსაც და სკოლასაც. შეიძლება ითქვას, რომ მან ფუნქციებიც კი გაუნაწილა ერთი მხრივ დედას და საერთოდ მშობლებს და მეორე მხრივ მასწავლებლებს. ამასთანავე, წამოაყენა გონებრივი აღზრდის აუცილებლობის საკითხი, რამდენადაც მიაჩნდა, რომ ყოველი ერის წინსვლა დამოკიდებული იყო მისი მომავალი თაობის გონებრივ განვითარებაზე. ამდენად, მესხი განმანათლებლის შეხედულებანი გონებრივი აღზრდის შესახებ აქტუალური იყო მისი მოღვაწეობის პერიოდში და მას სადღეისო ღირებულებები გააჩნია.

ფიზიკური აღზრდა

მოზარდის ყოველმხრივი განვითარების ერთ-ერთ ძირითად ნაწილად მიაჩნდა ფიზიკური აღზრდა. ამიტომ, უპირველესად, ყურადღებას ამახვილებდა ბავშვის ფიზიკურ აღზრდაზე. იგი ფიქრობდა, რომ ადამიანის სხეულის ჯანმრთელობაზე დიდად იყო დამოკიდებული მისი შრომა-საქმიანობა. იმის გამო, რომ იმდროინდელ სკოლებში ბავშვის ფიზიკურ აღზრდას სათანადო ყურადღება არ ექცეოდა, ივანე გვარამაძეს მიაჩნდა, რომ ოჯახს,

მშობლებს უნდა ეზრუნათ ბავშვის სხეულის გაკაჟებისათვის. ე.ი. მისი აზრით, ფიზიკური აღზრდის უპირველესი მიზანი ბავშვის ჯანმრთელობა იყო. ხოლო ფიზიკური აღზრდის საშუალებად მიაჩნდა: ზომიერი კვება, ჰიგიენა, სუფთა ჰაერი, მზის სხივები, ზომიერი ძილი, კლიმატთან შესაფერისი ტანისამოსის ხმარება, გართობა-თამაშობანი. კონსტანტინე გვარამაძის არქივში დაცულმა ერთ-ერთმა წერილმა „მამა ივანეს ჰიგიენა სიცოცხლეში“,[58] დაგვარწმუნა, რომ ივანე გვარამაძე ზემოთქმულის გათვალისწინებით ცხოვრობდა. ამიტომაც იყო, რომ სიცოცხლის ბოლომდე იყო ჯანმრთელი და ფიზიკურად ძლიერი. კონსტანტინე გვარამაძის გადმოცემით ის არ წევდა სიგარეტს, არ სვამდა სასმელს, იკვებებოდა ზომიერად. ამასთანავე, ნასადილევს და ნავახშმევს სუფთა ჰაერზე სეირნობდა, იკვებებოდა რეჟიმით, რის საფუძველზეც ინარჩუნებდა სხეულის სიჯანსაღეს.

ივანე გვარამაძემ ფიზიკური აღზრდის საკითხს მრავალი წერილი უძღვნა, სადაც ასაბუთებდა ფიზიკური აღზრდის აუცილებლობას. მისი შეხედულებით, ჯანმრთელი თაობის აღმზრდელი ოჯახთან ერთად საზოგადოებაც უნდა ყოფილიყო. ერთ-ერთ წერილში იგი იმ აზრს ანვითარებდა, რომ ფიზიკური აღზრდის საკითხი სწორად იყო დაყენებული ძველ საქართველოში. მიუთითებდა, რომ მაშინ, როცა ბერძნები ოთხ წელიწადში ერთხელ მართავდნენ „საქვეყნო თამაშობებს“ — ე.ი. ოლიმპიადებს და გამარჯვებულთ დაფნის გვირგვინით აჯილდოებდნენ, ჩვენში ყოველ წელს ყველიერში იცოდნენ საქვეყნოდ თავის გამოჩენა. უფრო ბევრნაირ სხეულის ვარჯიშობითა: მკლავის გასამაგრებელი, ჭიდაობა, შურდულით ქვის სროლა, შურდულის სროლა ნიშანზედ ან თოფისა, ცხენის ჭენება, ფეხით რბენა.[184] იმავე ხელნაწერში მოცემული აქვს ზოგიერთი ძველი სპორტული თამაშის დახასიათება: ჭოჟი, თოლო წრე, ჯორებუნა, თავმოვლიანა, ხელობანი, კუნძითრევანი. იქვე მიუთითებდა, რომ ეს თამაშობანი საჭირო იყო ყმაწვილთა სხეულის გასაკაჟებლად, რათა „ომ-ბრძოლების დროს გამძლე ყოფილიყვნენ ყოველნაირი გაჭირვებული მდგომარეობისა, რის გამოც არასოდეს შეეშინდებოდათ და არ ედრიკათ პირი მტრისაგან.“[184] ე.ი. ივანე გვარამაძე ამით იმას

უსვამდა ხაზს, რომ ფიზიკური წვრთნა ქართველი ხალხისათვის ისტორიული აუცილებლობითაც იყო გამოწვეული. საჭირო იყო ფიზიკურად ძლიერი პიროვნების აღზრდა, რადგან უპირველეს მოვალეობას მამულის დაცვა წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ივანე გვარამაძე ქართველი სამოციანელების მსგავსად ადმიანის ჯანმრთელობის მქადაგებელი იყო. ამავე დროს, იგი გეთავაზობდა ფიზიკური აღზრდის ერთერთი უძველესი საშუალების ე.წ. 'გართობა-თამაშობის" – ტრადიციის აღდგენას. იგი სამართლიანად ფიქრობდა, რომ მეფის დროინდელი სკოლის მიერ ფიზიკური აღზრდის უგულვებელყოფას პოლიტიკური მოსაზრებანი ედო საფუძვლად. რუსიფიკატორული პოლიტიკის განმხორციელებელი ხელისუფლება არ შეიძლებოდა ყოფილიყო დაინტერესებული ქართველი ხალხის არა მარტო გონებრივი, არამედ მისი ფიზიკური განვითარებითაც. იგი ითვალისწინებდა რომაული ანდაზის სიბრძნეს: ,,ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია". ქართველ ხალხს კი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გზაზე ჯანსაღ სულთან ერთად ჯანსაღი სხეულიც ესაჭიროებოდა.

ივანე გვარამაძე სამართლიანად მიუთითებდა, რომ სპორტული თამაშობანი მოზარდში ანვითარებდა სწრაფი აზროვნების, სწორი გადაწყვეტილების უნარს, მიხვედრილობას. ე.ი. ხელს უწყობდა ბავშვის გონებრივ განვითარებას.

ვფიქრობთ, ივანე გვარამაძის შეხედულებანი მოზარდი თაობის ფიზიკურ აღზრდაზე და მისი მოთხოვნა ხალხური გართობა-თამაშობების აღდგენა-დამკვიდრება დღესაც ძალაში რჩება, რამდენადაც ამჟამინდელი მდგომარეობით მნიშვნელოვნად არის შესუსტებული ყურადღება ფიზიკური აღზრდის მიმართ როგორც სკოლაში, ისე ოჯახში. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ როგორც წიგნს, ისე ფიზიკურ აღზრდას ჩაენაცვლა ტელევიზორი და კომპიუტერი.

ამრიგად, ივანე გვარამაძე ანვითარებდა იმ აზრს, რომ მოზარდის ყოველმხრივი განვითარებისათვის აუცილებელი იყო ფიზიკური აღზრდის დაკავშირება გონებრივ განვითარებასთან, მისი შეხედულებანი ფიზიკური აღზრდის შესახებ გარკვეული თვალსაზრისით დღესაც მისაღებია.

ივანე გვარამაძის პედაგოგიურ შეხედულებებში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ბავშვთა ზნეობრივ აღზრდას. მისი აზრით ზნეობრივ აღზრდას უპირველეს საფუძვლად ქრისტიანული მოძღვრება უნდა დადებოდა. აქედან გამომდინარე, შემდეგ მოთხოვნებს აყენებდა: ბავშვი ენას ამოიდგამდა თუ არა, მაშინვე დედას ღმერთი უნდა გაეცნო მისთვის, ღმერთის შიში-კრძალვა უნდა აღებეჭდა მის გულში და ესწავლებინა წვრილ-წვრილი ლოცვები.[136] მისი აზრით, მშობლების მხრივ „საშინელი მტრობაა, როცა სულიერი სწავლა არ მიუციათ პირველშივე თავიანთი შვილებისათვის".[136] იგი ანვითარებდა იმ აზრს, რომ ვისაც ღვთის სიყვარული არ ექნებოდა, უზნეობაზედ უფრო ადვილად მიუწვდებოდა ხელი. ე.ი. ღვთისმოშიშებას ივანე გვარამაძე ადამიანის ზნეობრიობის საფუძვლად მიიჩნევდა. მას თავისი შეხედულება გააჩნდა იმასთან დაკავშირებით, თუ ვის უნდა ეზრუნა ბავშვის ზნეობრივ აღზრდაზე. კერძოდ, ფიქრობდა, რომ მოზარდის სულიერ-ზნეობრივ აღზრდაზე ჯერ უნდა ეზრუნა დედას, ხოლო შემდეგ 'სულიერი და ზნეობრივი ზრდა და წარმატება უნდა მიეცეს სასწავლებელში მასწავლებელთაგან". მასწავლებლის უპირველეს მოვალეობად მიაჩნდა ის, რომ „დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ ახალმოსული მოწაფის ზნე-ჩვეულების ცუდ მიმართულებას ყოველი თავიათი ღონე საშუალებით. ჯერ უნდა მოამზნობინონ ის ცუდი ჩვეულება ხასიათები და მერმე უნდა სწავლა დააწყებინონ გულდამშვიდებით".[129] მას ყურადღების გარეშე არ დაუტოვებია ისიც, თუ როგორ და ვის მიერ უნდა დაძლეულიყო ბავშვის ზნეწამხდრობა. კერძოდ, მიუთითებდა: „რაც შეეხება ყმაწვილის ზნეწამხდრობას (თავის ტოლ- ამხანაგებში მუდამდღე გართულობით) უფრო კატეხიზმოს და საღმრთო ისტორიის მასწავლებელი-მოძღვარი გაუმჯობინებს მის ცუდ ხასიათსა მალ-მალე დარიგებით და აღსარების თქმევინებით".[129] ე.ი. მას მიზანშეწონილად და აუცილებლობად მიაჩნდა აღზრდაში სიტყვიერი დარწმუნების მეთოდის გამოყენება, რომელიც დამკვიდრებულია თანამედროვე პედაგოგიურ მეცნიერებაში. ივანე

გვარამაძე განსაკუთრებით მოითხოვდა, რომ მოსწავლის მავნე ზნე-ჩვეულებათა გასწორებას — სარწმუნოების ნაწილების შესწავლით, იმთავითვე მიქცეოდა ყურადღება. მისი დაკვირვებით, ბავშვი „ზნეწამხდრობას“ იძენდა ტოლ-ამხანაგებში მუდამდღე გართულობით“, რადგან მათგან ითვისებდა ცუდ სიტყვებს, იფუჭებდა ხასიათს. ამიტომ, აქედან გამომდინარე, მოუწოდებდა მშობლებსა და მასწავლებლებს, რომ ბავშვი მოეშორებინათ, „ცუდ ტოლ-ამხანაგთ ხასიათ წამხდართა“. რათა ასეთ ამხანაგთ ცუდი გავლენა არ მოეხდინათ ბავშვის ზნეობაზე. ე.ი. საკითხს მეთოდურად განიხილავდა. იგი გვთავაზობდა ბავშვზე ცუდი ზეგავლენის თავიდან აცილების ერთ-ერთ გზას. ამავე დროს, ზნეობრივ აღზრდაში ყურადღებას ამახვილებდა გარემო ფაქტორზე.

ივანე გვარამაძეს თავის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში ჩამოყალიბებული აქვს კონკრეტული შეხედულებანი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი უნდა იყოს ზნეობრივად აღზრდილი პიროვნება:

> „ყოველ კაცს ჰმართებს იცოდეს უმცროს უფროსი დიდია,
> უმცროსი არსად დაჩაგროს, ჰქონდეს უფროსის რიდია,
> ყოველიფერი სიმართლით ჰქმნას, არ იყოს ძმათა მყიდია,
> ჩვენი ყოველი სიკეთე სჯულის კანონზედ ჰკიდია“.[154]

მის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში ნათლად ჩანს, რომ მოზარდის ზნეობრივი აღზრდისათვის საჭიროდ მიაჩნია ქრისტიანულ მოძღვრებასთან ერთად მისთვის ესწავლებინათ საოჯახო წეს-ჩვეულებანი, ქვეყნის ისტორია, რომელიც ხელს შეუწყობდა მის მორალურ ფორმირებას. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ივანე გვარამაძეს ადამიანის ზნეობრივი შეფასების კრიტერიუმად პრაქტიკული საქმიანობა მიაჩნდა და არა სიტყვა. ამრიგად, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ისეთივე შეხედულება ჰქონდა როგორიც ქართველ სამოციანელებს.

ივანე გვარამაძის აზრით, მშობელი ქვეყნის, ერის ისტორიის ცოდნა ხელს შეუწყობდა მოზარდში ერთ-ერთი ძირითადი ზნეობრივი თვისების — პატრიოტიზმის აღზრდას. იგი წერდა:

„ყოველი კაცისათვის დიდად სასურველი არის, რომ იცოდეს ნამდვილი ისტორიით თავის გვარტომობის ჩამომავლობა, თუ ვინ იყო მისი წინაპართ მამა-მთავარი, სად ცხოვრობდა, რა ენაზე ლაპარაკობდა? ვინ ჰყავთ გმირნი თუ მეფენი? ვისთან და როგორ ცხოვრობდნენ ქვეყანაზედა“?[159] – ზემოთქმულის ცოდნა, მისი აზრით, ადამიანისათვის აუცილებელი იყო, რათა განესაზღვრა, თუ რისთვის უნდა ეზრუნა მას სამომავლოდ. ქვეყნის დაცვა მხოლოდ მამულის ინტერესების დაცვის სულისკვეთებით აღზრდილს შეეძლო. შეიძლება ითქვას, რომ მას ისეთივე დამოკიდებულება ჰქონდა პატრიოტიზმის საკითხის გაგებასთან, როგორც მის თანამედროვე იაკობ გოგებაშვილს. ამასთანავე, იაკობ გოგებაშვილმა კითხვაზე – ვის ჰქვია პატრიოტი? – პასუხით მოგვცა პატრიოტის ამომწურავი დახასიათება, რასაც კარგად ესადაგება თვით ივანე გვარამაძის პიროვნება და მოღვაწეობა.[10]

აღსანიშნავია, რომ ივანე გვარამაძე თვითონ იყო ჭეშმარიტი პატრიოტი. მისი მოღვაწეობა პატრიოტიზმის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენდა ახალგაზრდობისათვის. იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე ყოველი საშუალებით იბრძოდა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ თავისი ხალხის საკეთილდღეოდ. როგორც პროგრესულად მოაზროვნე პიროვნება თავისი ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის იღწვოდა. გარდა ამისა, მას, როგორც ისტორიკოსს, კარგად ჰქონდა გააზრებული ისტორიის როლი, მნიშვნელობა და დიდი წვლილი შეიტანა განსაკუთრებით სამხრეთი საქართველოს ისტორიის შესწავლაში.

ივანე გვარამაძეს ადამიანის ერთ-ერთ ზნეობრივ თვისებად მიაჩნდა მეგობრობა. ლექსში „მეგობარი“ ავითარებდა იმ აზრს, რომ შეუძლებელია ადამიანი მეგობრის გარეშე ცხოვრობდეს. ამიტომ, მას სერიოზულად დაფიქრება მართებდა მეგობრის ამორჩევის დროს.[113] მისი შეხედულებით, ნამდვილი მეგობრობა შეეძლო კარგ ვაჟკაცს. ამიტომ, აქებდა ვაჟკაცობას: „გაშლილხარ უკვდავების ხედ ყოველნაირად შემკული“.[112] ვაჟკაცობა მიაჩნდა მამაკაცის სიმბოლურ საზომად. ხოლო მის უპირველეს მოვალეობად აღიარებდა ქვეყნის სამსახურს.

ივანე გვარამაძის წარმოდგენით ზნეობრივი თვისებებით შემკულ ადამიანს უნდა შეძლებოდა სიკეთის კეთება. მას თავისი შეხედულება გააჩნდა სიკეთის მცნებასთან დაკავშირებით: „სიკეთის ქმნა ვაჭრობასავით რამე არ არის, ამისათვის მისი მოგებაც საჭირო არ არის".[25] ე.ი. ანგარებით გაკეთებული საქმე სიკეთედ არ ჩაითვლებოდა. სიკეთის მქმნელი სამაგიეროს მიღების მოლოდინში კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ „სიკეთის მქნელი უნდა მოხარული იყოს რომ სიკეთის ქმნის დრო ხელში აქვს. სიკეთის მიმღებიც უნდა ცდილობდეს, რაც ხელთაგან გამოუვიდოდეს მიაგოს".[111] მესხი განმანათლებელი ადამიანში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ზრდილობას. ერთ-ერთ წერილში „წყარონი საეკლესიო და სასოფლო ცხოვრებისა საყოფაქცეოდ საქართველოს ახალ მოსწავლე ყრმათა" მოცემული აქვს ზრდილობისა და თავხედობის შედარებითი დახასიათება. კერძოდ, მისი შეხედულებით, ზრდილობა ადამიანის კარგად წარმომჩენია. გარდა ამისა, „მრავალს კარგს რამეებს ასწავლის კაცსა: გულმდაბლობასა, გულუხვობასა, უმანკოებასა და სიმხნევესა".[127] ხოლო უზრდელობა, თავხედობა კაცს ყველგან შარცხვენს, რადგან იგი არის წინამძღვარი ამპარტავნობის, ავკაცობის, ავმუცლობის: „ავმუცლობა ისეთი ძლიერი სენია, რომ რაგინდ რა დიდი ნასწავლი კაციც იყოს ჭდითგან გადაიყვანს, რისგან არიან ყოველი გვარის საზოგადოებაში ამდენი ურიგობანი".[127] საერთოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ივანე გვარამაძე თავისი პედაგოგიური ხასიათის ნაშრომებში ხშირად მიმართავდა შედარების ფორმის გამოყენებას და ამით იგი მოზარდს აყენებდა არჩევანის წინაშე. ყურადღებას იპყრობს ასეთივე ფორმით შესრულებული მისი ერთ-ერთი ლექსი: „მარადის მქონდეს ჭკვიანება, ნდობა, სურვილი".[133] ავტორს ლექსში მოცემული აქვს ჭკვიანისა და სულელის შედარებითი დახასიათება. იგი ანვითარებს იმ აზრს, რომ ჭკვიანს ზნეობრივი თვისებები ახასიათებს, ხოლო სულელს — უზნეობა. მიუთითებდა, რომ ჭკვიანი ყოველ საქმეს გონივრულად აკეთებს, სულელი კი — წაახდენს, ჭკვიანი ყოველ სიტყვას გაიაზრებს, სულელმა კი არ იცის სიტყვის თქმის დრო და ადგილი. თუ ჭკვიანი ვისმეს აწყენს — მოინანიებს, ხოლო სულელი „ვისაც დასჯაბნის ბუღა

ხარისავით დაერქინება“. ჭკვიანმა როგორ წარმატებასაც არ უნდა მიაღწიოს ამით თავს არ მოიწონებს, ხოლო სულელი ვაებას მოუტანს ხალხს. რა თქმა უნდა, ივანე გვარამაძე უპირატესობას ჭკვიანს ანიჭებს და დაასკვნის: ‘უსათუოა, დიდს განძზედ ჭკუა უმჯობესია“. ამასთანავე მიუთითებდა, რომ ჭკუა ადამიანისათვის ძვირფასია, მაგრამ სულელი მის ფასს ვერასოდეს გაიგებს:

„აჰ, ჭკუავ გეტყვი, ძვირფასი არს შენი ღირსება,
მარა ჩერჩეტსა, იგი არაფრად არ ეღირსება“.

ივანე გვარამაძე ჭკუა-გონიერებას სამართლიანად მიიჩნევდა ადამიანის თანდაყოლილ და ამავე დროს, ინდივიდუალურ თვისებად, რომელიც დიდ როლს ასრულებს პიროვნების მორალურ ჩამოყალიბებაში. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის, რომ ივანე გვარამაძე როდესაც ეხებოდა ბავშვის ზნეობრივ აღზრდას, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა პატიოსნების საკითხს. ლექსში – „დახასიათება პროფესიებისა და დარიგება ყველა პროფესიის ადამიანს“[111] (მისივე მითითებით იგი წარმოადგენს ზნეობრივი შინაარსის ლექსთა კრებულს) – ყველა პროფესიის ადამიანს მოუწოდებდა რომ თავიანთი საქმიანობა წარემართა პატიოსნად, სამართლიანად, ნუ შეეცდებოდნენ სხვათა მოტყუებას. კერძოდ: ხუროთ, ოქრომჭედელთ, ბერებს, მეფართლეთ, დალაქებს, მეფურნეთ, მკერავებს და ა.შ. უქადაგებდა:

„რაც ღმერთმა მოგცეს დასჯერდით
სიმართლით ბევრს თუ ცოტასა;
თვარემ ცოდვით აივსები,
დაჰკარგავ ბევრს მოსაგებსა“.

ე.ი. შეახსენებდა, რომ ცოდვა ურისხავი არ იქნება.

ჩვენს საკვლევ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მასალებია მოცემული ივანე გვარამაძის ფონდში დაცულ ხელნაწერში: „ზნეობით ანდაზები გამოთქმული ივანე გვარამაძის მიერ“.[105] მიუთითებს ყველა იმ ზნეობითი თვისებების აუცილებლობაზე, რომელიც უნდა გააჩნდეს ადამიანს. კერძოდ, ზომიერების გრძნობაზე: „ბევრი ხელგაშლილობა მატყუარობის წინამძღვარია“, „უზომო ჭამა-სმა უფრო ხოცამს კაცთა ვირემც თუ სიმშილი (სიმშილი – შიმშილი – ნ.ყ.)“, გონიერებაზე: „ბრძენი კაცი

უფრო ირჩევს გაგონებას ვირემც თუ ლაპარაკსა", „კაცი გაგონებაში პირველი უნდა იყოს და სიტყვის თქმაში კი ბოლო"; წინდახედულობაზე: „შენს მტერს რომ გაქცევა უნდოდეს, შენ ოქროს ხიდი გაუკეთეო", „მოთმინებითა, დროებითა და ფულით ყველანაირი კლიტე გაიღება"; ერთგულებაზე: „მეგობრის სამსახური კაცს მოლალვას არ დაამჩნევს". უნდა აღინიშნოს, რომ ივანე გვარამაძე ადამიანის ზნეობრივი თვისებების დახასიათებით, არ კმაყოფილდებოდა, იგი წერილებსა და ქადაგებებში მოუწოდებდა თავის მრევლს, ქართველ ხალხს, რომ ზნეობრივად არ დაცემულიყვნენ: „კმარა ამდენი ჩვენი სიზარმაცე, გამოშტერება და დაუდევრობა, არა გვარგო რა მარტო წითელმა ღვინომ, ცვრიანმა მწვადებმა, ლხინ-ნათლობამ და ქაღალდის თამაშობამ".[214]

ივანე გვარამაძე, როდესაც იხილავდა მოზარდის ზნეობრივ აღზრდას, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აღმზრდელის (მშობლის, მასწავლებლის) პირად მაგალითს. მიუთითებდა, რომ ბავშვი აკვირდებოდა მშობლების ყოველდღიური ცხოვრების ავკარგიანობას. ამიტომ, „არ უნდა გააგონონ მას არცერთი ურიგო ლაპარაკი, წყევლა, გინება. არ უნდა აჩვენონ გულმოსულობა, შური, ცილობა, ჩხუბი, ურთიერთკამათობა". რადგან „შეისისხლხორცებს მშობლების უკუღმართს ყოფაქცევასა და მერმე ავკაცი გამოვა".[136] აქ ნათლად ჩანს, რომ ივანე გვარამაძე მოზარდის ხასიათის ჩამოყალიბებაში, მისი პიროვნების ფორმირებაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აღმზრდელის ზნეობრივ მაგალითს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ პირადი მაგალითის ფაქტორს არ გამორიცხავდა დიმიტრი უზნაძე, მიუხედავად იმისა, რომ იგი ხასიათს ადამიანის თანდაყოლილ თვისებად თვლიდა.[31] ივანე გვარამაძეს მიაჩნდა, რომ მშობლები კარგი მაგალითის მიმცემნი რომ ყოფილიყვნენ თავიანთი შვილებისათვის, ოჯახში არ უნდა დარღვეულიყო უმცროს-უფროსობის წესი ე.ი. ასაკობრივი და ამასთანავე სქესობრივი სეგრეგაცია: „კაცს კაცობა უნდა ეტყობოდეს და ქალს ქალობა".[127] თითოეულ მათგანს თავისი მოვალეობა უნდა შეესრულებინა. ამრიგად, იგი ზნეობრივი აღზრდის ფესვებს ეროვნულ ტრადიციებშიც ხედავდა.

როგორც ირკვევა, ივანე გვარამაძე ცნობილ პედაგოგთა მსგავსად (პლატონი, არისტოტელე, კომენსკი) ზნეობრივ აღზრდაში განმსაზღვრელ როლს აკუთვნებდა გონებას – ადამინის სულის უძლიერეს ნაწილს. იგი ადამიანთა მოდგმის უბედურების უმთავრეს მიზეზად არაგონივრულობას ასახელებდა. ხოლო ადამიანისა და ქვეყნის ძლიერების საფუძვლად-ქვაკუთხედად „კაცის გონივრული გულკეთილობა“ მიაჩნდა: „კაცის გონივრულ გულკეთილობით იბადება სიყვარული. სიყვარულისაგან თავმდაბლობა, მორჩილება და მოთმინება. თავმდაბლობისა, მორჩილებისა და მოთმინებისაგან ძვირფასი ერთობა. ერთობისაგან ყოველნაირი კეთილი შრომა და შრომისაგან მრავალნაირი სიკეთე; ნაყოფი და სიმდიდრე მთელი ქვეყნისა“.[158] ე.ი. აქედან ნათლად ჩანს, რომ ივანე გვარამაძეს ზნეობის არსის თავისეული აღქმა გააჩნდა, რომელიც ამავე დროს დაკავშირებული იყო ეპოქის მოთხოვნებთან.

ამრიგად, ივანე გვარამაძეს აღზრდის უმთავრეს ამოცანად და მიზნად მიაჩნდა მოზარდი თაობის ზნეობრივი თვისებებით შეიარაღება. მის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში დაცული პროგრესული შეხედულებანი მოხსენებული საკითხის მიმართ დღესაც ინარჩუნებს უდიდეს სასწავლო-აღმზრდელობით მნიშვნელობას.

აღსანიშნავია ისიც, რომ ივანე გვარამაძე ითვალისწინებდა რა XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის სარწმუნოებრივ სიჭრელეს და თვით ადგილობრივი ქართველი ხალხის რელიგიურ დაყოფას, ქრისტიანობის ისტორიულ მისიას საქართველოს სახელმწიფოებრივ სინამდვილეში, სამართლიანად მოითხოვდა, რომ სასწავლებლებში მოზარდის ზნეობრივ აღზრდას საფუძვლად ქრისტიანული მოძღვრება დადებოდა. ვფიქრობთ, ეს საკითხი აქტუალურია დღევანდელი თვალთახედვითაც, რამდენადაც ქართველი ხალხის სარწმუნოებრივი გათიშვა კიდევ უფრო მეტად გაღრმავდა სხვადასხვა სექტების აღმოცენებისა და მათი საქმიანობის გააქტიურობის ნიადაგზე.

ივანე გვარამაძის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში აღზრდის შემადგენელ სხვა ნაწილებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ესთეტიკურ აღზრდას. აღსანიშნავია, რომ მესხ განმანათლებელს დასახულ საკითხისდამი საგანგებო გამოკვლევა არ მიუძღვნია, მაგრამ პედაგოგური ხასიათის წერილებში ლექსებსა თუ შრომებში ფართოდ არის წარმოდგენილი მისი შეხედულებანი აღნიშნული საკითხთან დაკავშირებით. ამ მხრივ საყურადღებოა ლექსი „მოწაფე და კალამი“, სადაც ავტორს წარმოდგენილი აქვს მოწაფისა და კალამის გაბაასება. მათი პაექრობის მიზეზი სუფთად წერაა. იმის გამო რომ ნაწერი არ არის ლამაზად შესრულებული, მოწაფე კალამს აბრალებს:

მელანს იგუბავს
ხელებს მილებავს
ხელს ვძრავ თუ არა
ქაღალდს მითხუპავს

კალმის პასუხი ასეთია:

მე კარგად ვსწერავ
თუ ხელს რიგზედ სძრავ.[104]

ავტორს ლექსში ის აზრი აქვს გატარებული, რომ მასწავლებელმა უნდა იზრუნოს მასზედ, რომ მოსწავლეს გამოუმუშოს ლამაზად და სუფთად წერის უნარი, ე.ი. სილამაზის ესთეტიკური აღქმა. ივანე გვარამაძის ასეთი მოთხოვნა სრულიად სამართლიანი და ლოგიკური იყო, რამდენადაც იგი გახლდათ პრაქტიკოსი მასწავლებელი, სკოლაში წლების მანძილზე ასწავლიდა ქართულ ენასა და სხვა დისციპლინებს. პრაქტიკულმა მოღვაწეობამ დაანახა მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის აუცილებლობა, რომელსაც სკოლისა და მასწავლებლის მისიად მიიჩნევდა. იგი აყენებდა მოთხოვნას, რომ „წერა-კითხვაში კარგად გარჩევას უფრო დიდი ყურადღება“ მიქცეოდა. რამდენადაც სკოლას უნდა უზრუნველეყო კარგი კალიგრაფიის მქონე

მოსწავლეთა მომზადება, რამდენადაც ისტორიულადაც და თვით XIX საუკუნეშიც კალიგრაფების მისია წიგნების გადაწერა იყო.

ივანე გვარამაძეს ასევე სამართლიანად მიაჩნდა რომ ბავშვის ესთეტიკურ აღზრდაზე სკოლასთან ერთად უნდა ეზრუნა ოჯახსაც. ამ თვალსაზრისით იგი ფიქრობდა რომ ოჯახს უნდა გამოეყენებინა ყოველი რეზერვი ხალხური ხელოვნების საგანძურიდან. ვფიქრობთ შემთხვევითი არ იყო მის მიერ მესხური სუფრულების მოძიება-ჩაწერა-გადარჩენა (რაზეც ვრცლად გვქონდა საუბარი მეორე თავში). გარდა იმისა, რომ თვითონ იყო სუფრულების უბადლო შემსრულებელი, იღწვოდა რომ არ დაკარგულიყო თუნდაც ერთი მათგანი, მიაჩნდა რომ ერის ინტერესებიდან გამომდინარე მის სამსახურში უნდა ყოფილიყო. კერძოდ, ბავშვის ესთეტიკური აღზრდის ერთ-ერთ საშუალებად სიმღერა უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

ვფიქრობთ, ასევე შემთხვევითი არ უნდა იყოს ივანე გვარამაძის დაინტერესება ხატვისადმი. თავის ავტობიოგრაფიულ ნაშრომში მას განსაკუთრებული ყურადღება აქვს გამახვილებული ხატვის კარგად სწავლების აუცილებლობაზე. მიაჩნდა, რომ ხატვის თანდაყოლილი ნიჭისა და მეცადინეობის შედეგად შეძლო თორმეტი-ცამეტი წლის ასაკში ჯერ საბამის წმინდა გიორგის ეკლესიის კანკელის და შემდეგ მარელისის ეკლესიის მოხატვა. მიუთითებდა, რომ შვიდი წლის ასაკში დაიწყო ხატვაში მეცადინეობა.[160] ეს მითითებაც, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ იყო. მისი აზრით, დაწყებით კლასებში ერთ-ერთი სასწავლო დისციპლინა უნდა ყოფილიყო ხატვა,რომლის სწავლებაც ხელს შეუწყობდა მოსწავლის ესთეტიკურ აღზრდას და შესაძლებლობის შემთხვევაში ხატვის ნიჭის გამოვლენას. ზემოთქმული ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ ივანე გვარამაძე, როგორც სასულიერო პირი, მხოლოდ ხატმწერის ჟანრის სწავლების აუცილებლობაზე მიუთითებდა. აღნიშნულის დასაბუთებას წარმოადგენს მის პირად არქივში დაცული სახატავი ალბომი, რომელშიც შესრულებულია სხვადასხვა ჟანრის ნახატები.[139]

ამრიგად, მოძიებული მასალებიდან ნათლად იკვეთება, რომ ივანე გვარამაძეს ყურადღების მიღმა არ დაუტოვებია ბავშვის

ესთეტიკური აღზრდის საკითხი. აღნიშნულისადმი საინტერესო შეხედულებანი გააჩნდა. კერძოდ, სამართლიანად დაასკვნიდა, რომ მას საფუძველი უნდა ჩაყროდა ოჯახში და შემდგომ სკოლაში. მშობელსაც და მასწავლებელსაც ერთნაირად უნდა ეზრუნათ მოზარდში სილამაზის აღქმის უნარის ჩამოყალიბებაში.

შრომითი აღზრდა

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართულ პედაგოგიურ აზროვნებაში ყურადღება გამახვილებული იქნა მოზარდი თაობის შრომით აღზრდაზე. ცნობილმა ქართველმა პედაგოგებმა იაკობ გოგებაშვილმა, ივანე როსტომაშვილმა, ლუარსაბ ბოცვაძემ და სხვებმა დააყენეს შრომით აღზრდის აუცილებლობის საკითხი, რაზეც მათი შეხედულებით, ერთნაირად მოეკითხებოდათ მზრუნველობა ოჯახსა და სკოლას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თავისი მოსაზრებანი გააჩნდა ივანე გვარამაძეს. მისი შეხედულებით, შრომითი აღზრდის ერთ-ერთი ამოცანა და მიზანი უნდა ყოფილიყო მოზარდში შრომის სიყვარულის დანერგვა, მისი შრომის აუცილებლობასა და გარდუვალობაში დარწმუნება. ამასთანავე, შრომის უნარ-ჩვევების გამომუშავება. ამიტომ იყო, რომ წერდა: „ზანტ-ზარმაცობა კაცს არცხვენს, მავნებელია მრავალთა, ვშრომობდეთ უნდა ყოველდღე“.[111] მას შრომა ადამიანის ერთ-ერთ უპირველეს მოვალეობად მიაჩნდა. ამავე დროს, იგი შრომას ადამიანის ღირსების მთავარ დამცველად და მისი პირადი კეთილდღეობის წყაროდ აღიარებდა. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ივანე გვარამაძე სამართლიანად ასაბუთებდა შრომითი აღზრდის აუცილებლობას. აღსანიშნავია ისიც, რომ მესხ განმანათლებელს საკუთარი შეხედულებანი გააჩნდა იმასთან დაკავშირებით, თუ ვის უნდა ეზრუნა უშუალოდ მოზარდის შრომით აღზრდაზე. მისი აზრით, აღნიშნულ საკითხზე მზრუნველობა ჯერ მშობელს მოეკითხებოდა და შემდეგ სკოლას. იგი მშობელს ავალდებულებდა, რომ

შვილისათვის ბავშვობიდანვე გამოემუშავებინა შრომითი ჩვევები, ჩაენერგა შრომისა და მშობლებისადმი სიყვარული. გარდა ამისა, იგი სამართლიანად მოითხოვდა, რომ მშობელს შვილისათვის შეესწავლებინა რაიმე ხელობა: „არ დასტოვონ უხელებოდ, ჰქონდეთ ხელში სახმარია“.[111] მისი აზრით, სკოლას ოჯახთან ერთად უნდა ეზრუნა მოზარდი თაობის შრომითი აღზრდისათვის. ამიტომ, სასწავლებელს უნდა ჰქონოდა: „სახელოსნო, მეურნეობის გაკვერილი სავალგზათა“.[111] ე.ი. სკოლებში შრომითი აღზრდა უშუალოდ უნდა განხორციელებულიყო სპეციალურ სახელოსნოებში. ასეთი შეხედულებიდან გამომდინარე მოუწოდებდა, რომ სკოლებთან გაეხსნათ საპროფესიონარო (სახელსაქმო — ნ.ყ.) განყოფილებანი. აღსანიშნავია, რომ ივანე გვარამაძის მოწოდებით ასეთი განყოფილება გაიხსნა მისივე თაოსნობით დაფუძნებულ ხიზაბავრის სკოლაში — მოსწავლე გოგონებისათვის.[226]

ივანე გვარამაძეს ყურადღების მიღმა არ დაუტოვებია სასულიერო სასწავლებლები. იგი ანვითარებდა იმ აზრს, რომ მოზარდთა შრომითი აღზრდა და სახელოსნოების დაფუძნება საჭირო იყო სასულიერო სასწავლებლებშიც. რადგან მორჩილთ „სასარგებლო ხელოსნობაც უნდა იცოდნენ: დურგლობა, ხარატობა, მჭედლობა, ოქრომჭედლობა, მხატვრობა, მებალეობა და მისთანანი“.[136] იგი სასულიერო სასწავლებელში სახელოსნოების გახსნას და ხელობათა სწავლების მოთხოვნას აყენებდა არსებული ძველი ტრადიციებისა და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე.

ამგვარად, ივანე გვარამაძე თავის თანამედროვე პედაგოგთა მსგავსად აღზრდის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად მიიჩნევდა შრომით აღზრდას. ამასთანავე, სამართლიანად მიუთითებდა, რომ მოზარდი თაობის შრომითი აღზრდა უნდა განხორციელებულიყო ოჯახშიც და სკოლაშიც.

ივანე გვარამაძის შეხედულებანი საოჯახო აღზრდის შესახებ

საოჯახო აღზრდას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართულ პედაგოგიურ მემკვიდრეობაში. აღნიშნული საკითხის შესწავლაში დიდი დამსახურება მიუძღვით ქართველ განმანათლებლებსა და პედაგოგებს: ი. გოგებაშვილს, გ. იოსელიანს,[254] ივ. როსტომაშვილს, ილ. ფერაძეს,[253] გ. კორსაველს,[17] კ. გვარამაძეს,[171] ვ. გაგუას[6] და ა.შ.

საოჯახო აღზრდის შესახებ საინტერესო შეხედულებანი გამოთქვა მესხმა განამანთლებელმა ივანე გვარამაძემ, რომელიც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ეკუთვნის განმანათლებლების, სახალხო განათლების დარგის ცნობილ მოღვაწეთა იმ რიცხვს, რომელთა პედაგოგიური იდეები დღემდე შეუსწავლელია.

ივანე გვარამაძეს კულტურულ-საგანამანთლებლო საქმიანობამ და პრაქტიკულ-პედაგოგიურმა მოღვაწეობამ შესაძლებლობა მისცა შეემუშავებინა საკუთარი მოსაზრებანი პედაგოგიურ საკითხებზე. კერძოდ, მის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში ფართოდ არის წარმოდგენილი შეხედულებანი საოჯახო აღზრდის შესახებ.

მესხ განმანათლებელს ბავშვის აღზრდის ძირითად კერად ოჯახი მიაჩნდა. სწორედ ამიტომ, ნაშრომებში („მშობლები და მათი შვილები", „დედ-მამა და მათი შვილები") და პედაგოგიური ხასიათის წერილებში ფართოდ იხილავდა საოჯახო აღზრდის საკითხს. იგი მიუთითებდა, რომ რამდენადაც აღზრდა იწყებოდა ბავშვის დაბადებიდანვე, ამდენად მშობელი იყო პირველი აღმზრდელი. ე.ი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მას მართებული მოსაზრება ჰქონდა, რომელიც იმავე დროს, იდენტური იყო დიდი ჩეხი პედაგოგის – იან ამოს კომენსკის შეხედულებებისა. ივანე გვარამაძეს მიაჩნდა, რომ აღზრდის პროცესში ბავშვზე დიდ გავლენას ახდენდნენ მშობლები. აღნიშნულ საკითხზე ასეთივე შეხედულება ჰქონდა კონსტანტინე გვარამაძეს (მის ვაჟს, ცნობილ მესხ განამანათლებელს). იგი მიუთითებდა: „მშობლების აღზრდას უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონია ბავშვზე ვიდრე სკოლას, რადგან დედ-მამის აღზრდის მეთოდი უფრო

გავლენიანია ჩვილის გონებაზე".[171] იმისათვის, რომ აღზრდის პროცესში რაიმე შეცდომა არ ყოფილიყო დაშვებული ივანე გვარამაძეს ალნიშნულ ნაშრომებში მოცემული აქვს მითითებანი მშობელთათვის. კერძოდ, მიაჩნდა, რომ მშობლებს არ უნდა გაერჩიათ შვილები თავიანთი ხასიათისა და გარეგნობის გამო. ეი არცერთი მათგანისათვის არ მიენიჭებინათ უპირატესობა: 'ყველა შვილი თანასწორად უნდა დაიჭირონ და უფრო ანჩხლთა, ტუტუცთა და ჭირვეულთა ტკბილად უნდა მიეპყრან, როგორც სნეულთა".[136]

ივანე გვარამაძის აზრით, მშობლებს ყველა შვილი ჩადენილი დანაშაულისათვის ერთნაირად, მიუკერძოებლად უნდა დაესაჯათ. ის სვამდა კითხვას: „რა წარმოსდგება ამისთანა უჭკუო მოპყრობისაგან მშობლებისა თავიანთ შვილებზედა? – ის, რომ შეიძულებენ მშობლებსა, და-ძმანი ურთიერთს, თუ დები, მტრულს თვალით უწყებენ ცქერას და სულ შურით იქმნებიან ურთიერთზედა".[136] ე.ი. მას სამართლიანად მიაჩნდა, რომ მშობელთა მიერ შვილების გამორჩევას მოყვებოდა მათში ნათესაური სიყვარულის აღმოფხვრა და მავნე თვისებების ჩამოყალიბება. ამასთანავე, მიუთითებდა, რომ ბავშვი დანაშაულისათვის იმ შემთხვევაში უნდა დაესაჯათ, როცა მას შეგნებულად ჩაიდენდა და არა შემთხვევით. აღსანიშნავია ისიც, რომ იგი არ ამართლებდა ფიზიკურ დასჯას და მის ნაცვლად მშობლებს დარწმუნების მეთოდს სთავაზობდა.

ივანე გვარამაძეს დაუშვებლად მიაჩნდა მშობელთა მიერ შვილებისათვის პროფესიის თვითნებური შერჩევა მათი მისწრაფებების, შესაძლებლობების, ინდივიდუალური თვისებების გაუთვალისწინებლად: „ყმაწვილთაგანვე ენა-პირს უკერავენ, თავისუფლებას ართმევენ ხელითგან, სხდებიან ერთად მეუღლენი უნაწილებენ შვილებს სხვადასხვა წოდებას ან ხელობას".[136] იგი მშობელთა ამგვარ საქციელს „დიდ უსინდისობას" უწოდებდა. სამართლიანად შენიშნავდა, რომ მშობლებს არ ჰქონდათ შვილებში ინდივიდუალიზმის ჩაკვლის უფლება: „ვინ მისცათ მშობლებს ამნაირი უფლება, რომ შვილებს ატყვევებენ თავიანთ ნებაზედა".[136] მისი აზრით, მოზარდს თვითონ უნდა აერჩია თავისი მომავალი

პროფესია. მიუთითებდა იმაზეც, თუ როგორი საბედისწერო შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა მშობელთა მიერ შვილებისათვის პროფესიის თვითნებურ არჩევას. მისი აზრით, უმთავრესი შედეგი ის იყო, რომ ასეთნი ვერ პოულობდნენ თავიანთ ადგილს ცხოვრებაში. რაც, თავის მხრივ, განაპირობებდა ცხოვრების სწორი გზიდან აცდენას.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ივანე გვარამაძე მშობლის ვალდებულებად მიიჩნევდა შვილისათვის განათლების და რომელიმე ხელობის მიცემას. ბავშვის შესაძლებლობებისა და მოწოდების გათვალისწინებით:

> ,,ვალი აქვთ მშობლებს რომ მისცეს შვილებს
> სწავლა საკმარია,
> გააცნონ ღმერთი და სჯული სამშობლო მათ სახმარია,
> მეცნიერება, მხედრობა, საქალაქო მხარია.
> არ დასტოვონ უხელებოდ, ჰქონდეთ ხელში სახმარია".[110]

ივანე გვარამაძე კატეგორიულად მოითხოვდა, რომ მშობლის უპირველეს მოვალეობად მიაჩნდა ბავშვში ღვთის მოშიშობის ჩანერგვა: ,,დიდი სისხლისმსმელობა არის და საშინელი მტრობა, როცა სულიერი სწავლა არ მიუციათ პირველშივე თავიანთ შვილებისათვის".[110] ასეთ მკაცრ შეფასებას იმიტომ აძლევდა ივანე გვარამაძე, რომ მისი აზრით, სწორედ ურწმუნოება იყო საფუძველი ყოველგვარი უზნეობისა.

ივანე გვარამაძის შეხედულებით, რამდენადაც ოჯახი აღზრდის ძირითად კერას წარმოადგენდა, და აქედან გამომდინარე, აღზრდაც სწორად რომ წარმართულიყო, საჭიროდ მიაჩნდა მშობელთათვის ბავშვთა ასაკობრივი თავისებურებების ცოდნა. მის მიერ წარმოდგენილი მოზარდის ასაკობრივი პერიოდიზაციიდან მკაფიოდ ჩანს, რომ იგი აღზრდის პროცესში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იმას, თუ ბავშვი როგორ გარემოში იზრდებოდა, როგორ წარიმართებოდა აღზრდა და როგორი გავლენა შეიძლება მოეხდინათ მასზე აღმზრდელებს — ამ შემთხვევაში მშობლებს. იგი მიუთითებდა მშობლებს, რომ აღზრდის პროცესში

გაეთვალისწინებინათ მოზარდის ასაკობრივი თავისებურებანი. მიუთითებდა, რომ მშობლის მოვალეობანი ძალზედ რთული და საპასუხისმგებლო იყო. ამიტომ, მოითხოვდა მათ პედაგოგიურ მომზადებას. აღსანიშნავია, რომ ამ საკითხს დიდ ყურადღებას აქცევდნენ XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ქართველი პედაგოგები.[3] რამდენადაც მშობელთა პედაგოგიური მომზადება ამჟამადაც აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. ამიტომ, საუკუნის წინ ივანე გვარამაძის მიერ ამ საკითხის წამოჭრა მნიშვნელოვანი და პროგრესული იყო.

ამგვარად, ივანე გვარამაძის ნაშრომებში ჩამოყალიბდა მშობელთა უფლება-მოვალეობანი შვილების მიმართ. მშობელთაგან, როგორც აღმზრდელთაგან მოითხოვდა ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების შესრულებას. რამდენადაც მისი აზრით, მშობელი დიდ გავლენას ახდენდა ბავშვის გონებრივ, ფიზიკურ და ზნეობრივ განვითარებაზე. ამდენად „მშობლებს დიდი სიფრთხილე და მზრუნველობა დასჭირდებათ დიდხანს, სანამ ყმაწვილი სწორ გზაზედ დააყენონ“.[134]

ივანე გვარამაძემ ასევე პროგრესული შეხედულებანი გამოთქვა ოჯახში შვილების უფლება-მოვალეობათა შესახებ. მას სამართლიანად მიაჩნდა, რომ შვილს მუდამ უნდა ხსომებოდა ის, რომ მშობელი იყო მისთვის სიცოცხლის მიმცემი: „ჩვენი კერძო გაჩენის მიზეზნი არიან, ჩვენ დღეს სიცოცხლე იმითგან მოგვცემია“.[136] ამიტომ, აქედან გამომდინარე, ასკვნიდა: „როგორც ღმერთს უნდა პატივს ვცემდეთ მთელი ცა და ქვეყნის გამჩენლობისათვის, ისე ჩვენს მშობლებსაც უნდა პატივი ვსცეთ“.[139] მისი შეხედულებით, შვილმა მშობელი უნდა დააფასოს განურჩევლად მშობლის ავკარგიანობისა“. ე.ი. იმ შემთხვევაშიც, თუ მშობელმა თავის დროზე არ, ან ვერ იზრუნა შვილის კეთილდღეობაზე. მიუთითებდა, თუ რაოდენ რთულია შვილის გაზრდა, რაოდენ სიძნელესთან არის დაკავშირებული იგი. ამიტომ, ამის გათვალისწინებით მშობლის ყოველგვარი უზრუნველობა და დანაშაული შვილის მიმართ, მისი აზრით, მისატევებელი იყო, რადგან „მანც სიცოცხლე მათ მოუციათ თქვენთვის, თქვენი უფალნი არიან და მუდამ თქვენი მშობელნი“.[136] იგი სამართლიანად ასკვნიდა: „შვილის

უპირველესი ვალდებულება მშობლის პატივისცემა არის". ე.ი. მესხმა განმანათლებელმა მშობლისა და შვილის ურთიერთობაში წამოაყენა მშობლისადმი შვილის პატივისცემის პრინციპი. აღნიშნულ საკითხზე მისი შეხედულებანი უპირისპირდება ათენურ აღზრდაში გაბატონებულ არაჰუმანურ კანონებს. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ის კანონი, რომლის საფუძველზე შვილს მშობლის მოხუცებულობის დროს უფლება ჰქონდა თავი გაეთავისუფლებინა მშობლის შენახვის მოვალეობისაგან, თუ მშობელი თავის დროზე შვილს რაიმე ხელობას ვერ შეასწავლიდა.

ამრიგად, ივანე გვარამაძის ნაშრომი „მშობლები და მათი შვილები" საოჯახო აღზრდის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს. განსაზღვრულია მშობელთა და შვილთა უფლება-მოვალეობანი. ვფიქრობთ, დღეს, როდესაც ეკონომიკის დაქვეითებამ მრავალი პრობლემა წამოჭრა, როგორც მშობლის, ისე შვილების წინაშე და საერთოდ საოჯახო აღზრდაში. აღნიშნული ნაშრომი უდიდეს მისიას შეასრულებს, რამდენადაც ნაშრომში დეტალურად და პროგრესულ-დემოკრატიულად არის გაშუქებული ზემოთ დასახელებული საკითხები.

აღსანიშნავია, რომ საოჯახო აღზრდის საკითხი ფართოდ არის გაშუქებული ქართველ პედაგოგთა და განამანათლებელთა მიერ. მათი მოსაზრებით, საოჯახო აღზრდა ბავშვის შემდგომი განვითარებისა და სასკოლო აღზრდის საფუძველია. იდენტური იყო ამ საკითხზე ივანე გვარამაძის შეხედულებაც. შეიძლება ითქვას, რომ ივანე გვარამაძემ დიდი წვლილი შეიტანა სხვა ქართველ განამანთლებლებთან და პედაგოგებთან ერთად საოჯახო აღზრდის საკითხის შესწავლაში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ივანე გვარამაძის შეხედულებანი საოჯახო აღზრდის შესახებ ეფუძნება სამცხე-ჯავახეთში დაცულ საოჯახო ტრადიციებს, ასაკობრივ სეგრეგაციას. ამდენად, აღნიშნულ საკითხზე მესხი განმანათლებლის შეხედულებების განვითარება განაპირობა მისმა პრაქტიკულმა პედაგოგიურმა მოღვაწეობამ და საოჯახო ყოფის ტრადიციებმა.

ივანე გვარამაძე მოზარდის აღზრდის საკითხის განხილვის შემდეგ სწორ დასკვნებს აკეთებდა: „შვილის ზრდა მშობლებსა, მასწავლებლებსა და მოძღვარზედ არის დამოკიდებული".[129]

ივანე გვარამაძეს მოზარდი თაობის აღზრდის მეორე კერად სამართლიანად მიაჩნდა სკოლა. იგი მოითხოვდა საოჯახო და სასკოლო აღზრდის უერთიერთკავშირს. უფრო მეტიც, სკოლის როგორც ოფიციალურ პროფესიულ სააღმზრდელო დაწესებულების და მასწავლებლის, როგორც განსწავლული აღზმრდელის წინაშე დიდ მოთხოვნებს აყენებდა. მისი აზრით, სკოლა ვალდებული იყო ალმოეფხვრა საოჯახო აღზრდის დროს დაშვებული შეცდომები, კატეგორიულად მოითხოვდა: ,,წერა-კითხვის კარგად გარჩევის წინად, უფრო დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ მასწავლებელთ ახალმოსული მოწაფის ზნე-ჩვეულების ცუდ მიმართულებასა ყოველი თავიანთი ღონე საშვალებით ჯერ უნდა მამზნობინონ (მოაშლევინონ, დაავიწყონ – ნ.ყ.) ცუდი ჩვეულება ხასიათები და მერმე უნდა სწავლა დაწყებინონ გულდამშვიდებით“.[136]

უნდა ითქვას ისიც, რომ ივანე გვარამაძის შეხედულებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ეფუძნება სამცხე-ჯავახეთში ისტორიულად ჩამოყალიბებულ საოჯახო აღზრდის ხალხურ ტრადიციებს, რამაც იმ თავითვე განაპირობა მისი შეხედულებების არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობა და სიცოცხლისუნარიანობა.[46]

ქალის როლი მოზარდის აღზრდის საქმეში

ივანე გვარამაძის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში ვრცლად არის განხილული ქალის დანიშნულების საკითხი. პროფ. ვ. გაგუა სამართლიანად შენიშნავდა, რომ ქალის დანიშნულებისა და მღალი მოწოდების დასაბუთებაში XIX საუკუნის დასასრულს ქართული პედაგოგიური აზრი არა თუ ჩამორჩებოდა პროგრესულ ევროპულ აზრს ამ საკითხზე, არამედ წინ უსწრებდა კიდეც.[3] ამ მოსაზრების ერთგვარ დასაბუთებას წარმოადგენს ივანე გვარამაძის შეხედულებანი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ,

ქართველი პედაგოგების მსგავსად წამოაყენა ქალთა განათლების აუცილებლობის საკითხი:

„ახალ მოზარდ ქალ-ვაჟთათვის
ქალაქ-სოფლებსა გვჭირია
ყველგან კარგი სკოლებია“.[111]

გარდა აღნიშნულისა, საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ მას დასაშვებად მიაჩნდა ვაჟებისა და გოგონების ერთად სწავლა: „ახალგაზრდა ქალ-ვაჟნი ისხდნენ მწყობრად ტოლებია“.[111] ივანე გვარამაძე ამას ქადაგებდა იმ დროს, როდესაც „რუსეთის უნივერსიტეტებშიც კი ქალებს არ იღებდნენ და უფლებრივად არ იყვნენ გათანაბრებულნი ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები“.[3] ამასთანავე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მესხი განმანათლებელი აღიარებდა ქალისა და მამაკაცის თანასწორობას არა მარტო განათლების სფეროში, არამედ ოჯახშიც. „კაცმან არ უნდა დაიჭიროს თავის ცოლი არც თავისზედ მაღლა და არც დაბლა, არც დამცირდეს და არც ის დაამციროს, არამედ თავის თანასწორად ეპყრას და მიაჩნდეს კარგად, რომ ცხოვრებაში შეეძლოთ ორთავ დამოუკიდებლად ერთ რიგად სიარული“.[136] აქედან ნათლად ჩანს, რომ მას ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა ოჯახშიც და საზოგადოებაშიც მიაჩნდა ნორმალური ცხოვრების საფუძვლად.

ივანე გვარამაძემ ყურადღება გაამახვილა აგრეთვე იმაზეც, თუ როგორი თანმიმდევრობით უნდა განხორციელებულიყო განათლების მიღება და ოჯახის შექმნა. მისი აზრით, ახალგაზრდებს ჯერ განათლების მიღებაზე უნდა ეზრუნათ, შემდეგ კი ოჯახის შექმნაზე;

„ახალგაზრდანო ნუ ჩქარობთ, ქვეყნიერებას ვაჟ-ქალნი
ჯერ კარგი სწავლა მიიღეთ, გაახილეთ ორთავ თვალნი
რომ სარჩოს შოვნა შეგესძლოთ, მოგსდევდეთ ღონე
და ძალნი
და მაშინ ღვთის კურთხევითა შეერთდით წყვილად
ცალ-ცალნი“.[111]

წარმოდგენილი მასალა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ივანე გვარამაძემ დააყენა ქალის განათლების აუცილებლობის

საკითხი, რადგან, მისი შეხედულებით, ქალის უპირველეს დანიშნულებას „შვილის ზრდა“ წარმოადგენდა. ამიტომ, ქალი განათლებული უნდა ყოფილიყო, რომ სწორად წარემართა შვილის აღზრდა; „კარგ ზრდილი ბევრ სიკეთეს იქმს, უზრდელი სულ საწყალია“.[111] ივანე გვარამაძეს თავის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში მოცემული აქვს ქალის – დედის ვრცელი დახასიათება. მისი მოსაზრებით, დედის ყოველნაირი ნიჭიერება შვილის აღზრდაში უნდა გამოვლენილიყო. მას მიაჩნდა, რომ ქალს შვილზე მზრუნველობა, ჯერ კიდევ, ორსულობის დროს უნდა დაეწყო. ხოლო ახალშობილისათვის არ უნდა მოეკლო მოვლა-პატრონობა. იგი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა იმას, რომ დედას შვილი ძუძუთი უნდა გაეზარდა (თუმცა მოცემული არ აქვს ასეთი მოთხოვნის აუცილებლობის ახსნა-განმარტება). მისი აზრით, დედის მზრუნველობის ერთ-ერთი მიზანი შვილის „ტანმრთელი“ (ჯანმრთელი – ნ.ყ.) აღზრდა უნდა ყოფილიყო. ამისათვის, მას საჭიროდ მიაჩნდა სისუფთავე და დროული კვება. იგი სამართლიანად იმ დასკვნამდე მიდის, რომ: „ზომიერი ხელშეწყობით გაზრდილი შვილი ტანმრთელი იქნებაო“.[136]

ივანე გვარამაძეს პედაგოგიურ ნაშრომებში ყურადღება გამახვილებული აქვს ისეთ საკითხებზე, როგორიც არის ბავშვის აღზრდის დაწყების დრო. მისი შეხედულებით, დედას შვილის აღზრდა დაბადებიდანვე უნდა დაეწყო, დედის შორს გამიზნულ სიკეთედ მიაჩნდა ის, რომ „ძუძუმწოვრობითგანვე უწყობს ჩვილს ნელ-ნელა თავის ნების გატეხასა, ჯერში ჩააგდებს ძუძუს მიცემას, რი ერთიც მოიზრდება, იმდენი უმატებს ნების გატეხასა. ამრიგად გაზრდილი შვილი თავითგანვე ითვისებს მშობელთ შიშსა, სიყვარულს და მორჩილებასა“.[136] მისი შეხედულებით, დედის ერთ-ერთ მოვალეობას წარმოადგენდა შვილის ბუნების (ხასიათის – ნ.ყ.). ჩამოყალიბება. მას მიაჩნდა, რომ დედას შვილის სიყვარულში ზომიერება უნდა გამოეჩინა. კერძოდ, საჭიროების შემთხვევაში დაესაჯა, მისი ყველა სურვილი არ შეესრულებინა. ამასთანავე, ტკბილად უნდა დაეთმობინა შვილისათვის ზოგიერთი მიუღებელი სურვილი. ივანე გვარამაძეს სამართლიანად მიაჩნდა, რომ ასეთნაირად აღზრდილი შვილი მშობლის ერთგული და

მანუგეშებელი იქნებოდა, ხოლო თავის ნებაზედ აღზრდილი – არც მშობელს გამოადგებოდა და არც ქვეყანას.

მესხი განმანათლებლის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ისიც,რომ მას ჩამოყალიბებული ჰქონდა ის ძირითადი პრინციპები, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელა ქალს შვილის აღზრდის დროს:

„დედა შვილს ზრდის ხელშეწყობით, უზომივრებს ბუნებასა, გულით უყვარს, პირად ტუქსამს, ბევრჯერ გაუტეხს ნებასა, ყოლიფერში იმორჩილებს, ტკბილად უქარწყლებს ნებასა“.[111]

დედას შვილის აღზრდაში უნდა ეხელმძღვანელა შემდეგი მთავარი პრინციპით: „შვილი მტრად გაზარდე, მოყვრად გამოგადგება“.

ივანე გვარამაძეს, როგორც მღვდელს მიაჩნდა, რომ მოზარდის აღზრდას საფუძვლად უნდა დადებოდა ქრისტიანული მოძღვრება. ამიტომ, აქედან გამომდინარე, დედის უპირველეს დანიშნულებად ასახელებდა შვილისათვის „დედის ხსენთან ერთად ღვთის სიყვარულის“ ჩანერგვას: „რძის ხსენთან ერთად მოაწოვს, სიყვარულს ღვთისა მისადა“. ხოლო, მას შემდეგ, რაც ბავშვი ენას ამოიდგამდა (საუბარს ისწავლიდა) დედის მოვალეობას წარმოადგენდა შვილისათვის ღვთის, სარწმუნოებისა და მამულის გაცნობა.[108]

ამგვარად, ზემოთ წარმოდგენილი მასალებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ივანე გვარამაძე მოზარდი თაობის აღზრდაში თვით მშობელთა შორის უპირატესობას ქალს – დედას ანიჭებდა. სწორედ ამიტომ, დააყენა მან ქალის განათლებისა და, საერთოდ, მშობელთა პედაგოგიური კულტურის ამაღლების აუცილებლობის საკითხი. ამ მიზანს ემსახურებოდა ზემოთ დასახელებული მისი პედაგოგიური შრომები.

ივანე გვარამაძის პედაგოგიური მემკვიდრეობის შესწავლამ ნათლად დაგვანახა, რომ მას თავისი შეხედულებანი გააჩნდა სწავლებისა და აღზრდის მეთოდებისა და პრინციპების შესახებ. მართალია, აღნიშნული საკითხების შესახებ სპეციალური ნაშრომი არ შეუქმნია, მაგრამ მათ განიხილავდა სწავლებისა და აღზრდის საკითხებთან დაკავშირებით თავის პედაგოგიური ხასიათის სტატიებსა და წერილებში. ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან

ირკვევა, რომ ივანე გვარამაძე, როგორც პრაქტიკოსი მასწავლებელი ეძიებდა სწავლების გაადვილების გზებს და საშუალებებს. იგი სინანულით წერდა: „დღემდე არ ყოფილა რიგიანი მჭერმეტყველების სწავლება ჩვენს დედა ენაზედ და არც არავის მიუქცევია ყურადღება იმაზედ, რომ საზოგადოებას მისცემოდა რამე სწავლის გაადვილებისათვის“.[96] ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ივანე გვარამაძემ დღის წესრიგში დააყენა მეთოდოლოგიის განვითარების აუცილებლობის საკითხი, რაც არა თუ მაშინ, არამედ დღესაც მეტად აქტუალურია. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პრაქტიკულმა პედაგოგიურმა მოღვაწეობამ განაპირობა მისი შეხედულებების ჩამოყალიბება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, მას ვრცლად აქვს დახასიათებული აღზრდის ისეთი მეთოდი, როგორიცაა დარწმუნება. დარწმუნების საშუალებად იგი აღიარებდა სიტყვიერ მეთოდს და მშობლის და მასწავლებლის პირად მაგალითს. იგი წერდა: „გონებაგახსნილი ახალმოზარდი ყმაწვილი ძლიერ აკვირდება სახლში თუ გარეთ თავის მშობლის ყოფაქცევასა“. ივანე გვარამაძე ანვითარებდა იმ აზრს, რომ აღმზრდელებს — მშობლებსა და მასწავლებლებს მოზარდთა აღზრდის პროცესში დარწმუნებასთან ერთად ფართოდ უნდა გამოეყენებინათ მიმბაძველობა: „კარგთ მიებაძონ აჯობონ, ავთა ასცდნენ მთას და ბარსა, რომ ბრძნულად იცხოვრონ ამ წუთს და მერმის სხდნენ ზე სამყაროსა“.[138]

ივ. გვარამაძე აღზრდის პროცესში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა უფროსთაგან (მშობლები და მასწავლებლები). უმცროსთა ჩაგონებას — ჭკუის დარიგებას, ანუ ეს იყო აღზრდის სიტყვიერი მეთოდი. აღნიშნულის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს მის მიერ შვილისადმი გაგზავნილი წერილი: „...მოჩხუბრობა მოიშორნო, რაც შეიძლება მშვიდობიანობა იხმარო ყოველიფერში, თავმდაბლობა, მორჩილება და მოთმინება გამოიყენო შენს სასარგებლოდ. სწავლა-კითხვა შეიყვარე, ყოველ დღივ სასარგებლო წიგნები იკითხე, რომ გაიუმჯობესო ყოფაქცევა, ლოცვა გიყვარდეს, მალ-მალ აღსარების თქმა. ეცადე ღვთის მოშიშობით და კეთილ ცხოვრებით კეთილი მაგალითი მისცეთ ყველას. ჩემი ჩაგონება გამოიყენეთ მუდამ.“[68]

ივანე გვარამაძე ქართველ პედაგოგთა და განმანათლებელთა მსგავსად აღიარებდა აღზრდის პროცესში დასჯის მეთოდის გამოყენების აუცილებლობას. მაგრამ, ამასთანავე მოითხოვდა ზომიერებას დასჯის დროს, იგი არ იყო ფიზიკური დასჯის მომხრე.

ივანე გვარამაძის პედაგოგიური მემკვიდრეობის შესწავლამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ იგი თავის პედაგოგიურ შეხედულებებსა და საკუთარ მოღვაწეობაში სწორედ რომ ხალხურობის პრინციპით ხელმძღვანელობდა და ამით იცავდა თავისი ხალხის ინტერესებს: ეკონომიურს, პოლიტიკურს, სოციოლოგიურს, კულტურულ-საგანმანათლებლოს და ა.შ. მესხი განმანათლებელი ხალხურობის შინაარსში გულისხმობდა: საყოველთაო სწავლებას მოზარდი თაობისათვის, ქალთათვის განათლების მიღებას, მშობლიურ ენაზე სწავლებას, ქართველი ხალხის მიერ რუსული და ევროპული ენების დაუფლებას, ევროპული კულტურის გაცნობას, საკუთარი ქვეყნის წარსულისა და აწმყოს ცოდნას, სამშობლოსადმი სიყვარულის გაღვივებას, შრომითი აღზრდის განხორციელებას, მაღალი ზნეობის მქონე პიროვნებების აღზრდას. ყოველივე ეს ახასიათებდა მის ცხოვრებაში, მოღვაწეობასა და შეხედულებებში. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ იგი ახლოს იდგა პედაგოგიკის კლასიკოსების – იაკობ გოგებაშვილისა და დიმიტრი უშინსკის ხალხურობის გაგებასთან. პროფ. ვლადიმერ გაგუას სამართლიანი შენიშვნით იაკობ გოგებაშვილის ხალხურობაში იგულისხმებოდა: ტერიტორიული მთლიანობა, მშობლიური ენა, ხალხის თავისებურებების შესაბამისად მოწყობილი განათლების სისტემა და ეკლესია,[4] ხოლო დიმიტრი უშინსკის ხალხურობაში ესმოდა ხალხის მისწრაფება თავისი ეროვნული მეობის შენარჩუნებისადმი და ხელის შეწყობა მისი წინსვლითი განვითარებისათვის საზოგადოებრივ-ეკონომიკური და ცხოვრების ყველა დარგში.[20]

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აღნიშნული საკითხისადმი პედაგოგიკის კლასიკოსთა დამოკიდებულებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ივანე გვარამაძის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ხალხურობის პრინციპს,

რომლითაც ხელმძღვანელობდა თავისი მოღვაწეობის ყველა სფეროში.

ივანე გვარამაძეს პედაგოგიურ ნაშრომებსა და წერილებში განხილული ჰქონდა ყველა პედაგოგიური საკითხი, თითოეული მათგანის მიმართ თავისი შეხედულებანი გააჩნდა. მის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ისეთი საკითხის წარმოჩენას, როგორიც არის სწავლებისა და აღზრდის ურთიერთდამოკიდებულება, რამდენადაც იგი პედაგოგიურ მეცნიერებაში ერთ-ერთ საპოლემიკო საკითხს წარმოადგენდა. აღნიშნული საკითხისადმი მისი დამოკიდებულების შესწავლამ დაგვანახა, რომ იგი აღიარებდა სწავლებისა და აღზრდის ურთიერთობას. მისი შეხედულებით, სწავლაც და აღზრდაც ერთ მთლიან პროცესს წარმოადგენდა და სამართლიანად მიაჩნდა შეუძლებლად აღზრდისაგან სწავლების ჩამოშორება. მიუთითებდა, რომ ამ ერთიან პროცესში თავიანთი როლი უნდა შეესრულებინათ მშობლებსა და მასწავლებლებს: „საზოგადოდ რომ ვსთქვათ შვილების ხორციელი ზრდა მშობელთ ეკუთნისთ, ზნეობრივი და სულიერი ზრდა და მასწავლებლების რიგიანი სწავლა და დარიგება ისე ყოვლად საჭირო არის და გამოსადეგი კაცისათვის, როგორც ხელი და ფეხი“.[136] ე.ი. ივანე გვარამაძე ხაზს უსვამდა იმას, რომ სასწავლებელში უშუალოდ უნდა ევალებოდეს მოსწავლის რიგიანი (კარგი – ნ.ყ.) სწავლა და დარიგება (აღზრდა – ნ.ყ.). ამრიგად, იგი ყურადღებას ამახვილებდა და ამავე დროს, მოითხოვდა სწავლებისა და აღზრდის ერთიანობის აუცილებლობას. ივანე გვარამაძის ამ პროგრესულ მოსაზრებას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, რამდენადაც ჯერ კიდევ მის თანამედროვეობაში, როგორც პროფ. ვლადიმერ გაგუა შენიშნავს: „სწავლება და აღზრდა ერთმანეთისაგან დაშორებული იყო განათლების სისტემის ყველა რგოლში, მათ შორის რუსეთის უნივერსიტეტებშიც“.[3] აღსანიშნავია ისიც, რომ სწავლებისა და აღზრდის ერთიანობის საკითხი დასაბუთებულია კონსტანტინე დიმიტრის ძე უშინსკისა და ქართველ მოღვაწეთა პედაგოგიურ მოძღვრებაში. აღზრდა და სწავლება ერთად, განუყოფელ პროცესად განიხილება თანამედროვე პედაგოგიურ მეცნიერებაში.

ამგვარად, ივანე გვარამაძე იყო განმანათლებელი და პრაქტიკოსი პედაგოგი, მისი პედაგოგიური შეხედულებანი ცხოვრებიდან, პრაქტიკიდან მომდინარეობდა და ისევ, თეორიულ ცოდნასთან შეჯერებული, პრაქტიკაში პოულობდა ასახვას. პედაგოგიური შეხედულებანი მისი მდიდარი მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს და შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელობის თვალსაზრისითაც არ არის ინტერეს მოკლებული. აღსანიშნავია ისიც, რომ ივანე გვარამაძის შეხედულებანი ხასიათდება პროგრესულობით და ახლოს დგას განმანათლებელთა და პედაგოგთა შეხედულებებთან. ამავე დროს, მას ახასიათებდა ინდივიდუალობაც. კერძოდ, ის რომ მის მსოფლმხედველობას ორმაგი ხასიათი ჰქონდა. აღიარებდა ღმერთსაც და სამყაროსაც. თავისი მსოფლმხედველობით ეხმიანებოდა პედაგოგიკის კლასიკოსებს — იან ამოს კომენსკის, კონსტანტინე დიმიტრის ძე უშინსკის. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც მათთვის, ისე ივანე გვარამაძისათვის ღვთისმოსაობას ხელი არ შეუშლია პროგრესული იდეების განხორციელებაში და რეალურ საფუძველზე პედაგოგიური შეხედულებების ჩამოყალიბებაში. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ ღმერთის რწმენამ ხელი შეუწყო მისი მოძღვრების ჰუმანური იდეებით გამდიდრებას.

РОЛЬ ИВАНЭ ГВАРАМАДЗЕ В ПРОСВЕТИТЕЛЬСТВЕ МЕСХЕТИ

Резюме

Данная работа посвящена педагогическому наследию и культурно-просветительской деятельности И.Гварамадзе.

Формирование месхетского просветительства было вызвано обострением внутриполитической ситуации в Самцхе-Джавахети. Вследствие проведения Россией антигрузинской политики в данном регионе создалось трудно положение в сфере просвещения. В частности, царское самодержавие ловко воспользовалось различиями населения в вероисповедании, усилило преследование грузинского языка, старалось, чтобы была утрачена национальная самобытность. Таким образом, процесс национального перерождения грузинского населения, начатый в период турецкого господства, был продолжен и в период российской экспансии. В таких условиях особое значение придавалось развитию грузинского национального просвещения. Исследование показало, что деятельность месхетских просветителей была направлена именно на то, чтобы в религиозно разрозненном грузинском населении сохранить национальное самосознание. Выполнение же этой великой миссии они связывали с возвышением национальной культуры, развитием образования на грузинском языке, созданием грузинских народных школ и, вообще, с утверждением грузинского языка во всех сферах жизни.

Нужно отметить, что имелось два очага месхетского просветительства, поскольку полем деятельности месхетских просветителей были Самцхе-Джавахети и Константинополь. В последнем просветительскую деятельность возглавлял Петрэ Харисчирашвили, а в Самцхе-Джавахети просветители группировались в основном вокруг Иванэ Гварамадзе. Главнейшая задача И.Гварамадзе состояла в сохранении у грузинского населения национального духа путем развития национальной культуры и просветительства.

Нельзя не отметить, что если бы не проводившаяся в Самцхе-Джавахети под предводительством И.Гварамадзе культурно-просветительская деятельность, было бы невозможным сохранение и пробуждение национального самосознания проживающего там грузинского населения. Кроме того, большую роль сыграла практическая педагогическая деятельность просветителей, что, в свою очередь, обусловило формирование педагогических воззрений, твердо стоящих на национальных позициях, которые ценны не только для настоящего, но и для будущего.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ლიტერატურა:

1. ბერიძე მ., ივანე გვარამაძის ცნობები ახალციხისა და სტამბოლის შესახებ, სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი, ახალციხე, 1987.
2. ბერძენიშვილი ნ., გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1966.
3. გაგუა ვ., სახალხო განათლება მე-19 საუკუნის რეფორმის შემდგომ საქართველოში, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1874.
4. გაგუა ვ., იაკობ გოგებაშვილი, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1991.
5. გაგუა ვ., „ოჯახი, სკოლა, საზოგადოება“, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი; 1988.
6. გაგუა ვ., „ოჯახი, სკოლა“, გამომცემლობა „ცოდნა“, თბილისი, 1983.
7. გვარამაძე ივანე, მშობლები და მათი შვილები, როგორნიც უნდა იყვნენ და როგორც უნდა ზრდიდნენ, თბილისი, 1898.
8. გამსახურდია სვ., სწავლა-განათლება ძველ საქართველოში, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1975.
9. გოგებაშვილი ი., თხზ. ტ. I, თბილისი, 1952, გვ. 20-21
10. გოგებაშვილი ი., რჩ. თხზ. (ხუთ ტომად 1989-1990), გამომცემლობა „განათლება“, ტ. I, თბილისი, 1989, გვ 169, 261, 371
11. გოგებაშვილი ი., რჩ. თხზ. (ხუთ ტომად 1989-1990), გამომცემლობა „განათლება“, ტ. II, თბილისი, 1990, გვ 92
12. თავზიშვილი გ., სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში 1800-1870 წლებში, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1948, გვ. 103.
13. თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ელექტრ. საბეჭდი სტამბა ქართ. წიგნ. გამ. ამხ. ტფილისი, 1902.
14. თაყაიშვილი ე., „ძველი საქართველო“, კრ. I, თბილისი, 1914.

15. ივანიძე გ., განათლების კერები მესხეთში, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1985.
16. კოჟორიძე დ., განათლება და კულტურა სამცხე-ჯავახეთში, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1986.
17. კორსაველი მ., მეოჯახის აღზრდის ძირითადი საკითხი, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1988.
18. ლომსაძე შ., გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, ახალციხური ქრონიკები, ტ. I, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1979.
19. ლომსაძე შ., „მესხები“, ახალციხური ქრონიკები, ტ. II, გამომცემლობა „მოლოდინი“, თბილისი, 1996.
20. ლორთქიფანიძე დ., კონსტანტინე დიმიტრის ძე უშინსკის პედაგოგიური მოძღვრება, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 1955.
21. ლორთქიფანიძე ვ., სამცხე-ჯავახეთის XIX-XX საუკუნის დემოგრაფიული განვითარების პრობლემები, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1994.
22. მიჩიტაშვილი მ., ივანე გვარამაძის საისტორიო და საზოგადოებრივი შეხედულება, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1995.
23. ნებიერიძე ა., ანა ღოღობერიძე-მუსხელიშვილის პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1974.
24. ნებიერიძე ი., მოგონებანი, ბათუმი, 1978.
25. პაპაშვილი მ., საქართველო-რომის ურთიერთობა, გამომცემლობა „აღმაშენებელი“ თბილისი, 1995.
26. პედაგოგიკა, რედაქტორი ლორთქიფანიძე დ., გამომცემლობა „განათლება“ თბილისი, 1969.
27. პედაგოგიკა, რედაქტორი ბერიშვილი ჯ., თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1994.
28. პედაგოგიკა, ვასაძე ნ., გამომცემლობა „ცის ნამი“, თბილისი, 2000.
29. პედაგოგიკის ისტორია, რედაქტორი ვასაძე ნ. გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1988.

30. პედაგოგიკის ისტორია, რედაქტორი ვასაძე ნ., თბილისი, 1998.
31. სარიშვილი ტ., სკოლა და პედაგოგიური მიმდინარეობანი რევოლუციამდელ საქართველოში, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბილისი, 1956.
32. საქართველოს ისტორია, რედაქტორი მელიქიშვილი გ., გამომცემლობა „განათლება", თბილისი, 1990.
33. ფრონელი (ყიფშიძე) ა., დიდებული მესხეთი, გამომცემლობა „მარიხი", თბილისი, 1991.
34. მისურაძე ი., ივანე გვარამაძე, სახალხო განათლების მოღვაწენი და სახალხო მასწავლებლები, კრ. 3., თბილისი, 1968.
35. ქართული მწერლობა, ტ. 1, გამომცემლობა, „ნაკადული", თბილისი, 1977.
36. ქართული მწერლობა, ტ.7, გამომცემლობა „ნაკადული", თბილისი 1989.
37. ქუქჩიშვილი ზ., სოფელი ხიზაბავრა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული მიმოხილვა), თსუ გამომცემლობა „თბილისი", 1997.
38. ყრუაშვილი ნ., ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობა სამცხე-ჯავახეთში, თსუ ახალციხის ფილიალი, „შრომების კრებული", თბილისი-ახალციხე, 1999.
39. ყრუაშვილი ნ., ივანე გვარამაძის შეხედულებანი საოჯახო აღზრდის შესახებ, თსუ ახალციხის ფილიალი, „შრომების კრებული", II, ახალციხე, 2000.
40. ყრუაშვილი ნ., ივანე გვარამაძე და სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლა, თსუ ახალციხის ფილიალი, „მესხეთი"(საისტორიო კრებული), II, თბილისი-ახალციხე, 1998.
41. ყრუაშვილი ნ., ივანე გვარამაძე და ხიზაბავრის სკოლა, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტი, შრომების კრებული „საზრისი", გამომცემლობა „ცის ნამი", თბილისი, 2000.
42. ყრუაშვილი ნ., ივანე გვარამაძე და საქართველოს ისტორიის სწავლების საკითხი, V სამეცნიერო რესპუბლიკური

კონფერენციის მასალები, თსუ ახალციხის ფილიალი, ახალციხე, 1999.
43. ყრუაშვილი ნ., კონსტანტინე გვარამაძე, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1999.
44. ყრუაშვილი ნ., ივანე გვარამაძე ქართული ენის, როგორც სწავლა-აღზრდის საფუძვლის შესახებ, ალმანახი „კავკასიის მაცნე", თბილისი, 2002.
45. ყრუაშვილი ნ., ივანე გვარამაძის შეხედულებანი განათლების საკითხისადმი, თბილისი, 2002.
46. ყრუაშვილი ნ., ბავშვის აღზრდის ხალხური წეს-ჩვეულებანი (სამცხე-ჯავახეთის მაგალითზე), კრ. „მესხეთი. ისტორია და თანამედროვეობა", ახალციხე, 2000.
47. ყრუაშვილი ნ., „ვინმე მესხის" პედაგოგიურ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა, პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა I რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია, აბასთუმანი, 1995.
48. ყრუაშვილი ნ., ივანე გვარამაძის „ვინმე მესხის" ცხოვრება და მოღვაწეობა, თსუ ახალციხის ფილიალის IV საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენცია, ახალციხე, 1996.
49. ჩუბინაშვილი ტ., ამირანის გორა, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1963.
50. ჩხიტუნიძე თ, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საბიბლიოთეკო და საგამომცემლო მოღვაწეობა, გამომცემლობა „განათლება", თბილისი, 1980.
51. ხუნდაძე ტ., ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, გამომცემლობა „განათლება", თბილისი, 1960.
52. ჯალაბაძე გ., ივანე გვარამაძე (ვინმე მესხი), სამეცნიერო კონფერენციის მასალები, სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი, ახალციხე, 1987.
53. ჯალაბაძე გ., სამცხე-ჯავახეთის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიული მუზეუმი, გამომცემლობა „ხელოვნება", თბილისი, 1987.
54. ჭიჭინაძე ზ., ქართველ კათოლიკეთა მოღვაწე ივანე გვარამაძე, „ვინმე მესხი", სამცხე-საათაბაგო და ქართველი კათოლიკები,

– ელექტრონის საბეჭდავი გრ. დიასამიძისა, სასახლის ქუჩა, თბილისი, 1904.
55. ჭიჭინაძე ზ., სამცხე-საათაბაგო და ქართველი კათოლიკები, მსწრაფლ-მბეჭდავი არ. ქუთათელაძისა, ნიკ. №21 თბილისი, 1905.

გამოუქვეყნებელი წყაროები

56. ახალციხის ცენტრალური არქივი, ფ.2, საქმე №14, 1924.
57. ახალციხის ცენტრალური არქივი, ფ. 17, საქმე №31, 1926.
58. სამცხე-ჯავახეთის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი (შემდეგში ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ.) №72, ივანე გვარამაძის წერილი.
59. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №170, ლექსიკონი ბუნებათმეცნიერებისა შედგენილი მესხი ივანე გვარამაძისაგან, 1882, ხიზაბავრა.
60. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №175, ივანე გვარამაძე, წამება მიხეილ გობრონისა, 1882, ხიზაბავრა.
61. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №184, ძველისძველი ისტორიული ცნობები მესხ ქართველთა ლინგვისტურად შედგენილი ივანე გვარამაძისაგან ქ. ახალციხეს.
62. სამცხე-ჯავახეთის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიული მუზეუმი, ილია მაისურაძის არქივი (შემდეგში ს.ჯ.ი.მ.ი.მ.ა.) №211, თამარ ივანეს ასულ გვარამაძის თხოვნა, 1913.
63. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №214, ივანე გვარამაძის წერილი, უსათაურო.
64. ს.ჯ.ი.მ.ი.მ.ა. №433, გვ. 55.
65. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №454, ქრისტესია გვარამაძის განცხადება, ვინ არიან ველელები? 1941.
66. ს.ჯ.ი.მ.ი.მ.ა. №670(1), ივანე როსტომაშვილის წერილი ივანე გვარამაძისადმი.
67. ს.ჯ.ი.მ.ი.მ.ა. №670(2), ივანე კერესელიძის წერილი ივანე გვარამაძისადმი, 1887.

68. ს.ჯ.ი.მ.ი.მ.ა. №780, ანტონოვის წერილი ივანე გვარამაძისადმი.
69. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №1044, კონსტანტინე გვარამაძის წერილი.
70. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №1092, სახალხო განათლება 1877-1886, ვ. ივანოვი.
71. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №1455, ქრისტესია გვარამაძის წერილი, ჩემი მოგონებანი, 1912.
72. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №1832, ვასილ გამრეკელის წერილი ივანე გვარამაძისადმი.
73. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №1837, ივანე გვარამაძის წერილი.
74. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №1890(ა), ივანე გვარამაძის სიტყვა თქმული რაფიელ ერისთავის გარდაცვალებაზედ.
75. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №1890(ბ), ივანე გვარამაძის სიტყვა მეუღლის გარდაცვალებაზედ, 1891, 28/IV.
76. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №1891, ივანე გვარამაძე, რაფიელ ერისთავის მოღვაწეობის 50 წლის იუბილეზე წარმოთქმული სიტყვა, ქ. ახალციხე, 1895.
77. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №1894(ა), კონსტანტინე გვარამაძე, სიტყვა თქმული დედის ანიკოს გარდაცვალებაზედ, ქ. ახალციხე, 1891.
78. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №1894(ბ), ივანე მღვდლის გვარამაძის გლოვა.
79. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №1896, ივანე გვარამაძე, სიტყვა თქმული იოსებ ხუციშვილის დაკრძალვაზედ 1890.
80. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №1901, ივანე გვარამაძე, „დე მყვენ ჩვენ ღმერთმან ჩვენმან მეფედ და მღვდლად“, თბილისი, 1894.
81. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №1909, სიტყვა თქმული ივანე გვარამაძისა ხიზაბავრის ეკლესიის კურთხევაზედ.
82. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №1913, კონსტანტინე გვარამაძე, უსათაურო, 1907.
83. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №1916, წერილი ივანე გვარამაძისადმი, 1870.
84. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №1927, ივანე გვარამაძე, წერილი 'გაგონება ბატონო დარბაისელნო“.
85. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №1943, ალექსანდრე ფრონელის წერილი ივანე გვარამაძისადმი.
86. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2015, იოსებ ლაზარაშვილის წერილი ივანე გვარამაძისადმი, 21/XI, 1894.
87. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2025, ზაქარია ჭიჭინაძის წერილი ივანე გვარამაძისადმი.

88. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2026, ზაქარია ჭიჭინაძის წერილი ივანე გვარამაძისადმი.
89. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2027, ზაქარია ჭიჭინაძის წერილი ივანე გვარამაძისადმი.
90. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2082, მიმართვა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ახალციხის განყოფილებისა ივანე გვარამაძისადმი, 1912.
91. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2083, ივანე გვარამაძის მიერ რომის პაპისადმი გაგზავნილი წერილი.
92. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2105, ივანე გვარამაძის წერილი.
93. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2107, ივანე გვარამაძის წერილი „კი განა არიან ქართველი კათოლიკენი?“
94. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2108, ივანე გვარამაძე, წერილი, უსათაურო.
95. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2119, ივანე გვარამაძის წერილი.
96. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2122, ივანე გვარამაძის წერილი, 1875.
97. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2174, ივანე გვარამაძის მიმართვა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა, 1908.
98. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2180, ივანე გვარამაძის წერილი ტირასპოლის ეპისკოპოსისადმი.
99. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2194, ივანე გვარამაძე, გართობა-თამაშობანი.
100. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2204, პეტრე ხარისჭირაშვილის წერილი ივანე გვარამიძისადმი.
101. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2211, ივანე გვარამაძის მიერ შედგენილი თათრული სიტყვების განმარტებითი ბარათი.
102. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2236, ივანე გვარამაძის კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საზოგადოების წევრად არჩევის ცნობა, 1882.
103. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2240, განკარგულება ივანე გვარამაძის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ.
104. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2250, ივანე გვარამაძის ლექსები.
105. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2255, ზნეობითი ანდაზები გამოთქმული ივანე გვარამაძის მიერ.
106. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2259, ივანე გვარამაძე, ყრმათ სანავარდო სამნახველო ცხოველთა, ქ. ახალციხე, 1888.

107.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2272, ივანე გვარამაძე, სიტყვა თქმული წმ. იოვანე ნათლისმცემლის ეკლესიაში პეტრე ხარისჩაროვის გარდაცვალებაზედ, 7/VII, 1873.
108.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2282, ივანე გვარამაძის ლექსი.
109.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2301, ვასილ გამრეკელის წერილი ივანე გვარამაძისადმი.
110.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2328, ივანე გვარამაძის ლექსები.
111. ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2338, ივანე გვარამაძე, დახასიათება პროფესიებისა და დარიგება ყველა პროფასიის ადამიანს.
112.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2362, ივანე გვარამაძის ლექსი-ვაჟკაცობა.
113.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2364, ივანე გვარამაძე, ლექსები: კაცი ადამიანი, ავი და კარგი, სიკეთე, წიგნი, მეგობარი.
114.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2377, ივანე გვარამაძე, ფელეტონი.
115.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2385, ივანე გვარამაძის წერილი.
116.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2425, ივანე გვარამაძე, ეკლესიის გამაუპატიურებელი ცოდვანი; შვილების სისაწყლესა და აღზრდაზე.
117.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2570, ოქროპირ გვარამაძის წერილი ძმის – ქრისტესიასადმი, 16/I, 1898.
118.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2587, ივანე გვარამაძის მოხსენება სოფელ ხიზაბავრის ეკლესიის შესახებ, ქ. ახალციხე, 1875.
119.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2644, პეტრე ხარისჩაროვის წერილი ივანე გვარამაძისადმი.
120.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2645, პეტრე ხარისჭირაშვილის წერილი ივანე გვარამაძისადმი.
121.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2646, პეტრე ხარისჭირაშვილის წერილი ივანე გვარამაძისადმი.
122.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2662, ალიოზ ბათმანაშვილის წერილი ივანე გვარამაძისადმი, კონსტანტინოპოლი, 1907.
123.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2665, ალიოზ ბათმანაშვილის წერილი ივანე გვარამაძისადმი, კონსტანტინოპოლი, 1912.
124.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2691, პატრ ანდრია წინამძღვარის (სიმონათის) წერილი ივანე გვარამაძისადმი, 1895.
125.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2692, პატრ ანდრია წინამძღვარის (სიმონათის) წერილი ივანე გვარამაძისადმი, 1897.

126.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2804, ივანე გვარამაძის მოხსენება ტირასპოლის ეპისკოპოსის კესლერისადმი.
127.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2881, ივანე გვარამაძე, წყარონი საეკლესიო და სასოფლო ცხოვრებისა საყოფაქცეოდ საქართველოს ახალ მოსწავლე ყრმათა, ქახალციხე, 1866.
128.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2883, ივანე გვარამაძის მიერ სომხურიდან ნათარგმნი „ლვთის მეტყველება".
129.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2885, ივანე გვარამაძე, „დედ-მამა და მათი შვილები".
130.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2889, ივანე გვარამაძის წერილი.
131.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2913, ივანე გვარამაძის ლექსი „თაყვანსავცემ".
132.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2942, ანტონოვის წერილი ივანე გვარამაძისადმი, სარატოვი, 1885.
133.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2014, ივანე გვარამაძის ლექსი, „მარადის მჭონდეს ჭკვიანება, ნდობა, სურვილი".
134.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №3040, ივანე გვარამაძის წერილი.
135.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №3042, ივანე გვარამაძე, სიტყვა XIX საუკუნის საზოგადო მოღვაწეთა შესახებ.
136.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №3046, ივანე გვარამაძე, მშობლები და მათი შვილები, როგორნიც უნდა იყვნენ და როგორც უნდა ზრდიდნენ.
137.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №3065, ილია მაისურაძე, მესხეთ-ჯავახეთის მოღვაწენი.
138.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №3142, ივანე გვარამაძე, ყრმათ სანავარდო სამნახველო ქვეყნის სასარგებლოდ ახალგაზრდა მოსწავლეთა და სხვათა, 1889.
139.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №3167, ივანე გვარამაძის სახატავი ალბომი.
140.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №3173, ივანე გვარამაძე, სამესხეთოს ქართლის ცხოვრება.
141.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №3487, ახალციხის დედათა სკოლის კომიტეტისადმი თხოვნა სცენის მოყვარე დასისაგან.
142.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №3504, ვ. ივანოვი, სახალხო განათლების მდგომარეობა ქახალციხეში 1877-1886.
143.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №3914, ივანე გვარამაძე, ლექსი-ზნეობითი ხასიათის.
144.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №3945, ივანე გვარამაძე, წერილი უსათაურო.
145.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №3977, ილია ჭავჭავაძის წერილი ივანე გვარამაძისადმი, 9/XII 1881.

146.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №3991, კონსტანტინე გვარამაძისაგან სამუზეუმო ნივთების შესყიდვის ოქმის ასლი, 10/VI, 1937.

147.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №3992, კომისიის დასკვნა კონსტანტინე გვარამაძისაგან შესასყიდი ნივთების შეფასების შესახებ, 14/IV, 1938.

148.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №4011, კონსტანტინე გვარამაძე, მოკლე ისტორიული მიმოხილვა რაბათის დედათა სასწავლებლის 40 წლის არსებობისა და ანა ღოღობერიძე- მუსხელიშვილის ბიოგრაფია.

149.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №4012, კონსტანტინე გვარამაძის წერილი ლუარსაბ ბოცვაძისადმი, ქახალციხე, 8/VIII, 1909.

150.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №4054, კონსტანტინე გვარამაძის წერილი.

151.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №4055, კონსტანტინე გვარამაძის ფსევდონიმები.

152.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №4069, კონსტანტინე გვარამაძის წერილი.

153.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №4141, კონსტანტინე გვარამაძე, ახალციხის რაბათის სახალხო წარმოდგენების ანგარიში.

154.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №452, ივანე გვარამაძის ლექსი „ჭკუის სასწავლო“.

გამოქვეყნებული წყაროები

155.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №90, კონსტანტინე გვარამაძე, წერილები და კორესპოდენციები გადაწერილი ძველი ჟურნალ-გაზეთებიდან ავტორთა მიერ.

156.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №138, ივანე გვარამაძე, გენიალოგია ჩვენი გვარტომის თავგადასავალი.

157.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №174, ქართული ლექსიკონი შედგენილი მესხი ივ. მღ. გვარამაძისაგან, ქ. ახალციხე, 1893.

158.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №181, ივანე გვარამაძე, „ისტორიული მასალები“.

159.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №182, ივანე გვარამაძე, ქართლის ცხოვრება, წინასიტყვაობა, წიგნი I, თბილისი 1882.

160.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №209, ივანე გვარამაძე, ვინმე მესხის მოკლე ცხოვრება, შედგენილი 1891 წელს.

161.საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (შემდეგში სცსსა), ფ. 932, ანაწ. 1, საქმე 422, გვ. 1-4, 1886.
162.ს.ჯ.ი.მ.ი.მ.ა. №670 (3) ივანე გვარამაძე, ხალხური მესხური სუფრულები.
163.ს.ჯ.ი.მ.ი.მ.ა. №670 (4) ივანე კერესელიძის წერილი ივანე გვარამაძისადმი, 1887.
164.ს.ჯ.ი.მ.ი.მ.ა. №670 (5) ივანე გვარამაძის წერილი ექვთიმე თაყაიშვილისადმი.
165.ს.ჯ.ი.მ.ი.მ.ა. №670 (6) ივანე გვარამაძის წერილი აკაკი წერეთელისადმი, ხიზაბავრა, 1883.
166.ს.ჯ.ი.მ.ი.მ.ა. №670 (7).
167.ს.ჯ.ი.მ.ი.მ.ა. №670 (8).
168.სც სსა, ფ. 481, ანაწ. 1, საქმე №766.
169.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №1081, კონსტანტინე გვარამაძე, „მამა ივანეს ჰიგიენა სიცოცხლეში“.
170.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №1082, კონსტანტინე გვარამაძე, მღვდელი ივანე გვარამაძე – ვინმე მესხი.
171.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №1096, ივანე გვარამაძის მიერ შედგენილი საკუთარი შრომების სია.
172.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №1454, ქრისტესია გვარამაძის მოგონებები.
173.სც სსა, ფ. 481, ანაწ. 1, საქმე №1542.
174.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №1834, ივანე გვარამაძე, მოკლე ცნობა ვინმე მესხი გვარამაძის ცხოვრებისა.
175.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №1835, ივანე გვარამაძის წერილი მამის პავლე ივანეს ძე ზოზოშვილის შესახებ.
176.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №1836, ივანე გვარამაძის მონათხრობი პაპის – ზაზა გვარამაძის შესახებ.
177.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №1838, ზაქარია ჭიჭინაძის წერილი ივანე გვარამაძისადმი, 1880.
178.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №1840, ივანე როსტომაშვილის წერილი ივანე გვარამაძისადმი.
179.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №1851, ივანე გვარამაძე, ქართველ კათოლიკეთ ახლანდელი მდგომარეობა სამესხეთოში.
180.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №1910, ივანე გვარამაძე, დარიგება სასულიერო პირთა.

181.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2104, ივანე გვარამაძე, ,,კი განა არიან ქართველი კათოლიკენი?“.

182.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2114, ივანე გვარამაძის წერილი.

183.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2125, ივანე გვარამაძის წერილი ,,ქართველ კათოლიკეთ კითხვაზედა“, 1829.

184.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2134, ივანე გვარამაძე, სახალხო თამაშობანი ჩვენში.

185.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2271, ივანე გვარამაძე, სამესხეთოს ძველი სიტყვიერება.

186.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2279, ივანე გვარამაძის ლექსი აკაკი წერეთლისადმი.

187.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2376, ივანე გვარამაძე, სიტყვა თქმული მიხეილ თამარაშვილის გარდაცვალებაზე, 1911.

188.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2379, ივანე გვარამაძე, პასუხი ისტორიულ და არქეოლოგიურ შენიშვნაზედა კრიტიკოსს ბ. გრყ-ძეს, 1883.

189.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2410, ივანე გვარამაძის წერილი ,,დიაღ ყოფილან და არიან ქართველი კათოლიკენი“.

190.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2415, ივანე გვარამაძის წერილი, უსათაურო*

191.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2764, ივანე გვარამაძის წერილი, გაზეთ ,,ავტონომიური საქართველოს“ რედაქციას, 1906.

192.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2779, ივანე გვარამაძე, ტირასპოლის რომის კათოლიკე ეპარხიის ეპისკოპოსს იოსებ კესლერს.

193.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2829, გაზეთ ,,ავტონომიური საქართველოს“ რედაქციის წერილი ივანე გვარამაძისადმი, 1906.

194.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №3776, ივანე გვარამაძის წერილი გოდებაძე სიმონ მღვდლის შესახებ.

195.სც. სსა. ფ. 411. აღწ. 1, საქმე №3787, გვ. 1, 1890.

196.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №4041, კონსტანტინე გვარამაძე, ახალციხის რაბათისა და ახალ ნაწილის ქართული სცენები და სცენაზე მოღვაწენი.

197.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №4042, კონსტანტინე გვარამაძე, წარმოდგენები და მათი მნიშვნელობანი.

198.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №4044, კონსტანტინე გვარამაძე, მოგონებანი აკაკი წერეთლის შესახებ.

199.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №4045, კონსტანტინე გვარამაძე, ბარონ დე როპპის მოგზაურობა, 1904. გვ. 28-29.
200.სც. სსა. ფ. 422. აღწ. 1, საქმე №4067, გვ. 2, 1891.
201.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №4111, კონსტანტინე გვარამაძე, ცნობები რაბათის ქალთა სკოლის შესახებ.
202.ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №4125, ივანე გვარამაძე, ქართველ კათოლიკეთ კითხვაზედ.
203.სც. სსა. ფ. 422, აღწ. 2, საქმე №4704.
204.ქართული ლიტერატურის მუზეუმი №5430, ფ. №479/417.
205.Кавказский календарь на 1902 годов – Тбилиси, 1901, ст. 378.
206.С вод статистических данных о населении закавказского края, Тбилиси, 1893.
207.Первая всеобщая перепись населения Российской империи, 1897 г. т.XIX. Тифлиская губерния с Петербург, 1905 г.

პერიოდული გამოცემები (პრესა):

208. გაზ. „ასპინძა“, №102, 103, 1991.
209. გაზ. „ახალციხე“, №12 – 1996.
210. ჟურნ. „აკაკის კრებული“, №1 – 1997.
211. ჟურნ. „განთიადი“, №4 – 1985.
212. გაზ. „დროება“, №43, 254 – 1879.
213. გაზ. „დროება“, №15, 20, 48, 202, 251, 267 – 1880.
214. გაზ. „დროება“, №39, 146, 251 – 1881.
215. გაზ. „დროება“, №10, 25 – 1882.
216. გაზ. „დროება“, №219 – 1800.
217. გაზ. „დროება“, №18, 109 – 1908.
218. გაზ. „დროება“, №67, 108, 132, 150, 190, 226 – 1909.
219. გაზ. „დროება“, №22, 41 – 1910.
220. გაზ. „ივერია“, №84 – 1887.

221. გაზ. „ივერია“, №166 – 1888.
222. გაზ. „ივერია“, №33 –1894.
223. გაზ. „ივერია“, №86 – 1895.
224. გაზ. „ივერია“, №78 – 1897.
225. გაზ. „ივერია“, №22, 221 – 1901.
226. გაზ. „ივერია“, №179, 210 – 1904.
227. გაზ. „ისარი“, №21, 77 – 1908.
228. ჟურნ. „კვალი“, №22 – 1897.
229. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №22 – 1982.
230. გაზ. „მესხეთი“, №10 – 1991.
231. გაზ. „მესხეთი“, №18-20 – 1992.
232. ჟურნ. „მოგზაური“, №3-4 – 1904.
233. ჟურნ. „მწყემსი“, №17 – 1886.
234. ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, №4 – 1959.
235. გაზ. „სამცხე“, №75 – 1991.
236. გაზ. „სამცხე“, №3 – 1992.
237. გაზ. „სამცხე“, №5 – 1996.
238. გაზ. „სამცხე-ჯავახეთი“, №4-5 – 1997.
239. გაზ. „საქართველო“, №5 – 1909.
240. გაზ. „სახალხო გაზეთი“, №11, 76, 115, 128 – 1910.
241. გაზ. „სახალხო გაზეთი“, №258, 259, 483 – 1911.
242. გაზ. „სახალხო გაზეთი“, №589 – 1912.
243. გაზ. „სახალხო გაზეთი“, №308, 908 – 1913.
244. გაზ. „სახალხო გაზეთი“, №9 – 1914.
245. გაზ. „სახალხო ფურცელი“, №115 – 1910.
246. გაზ. „სახალხო ფურცელი“, №258, 483 – 1911.
247. გაზ. „სახალხო ფურცელი“, №589 – 1912.
248. გაზ. „სახალხო ფურცელი“, №908 – 1913.
249. გაზ. „სახალხო ფურცელი“, №9, 44,94 – 1914.
250. გაზ. „სახალხო ფურცელი“, №275 – 1915.
251. გაზ. „სახალხო ფურცელი“, №633, 698 – 1916.
252. ჟურნ. „ცისკარი“, №9 – 1972.
253. გაზ. „ცნობის ფურცელი“, №6988 – 1898.
254. გაზ. „ცნობის ფურცელი“, №1663 – 1901.


255. გაზ. „ცნობის ფურცელი“, №2702 – 1904.
256. გაზ. „ჩვენი კვალი“, №18 – 1908.
257. გაზ. „წიგნის სამყარო“, №11 – 1977.
258. გაზ. „წიგნის სამყარო“, №14 – 1982.
259. გაზ. „წითელი დროშა“, №64 – 1957.
260. ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, №4 – 1988.
261. გაზ. „ხალხის მეგობარი“, №17 – 1918.
262. გაზ. „ხალხის მეგობარი“, №262 – 1918.

დისერტაციები


263.კურტანიძე ლ., განათლება და პედაგოგური აზროვნება სამცხე-ჯავახეთში XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში.
264.ქუქჩიშვილი ზ., სამცხე-ჯავახეთის (ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევა სოფელ ხიზაბავრის მაგალითზე), თბილისი, 1998.

ფოტოდოკუმენტური მასალა


გვარამაძეთა გვარის გენეალოგია




ივანე მესარკოვი-გვარამაძის გენეალოგია



კონსტანტინე გვარამაძის გენეალოგია





ივანე გვარამაძის სახლი რაბათში



იოანე ნათლისმცემლის ეკლესია (ახალციხე)



ივანე გვარამაძე „ჯანმე მესხი“

ოცნე მგონიმე
და ძახი ძიგლე
ანა ცელიმენი



ქრისტესია ოყახით



თამარი
გვარამაძე-მაისურაძისა



კონსტანტინე



ძმები ბაქრაძეები
(გაბრიელი)
და
ილია ბაქრაძე



არჩილ გვარამაძის ოჯახი



რუსუდან გვარამაძე-მესხიშვილის ოჯახი



მიხეილ
თამარაშვილი



იაკობ
ლაზარაშვილი



პრაიფსხარი
დონ იოვანე
ანტონოვი (ანტონიაშვილი)



ივანე გვარამაძე
და
სერაბიმ
მერაბიშვილი



პეტრე ხარისჭირაშვილი

ილიკო ხარაიშვილი – „ქეთო ჯაფარიძე“.

ილიკო ხარაიშვილი – ელენე ანდრონიკაშვილი.



ივანე მაისურაძე



ალექსანდრე
ფრონელი (ყიფშიძე)

ილია ალხაზიშვილი

გახიდე გამრეკელი



დიმიტრი ხახუტაიშვილი (ძარკხისდან პირველი)



ზაქარია დადიანაშვილი მეუღლესთან ერთად



როზა მეფისაშვილი თავის ნამუშევართან
(რაბათის ქალთა სკოლის აღზრდილი)



რაბათის ქალთა სკოლა (1902წ)

ახალციხის მაზრის დაწყებითი სასწავლებლები
(1914 წლის მდგომარეობით)

№	სასწავლებელთა დასახელება	სასწავლებელთა რაოდენობა	მოსწავლეთა რაოდენობა
1	ადიგენის	1	29
2	არლის	1	40
3	უდის	1	65
4	აბასთუმნის	2	80
5	ვარხნის	1	35
6	აწყურის ვაჟთა	1	56
7	აწყურის ქალთა	1	12
8	ტაძრისის	1	45
9	წნისის	1	45
10	ოშორის	1	42
11	ნიოხრების	1	34
12	სუფლის	1	48
13	წყალთბილის	1	42

ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების საეკლესიო-საერეველო სკოლები (1914 წლის მდგომარეობით)

№	სასწავლებელთა დასახელება	მასწავლებელთა რიცხვი	ვაჟები	გოგონები	სულ
	ახალციხის მაზრა				
1	ახალციხის	1 (ქალი)	31	11	42
2	აწყურის	1	28	19	47
3	ვალის	1	53	27	80
4	მიქელწმინდის	1	12	12	24
5	მუსხის	1	35	7	42
6	ძველის	1 (ქალი)	30	8	38
7	ერკოტის	1	26	7	33
	ახალქალაქის მაზრა				
1	ახალქალაქის	1	17	12	29
2	გოგაშენის	1	36	4	40
3	ტოლოშის	1	16	8	24
4	ჩუნჩხის	1	34	24	58

შინაარსი

წინათქმა 5

შესავალი 7

მესხური განმანათლებლობა და განათლების მდგომარეობა სამცხე-ჯავახეთში 19

მესხური განმანათლებლობა, კულტურა და განათლება XIX საუკუნის მეორე ნახევარში 19

მესხური განმანათლებლობა 19

სამცხე-ჯავახეთში შექმნილი შიდა პოლიტიკური ვითარება 20

კულტურა და განათლება XIX საუკუნის მეორე ნახევარში 26

კულტურა და განათლება XX საუკუნის დამდეგს 38

ივანე გვარამაძის ცხოვრება და მოღვაწეობა 54

- ბიოგრაფიული მონაცემები 54
- ხიზაბავრასა და ახალციხეში სკოლათა ფუძემდებელი 59
- ბრძოლა ქართულენოვანი ტიპიკონისათვის 65
- ოჯახური წრე, ივანე გვარამაძე — მამა და აღმზრდელი 75
- ფოლკლორისტული მოღვაწეობა 80
- ივანე გვარამაძის საოჯახო მუზეუმი 82
- „მესხეთ-ჯავახეთის მემატიანე“ 85
- მთარგმნელობით საქმიანობა 91
- ლიტერატურული მემკვიდრეობა 94
- ივანე გვარამაძე — ლექსიკოგრაფი 96
- ურთიერთობა საზოგადო მოღვაწეებთან 98
- ივანე გვარამაძის გარდაცვალება 103

ივანე გვარამაძის პედაგოგიური შეხედულებანი 108

დიდაქტიკის საკითხები ივანე გვარამაძის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში 109

- ივანე გვარამაძის შეხედულებანი განათლებაზე 109
- ივანე გვარამაძე ქართული ენის, როგორც აღზრდა-განათლების საფუძვლის შესახებ 117
- ივანე გვარამაძის შეხედულებანი საქართველოს ისტორიის სწავლების შესახებ 121
- ივანე გვარამაძის სკოლისა და მასწავლებლის შესახებ 124
- ივანე გვარამაძის შეხედულება მოძღვრისა და სასულიერო აღზრდის შესახებ 127
- მოზარდის ასაკობრივი პერიოდიზაცია და ასაკობრივი თავისებურებანი 131

აღზრდის თეორიის საკითხები 135

- ივანე გვარამაძის ზოგადი შეხედულებანი აღზრდაზე და მის შემადგენელ ნაწილებზე 135
  1. გონებრივი აღზრდა 139
  2. ფიზიკური აღზრდა 141
  3. ზნეობრივი აღზრდა 144
  4. ესთეტიკური აღზრდა 151
  5. შრომითი აღზრდა 153
- ივანე გვარამაძის შეხედულებანი საოჯახო აღზრდის შესახებ 155
- ქალის როლი მოზარდის აღზრდის საქმეში 161

რეზიუმე 169

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები 170
ფოტოდოკუმენტური მასალა 185

ფასი სახელშეკრულებო

ტირაჟი 500

დაკაბადონდა კომპიუტერულ ცენტრში „ცოდნა“
ქ. ახალციხე, ნ. ნიკოლაძის ქ. №33

Круашвили Нато Семёновна

РОЛЬ ИВАНЭ ГВАРАМАДЗЕ В ПРОСВЕТИТЕЛЬСТВЕ МЕСХЕТИ

(на грузинском языке)
Тбилиси 2008